ვლოძიმეჟ სულეიპ



იუზეფ ჰილსუდსკი

ვლოძიმეჟ სულეია

იუზეფ პილსუდსკი

პოლონურიდან თარგმნა
დავით კანდრევიჩმა

საქართველოს აკადემიური გამომცემლობა
თბილისი, 2018

Włodzimierz Suleja

JÓZEF PIŁSUDSKI

Przetłumaczył na język gruziński
Dawid Kandrewicz

WYDAWNICTWO PRASA AKADEMICKA GRUZJI
Tbilisi, 2018

100. ROCZNICY ODZYSKANIA NIEPODLEGŁOŚCI
PRZEZ POLSKĘ POŚWIĘCA SIĘ

წიგნი ეძღვნება პოლონეთის დამოუკიდებლობის
აღდგენის 100 წლისთავს

niepodległa | POLSKA STULECIE ODZYSKANIA NIEPODLEGŁOŚCI

Wydano przy wsparciu Ambasady Rzeczypospolitej Polskiej w Tbilisi,
Instytutu Polskiego w Tbilisi i Plastics-Gruzja Sp. z o.o.

გამოიცა თბილისში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს,
თბილისში პოლონური ინსტიტუტისა და
შპს „პლასტიკს საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით

Ambasada
Rzeczypospolitej Polskiej
w Tbilisi

INSTYTUT POLSKI TBILISI

PLASTICS®
პლასტიკს საქართველო

პოლონურიდან თარგმნა © დავით კანდრევიჩმა
რედაქტორები: რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკი
მანანა მიხაილოვა
გამომცემლობის რედაქტორი: მანანა ბალიაშვილი
ყდის დიზაინი: © ოსკარ კასპერეკი

© ვლოძიმეჟ სულეია

ISBN 978-9941-9529-8-2

საბა – საქართველოს
აკადემიური გამომცემლობა
აღმაშენებლის გამზ. 181/2
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 32
E-mail: pressacademic@gmail.com
www.apgeorgia.com
FB: Academic Press of Georgia – საგა

წინასიტყვაობა

წიგნი მოგვითხრობს დიდი პოლონელი სახელმწიფო მოღვაწის – იუზეფ პილსუდსკის ცხოვრების შესახებ, რომელიც XX საუკუნის პირველ მეოთხედში პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. 1918 წელს ხორცი შეესხა პოლონელთა საუკუნოვან ოცნებას, ქვეყანამ თავი დააღწია დამპყრობელ იმპერიათა ტყვეობას და დიდი ხნის წინ დაკარგული თავისუფლება დაიბრუნა. დამოუკიდებლობის აღდგენამდე და მის შემდეგაც, პილსუდსკი, ათწლეულების განმავლობაში, წარმოადგენდა საკვანძო ფიგურას პოლონურ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წიგნის ავტორია ცნობილი პოლონელი ისტორიკოსი, ვლოძიმეუ სულეია, რომელმაც არაერთი წელი შეალია დიდი პოლონელი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ცხოვრების კვლევას. ნაშრომი წარმოადგენს იუზეფ პილსუდსკის მიერ განვლილი გზის ყველაზე უფრო სრულ აღწერას, მის შესახებ დღემდე შექმნილ ნაშრომებს შორის. ავტორი ხატოვნად, მაგრამ, ამავე დროს, პროფესიონალი ისტორიკოსის სიზუსტით აღგვიწერს პილსუდსკის ბობოქარ ბიოგრაფიას. ამავე დროს წიგნში გაცოცხლებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის პოლონეთის ძალზე მკაფიო სურათი.

წინამდებარე ქართული ვერსია სპეციალურად იქნა ადაპტირებული ქართველი მკითხველისათვის. მასში ყურადღება გამახვილებულია იმ კავშირებზე, რომლებიც იმდროინდელ პოლონეთს და პირადად პილსუდსკის საქართველოსთან და ქართველებთან ჰქონდა.

დავით კანდრევიჩი

ვუძღვნი მალგოჟატას

შინაარსი

I. ბავშვობა და ახალგაზრდობა 11
II. კაცი იატაკქვეშეთიდან 25
III. კომენდანტი 65
IV. სახელმწიფოს მეთაური 104
V. გადატრიალების შემოქმედი 178
VI. არატიპური დიქტატორი 207
VII. ადგილი პოლონეთის ისტორიაში 229
ტექსტში გამოყენებული
წყაროები და ლიტერატურა 240

„იუზეფ პილსუდსკი კარგად იცნობდა ჩვენს ქვეყანას და უყვარდა იგი – ლამაზი ლეგენდებით მოცული მხარე, რომელიც მუდამ ჩვენი საყვარელი კავკასიის თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. მან, ვინც საკუთარი გმირული ძალისხმევით თვით იქცა ლეგენდად, თავისი გაუტეხელი ნებისყოფით და გენიით სამშობლოს თავისუფლება მოუპოვა და მტრის მიერ დაქუცმაცებული პოლონეთისგან დიდი და მძლავრი სახელმწიფო შექმნა. ჩვენ უნდა ვაცოცხლოთ მისი იდეა პოლონელებთან ერთად, ჩვენი საერთო სამშობლოს სიკეთისა და დიდებისათვის“.

წმინდა ***გრიგოლ ფერაძე*** *(1935)*

I. ბავშვობა და ახალგაზრდობა

იუზეფ კლემენს პილსუდსკი – იუზეფ ვინცენტისა და მარიას (ქალიშვილობაში ბილევიჩი) ვაჟი, ვილნოს[1] მიწის შვილი გახლდათ. მის თაობას „მამების უნახავთა თაობის“ სახელით იცნობენ, რადგანაც მრავალი მათგანის მამა იანვრის აჯანყებას[2] შეეწირა ან დიდი ხნით მოწყდა ოჯახს. ამავდროულად, ამ თაობას ხშირად დაუმორჩილებლთა თაობასაც უწოდებენ ხოლმე. პილსუდსკი ქვეყანას 1867 წლის 5 დეკემბერს მოევლინა, ზულუვის საგვარეულო მამულში, შვენჩიანის პოვიატში[3]. მამის მხრიდან იგი გინიატოვიჩების უძველესი ოჯახის შთამომავალი იყო, რომელთაც თავის დროზე ლიეტუვის მიწაზე დაიდეს ბინა. საგვარეულოს დამაარსებელმა, ქალაქ უპიტას მამასახლისმა ბარტლომეიმ ახალი გვარი საკუთარ მამულს – სოფელ პილსუდის დაუკავშირა და პილსუდსკიდ დაეწერა. მე-16 საუკუნიდან პილსუდსკები „კოშჩეშას“ გერბს მიეკუთვნებოდნენ (მომავალში გერბის დასახელებას იუზეფი კონსპირაციულ მეტსახელად გამოიყენებს და ლონდონის სოციალისტურ კონგრესზე „ვიქტორ კოშჩეშას“ სახელით გამოვა). უდავოა, რომ პილსუდსკები ჟემაიტიის[4] წარჩინებული გვარების რიგებში შედიოდნენ. ისინი განსაკუთრებით მრავლად იყვნენ როსენეს პოვიატში, სადაც ძალიან ხშირად, ადგილობრივი ხელისუფლების იერარქიაში

[1] ვილნო – დღევანდელი ქალაქი ვილნიუსი, ლიეტუვის დედაქალაქი.

[2] იანვრის აჯანყება – პოლონელთა ეროვნული აჯანყება რუსეთის იმპერიის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყება დაიწყო 1863 წლის 22 იანვარს და გაგრძელდა 1863-64 წლების განმავლობაში. საბოლოოდ აჯანყება ჩახშობილ იქნა 1864 წლის ბოლოს.

[3] პოვიატი – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული პოლონეთში.

[4] ჟემაიტია – რეგიონი ლიეტუვაში.

სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდნენ ხოლმე. პოლონეთის სახელმწიფოს დაყოფის და მისი მსოფლიო რუკიდან გაქრობის შემდეგ პილსუდსკების ის შტო, რომელსაც იუზეფი განეკუთვნებოდა, საგრძნობლად გაღარიბდა. ეს, პირველ რიგში, მისი პაპის მამის, კაზიმეჟის ზედმეტად ხელგაშლილმა ცხოვრებამ განაპირობა.

მომავალი მარშლის მამა, ასევე იუზეფი, როსენეს პოვიატში განლაგებული ტენიენეს მამულის მფლობელი, 1863 წლის აპრილში, ოცდაათი წლის ასაკში, მარია ბილევიჩზე დაქორწინდა. აღსანიშნავია, რომ მარიას გვარის წინაპრების სახეები დიდმა პოლონელმა მწერალმა ჰენრიკ სენკევიჩმა უკვდავყო თავის „წარღვნაში“. მარია თავისი ბიძის, კასპერის მეურვეობის ქვეშ იყო გაზრდილი. მან პილსუდსკების ახლად შექმნილი ოჯახი, გარდა სრულიად მიწიერი სიკეთეებისა, ისეთი ღირებულებებითაც გაამდიდრა, როგორიცაა ღრმა, მაგრამ გონივრული პატრიოტიზმი და მგრძნობიარობა, რომელიც საშუალებას აძლევდა ერთმანეთისგან განესხვავებინა ის, რასაც ღირსება კარნახობს ადამიანს და ის, რაც უმნიშვნელო და არაარსებითია. ოჯახური ცხოვრების დასაწყისი იმდროინდელ ლიეტუვაში არსებულ ურთულეს ვითარებას დაემთხვა. იანვრის აჯანყების შემდეგ ჩატარებული რეპრესიები პილსუდსკების ოჯახსაც შეეხო, რადგანაც იუზეფ ვინცენტი ეროვნული მთავრობის ერთ-ერთი კომისარი იყო. ამ ყველაფერმა ოჯახი აიძულა, რომ სოფელ ტენიენეს მამული დაეტოვებინა და ზულუვში გადასულიყო საცხოვრებლად.

ტყეებითა და ბორცვებით გარშემორტყმული ზულუვი პატარა იუზეფისათვის ძალზე სასიამოვნო ადგილი აღმოჩნდა. მდინარე მერა პილსუდსკების კარ-მიდამოს ნახევარწრედ ერტყმოდა გარს. ამ იდილიურ გარემოში გაატარა იუზეფმა (რომელსაც შინაურები ზიუკსაც ეძახდნენ) თავისი ადრეული ბავშვობა. იუზეფი ოჯახში მეოთხე ბავშვი იყო, იგი უფროსი დების – ჰელენასა და ზოფიასა, და ძმის – ბრონისლავის შემდეგ მოევლინა ქვეყანას. ზულუვში პილსუდსკების ოჯახი კიდევ სამი ბავშვით გამდიდრდა. ჯერ ერთმანეთის მიყოლე-

ბით ორი ძმა გაჩნდა – ადამი და კაზიმეჟი, ხოლო 1873 წელს უმცროსი და – მარია. ვილნოში გადასვლის შემდეგ ოჯახმა ზრდა ისევ განაგრძო და გაჩნდნენ მომდევნო ბავშვები: იანი, ლუდვიკა და კაცპერი. ბოლო მატებას პილსუდსკების ოჯახში 1882 წელს ჰქონდა ადგილი, როდესაც ტყუპი ქალ-ვაჟი დაიბადა. სამწუხაროდ, პატარები ორი წლის შემდეგ გარდაიცვალნენ. მთლიანობაში ეს დიდი, თორმეტშვილიანი ოჯახი იყო, თუმცაღა რაოდენობრივად იმდროინდელი სტანდარტებისგან დიდად არ განსხვავდებოდა.

პილსუდსკების ოჯახის ქონება იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ისინი შეძლებულ ხალხად ჩაეთვალათ. ამაში გადამწყვეტ როლს ის მამულები თამაშობდა, რომლებიც მარიას მოჰყვა მზითევში. მთლიანობაში, იუზეფის კუთვნილ პოშუშვეს მამულთან ერთად, პილსუდსკები 8 ათას ჰექტარზე მეტ მიწას ფლობდნენ. ოჯახი გაუჭირვებლად ცხოვრობდა. პატარა ზიუკს მრავალრიცხოვანი მსახურები ეხვივნენ გარს. გარდა ამისა, პილსუდსკების ოჯახს ბევრი გაჭირვებული ნათესავი თუ ახლობელი ჰყავდა შეფარებული, რომლებსაც, მათი გულკეთილობის წყალობით, ლუკმა-პური არ აკლდათ. აქვე იყვნენ უცხოეთიდან ჩამოყვანილი გუვერნანტი ქალები, რომელთაგანაც ბავშვები გერმანულსა და ფრანგულ ენებში თავიანთ პირველ გაკვეთილებს იღებდნენ.

პილსუდსკების სოციალურ სტატუსს მათი კარ-მიდამოც უსვამდა ხაზს. ლარიქსის ხის მასალით ნაგები, ვრცელი, თორმეტოთახიანი სახლი ძვირად ღირებული სამშვენისებით იყო მოფენილი. კედლებიდან სახელოვანი წინაპრების პორტრეტები იმზირებოდა, რომლებიც მათ დამთვალიერებელს ფიქრით დიდებულ წარსულში გადაისროდა ხოლმე. მამულში გზა დიდი ჭიშკრის გავლით შედიოდა. მის თავზე საგვარეულო გერბი იწონებდა თავს, რომელსაც უძველესი საბრძოლო ფარების ფორმა ჰქონდა. ყვავილებით გარშემორტყმული გაზონის გავლით გზა შემინულ პარმაღამდე მიდიოდა. კარ-მიდამოს პეიზაჟს ავსებდა სამეურნეო და სახელოსნო ნაგებობები, დიდი და ღრმა ტბორი, რომელიც მდინარე მერას ერთ-ერთი შენაკადით

– პაპროტკათი იკვებებოდა, ორი დიდი ხეხილის ბაღი და მშვენიერი ხეივნები, რომელთაც გვერდებზე ცაცხვებისა და ნაძვების ცოცხალი კედლები მიუყვებოდა.

ზიუკისთვის უზრუნველი ბავშვობის ხანა 1874 წლის ზაფხულში დასრულდა. ივლისის თვეში პილსუდსკების სახლ-კარი, საჯინიბოები, ბოსლები და ყველა სხვა სამეურნეო ნაგებობა უეცრად გაჩენილმა ხანძარმა შეიწირა. ხანძარს ემსხვერპლა საგვარეულო ტყის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ბედის ამ მოულოდნელი დარტყმის შემდეგ ვალებით გადატვირთულმა პილსუდსკების მეურნეობამ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლო. იქნებ სხვა, უფრო გაწონასწორებულ მფლობელს შესძლებოდა კიდეც მამულის ძველი დიდების აღორძინება, მაგრამ უფროსი იუზეფი, რომელიც მუდმივად ახალი საინვესტიციო იდეებითა და განუხორციელებული პროექტებით იყო გატაცებული, ამ როლისთვის ნამდვილად არ გამოდგებოდა. ზულუვის მამული განუხრელად მიდიოდა უარესობისკენ. უფროსი იუზეფი უმიზნოდ ფლანგავდა მამულის აღსადგენად აღებულ სესხებს, ხოლო ოჯახი იძულებული იყო, რომ ვილნოში გადაბარგებულიყო და იქ შეჭირვებულ პირობებში, ნაქირავებ ბინებში ეცხოვრა. პილსუდსკებს გაჭირვება სულ უფრო და უფრო უტევდა. ეს ნათლად ჩანს მათ მიერ ნაქირავები ყოველი მომდევნო ბინის მაგალითზე. თითოეული ბინა თანდათანობით სულ უფრო პატარა და ქალაქის უარეს უბანში განლაგებული საცხოვრისით იცვლებოდა.

ვილნოში საცხოვრებლად გადასვლამ ისიც განაპირობა, რომ პატარა ზიუკმა, რომელსაც ჯერ 10 წელიც არ შესრულებოდა, საშინაო განათლების მიღების ნაცვლად, სასწავლებლად 1-ელ გიმნაზიას მიაშურა. ამ ასაკში პატარა იუზეფი თავის ასაკთან შედარებით ბევრად უკეთ იყო განვითარებული. იგი ცოცხალი და მტკიცე ხასიათის ბავშვი იყო. რუსულ საგანმანათლებლო სისტემასთან უშუალო შეხებამ იუზეფში ნამდვილი შოკი გამოიწვია. თანამედროვე მკითხველისთვის (როგორც პოლონელებისთვის, ასევე ქართველებისთვის) უფრო გასაგები რომ იყოს, აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ რუსული იმ-

პერიული განათლება სხვა არაფერი იყო, თუ არა საზოგადოების და, ყველაზე მეტად კი, მისი ყველაზე უმცროსი წევრების მაქსიმალური დამორჩილებისათვის აგებული აპარატი. ეს პოლიტიკა, რომელიც ადამიანებში ცარიზმისადმი ლოიალობის ჩამოსაყალიბებლად იყო მოწოდებული, განსაკუთრებული სიხისტით დაპყრობილ ქვეყნებში ხორციელდებოდა. სახელმწიფო ინტერესების სახელით სკოლას ომი ჰქონდა გამოცხადებული მშობლებისა და მთელი საზოგადოებისათვის. იმპერიული საგანმანათლებლო სისტემა ცდილობდა, რომ გაეუფასურებინა პოლონური საზოგადოებისთვის ძვირფასი იდეალები, მოეშალა კათოლიკურ რწმენასთან კავშირი და გაეწყვიტა ის ძაფები, რომლებითაც ეს ყველაფერი ეროვნულ ტრადიციებთან იყო გადაჯაჭვული. სისტემის აზრით, ახალგაზრდა ადამიანს ერთხელ და სამუდამოდ უნდა შესხურებოდა ვაქცინა, რომელიც მას ამ სისტემისადმი არათუ მხოლოდ პატივისცემას, არამედ, პირველ რიგში, შიშს შთაუნერგავდა. საბოლოო მიზანი კი ის იყო, რომ ახალგაზრდა პოლიტიკურად, კულტურულად და თვით წეს-ჩვეულებების თვალსაზრისითაც კი ინტეგრირებული ყოფილიყო რუს ხალხთან და ცარისტულ სახელმწიფოსთან. სისტემის თანახმად, სკოლის დამთავრებისას აღსაზრდელი უნდა ყოფილიყო ხელისუფლებისადმი ლოიალური, არ უნდა ჰქონოდა მეამბოხური აზრები, უნდა ყოფილიყო პასიური და მორჩილი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასეთი სკოლის კურსდამთავრებული ან კონფორმისტად და ოპორტუნისტად ყალიბდებოდა, ან მეამბოხედ.

ზიუკი მეამბოხედ ჩამოყალიბდა. პილსუდსკის მოგონებებიდან და ასევე მისი ოჯახის წევრებისა და გარემოცვის გადმოცემებიდან უდავოდ ჩანს, რომ იუზეფის ასეთი დამოკიდებულების საფუძვლები, პირველ რიგში, მის ოჯახში უნდა ვეძებოთ. როგორც პილსუდსკი 1903 წელს წერდა: „ოჯახში ბავშვებს აცნობდნენ დიდი პოლონელი პოეტების ქმნილებებს, რა დროსაც განსაკუთრებული აქცენტი აკრძალულ ნაწარმოებებზე კეთდებოდა; მათ, აგრეთვე, ასწავლიდნენ პოლონეთის ისტორიას“ (JP II, 46). ოჯახში დიდი პოეტების რომანტიკული

პოეზია იყო გამეფებული. დომინირებდა მიცკევიჩი[5] და, აგრეთვე, მარია პილსუდსკასთვის განსაკუთრებით ახლობელი – კრაშინსკის[6] შემოქმედება, თუმცა ზიუკისთვის ყველაზე საყვარელი პოეტი სლოვაცკი[7] გახდა – თავისი შორსმჭვრეტელური დრამებითა და ლირიკული ლექსებით. იუზეფს მთელი ცხოვრება გაჰყვა სლოვაცკის პოეზიის სიყვარული. მზრუნველობით შერჩეული პატრიოტული ლიტერატურა (აქ ნემცევიჩის[8] *„ისტორიული სიმღერებიც“* უნდა გავიხსენოთ) შეზავებული იყო ისტორიებით, რომლებიც ძველი ბერძნებისა და რომაელების ყოფა-ცხოვრებას ასახავდნენ. „ამ ისტორიებს ალბათ იმიტომ გვიყვებოდნენ, რომ ისინი სავსე იყო სამშობლოსათვის გმირული ბრძოლისა და თავდადების მაგალითებით“ (JP II, 46). ახლო წარსულის გმირი კი უდავოდ ფრანგი იმპერატორი იყო, რომელიც თავისი გამორჩეული ქარიზმით აფორიაქებდა ახალგაზრდა გიმნაზისტის გონებას. აი, ეს განსაკუთრებული ატმოსფერო განაპირობებდა იმას, რომ „ყველა ჩემი ოცნება აჯანყებისა და მოსკოვიტელებთან შეიარაღებული ბრძოლის გარშემო ტრიალებდა, რომლებიც მთელი გულით მძულდა“ (JP II, 46).

ასეთი მძაფრი განცდა პირდაპირ იყო დაკავშირებული სკოლაში მიღებულ გამოცდილებასთან. კონტრასტი, რომელიც მშობლიური სახლის ატმოსფეროსა და გიმნაზიას შორის არსებობდა, დღეს ძნელი გასაგები იქნება 21-ე საუკუნის რეალობაში მცხოვრები ახალგაზრდისათვის. მიუხედავად მშობლიური კერის დრამატული ეკონომიკური მდგომარეობისა, ახალგაზ-

---

[5] ადამ მიცკევიჩი (1798-1855) – დიდი პოლონელი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონელ რომანტიკოს მგოსანთა „დიდი სამეულის“ წარმომადგენელი.

[6] ზიგმუნტ კრაშინსკი (1812-1857) – დიდი პოლონელი პოეტი, მიცკევიჩის თანამედროვე, პოლონელ რომანტიკოს მგოსანთა „დიდი სამეულის“ წარმომადგენელი.

[7] იულიუშ სლოვაცკი (1809-1849) – დიდი პოლონელი პოეტი, მიცკევიჩისა და კრაშინსკის თანამედროვე, პოლონელ რომანტიკოს მგოსანთა „დიდი სამეულის“ წარმომადგენელი.

[8] იულიან ნემცევიჩი (1757-1841) – პოლონელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

რდა იუზეფისთვის იგი მაინც უმთავრეს ცხოვრებისეულ დასაყრდენად რჩებოდა. სკოლის კედლებში კი მოსწავლეებს არა მარტო მათთვის უცხო ენაზე ლაპარაკს აიძულებდნენ, არამედ სრულიად სხვანაირად აზროვნებასაც. აზროვნების ეს სტილი რადიკალურად განსხვავდებოდა იმისგან, რომელიც ახალგაზრდებს ოჯახში ჰქონდათ შესისხლხორცებული. იმპერიულ სკოლაში გამეფებულ ატმოსფეროს ბოლომდე, ალბათ, გამოჩენილი მწერლის – სტეფან ჟერომსკის[9] მოთხრობა „სიზიფეს შრომანიც“ ვერ გადმოსცემს, რომელიც სწორედ ამ თემას მიეძღვნა. ამ ყველაფრის მერე ძნელია გაგიკვირდეს, რომ პილსუდსკი თავის მოგონებებში ასე აღწერს სკოლის პერიოდს: „გიმნაზიის ატმოსფერო სულს მიმძიმებდა, მაშფოთებდა იქ გამეფებული უსამართლობა და პედაგოგების პოლიტიკა, მაღიზიანებდა და მთრგუნავდა სწავლების მეთოდები. ხარის ტყავიც კი არ იქნებოდა საკმარისი, რომ სრულად აღმეწერა მასწავლებლების უწყვეტი დამამცირებელი შენიშვნები, იმ ყველაფრის შეურაცხყოფა, რაც ჩემთვის ძვირფასი და პატივსაცემი იყო. თუ რამდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ პედაგოგიურმა სისტემამ, შეიძლება ერთი მაგალითით ვიმსჯელოთ: ახლაც კი, როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე მრავალი წელია გასული, როცა მოვიარე ციხეები და ციმბირში გადასახლება, შეხება მქონდა ათასი ჯურის ჩინოვნიკთან და მოხელესთან – როდესაც კოშმარულ სიზმარს ვხედავ, იქ ჩემი „ძვირფასი“ ვილნოელი პედაგოგებიდან მინიმუმ ერთი მაინც ასრულებს ხოლმე რაიმე როლს“ (JP II, 47). იმ დროს, როდესაც პილსუდსკი თავისი განცდების შესახებ წერდა, მას სრულად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დამპყრობლის მიერ თავსმოხვეული სისტემა – რომელიც, რა თქმა უნდა, მარტო სკოლებს არ მოიცავდა – ამახინჯებდა და ანადგურებდა სოციალურ ქსოვილს. რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ პოლონური საზოგადოება დემორალიზებული იყო და ეს პილსუდსკიმ საკუთარ თავზე გამოსცადა. ამ გავლენის

[9] სტეფან ჟერომსკი (1864-1925) – პოლონელი, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი.

წინააღმდეგ ბრძოლა იყო საჭირო. უნდა დავამატოთ, რომ სკოლა, რომელიც ადამიანის მეხსიერებაში ღამეულ კოშმარად რჩება, მართლა განსაკუთრებული რამ უნდა იყოს...

მუდმივი შევიწროებისა და დამცირებების პასუხად აქტიურ წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი, ტრადიციული გზა, რომელიც დამორჩილებული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი – ფარული წინააღმდეგობა. იუზეფი თავის უფროს ძმასთან – ბრონისლავთან და სკოლის მეგობართან – ვიტოლდ ფშეგალინსკისთან ერთად უკვე 1882 წელს უერთდება თვითგანათლების წრეს, რომელსაც „სპუინია"[10] ერქვა. სკოლის კედლებში წინააღმდეგობის ეს ფორმა ყველაზე ეფექტური იყო. ასეთი წრეების წევრები, პირველ რიგში, აკრძალული წიგნების მოპოვებას იწყებდნენ ხოლმე, რათა მოსწავლეთა კონსპირაციულ ორგანიზაციას ბუნებრივი ფორმა ჰქონოდა. თვითგანათლებას თან სდევდა საძულველი პროფესორების ბოიკოტი, ანტიცარისტული მანიფესტაციების ორგანიზება სახელმწიფო დღესასწაულების დღეებში და ეროვნული ისტორიისათვის მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ვილნოელი კონსპირატორები წიგნებით ვარშავიდან და პეტერბურგიდან მარაგდებოდნენ, რაშიც მათ იქაური სტუდენტები უწევდნენ დახმარებას. გარდა პატრიოტული ლიტერატურისა, სტუდენტებში ასევე პოპულარული იყო ჩარლზ დარვინის, ოგიუსტ კონტისა და თომას ჰაქსლის ნაშრომები. დისკუსიებიც, შესაბამისად, ისეთ თემებს შეეხებოდა, როგორიცაა: ადამიანის წარმოშობა, რელიგიის როლი მის ცხოვრებაში, არცთუ დიდი ხნის წინ მომხდარი შეიარაღებული აჯანყება (განსაკუთრებით ლიეტუვის მოვლენები). საინტერესოა, რომ უკვე 1883 წლის დეკემბერში ახალგაზრდა პილსუდსკების ხელში არალეგალური სოციალისტური ჟურნალები მოხვდა. ეს იყო არა მხოლოდ რუსეთში დაბეჭდილი ჟურნალები, არამედ ისინიც, რომლებ-

[10] Spójnia (პოლ.) – კავშირი.

საც ვარშავაში სოციალისტური პარტია „პროლეტარიატი“ გამოსცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგანათლების წრის არსებობა სკოლაში „საჯარო საიდუმლოს“ წარმოადგენდა, მისი გამოაშკარავება მაინც არ მომხდარა. რამდენად სცდებოდა წრის წევრთა საქმიანობა თვითგანათლების ფარგლებს – ამაზე ბევრი არაფერია ცნობილი (არსებობს გადმოცემა, რომ სპეციალურად ორგანიზებულ კერძო კონცერტზე „სპუინიას“ დასახმარებლად იმღერა იმ დროის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მომღერალმა ქალმა – მარცელინა სემბრიხ-კოხანსკამ); თუმცა 1884 წლის დასაწყისში წრის წევრები შეუდგნენ ვალდებულებათა კრებულის პროექტის შექმნას და მისი გავრცელებისათვის მზადებას, რომლის დასახელებაც იყო „ლიეტუველ-პოლონელი ახალგაზრდები ახლანდელ დროში“ (K I, 28). წრეში მიმდინარე დისკუსიები, როგორც წესი, ძალზე მძაფრი იყო და თანდათან უფრო და უფრო ნათლად ჩანდა, რომ ზრდასრულ ცხოვრებაში ფეხშესადგმელად მომზადებული გიმნაზისტების შეხედულებები ნელ-ნელა ერთმანეთს შორდებოდა. სულ უფრო ფართოვდებოდა განსახილველი საკითხების თემატიკა. ცხარე დისკუსია მიდიოდა პოლონელი თავადაზნაურობის როლის შესახებ. მოკამათენი, ერთი მხრივ, სუფთა ისტორიულ ჭრილში განიხილავდნენ ამ ფენის როლს ქვეყნის ისტორიაში და მის ბრალს პოლონეთის რესპუბლიკის დაცემაში და, ამავე დროს, მსჯელობდნენ იმაზე, თუ რამდენად გააჩნდა ამჟამინდელ თავადაზნაურობას უნარი, რომ ეფექტური წინააღმდეგობა გაეწია რუსიფიკაციის პროცესისათვის. ისმოდა უჩვეულოდ მწვავე კრიტიკა პოლონელთა სიმამაცისა და ვაჟკაცობის შესახებ. ამ თვისებებში ზოგიერთები მხოლოდ „ეგოიზმს ხედავდნენ და არა სრულ თავგანწირვას სამშობლოსათვის“. ძნელია, აქ არ შეამჩნიო იმ კამათის საწყისები, რომელიც შემდგომში ტრადიციულ პატრიოტებსა (რომლებსაც თავს მიაკუთვნებდა ბრონისლავი) და ახალი დინების მომხრეებს (რომლებსაც უფრო თანაუგრძნობდა იუზეფი) შორის მიმდინარეობდა.

იუზეფის გიმნაზიაში სწავლის უკანასკნელ ეტაპზე პილსუდსკების ოჯახს ბედმა მძიმე დარტყმა არგუნა წილად. 1884 წლის სექტემბერში იუზეფის დედა გარდაიცვალა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, სიცოცხლის ბოლო წლებში კი თითქმის ლოგინს იყო მიჯაჭვული, მაგრამ, ამის მიუხედავად, როგორც არავის, ისე შეეძლო მთელი ოჯახის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებზე ზრუნვა. იუზეფს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ხასიათი მემკვიდრეობით დედისგან ერგო. მრავალი წლის შემდეგ საკუთარ ანდერძში პილსუდსკიმ დაიბარა, რომ მისი დედის ნეშტი სოფელ სუგინტიდან გადმოესვენებინათ და ვილნოში მიებარებინათ მიწისთვის. მისი სიტყვები ასეთი იყო: „დაე, განისვენოს ამაყმა გულმა, ამაყი დედის ფერხთით“ (K III, 361). დღევანდელი ვილნიუსის რაიონ როსაში განლაგებულ ისტორიულ სასაფლაოზე, დედისა და მისი შვილის გულის გასასვენებელ ადგილას, დღემდე მუდმივად ნახავთ ცოცხალ ყვავილებს...

1885 წლის გაზაფხულზე იუზეფმა გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა. საუკეთესო შეფასებები ისტორიასა და გეოგრაფიაში მიიღო, ყველაზე სუსტი – უცხო ენებში (გარდა ფრანგულისა, რომლის შესანიშნავი ცოდნის გამო იუზეფი გამოცდიდან გაათავისუფლეს). განათლების შემდგომი ეტაპი უმაღლესი სასწავლებელი იყო. პილსუდსკი უმაღლესი განათლების მიღებას ხარკოვში შეუდგა, მან მედიცინის ფაკულტეტი აირჩია. სწავლა კარგად მიდიოდა, იუზეფი გამოცდებს, როგორც წესი, წარმატებით აბარებდა (განსაკუთრებით ანატომიასა და ჰისტოლოგიაში). უნდა აღინიშნოს, რომ იგი საკმაოდ იქცევდა გარშემომყოფთა ყურადღებას, რადგანაც, როგორც ჩანს, ხარკოვში მოქმედი „სახალხო ნების“[11] („Narodnaja Wola“) არალეგალური ჯგუფი მის მიმხრობას ცდილობდა. საბოლოოდ მიმხრობის ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, რისი მიზეზიც იუზეფის მიერ შეთქმულთა ჯგუფის პროგრამის კრიტიკული შეფა-

[11] ნაროდნაია ვოლია“ (რუს. Народная воля) – ეგრეთ წოდებული „ნაროდნიკები“ ანუ ხალხოსნები, XIX საუკუნის მე-2 ნახევარში რუსეთის იმპერიაში გავრცელებული საზოგადოებრივი მოძრაობა.

სება და მისი ეროვნული შემადგენლობა იყო. ამავდროულად, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვილნოელი ჭაბუკი სტუდენტთა ისეთ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც თავიანთი შეხედულებების დემონსტრირებას არ ერიდებოდნენ. ამის გამო იუზეფი ორჯერ დააპატიმრეს. პირველ ჯერზე პატიმრობამ ორ დღეს გასტანა, ხოლო მეორეჯერ – მარტის დასაწყისში ბატონყმობის გაუქმების წლისთავის აღსანიშნავ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო – პილსუდსკიმ ექვსი დღე გაატარა საპატიმროში. სწავლის პირველი წლის დამთავრების შემდეგ იუზეფმა გადაწყვიტა, რომ ხარკოვი დაეტოვებინა და მშობლიურ ადგილებთან ბევრად უფრო ახლოს – დორპატში[12] განეგრძო განათლება. ადმინისტრაციის გადაწყვეტილების მოლოდინში (რომელიც, სხვათა შორის, უარყოფითი აღმოჩნდა) იუზეფი თავის მშობლიურ ქალაქში აყალიბებს შეთქმულთა მორიგ ჯგუფს, რომელიც ძირითადად სოციალისტური ბროშურების გავრცელებით იყო დაკავებული. თუმცა, გარდა ამისა, საკუთარ, ჰექტოგრაფიული მეთოდით დაბეჭდილ მცირეფორმატიან ჟურნალსაც გამოსცემდა. ჯგუფს უშუალო კონტაქტი ჰქონდა ვილნოელი მუშების წრეებთან.

1887 წლის დასაწყისში იუზეფის სამომავლო გეგმები, რომლებიც სწავლის გაგრძელებასა და სოციალისტური კონსპირაციის გაღრმავებასთან იყო დაკავშირებული, ერთბაშად დაინგრა. გამოაშკარავდა „სახალხო ნების“ ტერორისტული ფრთის მზადება რუსეთის ხელმწიფის მკვლელობისათვის. ამ ორგანიზაციასთან შეხების ფაქტმა განაპირობა ის, რომ ძმები პილსუდსკები ჯერ ციხეში, შემდეგ კი ციმბირში აღმოჩდნენ. ბრონისლავს, როგორც შეთქმულების აქტიურ მონაწილეს, 15-წლიანი კატორღა მიუსაჯეს, ხოლო იუზეფს, როგორც ამ საქმეში შემთხვევით მოხვედრილს – 5-წლიანი გადასახლება აკმარეს.

პატიმარ პილსუდსკის გზა ვილნოში დაიწყო. იგი გაგრძელდა პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში, მოსკოვის

[12] დორპატი – ახლანდელი ქალაქი ტარტუ ესტონეთში.

ბუტირკაში, შემდეგ კი – ნიჟნი ნოვგოროდიდან ირკუტსკამდე გაბნეულ სხვადასხვა საპატიმროში. გადასახლებულები ამ გრძელ გზას ფეხითა და სამდინარო კარჭაპებით (ვოლგაზე, კამაზე, ირტიშზე და ობზე) გადიოდნენ. პირობები, რომლებშიც ადამიანებს უწევდათ არსებობა – კერძოდ კი, „საშინელი მონოტონურობა" – მათში ენით აუწერელ, უმძიმეს განწყობას ბადებდა. როგორც პილსუდსკი შემდგომში იხსენებდა, „ეს განწყობა პატიმრებში სულიერ აპათიასა და ავადმყოფურ გაღიზიანებას იწვევდა" (B, 394). ირკუტსკამდე ბადრაგმა ოქტომბრის დასაწყისში მიაღწია. აქედან იუზეფი კირენსკში[13] უნდა გადაეყვანათ, თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, მან პატიმართა აჯანყებაში მონაწილეობა მოასწრო (1-2 ნოემბერს). ამ ინციდენტის მიზეზი უმნიშვნელო იყო, მაგრამ საბოლოოდ აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს. პილსუდსკი ამ ინციდენტს მოგვიანებით, 1911 წელს იხსენებდა. იგი აღწერდა, თუ როგორ იწყებდნენ ჯარისკაცები პატიმრების ცემას კონდახებით საკნიდან გამოყვანისას და როგორ გრძელდებოდა ეს პროცესი შემდეგ ციხის ეზოში. მაშინ იუზეფმა კონდახის პირდაპირ სახეში ჩარტყმის შედეგად წინა კბილები დაკარგა, ხოლო ციხის ადმინისტრაციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდების წაყენების შემდეგ მას სასჯელი ნახევარი წლით გაუგრძელეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოცი წლის ახალგაზრდისათვის ამ იძულებითი პილიგრიმობიდან მიღებული გამოცდილება მართლაცდა განსაკუთრებული რამ იყო. ერთი მხრივ, სახეზე იყო ახალგაზრდა იუზეფის გულწრფელი აღტაცება ველური, ხელუხლებელი ბუნებითა და თვალუწვდენელი სივრცეებით, რომელთა აღქმაც ადამიანის გონებისათვის ნამდვილად არ იყო მარტივი ამოცანა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება იუზეფზე ციმბირის მდინარეებმა მოახდინა („ობისნაირი მდინარე, რომლის სიგანეც ბევრ ადგილას რამდენიმე ვერსიც კი იყო, ნამდვილად არ მინახავს" [K I, 36], – წერდა იგი ახლობლებისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში).

[13] კირენსკი – ქალაქი ციმბირში, ირკუტსკის ოლქში.

თუმცა ნაკლებად შთამბეჭდავი არც არყისა და ვერხვის უსაზღვრო ტყეები იყო. მედლის მეორე მხარეს წარმოადგენდა უმკაცრესი ჰავა, აბეზარი მწერები და ციხის ყოველდღიურობის მოსაბეზრებელი მონოტონურობა. მიუხედავად ყველაფრისა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პილსუდსკიმ გზაშიც და ირკუტსკის მიდამოებში გატარებული რამდენიმე წლის განმავლობაშიც ნახა ცარისტული რუსეთის უკიდეგანო სივრცეები, დაათვალიერა იმპერია, რომელიც ამოვარდნილი იყო ცივილიზებული სამყაროს დინებიდან, აღმოაჩინა მისი ნამდვილი სახე და ხასიათი. იუზეფმა შიგნიდან შეხედა იმპერიას, მის მმართველ კლასს და ამ კლასის დამოკიდებულებას საკუთარ ხელქვეითებთან მიმართებაში.

ბოლოს და ბოლოს, იუზეფი კირენსკში 1887 წლის კათოლიკურ შობამდე ორი დღით ადრე ჩავიდა. ეს იყო მისი საბოლოო დანიშნულების ადგილი, სადაც პილსუდსკიმ 1890 წლის ივლისამდე დაჰყო. ახალგაზრდა გადასახლებულმა იქ მცირერიცხოვანი პოლონური კოლონია აღმოაჩინა. კოლონია იანვრის აჯანყების მონაწილეებისა და პირველი სოციალისტური დაჯგუფებების წევრებისგან შედგებოდა. კირენსკში იუზეფს სიყვარულიც ეწვია. ოცი წლის ჭაბუკი სულიერი ძაფებით დაუკავშირდა ლეონარდა ლევანდოვსკას, რომელიც მისი მასპინძლის, პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი პიონერის – სტანისლავ ლანდის მეუღლის უმცროსი და იყო. ლეონარდა იუზეფზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და თანაც 1890 წლის ზაფხულში მისი ციმბირული გადასახლების ვადა იწურებოდა, მაგრამ ახალგაზრდების ერთმანეთით გატაცება მაინც ძალზე ძლიერი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ციმბირში დაგეგმილი საერთო მომავლიდან არაფერი გამოვიდა, ახალგაზრდების ურთიერთგატაცებამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო. ამაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი იძულებითმა განშორებამ შეიტანა. „ოლესიას“ გამგზავრების შემდეგ პილსუდსკი ბურიატულ სოფელ ტუნკაში ცხოვრობდა. იგი მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა მარია ბოჰუშევიჩის ჯგუფის „პროლეტარებთან“ (პოლონეთის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბე-

ბული პირველი სოციალისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები) და, აგრეთვე, უპირველეს ყოვლისა, ბრონისლავ შვარცესთან[14], რომელიც იანვრის აჯანყების მომამზადებელი ცენტრალური კომიტეტის 1862 წლის შემადგენლობის წევრი იყო. გადასახლებამ პილსუდსკი გამოაწრთო – ფიზიკურადაც და სულიერადაც. მის ციმბირულ ეპოპეაში სულიერ პერიპეტიებთან გადაჯაჭვული იყო სოფლის მასწავლებლის მცირეშემოსავლიანი პრაქტიკა, მონადირული ლაშქრობები, ტაიგის კაფვა, მეგობრებთან მუსაიფი და ქეიფი, ჭადრაკისა და ბანქოს თამაში. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლების ვადა 1892 წლის 20 აპრილს დასრულდა, პილსუდსკიმ ვილნოში, თავის სახლამდე მხოლოდ 1 ივლისს ჩააღწია. მშობლიურ სახლში შეაბიჯა „მაღალმა მამაკაცმა, გრძელი წვერითა და ღია სპილენძისფერი სახის კანით, რომელსაც წინა ორი კბილი აკლდა“ (B, 402), იგი ღვიძლმა დამაც კი ვერ იცნო. იუზეფი სამშობლოში იმ რწმენით დაბრუნდა, რომ სოციალისტურ იატაკქვეშა მოძრაობაში უნდა ჩართულიყო.

[14] ბრონისლავ ანტონი შვარცე (1834-1904) – პოლონელი რევოლუციონერი, 1863 წლის იანვრის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური.

II. კაცი იატაკქვეშეთიდან

მშობლიურ ნიადაგზე მოქმედი სოციალისტური მოძრაობა, რომელსაც „პროლეტარიატი“[15] ედგა სათავეში, მსოფლიო რევოლუციის მოწყობისაკენ ილტვოდა. პილსუდსკის ამ მოძრაობის პატრიოტული მიმართულებით რეფორმირება სურდა. ამ ჩანაფიქრმა აქტუალურობა თავისთავად დაკარგა, როდესაც ამგვარი ტრანსფორმაცია ბუნებრივად მოხდა 1892 წლის შემოდგომაზე. მაშინ პარიზში, პოლონეთის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, ორგანიზაციამ თავის საპროგრამო დოკუმენტში ხაზი გაუსვა იმას, რომ იბრძოლებდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული პოლონური სახელმწიფოს შესაქმნელად. პილსუდსკიმ თავდაპირველად ვილნიელ სოციალისტებთან დაამყარა კონტაქტი. იგი იმ პერიოდში გაეცნო კაზიმეჟ პეტკევიჩსა[16] და მიხალ სულკევიჩს[17], რომლებიც შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები გახდნენ. მოგვიანებით, 1892 და 1893 წლების გასაყარზე, პილსუდსკი ნაციონალისტური ორიენტაციის მქონე „სახალხო ლიგის“ წევრებთან მოლაპარაკებისას ახდენს ნიადაგის მოსინჯვას (ამ წევრებს

[15] „პროლეტარიატი“ – საერთაშორისო სოციალ-რევოლუციური პარტია, რომელიც პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა XIX საუკუნის 80-იან წლებში.

[16] კაზიმეჟ პეტკევიჩი (1861-1934) – პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე.

[17] მიხალ (ალექსანდერ) სულკევიჩი (1867-1916) – პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე.

შორის იყო იან ლუდვიკ პოპლავსკიც[18]). შეხვედრია თუ არა პილსუდსკი ამ პერიოდში ვარშავის ვეტერინარული ინსტიტუტის ახლგაზრდა სტუდენტს ნოე ჟორდანიას – არავინ იცის...

„საერთოპოლონურ მიმართულებას“ პილსუდსკი არ დაკავშირებია, თუმცა სტანისლავ მენდელსონთან შეხვედრის შემდეგ იგი ჟურნალ „ფშედშვიტის“[19] კორესპონდენტი გახდა, რომელსაც „პოლონელ სოციალისტთა საზღვარგარეთული კავშირი“ გამოსცემდა. თავდაპირველად პილსუდსკი „Rom“-ის ფსევდონიმით სარგებლობდა. ამ პერიოდში მისი ტექსტები ძირითადად ლოკალურ, ვილნოურ ამბებს შეეხებოდა, თუმცა შემდგომში, როგორც პოლონეთის სოციალისტური პარტიის (PPS) ლიეტუვის ფილიალის წევრმა, ამ ორგანიზაციის სახელითაც იწყო პუბლიკაციების გამოქვეყნება. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ უკვე ამ მომენტიდან მან განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიანიჭა პროგრამულ მიმართულებას, რომელიც ძალზე მკაფიოდ გამოხატა 1903 წელს: „სოციალისტი პოლონეთში დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნას უნდა ელტვოდეს, თვით დამოუკიდებლობა კი პოლონეთში სოციალიზმის გამარჯვების პირობაა“ (JP II, 52-53). ამ პერიოდიდან პილსუდსკი განსაკუთრებული დაბეჯითებითა და თანმიმდევრულობით იღვწოდა ზემოხსენებული იდეის ცხოვრებაში ხორცშესასხმელად.

პილსუდსკის პოზიცია მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ 1893 წლის შუა ხანებში პარიზული პროგრამის ერთგული რუსეთის იმპერიის ფარგლებში მხოლოდ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლიეტუვის ფრთა დარჩა. ეგრეთ წოდებული ძველი სოციალისტური პარტიის ტრანსფორმირებამ „პოლონეთის სამეფოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიად“ (SDKP), რომელიც მსოფლიო რევოლუციის მოწყობაზე აკეთებდა აქცენტს, წარმოშვა აუცილებლობა, რომ პარიზში ჩაფიქრებული პარტიის ორგანიზაციული აღორძინება მომხდარიყო. ამ საქმეში ემიგრაციიდან დაბრუნებული ემისრის – სტანისლავ

[18] იან ლუდვიკ პოპლავსკი (1854-1908) – პოლონელი პუბლიცისტი, პოლიტიკოსი.

[19] Przedświt (პოლ.) – ცისკარი.

ვოიჩეხოვსკის[20] (პოლონეთის მომავალი პრეზიდენტი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ) გარდა, წამყვანი როლი სწორედ იუზეფ პილსუდსკიმ შეასრულა. პროცესის დასაწყისად მიიჩნევა ვოიჩეხოვსკის შეხვედრა „ლიეტუვის სექციის" წევრებთან (1893 წლის ივნისის ბოლო ან ივლისის დასაწყისი) ვილნოს მახლობლად მდებარე პონარის ტყეში. ამ შეხვედრას შემდგომში პოლონეთის სოციალისტური პარტიის I ყრილობასაც უწოდებდნენ. ამ მომენტიდან მოყოლებული, თანდათანობით პილსუდსკი აღდგენილი სოციალისტური ორგანიზაციის ლიდერად ყალიბდება.

გარდა რიგი საპროგრამო გამოსვლებისა, პილსუდსკის ლიდერობა სუფთა ორგანიზაციულ სფეროშიც გამოიხატებოდა. 1894 წლის თებერვლიდან იგი ადგილს იკავებს პარტიის უმაღლეს ორგანოში – მშრომელთა ცენტრალურ კომიტეტში (CKR). იმავე წლის აგვისტოში, შესანიშნავი ორგანიზატორის – იან სტრუჟეცკის დაპატიმრების შემდეგ, პარტიული სამუშაოს მთელი სიმძიმე რეალურად პილსუდსკის დააწვა მხრებზე. ამ სამუშაოში ყველაზე მნიშვნელოვან დავალებას წარმოადგენდა იატაკქვეშა პარტიული გამოცემის – „რობოტნიკის"[21] სწრაფი რედაქტირება, დაბეჭდვა და გავრცელება. იუზეფი ამ დავალებას უწყვეტად ასრულებდა 1900 წლის თებერვლამდე ანუ იმ მომენტამდე, სანამ იმპერიის ოხრანკა ლოძის სტამბის ლიკვიდაციას მოახდენდა, სადაც პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო იბეჭდებოდა.

1900 წლის დასაწყისამდე პილსუდსკი ერთადერთი პარტიული მოღვაწე იყო, რომელიც ყოველგვარი წყვეტის გარეშე ხელმძღვანელობდა თავისი იატაკქვეშა ორგანიზაციის ყველა წამოწყებას. იგი მკაცრი კონსპირაციის პირობებში ცხოვრობდა, ოჯახის წევრებთან კონტაქტის გარეშე, მუდმივად დაპატიმრების საფრთხის ქვეშ, ბევრად უფრო სასტიკი სასჯელის მოლოდინში, ვიდრე მისი წინა განაჩენი იყო. იმპერიის პოლი-

[20] სტანისლავ ვოიჩეხოვსკი (1869-1953) – პოლონელი პოლიტიკოსი, პოლონეთის პრეზიდენტი 1922-1926 წლებში.

[21] Robotnik (პოლ.) – მუშა.

ციამ მისი კვალი 1893 წლის ზაფხულის დასაწყისში დაკარგა, თუმცა ძებნილთა სიაში იგი ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე აღმოჩნდა. პილსუდსკის დაპატიმრების ორდერში მოცემული იყო მისი გარეგნული აღწერილობა – სიმაღლე: 2 არშინი და 7,5 გოჯი (ანუ 177 სმ), თმები, წვერი და წარბები: მუქი ჩალისფერი, წარბები: შეერთებული, თვალები: ნაცრისფერი. შემდეგი დაპატიმრების ორდერი ორი წლით გვიან არის გამოწერილი. აგენტებს დამატებით დაუდგენიათ, რომ ძებნილი სარგებლობს კონსპირაციული ფსევდონიმებით – იუზეფ გროძკი ან ვოინოროვსკი.

იმ პარტიულ დავალებებს შორის, რომლებსაც პილსუდსკი ასრულებდა, იყო პარტიის ცენტრალური სალაროს პატრონობა, ურთიერთობა რუს რევოლუციონერებთან, კონტაქტების დამყარება იმპერიაში შემავალ სხვა ერებთან (მათ შორის, ფინელებთან და ქართველებთან) და, აგრეთვე, კონტაქტი რუსეთის სტუდენტურ წრეებთან. პარტიისთვის ფულის მოპოვება თითქმის მთელი იმპერიის ტერიტორიაზე მოგზაურობას საჭიროებდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან როლს ამ საქმეში ის აკადემიური ცენტრები ასრულებდა, სადაც პოლონელი სტუდენტები სწავლობდნენ (პეტერბურგი, დორპატი, კიევი, რიგა). გარდა იმისა, რომ პილსუდსკის პარტიის ქვეყნისშიდა საქმიანობაზე ერთგვარი მონოპოლია ჰქონდა მოპოვებული, ამხანაგი ვიქტორი (ეს ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო, რომელსაც იგი იყენებდა) სულ უფრო მეტ გავლენას ახდენდა ორგანიზაციის საზღვარგარეთულ საქმეებზეც, რაც, პრინციპში, „პოლონელ სოციალისტთა საზღვარგარეთული კავშირის ცენტრალური კომიტეტის“ (ZZSP) კომპეტენციაში შედიოდა.

პილსუდსკი სოციალისტური პარტიის წევრთა იმ ვიწრო წრეს განეკუთვნებოდა, რომლებიც ორგანიზაციის პროგრამულ ხაზს განსაზღვრავდნენ. მის საკვანძო პოზიციად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთისადმი დამოკიდებულება, რომელსაც იგი პოლონეთის ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევდა. ამ კონტექსტში პილსუდსკი რუსეთს განიხილავდა არა მარტო როგორც ყველაზე დიდ წინააღმდეგობას დამოუკიდებლობისკენ მიმავალ

გზაზე, არამედ ასევე როგორც ყველაზე დიდ ბარიერს ქვეყნის ცივილიზაციური პროგრესის საქმეში. როგორც იგი 1903 წელს საკუთარი თავის შესახებ წერდა – ზუსტად ციმბირში და არა სადმე სხვაგან „განიკურნა იმდროინდელი რუსული გავლენების ნარჩენებისაგან", ხოლო „რუსული მოძრაობების მრავალი წარმომადგენლისა" და აგრეთვე „რუსი ლიტერატორებისა და პუბლიცისტების" ახლოს გაცნობის წყალობით მას საბოლოოდ შეერყა „რუსული რევოლუციის მნიშვნელობისა და ძალის" რწმენა. პილსუდსკი იხსენებდა, რომ ზუსტად ციმბირში, სადაც „კულტურის დეფიციტიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ფაქტორები მთელი სიცხადით მჟღავნდება, სრულიად ახლოდან შეხედა ცარიზმის მანქანას და მის გავლენას ადამიანთა ცხოვრებაზე რუსეთში". იგი ამბობდა, რომ „ამ ყველაფერმა კიდევ უფრო შეაძულა ევროპული ლაქით შელამაზებული ეს აზიური მონსტრი"(JP II, 52). საინტერესოა, რომ პილსუდსკის შეხედულებები იმ პოლონელი გადასახლებულების დასკვნების იდენტურია, რომლებიც ციმბირში იხდიდნენ სასჯელს. ასე რომ, ამ მოსაზრებებს ერთგვარად უნივერსალური ხასიათი აქვს. რუსეთის შეცნობა ყველზე უკეთ ციმბირის საშუალებით იყო შესაძლებელი და ეს ათვლის წერტილი ყველაზე უკეთ ასახავდა იმ გავლენას, რომელსაც დამპყრობელთაგან ყველაზე საშინელი ახდენდა თავის პოლონელ ქვეშევრდომებზე.

რუსეთისაგან მიღებული შთაბეჭდილებების ვერბალიზება პილსუდსკიმ კიდევ უფრო ადრე მოახდინა, როდესაც ის ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო. ეს 1895 წელს მოხდა, ლონდონში დაბეჭდილი ერთჯერადი სოციალისტური გამოცემის ფურცლებზე, რომლის დასახელებადაც „რუსეთი" („Rosja") შეარჩიეს. ამ გამოცემაში გაკეთებულ ანალიზში პილსუდსკიმ იწინასწარმეტყველა, რომ მოახლოებული იყო გარდაუვალი შეტაკება ცარისტულ იმპერიასთან და წარმატებული ფინალის შემთხვევაში ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. თავის მოსაზრებებში იგი ხაზს უსვამს, რომ „აუცილებელია ბრძოლისთვის მომზადება", აქედან გამომდინარე კი, აუცილებელია არა მარტო „ცარიზმის

მოწინააღმდეგეების ძებნა, რომლებსაც, როგორც მოკავშირეებს, შეიძლება ხელი გავუწოდოთ", არამედ, პირველ რიგში, საჭიროა „გამოვიცნოთ მტერი, გავიგოთ მისი, ვიცოდეთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები" (JP I, 80). ამ სიტყვებიდან გამოსჭვივის მორიგი დირექტივა, რომელიც მიუთითებს რუსეთში გამეფებული საზოგადოებრივი განწყობებისა და ურთიერთობების შესწავლის მკვეთრ აუცილებლობაზე.

რუსეთი გლეხური სახელმწიფო იყო, რაც პილსუდსკისთვის მხოლოდ წიგნებში ამოკითხულ ამბავს არ წარმოადგენდა. მან თავისი თვალით იხილა, თუ „რა ენით აუწერელ სიღატაკეში ცხოვრობდა ეს უზარმაზარი და მორჩილი მასა, როგორ დამცირებას განიცდიდა იგი, რა სიბნელე და გაუნათლებლობა მეფობდა მასში" (JP I, 80-81). პილსუდსკის დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნა ასე ჟღერდა: „სიღატაკე და უუფლებობა, ორი სიტყვით აი, ასე შეიძლება რუსი გლეხის ცხოვრების აღწერა" (JP I, 82). იგი თავის მსჯელობაში ასკვნიდა: „თათარ-მონღოლთა მძიმე უღელმა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ედგა რუსეთს, წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის ისტორიაში და თავისი დამღა დაადო ერის ხასიათს". მისი აზრით, სწორედ დამპყრობელთა უღელმა განაპირობა „იმ მონური სულის ჩამოყალიბება, ის მორჩილება ხელისუფლებისადმი, ის ბედისადმი შეგუება, რაც რუს ერს ახასიათებს" (JP I, 83). მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესის შედეგად სწორედ გლეხთა მასა იქცა „ცარიზმის ბუნებრივ დასაყრდენად", ხოლო თვით ცარიზმი ამ მასის წყალობით იქცა იმად, რასაც იგი ამჟამად წარმოადგენს – „ყოველგვარი პროგრესის მტრად ყველა ქვეყანაში" (JP I, 84). ამავე დროს, პილსუდსკი არ იზიარებდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატთა წრეებში არსებულ ოპტიმიზმს რუსეთის მუშათა კლასის მზარდი ძალის შესახებ. იგი ამ კლასს სუსტ და გაუთვითცნობიერებელ მასად მიიჩნევდა. მისი აზრით, ცვლილებების იმედს არც დეგრადაციისათვის განწირული რუსეთის თავადაზნაურობის ნამოწყებები იძლეოდა და არც უკიდურესად მფრთხალი ბურჟუაზია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმდროინდელი რუ-

სეთის საზოგადოების ჭრილში პილსუდსკი ვერ ხედავდა რეალურ ძალას, რომელიც შეძლებდა ჩინოვნიკთა მასის გავლენის შემცირებას, რომელიც ცარიზმის ერთადერთ ნამდვილ არმიას წარმოადგენდა.

დასკვნები, რომლებიც პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა გამოიტანა, ორთოდოქს მარქსისტში, სულ მცირე – გაოცებას მაინც გამოიწვევდა, რადგანაც პილსუდსკი მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ მას არ სჯეროდა ცარიზმის ქვეყანაში მასობრივი რევოლუციური მოძრაობის წარმოშობის შესაძლებლობის. იგი აღნიშნავდა: „თუმცაღა, საბედნიეროდ, რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში საკუთრივ რუსეთის გარდა, შედიან ძალადობრივად დაპყრობილი და მონობის უღლით ცარიზმზე მიჯაჭვული ქვეყნები, ამ ქვეყნების ერები – პოლონელები, ლიეტუველები, ლატვიელები, რუსინები – მოსახლეობენ იმ მიწებზე, რომლებიც ოდესღაც რეჩპოსპოლიტას[22] ეკუთვნოდა. ამ ერებს სრულიად სხვა ისტორიული წარსული და ტრადიციები აქვთ. ცარისტული რეჟიმის მხრიდან ყველა მათგანი მკაცრ დევნას განიცდის ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე, რაც მათში სიძულვილს იწვევს არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ (JP I, 90). რუსეთის იმპერიის დასავლურ ნაწილში მოსახლე ერების ბევრად მაღალი პოლიტიკური ცნობიერება, განვითარებული ეკონომიკური სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად უსწრებდა საკუთრივ რუსულ მიწებზე არსებულ ეკონომიკას, დაბოლოს, ჩამოყალიბებული კლასობრივი სტრუქტურა იყო ის ფაქტორები, რომლებზე დაყრდნობითაც პილსუდსკი ასკვნიდა: „ზუსტად ამ მიწებიდან აღმოცენდება ის ძალა, რომელიც მტვრად აქცევს ცარიზმის უძლეველობას“, ხოლო „რუსულ რევოლუციურ მოძრაობას ამ ბრძოლაში მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება შეუძლია“ (JP I, 91). პილსუდსკის ხედვით მშობლიური პოლონეთის მუშათა კლასი, როგორც ჰერაკლე, ბორკილებს ახსნიდა პრომეთეოსს, ხოლო ის კი მასავით დამონებული ხალხების დასახსნელად მიწასთან გაასწორებდა აღმოსავლურ დესპოტიას.

[22] რეჩპოსპოლიტა (პოლ. Rzeczpospolita) – პოლონეთის რესპუბლიკა.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ პილსუდსკი და სხვა მოღვაწეები, რომლებიც მის მიერ კონსტრუირებულ პოლიტიკურ სისტემას უჭერდნენ მხარს, პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ზემოთ ხსენებული პროგრამის ერთგულნი დარჩნენ, რომელიც პირდაპირ რუსეთის რეალიების ანალიზის საფუძველზე იყო შექმნილი.

დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გრძელ გზაზე პილსუდსკის არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ ცარიზმის გავლენა პოლონეთის ბედ-იღბალზე ყველაზე მეტად „სამარცხვინო ბორკილებში“ გამოიხატებოდა (JP I, 43). მას ასევე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პოლონელები იდევნებოდნენ არა მხოლოდ როგორც დაპყრობილი ერი, არამედ აგრეთვე როგორც კათოლიკენი – დამპყრობელი ერისაგან განსხვავებული რწმენის მქონენი. ეს კულტურული, რელიგიური და, ბოლოს და ბოლოს, მენტალური განსხვავებები დამპყრობელთა და დაპყრობილთა შორის მუდმივი უთანხმოების მიზეზს წარმოადგენდა, რაც კულმინაციურ მომენტებში პოლონელთა შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამდენად, უეჭველია, რომ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე პილსუდსკი პოლონურ-რუსულ ურთიერთობებზე ახდენდა კოცენტრირებას და სხვა დამპყრობთა გავლენებს ხშირ შემთხვევაში ძნელად შესამჩნევ, მეორე პლანზე აყენებდა.

პოლონელ სოციალისტთა ლიდერს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რუსიფიკაცია და ეროვნული ჩაგვრა რუსეთის ხელმწიფის ხელისუფლების გამყარებას ემსახურებოდა. რუსეთი მან წარმოადგინა, როგორც თვითმპყრობელობის კოლოსი, რომელიც ერთი ფეხით მორჩილ რუს ხალხს სრესდა, ხოლო მეორე ფეხით – ყველა დანარჩენს, რომლებიც ბედის განგებით საერთო უღლის ქვეშ აღმოჩენილიყვნენ. იგი ასევე დარწმუნებული იყო, რომ „მხოლოდ დესპოტური, დამპყრობელი ხელისუფლების მიერ თავმოხვეული მონობის ბორკილების დამსხვრევის შემდეგ დაიწყებოდა სწრაფი პროგრესი ბედნიერი და უზრუნველი მომავლისაკენ“ (JP I, 158). პილსუდსკისთვის პოლიტიკური მონობა ცივილიზაციური კრახის მდგომარეობის შენარჩუნების

თანაბარი იყო. ამდენად, რუსეთის დამანგრეველი გავლენისაგან რადიკალური განთავისუფლება იყო საჭირო. ეს უნდა მომდარიყო პოლონური მიწების რუსეთის იმპერიისგან სრული სეპარაციის გზით. იმპერიას ანალოგიურად უნდა გამოჰყოფოდა დაპყრობილი ხალხებით დასახლებული ყველა ტერიტორია.

საზოგადოებრივ დემორალიზაციას პილსუდსკი, პირველ რიგში, კოლაბორაციონისტ თანამემამულეთა არსებობაში ხედავდა. იგი თანმიმდევრულად გმობდა ისეთ გამოვლინებებს, როგორიც იყო პოლონელ დიდგვაროვანთა და ფინანსურ მაგნატთა ქვეშევრდომული ჟესტები ხელმწიფისა და მისი ხელისუფლების მიმართ, რომლებითაც ისინი თავიანთი ერთგულების დამტკიცებას ცდილობდნენ. ასეთი მორალურად საეჭვო ჟესტების რიგს განეკუთვნებოდა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ზეიმში მონაწილეობა, მაგალითად, ისეთებში, როგორიც იყო ვილნოში ჯალათ მურავიოვის მონუმენტის გახსნა, რომელსაც იანვრის აჯანყების დროს პოლონელთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკის გამო ხალხმა სამართლიანად უწოდა „ჩამომხრჩობის“ მეტსახელი. მიუხედავად ყველაფრისა, პილსუდსკი თვლიდა, რომ მთლიანობაში „ერი არ დაცემულა“ (რაც, მისი აზრით, პირველ რიგში უბრალო ხალხის მასებს შეეხებოდა), თუმცა მის მიერ საოკუპაციო მემკვიდრეობასთან გამოცხადებული ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად სფეროდ სწორედ მორალურ სფეროს მიიჩნევდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს მისი შემდეგი მოსაზრება: „თუკი პოლონური პატრიოტიზმი არის ის, რამაც უნდა მოიტანოს ერის დამოუკიდებლობა, მაშინ ის უნდა იყოს ანტისამთავრობო, რევოლუციური, მან სასიცოცხლო ძალა ფართო მასების პოლიტიკურ ცნობიერებაში უნდა მოიპოვოს. ეს მასები – ხაზს უსვამდა პილსუდსკი – დაიბადნენ, იზრდებიან, ძლიერდებიან და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ზუსტად ეს გულანთებული და პატიოსანი პოლონელები უნდა იყვნენ გზამკვლევები“. ბოლოს იგი ასკვნიდა: „პროლეტარიატი დღეს ხალხის გულს წარმოადგენს, იგი იქნება სახალხო აჯანყების ბელადი და მხოლოდ მის რიგებშია მათი ადგილი, ვინც

გულწრფელად ეთაყვანება თავისუფლების იდეალებს“ (JP I, 243). ზემოთქმულის გათვალისწინებით, პილსუდსკი მხოლოდ პოლონეთის მზარდ მუშათა კლასში ხედავდა იმ ძალას, რომელიც წარმატებული წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდა რუსი დამპყრობლისათვის, რომელსაც ერის სხეულში ნელ-ნელა შეჰყავდა მონობის შხამი.

პილსუდსკი მყარად იყო დარწმუნებული, რომ ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც რუსული ოკუპაციის პირობებში პოლონელთა პოლიტიკური ცხოვრების რადიკალური შეცვლა შეეძლო – იყო მორიგი შეიარაღებული აჯანყება. მისი აზრით, პოლონელები ერთგვარად მიეჩვივნენ დაპყრობილი ერის ყოველდღიურობას, განსაკუთრებით ჰაბსბურგების მმართველობის ქვეშ. ისინი „ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენ მომავლის ჩანასახს, რომელსაც აწმყოში უნდა ჩაეყაროს საფუძველი“ (JP II, 266). იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ მხოლოდ აქტიური ბრძოლის დაწყება წარმოადგენდა პოლონელი ერის მიზნების მიღწევის გზას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბრძოლა მისი ნების საწინააღმდეგოდ დაიწყებოდა. პასიურობა ხელს უწყობდა დამპყრობელთა მასაში თანდათანობით გათქვეფას და დამოუკიდებლობის ბოლო ნარჩენების გარდაუვალ გაქრობას. ეროვნულ აჯანყებას, განსაკუთრებით კი, შეიარაღებულ აჯანყებას, შეეძლო დაებრუნებინა პოლონეთის, როგორც სუბიექტის მნიშვნელობა და ძალა გამოეცალა იმ წნეხისათვის, რომელსაც დამპყრობელი იყენებდა.

პილსუდსკის განსაკუთრებული მდგომარეობა პოლონეთის სოციალისტური პარტიის (PPS) ხელმძღვანელ წრეებში მისი ორგანიზაციული ნიჭისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების შედეგი იყო. მეორე მხრივ, მისი ლეგენდის დასაწყისი მჭიდროდაა დაკავშირებული იატაკქვეშა გამოცემა „რობოტნიკთან“. ჟურნალის პირველი ნომერი პილსუდსკიმ 1894 წლის ივლისში დაბეჭდა. აქედან დაიწყო გამოცემის მრავალწლიანი ციკლი, რომელიც შემდგომში „ოხრანკის“ უკიდურესი მძვინვარებისა და, ამავე დროს, სასოწარკვეთის მიზეზად იქცა. პილსუდსკი ვარაუდობდა, რომ ჩავარდნა გარდაუვალი იყო,

მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მანამდე სულ ცოტა 12 ნომრის გამოცემას მაინც მოახერხებდა. ეს ეპოპეა მან 1903 წელს აღწერა გალიციაში[23] გამომავალი სოციალისტური ჟურნალის „ნაფშუდის"[24] ფურცლებზე. ციკლს სახელად ერქვა „რევოლუციური ბრძოლა რუსული ოკუპაციის ქვეშ; ფაქტები და შთაბეჭდილებები უკანასკნელი ათი წლის ისტორიიდან". პილსუდსკიმ მხოლოდ ციკლის პირველი ნაწილის გამოცემა მოასწრო, რომელსაც რევოლუციონერთა ჟარგონზე „ბიბულა"[25] უწოდა...

შესანიშნავი თხრობის სტილი, რომელიც დღევანდელ დღესაც კი აჯადოებს მკითხველს, ანალიზის სიზუსტე და გონებამახვილობა, ადამიანებისა და მოვლენების უკიდურესად ხატოვანი აღწერა – აი, ესაა ის ნიშან-თვისებები, რომელთა წყალობითაც პილსუდსკის „ბიბულა" მართლაცდა დამატყვევებელი ექსკურსიაა იმ დროის რეალობაში. ჩანაფიქრი ნათელი იყო. გადასახლებიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნებული პილსუდსკი ძალზე სწრაფად დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ ბეჭდური სიტყვა წარმოადგენდა „ცარიზმის პირობებში პოლიტიკური ორგანიზაციების განკარგულებაში არსებულ იმ ერთადერთ ინსტრუმენტს, რომლითაც საზოგადოებრივი აზრის მყარად ფორმირება და სასურველი გეზით წარმართვა იყო შესაძლებელი. ყველა სხვა ინსტრუმენტი, – ასკვნიდა პილსუდსკი, – როგორიცაა, მაგალითად, კავშირები და წრეები, შეკრებები და ზეპირი პროპაგანდა – რუსეთის პოლიტიკურ პირობებში იმდენად შეზღუდული იყო, რომ მათი საშუალებით ადამიანების მხოლოდ ძალზე მცირე წრეებზე შეიძლებოდა გავლენის მოხდენა" (JP II, 68). XXI საუკუნის გადმოსახედიდან ასეთი მტკიცება გულუბრყვილო შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულს ეს ნამდვილად მოწმობდა ამ იდეის ავტორის მაღალ პოლიტიკურ ცნობიერებაზე. ახალი წესებით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში პილსუდსკი მიუთითებს ინსტრუმენტზე, რომელიც ყველაზე უფრო

[23] გალიცია – რეგიონი დღევანდელ დასავლეთ უკრაინაში.

[24] Naprzód (პოლ.) – წინ.

[25] Bibuła (პოლ). – 1. თხელი, საშრობი ქაღალდი; 2. ასეთ ქაღალდზე დაბეჭდილი არალეგალური ლიტერატურა.

პერსპექტიული იყო იმ ისტორიულ პერიოდში. აანალიზებდა რა იმპერიული რუსეთის რეალობას და ხელისუფლების პოლიციური რეჟიმის ძალას, იგი დარწმუნებული იყო, რომ არალეგალურ ბროშურას ან პროკლამაციას „შეეძლო აგიტატორისა და ორატორის ჩანაცვლება, ორგანიზატორისთვის წინასწარ გზის გატკეპვნა, მისთვის ადგილის მომზადება და მსმენელის ლოიალურობის მოპოვება". ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ „ბიბულას" ავტორი იატაკქვეშა დაჯგუფებებს ორგანიზმს ადარებდა, ხოლო არალეგალური ლიტერატურის ბრუნვას – სისხლის მიმოქცევას, რომელიც ამ „ორგანიზმის სიცოცხლეს უზრუნველყოფს". სრულიად საფუძვლიანად უნდა მივიჩნიოთ პილსუდსკის მიერ ფორმულირებული დიაგნოზი, რომლის მიხედვითაც ზუსტად „ბეჭდური საკვების" ნაკლებობა განაპირობებს „ორგანიზაციების შიმშილობას, ხალხის ფართო მასებზე გავლენის მოხდენის უუნარობას და მათ ნელ სიკვდილს" (JP II, 69). პოლონურ სინამდვილეში ზუსტად პილსუდსკი იქცა ამ სფეროს პიონერად...

ნიშანდობლივია, რომ ახალგაზრდა პარტიული მოღვაწე სიტყვის თავისუფლების მასშტაბს იმ მაჩვენებლად თვლიდა, რომლის საშუალებითაც ყველაზე მარტივად შეიძლებოდა სახელმწიფოს ცივილიზაციური განვითარების დონის შეფასება. რუსული მმართველობის ქვეშ მოქცეულ პოლონეთში შეუძლებელი იყო „ერის ჭეშმარიტი ისტორიის წაკითხვა", დიდი მგოსნების ქმნილებები „ცენზორთა სასტიკი ხელით დამახინჯებული გამოიცემოდა", ხოლო პოლიტიკურ პარტიებს არსებობის უფლება ჰქონდათ წართმეული – აქ დრო ერთ ადგილზე გაჩერდა. ასეთივე მდგომარეობა იყო იმპერიის სხვა არარუსულ მიწებზეც და, ამდენად, პილსუდსკის მიერ მოტანილი მაგალითები კმაროდა, რათა ადამიანს სრულად წარმოედგინა, „თუ რამდენად არ შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა, რამდენად დამცირებულად გამოიყურებოდნენ პოლონელები სხვა ერებისგან განსხვავებით" (JP II, 211), რომლებსაც საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლება საკუთარ ხელშივე ეპყრათ.

უნდა აღინიშნოს, რომ „რობოტნიკის“ იატაკქვეშ გამოცემა პილსუდსკისთვის არა მარტო რედაქტორის სამუშაოს ნიშნავდა, არამედ მბეჭდავისა და გამავრცელებლის მოვალეობებსაც. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა პილსუდსკის ჩართვა ამ ქანცგამწყვეტ საქმიანობაში, გარდა, რა თქმა უნდა, სოციალისტური პარტიის პოტენციური მხარდამჭერების გონებამდე მიღწევის აუცილებლობისა. იმ პერიოდში, როდესაც პილსუდსკიმ თავისი საგამომცემლო თავგადასავალი დაიწყო, რუსეთში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობა იყო საკუთარი, ტექნიკური ბაზის ადგილზე ორგანიზების თვალსაზრისით. ეს, პირველ რიგში, იმ ნეგატიური გამოცდილების ბრალი იყო, რომელიც რუსეთში მანამდე მოღვაწე არალეგალურ ჯგუფებს დაუგროვდა – პირველ რიგში კი, „ნაროდნაია ვოლიას“. პილსუდსკი ამბობდა: ამ ტრადიციის დარღვევისათვის, ამ პესიმისტურ განწყობებზე გამარჯვებისათვის ახალი ხალხის მოზიდვაა აუცილებელი. ისინი გეგმებთან მიმართებაში რომანტიკოსები უნდა იყვნენ, ხოლო საშუალებებთან მიმართებაში – პოზიტივისტები“ (JP II, 125). ეს შეხედულება ძალზე ნიშანდობლივად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ის პილსუდსკის მოღვაწეობას წარმოაჩენს, როგორც არა მხოლოდ სოციალისტური იატაკქვეშეთის ორგანიზატორისას. ეს არის იმ ადამიანის მახასიათებელი, რომელიც ზემოაღნიშნული გზავნილის ერთგული დარჩა მაშინაც, როცა უკვე პარტიის რიგები დატოვა, მაშინაც, როცა ჯარისკაცთა ლეგიონს მეთაურობდა და მაშინაც, როცა ბელვედერიდან[26] ქვეყნის აღმშენებლობის პროცესს ხელმძღვანელობდა. ამდენად, ეჭვს არ იწვევს, რომ ზუსტად ამ რომანტიკულმა რწმენამ განაპირობა 1894 წელს პოზიტივისტურ შრომაზე დაფუძნებული სტამბის ამუშავება.

[26] ბელვედერის სასახლე – კლასიცისტური სტილის სასახლე ვარშავაში, აიგო 1819-1822 წლებში არქიტექტორ იაკუბ კუბიცკის პროექტის მიხედვით. 1918-1922 წლებში წარმოადგენდა სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციას, 1922-1926 და 1989-1993 წლებში იყო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია.

რიგითი იატაკქვეშა მოღვაწის სიამაყის და, ამავე დროს, მეფის ჟანდარმების მზარდი შეშფოთების მიზეზად იქცა ინგლისური სისტემის საბეჭდი მანქანა „Model-Press"-ი. ეს იყო დაახლოებით 7 ფუთამდე წონის (დაახლოებით 120 კილოგრამი – ავტ.) პატარა საბეჭდი მანქანა მცირე ზომის ჩარჩოთი, რომელიც „რობოტნიკის" ერთ გვერდსაც კი ძლივს იტევდა. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, სადაც სიტყვის თავისუფლებას პატივს სცემენ, ასეთი აპარატი მხოლოდ სავიზიტო ბარათებისა და პატარა სარეკლამო განცხადებების დასაბეჭდად თუ გამოდგებოდა, მაგრამ რუსული ოკუპაციის პირობებში იგი ტექნიკური პროგრესის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ეს მანქანა კონსპირაციული მიზნებისთვის პირდაპირ მისწრება იყო, რადგანაც „მისი სიმაღლე მეტრის ორ მესამედს შეადგენდა, ხოლო სიგანე კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდა – დაახლოებით მეტრის მესამედი. მისი შენახვა თავისუფლად შეიძლებოდა დაბალ კარადაში. საბეჭდი მანქანის გამოღების დროს კარადას კედლები ეხსნებოდა, ხოლო შენახვის შემდეგ ამ კედლების უკანვე მიმაგრება იყო შესაძლებელი". დაგეგმილი ან იძულებითი გადაადგილების შემთხვევაში აპარატი ადვილად იშლებოდა მცირე ნაწილებად. „ყველაზე დიდი ნაწილი მანქანის სადგამი იყო, რომელიც მისი მთლიანი წონის ნახევარს იწონიდა. დაშლის შემდეგ ნაწილები კალათებში თავსდებოდა, დარჩენილი ცარიელი სივრცეები თივით ივსებოდა და მანქანა მოგზაურობას იწყებდა". ასეთმა მოგზაურობამ მას ორჯერ მოუწია. პირველად 1895 წლის დასაწყისში, როდესაც ის ვილნოს მახლობლად მდებარე ლიპნიშკიდან ლიეტუვის დედაქალაქში გადაბარგდა, ხოლო მეორედ ოთხი წლის შემდეგ – როცა ამჯერად ის ლოძში აღმოჩნდა. რასაკვირველია, ბეჭდვის პროცესი ხმაურთანაც იყო დაკავშირებული. ამიტომაც, ხმაურის შესამცირებლად „ყველგან, სადაც დეტალების ბმის ადგილები იყო, მანქანას რეზინები, თასმები და ნაჭრები ჰქონდა შემოკრული". ყოველი ორმოცდაათი ეგზემპლარის დაბეჭდვის შემდეგ საბეჭდი საღებავის მორიგი პორციის დამატება ხდებოდა. ამავე დროს, დიდი ყურადღება იყო საჭირო, რომ

საღებავი ზედმეტი არ ყოფილიყო, რადგან ამ დროს ნაბეჭდი იდღაბნებოდა; ან არ დაჰკლებოდა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ტექსტი ცუდად კითხვადი ხდებოდა. ვინაიდან ამ ყველაფრის გამო საწარმოო პროცესში შეფერხებები გარდაუვალი იყო, „მუშაობის თითოეული საათის განმავლობაში საშუალოდ მხოლოდ 250-280 ეგზემპლარის დაბეჭდვა იყო შესაძლებელი". როგორც პილსუდსკი იხსენებს: „იმ პერიოდში (საუბარია 1899 წელზე – ავტ.) ჟურნალის 1900 ეგზემპლარს ბეჭდავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი გვერდის დაბეჭდვას 8 საათამდე დრო სჭირდებოდა" (JP II, 132-134). გარდა ბეჭდვისა (რაც ძირითად მოქმედებას წარმოადგენდა), საჭირო იყო ისეთი დამატებითი ოპერაციები, როგორიცაა ტექსტის მიმდინარე კორექტირება ან უკვე დაბეჭდილი მასალისთვის კიდეების ჩამოჭრა, რაც მბეჭდავის ხელებს მტკივნეულ კოჟრებად აჩნდებოდა. იატაკქვეშა ჟურნალის ტირაჟისა და მისი მოცულობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი ნომრის აწყობისა და დაბეჭდვისათვის მბეჭდავსა და მის დამხმარეს (ვილნოში ამ ფუნქციას ვოიჩეხოვსკი ასრულებდა) დაახლოებით ორი კვირის ინტენსიური მუშაობა სჭირდებოდათ.

თუმცაღა, უდიდესი დაღლილობაც კი უკან დაიხევდა ხოლმე, როდესაც ჟურნალის ახალ ნომერზე მუშაობა დასასრულს მიუახლოვდებოდა. პილსუდსკი იხსენებს: „მოსუფთავებულ მაგიდაზე ახალდაბეჭდილი ქაღალდის ორი სვეტი დგას. ეს „რობოტნიკის" პირველი ოთხი გვერდის დასტებია. მესამე დასტა საბეჭდი მანქანის გვერდით, დაბალ მაგიდაზე დევს. იგი თეთრად ბზინავს – ეს ჟურნალის მორიგი ნომრის ბოლო, დასაბეჭდი გვერდებია. ერთ-ერთი ჩვენგანი საბეჭდ მანქანასთან დგება. აი, გაისმის ქაღალდის ჩუმი შრიალი, მანქანის წრიპინი და დაბეჭდილი ფურცელი მანქანის ხახიდან გამოსრიალდა. მეორე ჩვენგანი უკვე დაკეცილი ორი ფურცლით მესამეს ელოდება. აი, ბოლო ფურცელიც დაიკეცა პირველ ორთან ერთად და ახალი ნომრის პირველი ეგზემპლარიც მზადაა. ასეთს იხილავს მას სამყარო" (JP II, 138). დასანანია, რომ ეიფორიითა და გულწრფელი აღტაცებით სავსე ეს მომენტები უკვდავყოფილ არ იქნა...

საბეჭდ სამუშაოს წინ უსწრებდა სუფთა სარედაქციო სამუშაო. „ბიბულას“ რედაქტირებაში ლომის წილი თვითონ პილსუდსკის მიუძღოდა. მორიგ ნომერზე მუშაობა ერთგვარად შუა ნაწილიდან იწყებოდა ანუ იმ ნაწილიდან, რომელიც რედაქციაში სხვადასხვა ადგილიდან შემოსულ კორესპონდენციებს მოიცავდა. ასეთი რიგითობა უბრალო აუცილებლობით იყო გამოწვეული, რადგანაც ორკვირიანი საასოთამწყობო სამუშაოს პერიოდში „შეიძლებოდა სხვადასხვა შემთხვევა მომხდარიყო, რომლების ასახვაც საგაზეთო სტატიებში ან გაზეთის ბოლო გვერდებზე განთავსებულ ქრონიკაში გახდებოდა საჭირო“. ამავდროულად, აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო იყო ანგარიშის გაწევა ასოთამწყობის სამუშაო დროისათვის და ისეთი პროზაული და უკიდურესად გულისგამაწვრილებელი პრობლემისათვის, როგორსაც წარმოადგენდა საჭირო რაოდენობის შრიფტების დეფიციტი. მსგავს სიტუაციებში ასეთი ფრაზების გაგონებაც შეიძლებოდა: „ხელნაწერიდან ერთი-ორ R-ს ხომ არ ამოაგდებდით? ეს უფრო ნაკლებად საწვალებელი იქნებოდა, ვიდრე ხვალინდელი კორექტურა“ (JP II, 136). გარდა ამისა, ასოთაწყობის ბოლო ეტაპზე სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ხოლმე აუცილებლობა, რომ „საკუთარი აზრებით შეგვევსო ესა თუ ის ცარიელი სვეტი ან სივრცე ბეჭდვისათვის გამზადებულ ქაღალდზე“. ამ სიტუაციაში „რობოტნიკის“ რედაქტორი კიდევ ერთი წინააღმდეგობრივი და ორსახოვანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა ხოლმე. ეს იყო თემებისა და მასალების ერთდროული სიჭარბე და მათი დეფიციტი. სარედაქციო საქაღალდეს პირველ რიგში კორესპონდენციები ავსებდა. პილსუდსკი იხსენებს, რომ „ამ მასალით ოთხი ასეთი ნომრის შევსება შეიძლებოდა ისე, რომ ცოტა მეხუთე ნომრისთვისაც დარჩენილიყო. ხელით ნაწერი ეს წერილები, ხშირ შემთხვევაში, გაუმართავნი და უთავბოლონი, უმეტესად ძალზე გაწელილები, შეიცავდნენ ათასობით ადამიანის ტკივილსა და გოდებას. ეს ადამიანები ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე ცდილობდნენ თავიანთი გრძნობებისა და აზრების დატევას. ნაცრისფერი და უღიმღამო, როგორც ადამიანური

გაჭირვება, ალაგ-ალაგ ცინცხალი იუმორის გამონათებით გამოცოცხლებული ეს წერილები დამაჯერებელი, ხალხური სიტყვით გვიხატავდნენ მძიმე რეალობას. რედაქტორი მახვილი თვალით უტყუარად გამოარჩევდა ხოლმე წერილში მიმობნეულ სიბრძნის მარგალიტებს და შემდეგ წითელი ფანქრით მონიშნავდა მათ, რათა საბოლოო ვერსიაში არ დაკარგულიყო მონაწერის დედააზრი და სიმძაფრე" (JP II, 136-137). პილსუდსკი ახარისხებდა ამ კორესპონდენციას, კვეცავდა წერილებს ისე, რომ მათი სტილი შეენარჩუნებინა, ხოლო შემდგომ ქრონიკასა და სტატიებზე გადადიოდა. აქ მას რთული ამოცანა ელოდა – რამდენიმე გვერდზე უნდა განეხილა თვის, ზოგჯერ კი ორი თვის მანძილზე მომხდარი მოვლენები. ყველა ეს სარედაქციო პროცედურა „ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფრაგმენტულად სრულდებოდა, ძირითადი, ყოველდღიური, ოთხ- ან ხუთსაათიანი საბეჭდი სამუშაოს პარალელურად. ეს უკანასკნელი – პილსუდსკის თქმით – პროცესის კონსპირაციული ხასიათიდან და ტექნიკური სირთულიდან გამომდინარე სამუშაოს მთავარ ნაწილს წარმოადგენდა" (JP II, 137), სამუშაოსი, რომელსაც მისი შემსრულებლებისთვის არ შეეძლო მოეტანა არც დაფნის გვირგვინი და არც ფინანსური კეთილდღეობა, და რომლის საზღაური მხოლოდ ციხე ან კატორღა შეიძლებოდა ყოფილიყო.

არალეგალურ პირობებში ჟურნალის გამოცემა დაუსრულებელი პრობლემების კასკადს ნიშნავდა. საღებავის შოვნა და ქაღალდის შეძენა ისე, რომ ვაჭრების ან ირგვლივ მრავლად მოწანწალე ჯაშუშების ეჭვი არ გამოეწვიათ, ბოლოს და ბოლოს, თვით კონსპირაციული სტამბის ადგილის საიდუმლოდ შენახვა საკმაო გამომგონებლობას, წარმოსახვის უნარსა და, მნიშვნელოვანწილად, იღბალსაც საჭიროებდა. ყველა ეს ელემენტი კიდევ უფრო საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯის განხორციელებისას, რომელსაც გაზეთის გავრცელება წარმოადგენდა. ამ პროცესის პირველი ეტაპი ჯერ კიდევ სტამბის შენობიდან ჟურნალის გატანამდე ხორციელდებოდა. ჩემოდნებში აწყობდნენ „გაზეთის ორმოცდათ-ორმოცდაათ ეგზემპლარს და დასტებს ერთმანეთისგან ქაღალდის წვრილი ლენტით ყოფდნენ. გაზეთის

გამავრცელებლებს უნდა ეჩქარათ და ამიტომაც მათთვის ამოცანა რაც შეიძლება მეტად უნდა გაეიოლებინათ" (JP II, 140). აქედან „ბიბულა" ეგრეთ წოდებულ „ცენტრებში" ნაწილდებოდა. „რობოტნიკის" რედაქტორი ამაყად აღნიშნავდა, რომ გაზეთი ძირითად საორგანიზაციო რგოლებში „მის მუდმივ ადრესატებამდე სტამბიდან გამოსვლის დღესვე აღწევდა". თვითონ რედაქტორი, ჯერ კიდევ საღებავის სუნით გაჟღენთილი ეგზემპლარებით სავსე ჩემოდნით, ცენტრიდან ცენტრში მოგზაურობდა. ამ მოგზაურობებში უმნიშვნელოვანეს დანიშნულების ადგილს ვარშავა წარმოადგენდა, რომელიც „ტირაჟის ერთ მესამედზე მეტს ნთქავდა" (JP II, 160).

თუმცაღა პილსუდსკის პრობლემები გაზეთის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეში მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ შემოიფარგლებოდა. ყველაზე სახიფათო ამოცანას „ბიბულას" ადრესატებისთვის ჩაბარება წარმოადგენდა. სასაზღვრო გადასასვლელების გადალახვა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. გაზეთის გამავრცელებლებს დაპატიმრება ემუქრებოდათ როგორც სასაზღვრო პუნქტებში, ასევე ეგრეთ წოდებული „მესამე ხაზის" (საზღვრისპირა ტერიტორია, რომელიც განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებოდა) ფარგლებში, რომელიც „თითქმის მთელ პოლონეთის სამეფოს და ლიეტუვის უდიდეს ნაწილს მოიცავდა" (JP II, 108). ამ ხაზის შიგნით გადაადგილებისთვის დამატებით სპეციალური ნებართვები და საშვები იყო საჭირო. ყველაზე მეტი იდუმალებითა და ლეგენდარულობით მაინც „რობოტნიკის" გამომცემლების საქმიანობა იყო მოცული. ეს იდუმალება იმთავითვე თან სდევდა არალეგალურ სტამბასა და მის მუშაობას. პირველ რიგში, ეს გამომდინარეობდა უკიდურესი კონსპირაციულობიდან, ხანგრძლივი მოუხელთებლობიდან და მთლიანად ამ წამოწყების განსაკუთრებული ხასიათიდან. პილსუდსკი ამ ლეგენდარულობას თავიდანვე აცნობიერებდა, რადგანაც ხედავდა, თუ როგორ იყვნენ განწყობილნი სტამბის მიმართ „პოლონეთის სოცპარტიის" ის წევრები, რომლებსაც მასთან შეხება არ ჰქონდათ. ეს დამოკიდებულება ხანდახან განსაკუთრებით კოლორიტულად მჟღავ-

II. ჯ�ი ია㐌ㄱㄱㄱ

ტრიალის მიუხედავად, პილსუდსკიმ პირადი ცხოვრების დასტაბილურება შეძლო. ეს 1899 წლის გაზაფხულზე მოხდა. ქალი, რომელიც არალეგალური ცხოვრების სიმძიმეების გაზიარებას არ შეუშინდა, მარია კოპლევსკა-იუშკევიჩოვა იყო. სავარაუდოდ, პილსუდსკიმ მარიასთან ნაცნობობა ციმბირიდან დაბრუნებისთანავე გააბა. მარია იმ პერიოდში მშობლიურ ვილნოში ცხოვრობდა, სადაც იგი ვარშავიდან დაბრუნდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ იძულებითი გადასახლების მიზეზი მარიას მიერ ვარშავის იატაკქვეშა მოძრაობაში მონაწილეობა გახდა. „მშვენიერი ქალბატონი“ – როგორც მას უწოდებდნენ – პოლონეთის სოციალისტური პარტიის ვილნოს ფილიალის საქმიანობაში ჩაება. ამ პერიოდიდან მოყოლებული, პილსუდსკის ხშირად უწევდა მასთან სტუმრობა. მარია თავის მომავალ ქმარზე ორი წლით უფროსიც იყო და ოჯახურ ცხოვრებაში უფრო გამოცდილიც. მისი პირველი ქორწინება სანქტ-პეტერბურგის რკინიგზის სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკთან დაშორებით დასრულდა. ამ კავშირიდან მას გოგონა – ვანდა დარჩა. ქორწინების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პილსუდსკის აღმსარებლობის შეცვლაც აიძულა, რადგანაც მარიამ თავისი განქორწინება ევანგელისტურ-რეფორმისტულ ეკლესიაში განახორციელა. პილსუდსკი პროტესტანტიზმზე 24 მაისს მოექცა, ქალაქ ლომჟაში, ხოლო საქორწინო ცერემონია ორიოდე თვის შემდეგ სოფელ პაპროჩ დუჟაში, ევანგელისტურ ეკლესიაში ჩატარდა. მეჯვარეები პილსუდსკის უმცროსი ძმები – ადამი და იანი იყვნენ. ახალდაქორწინებულებს თაფლობის თვე არ ჰქონიათ, მათ ლოძის პარტიულ სტამბაში მუშაობა ელოდათ წინ.

ლოძის სტამბა სამუშაო მდგომარეობაში 1899 წლის ოქტომბერში მოიყვანეს. იგი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარეობდა, „ჩვეულებრივ ბინაში, როგორიც ნებისმიერ დიდ ქალაქში ათასობითაა“. ამ ბინის განლაგება, გარკვეული თვალსაზრისით, კონსპირაციულ ინოვაციას წარმოადგენდა, რადგანაც აქამდე შეთქმულები „სტამბის მაღალ სართულებზე განლაგებას ერიდებოდნენ“. როგორც პილსუდ-

სკი იხსენებს – კონსპირატორები შიშობდნენ, რომ საბეჭდი მანქანის ხმაურს ქვედა სართულის მაცხოვრებლებში რაიმე ეჭვი არ გამოეწვია. სტამბის მაღალ სართულზე განლაგება, რა თქმა უნდა, რისკის გაზრდას ნიშნავდა. „ბიბულას“ ავტორი ლოძის რეალიებს ასე აღწერს: „ჩვენი ბინა ოთხი ოთახისა და სამზარეულოსგან შედგებოდა. წინა კიბე კორიდორში ადიოდა, საიდანაც მარჯვნივ განლაგებული კარით პატარა ოთახში შეიძლებოდა შესვლა – ამ ოთახში ვსადილობდით. კორიდორის მარჯვენა მხარეს ორი კარი იყო განლაგებული – ერთი მათგანი, რომელიც უფრო ახლოს იყო, საძინებელ ოთახში გადიოდა, ხოლო მეორე – სასტუმრო ოთახში. პირდაპირ კორიდორიდან შეიძლებოდა სამზარეულოში გასვლა, ხოლო სამზარეულოდან კი ადამიანი უკანა კიბეზე ხვდებოდა. სასტუმრო ოთახის უკან დიდი ოთახი იყო, სადაც საბეჭდი მანქანის დადგმა გადავწყვიტეთ. უცხოთათვის ეს ოთახი ჩემს სამუშაო კაბინეტს წარმოადგენდა“ (JP II, 128-129). პილსუდსკები მხოლოდ მეზობლების თვალის ასახვევად არ ეწეოდნენ კონსპირაციას. „რობოტნიკის“ რედაქტორის მეორე ინოვაციას მოახლე ქალის აყვანა წარმოადგენდა. ეს ნაბიჯი ახალგაზრდა წყვილის საქმიანობისთვის განსაკუთრებით კარგი შესანიღბი საშუალება იყო, რადგანაც გარშემომყოფთათვის პილსუდსკი წარმატებული ადვოკატის როლს თამაშობდა. თუმცაღა, აღნიშნული ნაბიჯი ახალგაზრდა წყვილისაგან მოახლის ყოველწუთიერ კონტროლსა და თვალის დევნებას საჭიროებდა.

თვითონ ოთახი, რომელშიც სტამბა იყო განლაგებული, თვალის ერთი შევლებით არაფრით გამოირჩეოდა. ავეჯი შედგებოდა „სარედაქციო მაგიდისგან, რომლის უჯრებშიც ჩაწყობილი იყო ხელნაწერები და შესასწორებლად მომზადებული მასალები, რამდენიმე სკამისაგან, ტახტისგან, სადაც ქაღალდს ვინახავდით და კალათისგან, სადაც საწარმოო ნარჩენებს ვყრიდით. ამ ნარჩენებს შემდეგ ეტაპობრივად ვწვავდით ბინაში განლაგებულ ღუმლებში. დაბოლოს, ოთახში განლაგებული იყო დასაშლელი კარადა, რომლის ზედა ნაწილშიც საბეჭდი მანქანა იყო განთავსებული, ხოლო მის ქვედა ნაწილში, უჯრებში,

შრიფტები ინახებოდა. გარდა ამისა, ოთახში ორი სანათი იდგა – ერთი მაღალი, იაპონური და მეორე – სამაგიდო" (JP II, 129-130). ეს სკრუპულოზური აღწერა დეტალურად გვიჩვენებს იმ რეალობას, რომელშიც დაიბეჭდა „რობოტნიკის" ორი მორიგი ნომერი (34-ე და 35-ე). 36-ე ნომერზე მუშაობის დაწყების მომენტში სიტუაცია შეიცვალა. ჟანდარმერიის აქამდე არნახული აქტივობა სტამბას გარდაუვალ კატასტროფას უქადდა.

ლოძის პერიოდი 1900 წლის თებერვლის ბოლო დეკადამდე გრძელდებოდა. 22 თებერვლის გამთენიის 03.00 საათზე პილსუდსკების საცხოვრისში ჟანდარმებმა შეაბიჯეს, ისინი მუშათა ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ წევრს – ალექსანდერ მალინოვსკის ეძებდნენ. ჩხრეკის პროცესში ჟანდარმებმა „რობოტნიკის" თითქმის დასრულებული 36-ე ნომერი აღმოაჩინეს. პილსუდსკები პატიმრობაში აიყვანეს. ბედის ირონიაა, რომ ჟანდარმერიის მიერ ასე გაშმაგებით ძებნილი გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული იყო შესავალი სტატია სიმბოლური სათაურით: *თავისუფალი სიტყვის ტრიუმფი...*

წინასწარი გამოძიების შემდეგ, რომელიც ლოძში მიმდინარეობდა, 17 აპრილს პილსუდსკის წინ ვარშავის ციტადელის ავადსახსენებელი მე-10 კორპუსის 39-ე საკნის კარი მიიხურა. „რობოტნიკის" რედაქტორი არა მარტო გაზეთის რედაქტირებასა და გამოცემაში დაადანაშაულეს, არამედ აგრეთვე არალეგალური ლიტერატურის გავრცელებასა და სოციალისტურ იატაკქვეშეთში მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში. თუმცაღა, ყველაზე მნიშვნელოვანი ბრალდება ორი ჯაშუშის მკვლელობაში მონაწილეობას ეხებოდა, რომლებიც ოხრანკის მიერ ორგანიზაციისათვის იყვნენ მიჩენილნი. ყველა დანარჩენი ბრალდება მხოლოდ გადასახლებას ითვალისწინებდა (თუმცა საკმაოდ ხანგრძლივი ვადით – სულ მცირე, ათი წლით მაინც), მაგრამ სხვა მდგომარეობა იყო ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვან ბრალდებასთან დაკავშირებით. ჯაშუშების მკვლელობისთვის პილსუდსკის სამხედრო სასამართლო ემუქრებოდა, თუმცაღა მას ამ საქმესთან არანაირი შეხება არ ჰქონია. თავის მხრივ,

სამხედრო სასამართლო ნიშნავდა იმას, რომ უკეთეს შემთხვევაში სასჯელი შეიძლებოდა კატორღა ყოფილიყო, ხოლო უარეს შემთხვევაში – სიკვდილით დასჯა.

ძიების პროცესში პილსუდსკის ძალზე ღირსეულად ეჭირა თავი. მას არავინ გაუცია და ამავე დროს წარმატებით უბნევდა თავგზას გამომძიებელებს. მან გარე სამყაროსთანაც შეძლო კონტაქტის შენარჩუნება ციხის ინტენდანტის – ალექსეი სედელნიკოვის დახმარებით. მკაცრად დაცული ციტადელიდან გაქცევაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა და ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პილსუდსკი ციხიდან რამენაირად სხვა დაწესებულებაში გადაეყვანათ. მომზადდა გეგმა, რომლის თანაავტორიც გამოჩენილი ფსიქიატრი რაფალ რაძივილოვიჩი იყო. გეგმის მიხედვით პილსუდსკის სულიერი აშლილობის სიმულაცია უნდა მოეხდინა. სიგიჟე ის ავადმყოფობა იყო, რომლისთვისაც თავის გართმევა ციხის საავადმყოფოს ძალებს აღემატებოდა. თანაც „რობოტნიკის“ რედაქტორს სიგიჟის ისეთი ფორმა უნდა გაეთამაშებინა, რომლითაც ციხის ადმინისტრაციას დაარწმუნებდა, რომ მუნდირის მატარებელ პირებზე საშინელი ალერგია ჰქონდა. ტუსაღი უარს ამბობდა ფორმიანების ხელიდან რაიმე საჭმლის მიღებაზე, რაც, ფაქტობრივად, გამოცხადებულ შიმშილობას ნიშნავდა. ამის შედეგად პილსუდსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, ხოლო ცოტა ხანში მომხდარი მისი საქციელის მოულოდნელი ნორმალიზება ციხის ხელმძღვანელობის მიერ ისევ და ისევ დაავადების გამოვლენის დასტურად და მის ერთ-ერთ სიმპტომად იქნა მიჩნეული. პეტერბურგის წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის საავადმყოფოში პატიმრის გადაყვანის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა პროფესორ ივან შაბაშნიკოვის მოსაზრებამ იქონია, რომელიც ვარშავის სულიერად დაავადებულთა საავადმყოფოს დირექტორი იყო. ციმბირის განუმეორებელი ბუნების შესახებ ხანგრძლივი საუბრების განმავლობაში პილსუდსკიმ საავადმყოფოს დირექტორი სრულიად მოხიბლა. შაბაშნიკოვი თვითონაც ციმბირიდან გახლდათ, იგი წარმოშობით ბურიატი

იყო და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხვდებოდა პაციენტის ეშმაკობას, მაინც დაუსვა დიაგნოზი, რომლის მიხედვითაც პატიმარს „Psychosis hallucinatoria acuta" ჰქონდა ...

პეტერბურგის საავადმყოფოში პილსუდსკი 1900 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში აღმოჩნდა. ერთი თვის თავზე, შესაბამისი გირაოს გადახდის შემდეგ, ვარშავის ციტადელი მარიამაც დატოვა. მეფის სამართალი ქმრის ქმედებებისთვის ცოლის პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა და ამიტომაც „მშვენიერი ქალბატონის" შემთხვევა „სიყვარულის მსხვერპლის" კატეგორიაში იქნა კლასიფიცირებული. ამრიგად, გაქრა კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ბარიერი, რომელსაც შეეძლო მინიმუმ შეენელებინა ამხანაგი „ვიქტორის" პატიმრობიდან გამოხსნის პროცესი.

პეტერბურგის სამკურნალო დაწესებულების დირექტორს, ექიმ ჩეჩოტს – ისევე როგორც მანამდე ექიმ შაბაშნიკოვს – ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პილსუდსკი ავადმყოფობის სიმულაციას ეწეოდა, მაგრამ მას თავისი მოსაზრების შესახებ ხელისუფლებისთვის არ შეუტყობინებია. ამან პილსუდსკის გაქცევის ორგანიზატორებს წარმატებული აქციის მოსამზადებლად საკმარისი დრო მისცა. გაქცევის ორგანიზატორმა – ალექსანდერ სულკევიჩმა უამრავ გეგმას შორის ოპტიმალური ვარიანტი ამოირჩია. ამ ვარიანტის მიხედვით სულიერად დაავადებულთა კლინიკაში სამუშაოდ უნდა მოწყობილიყო ახლად გამომცხვარი ექიმი ვლადისლავ მაზურკევიჩი, რომელიც პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან იყო დაკავშირებული. 1901 წლის 15 მაისის გამთენიისას, თავისი პირველი ღამის მორიგეობის დროს მაზურკევიჩმა სახელოვან ტუსაღთან ერთად დატოვა საავადმყოფო. შემდგომში, სულკევიჩის თანხლებით პილსუდსკიმ ტალინის გავლით პოლესიეში[27], ჟიტკოვიცეს მახლობლად მდებარე მამულში ჩააღწია, სადაც მას მალევე მარია შეუერთდა. აქედან, ზამოისკის მამულის ტყისმცველის – იან მიკლაშევსკის დახმარებით პილსუდსკების წყვილი გალიციაში გადავიდა.

[27] პოლესიე – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, რომელიც ოთხი სახელმწიფოს – უკრაინის, ბელარუსის, პოლონეთისა და რუსეთის ტერიტორიაზეა განლაგებული.

წარმატებული გაქცევის შემდეგ პილსუდსკი იუზეფ გინეტის ფსევდონიმით გარკვეულ ხანს ჯერ ზაკოპანეში გაჩერდა, რომელიც ავსტრიის მიერ ოკუპირებულ ნაწილში მდებარეობდა, ხოლო მოგვიანებით, ოქტომბრის შუა რიცხვებში კრაკოვში გადავიდა. მას პარტიულ მოღვაწეობაზე ხელის აღება არც უფიქრია და ამიტომაც უკვე 1902 წლის აპრილის ბოლო დეკადაში ყალბი პასპორტის დახმარებით პოლონეთის სამეფოს (ეგრეთ წოდებული „კონგრესუვკის"[28]) საზღვრები გადალახა. აქ პილსუდსკი პოლონეთის სოცპარტიის საქმიანობის რეორგანიზაციით დაკავდა. მისი იმჟამინდელი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იყო ახალი, ნახევრად ლეგალური ჟურნალის – „ვალკის"[29] რედაქტირება, რომელიც კრაკოვში გამოიცემოდა. ამის პარალელურად პილსუდსკი მზადებას იწყებს მოახლოებული, ბობოქარი მოვლენების ჯეროვნად შესახვედრად. როგორც ის ერთ-ერთ თავის წერილში წერს: „ისეთი დრო მოვა, რომ ქვებიც კი ენას ამოიდგამენო". ამ პერიოდში ის „მეჩისლავის" ფსევდონიმს იყენებს, ხოლო რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების კვალად პარტიის მოქმედებების გააქტიურებას გეგმავს ახალი სტრუქტურის შექმნის გზით, რომელსაც ნახევრად სამხედრო ხასიათი ექნება.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ პილსუდსკი პოლონეთის სოცპარტიის რიგებში იატაკქვეშა მოღვაწეობას იწყებდა, როგორც „დამოუკიდებელი და დემოკრატიული პოლონეთის" იდეის მტკიცე მხარდამჭერი. ეს პლატფორმა პარტიამ 1892 წლის ბოლოს, პარიზის დამფუძნებელ ყრილობაზე აირჩია. იუზეფმა თავისი საქმიანობა ორგანიზაციულად და პროგრამულად სოციალისტურ იატაკქვეშეთს დაუკავშირა და ასე გრძელდებოდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. იგი არა მარტო ხელმძღვანელობდა პარტიის მოქმედებებს, არამედ ამ ორგანიზაციის სახის განმსაზღვრელიც იყო. მიუხედავად ამისა, ის არასოდეს ყოფილა დოქტრინიორი, კლასობრივი ან

[28] „კონგრესუვკა", პოლონეთის სამეფო – ფორმალური, უუფლებო ავტონომიური ერთეული რუსეთის იმპერიის ფარგლებში 1815-1918 წლებში.
[29] Walka (პოლ.) – ბრძოლა.

სხვა რაიმე დოგმების მაღიარებელი. პილსუდსკი თავის თავში აერთიანებდა რეალურ მონაცემებზე დაფუძნებული, ფხიზელი ანალიზისა და შორეული, ერთი შეხედვით მიუღწეველი მიზნების დასახვის უნარებს. ზუსტად რეალობის შეგრძნების განსაკუთრებული უნარი აიძულებდა მას, რომ პოლონეთის სოცპარტიაში ოპონირება გაეწია იმ ფრთის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობის მიღწევასა და ძალაუფლების დაუყოვნებლივ სოციალისტების ხელში გადასვლას ერთმანეთთან აიგივებდნენ. რა თქმა უნდა, „სოციალისტური პოლონეთი" მისთვის მრავალი წლის განმავლობაში იდეალს წარმოადგენდა, მაგრამ ამის მიუხედავად, თავის თანამებრძოლებს მუდმივად უმტკიცებდა, რომ ამ იდეალის მიღწევის ამოცანას „ბურჟუაზიული პოლონეთის გარეშე თავს ვერ გაართმევდნენ" (K I, 113). ერთმნიშვნელოვნად ეჭვს არ ინვევს ის ფაქტი, რომ პილსუდსკის პოლიტიკური მრწამსის ქვაკუთხედს ყოველთვის დამოუკიდებელი და სუვერენული პოლონეთის სახელმწიფო წარმოადგენდა.

სოციალიზმი პოლონურ მიწაზე მას წარმოედგინა, როგორც ევროპული სოციალიზმის ყველაზე უფრო აღმოსავლეთით მდებარე ფორპოსტი. მის ისტორიულ მნიშვნელობას პილსუდსკი „დამპყრობელი და რეაქციული ცარიზმისაგან დასავლეთის დამცველის" როლში ხედავდა (JP I, 95). საერთაშორისო სოციალიზმის ინტერესებისა და პოლონეთის საკითხის კავშირის შესახებ იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს საუბრობდა, II ინტერნაციონალის IV კონგრესზე, რომელიც 1896 წლის ივლის-აგვისტოს გასაყარზე ლონდონში ჩატარდა. პილსუდსკი გაერთიანებული პოლონური დელეგაციის წევრი იყო, რომელშიც სხვებთან ერთად იგნაცი დაშინსკი, ვიტოლდ იოდკო-ნარკევიჩი და იგნაცი მოშჩიცკიც შედიოდნენ. დელეგაცია სამივე იმპერიის მიერ დაპყრობილ პოლონეთის მიწებს წარმოადგენდა. „პოლონეთის სამეფოსა და ლიეტუვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის" (SDKP) წარმომადგენელთა ჯგუფის პოზიციის საპირისპიროდ, ისინი ცდილობდნენ გაეტანათ პოლონეთთან დაკავშირებული რეზოლუცია, რომლის უმნიშვნელო-

ვანეს თეზისსაც წარმოადგენდა მოსაზრება, რომ „პოლონეთის დამოუკიდებლობა და ავტონომია აუცილებელი პოლიტიკური მოთხოვნაა, რომელიც შედის როგორც პოლონური პროლეტარიატის, ასევე მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ინტერესებში“ (T, 46). საბოლოოდ მიღებულ რეზოლუციას ზოგადი, წარმდგენთა მიზნებისაგან დაშორებული ხასიათი ჰქონდა. ამ კონგრესიდან პილსუდსკის მეხსიერებაში სასიამოვნო მოგონებად დარჩა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლის – ვილჰელმ ლიბკნეხტ-უფროსის ერთმნიშვნელოვნად პროპოლონური პოზიცია...

პოლონეთის სოცპარტიის ლიდერისათვის რუსეთი პოლონეთის დამოუკიდებლობის უპირველეს მტრად რჩებოდა. პილსუდსკი უკიდურესად სკეპტიკურად იყო განწყობილი ცარიზმის ქვეყანაში არსებული რევოლუციური მოძრაობის პოტენციური შესაძლებლობებისადმი. ამიტომაც, პოლონეთის პროლეტარიატის უმნიშვნელოვანეს მოკავშირეებად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი „ძალადობრივი უღლის ქვეშ მყოფი და მონობის ჯაჭვით ცარიზმზე მიბმული ქვეყნები“. ზუსტადაც ამ ხალხებთან – კერძოდ კი, ლიეტუველებთან, ლატვიელებთან, რუსინებთან (უკრაინელებთან), კავკასიის ხალხებთან (მათ შორის, ქართველებთან) ერთად უნდა შეექმნათ პოლონელებს ის ერთობლივი ძალა, რომელიც „მტვრად აქცევდა ცარიზმის უძლეველობას...“ (JP I, 90-91).

ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად, პილსუდსკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი სამშობლოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე უმთავრეს დაბრკოლებას რუსეთი წარმოადგენდა. მეფის რუსეთთან ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად პოლონელებს ერთგული მოკავშირეების მოძიება მართებდათ. თავიდან პოლონეთის სოციალისტური პარტიის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანებს სჯეროდათ, რომ ასეთი როლის შესრულება „მათთან საერთაშორისო სოლიდარობის ძაფებით დაკავშირებულ“ (JP I, 74) პროლეტარიატს შეეძლო, თუმცაღა ძალზე მალე ნათელი გახდა, რომ ამ მხრივ მხარდაჭერის მოლოდინი ძალზე ილუზორული იყო.

ამის დამადასტურებელ საბუთად თუნდაც ლონდონში ჩატარებული მე-2 ინტერნაციონალის კონგრესი და პოლონეთთან დაკავშირებული რეზოლუციის ბედი გამოდგება. ამ სიტუაციაში პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინამძღოლმა თავისი ყურადღება გადაიტანა „იმ ათეულობით დამონებულ ერზე, რომლებიც, ისევე როგორც პოლონელები, ცარიზმის ბორკილებქვეშ იტანჯებოდნენ“ (JP I, 74). პილსუდსკის მიერ 1895 წლის შუა პერიოდში გაკეთებული ანალიზის შედეგები მოწმობს, რომ იგი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ძალადობრივად მოქცეულ ხალხებთან ერთად ბრძოლის შესაძლებლობაში თითქმის უეჭველად იყო დარწმუნებული.

იუზეფი ხშირად იმეორებდა, რომ „მხოლოდ დესპოტური და დამპყრობელი ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული მონობის ბორკილების დამსხვრევის შემდეგ დაიწყებოდა სწრაფი პროგრესის ხანა და სვლა ბედნიერი მომავლისაკენ, სადაც ადგილი არ ექნებოდა ტკივილსა და ვარამს“ (JP I, 158). აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ციტირებული მოსაზრება შეეხებოდა არა მარტო ცარისტული რუსეთის მიერ მიტაცებულ რეჩპოსპოლიტას ოდინდელ მიწებს, არამედ პრაქტიკულად ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც ძალადობრივად იქნენ შეყვანილნი რუსეთის იმპერიის ფარგლებში. პოლონური გამოცდილების შემხედვარე, ყველა ეს ქვეყანა თავის დროზე იძლებული გახდებოდა, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაეწია ცარისტული რუსეთისათვის. ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიც ფინეთი იყო, სადაც გარკვეული კონსტიტუციური რეგულაციები მოქმედებდა (თუმცა ერთობ შეზღუდული), თვითმპყრობელური სისტემის პრაქტიკული ნაბიჯები გარდაუვლად წარმოშობდა წინააღმდეგობის მოძრაობას. პილსუდსკი ვარაუდობდა, რომ ასეთ სიტუაციაში „ერთნაირი მდგომარეობა და საერთო ინტერესები აუცილებლად გამოიწვევს პოლონეთისა და ფინეთის რევოლუციური ძალების მჭიდროდ დაკავშირებას, ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩვენი საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ეს მიზანია იმ ბნელი და მრისხანე ღრუბლის გაფანტვა, რომელსაც ნახევარი მსოფლიო ბნელ დილეგად უქცევია და რომელსაც მოსკოვიის ცარიზმი ჰქვია“ (JP I, 268).

ასეთი შეფასებები მრავლად შეიძლება მოიძებნოს პილსუდ-სკის იმდროინდელ გამონათქვამებში, როდესაც ის პოლონეთის სოციალისტურ პარტიას ხელმძღვანელობდა. ზოგჯერ ეს შეფასებები ერთმნიშვნელოვანი და ხისტია, ზოგჯერ კი გადაკრულად აღწერს არსებულ რეალობას. ასეთივე მოსაზრებები იყო გაბნეული იმ დროის სხვა მოღვაწეთა ნაშრომებშიც, რომლებიც პილსუდსკისთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ამ ნაშრომთაგან ბევრი პილსუდსკის უშუალო შთაგონებით იყო შექმნილი, მაგალითად, ლეონ ვაშილევსკის საგიტაციო ბროშურა *„საერთო უღლის ქვეშ“*. უფრო მეტიც, პილსუდსკი ცდილობდა გაევრცელებინა შეხედულება, რომ ცარიზმის მიერ „დაყოფე და იბატონეს“ პრინციპით გატარებულ პოლიტიკაზე საუკეთესო პასუხი იქნებოდა „საერთო-სახალხო უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის გამოღვიძება“. მისი აზრით, ზუსტად პოლონელების ხვედრი და ვალდებულება იყო ამ მოძრაობის წამოწყება“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური მოძრაობის ორთოდოქსი თეორეტიკოსების დიდი და გავლენიანი ჯგუფის წევრებისაგან განსხვავებით, „რობოტნიკის“ რედაქტორი უკვე მაშინ თვლიდა, რომ პოლონეთი და სხვა დაპყრობილი ქვეყნები უსათუოდ და ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოჰყოფოდნენ რუსეთის იმპერიას. პოლონელებისა და რუსების მოლოდინების მკვეთრ განსხვავებას პილსუდსკი ხაზს უსვამს „ლიეტუვისადმი პოლონელების დამოკიდებულების“ მაგალითზეც. თავის ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავს, რომ პოლონეთ-ლიეტუვის ურთიერთდამოკიდებულების შედარებაც კი არ შეიძლება პოლონეთ-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებასთან. „როდესაც ჩვენ ლიეტუველებს ფედერაციულ სახელმწიფოში ვიწვევთ, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ისინი ბოლომდე ჩვენთან ერთად წამოვლენ და ნებისმიერ შემთხვევაში მზად იქნებიან ჩვენი საერთო ბედი გაიზიარონ. რაც შეეხება რუსეთს – აქ ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო რამეში ვართ დარწმუნებულნი“, – ასკვნიდა პილსუდსკი. ამიტომაც, მისი აზრით, აბსოლუტურად აუცილებელი იყო, რომ პოლონელებს „მკაფიო უარი ეთქვათ ათასი

ჯურის რადიკალების მიერ მონონებული პროგრამისათვის, რომელიც ერთგვარი ფედერაციის – რუსეთის შეერთებული შტატების შექმნას ითვალისწინებდა და პოლონეთსაც ამ ფედერაციის წევრად განიხილავდა". პილსუდსკი ამბობდა, რომ „ფედერაცია თეჯირია, რომლის უკანაც მორცხვი რადიკალები იმალებიან. ერთი მხრივ, მათ არ სურთ, რომ მთავრობა შეაქონ, მეორე მხრივ კი, ვერ შელევიან აზრს მოსკოვის სიდიადისა და სიძლიერის შესახებ". მისი აზრით, ეს თეჯირი ნებისმიერ ფასად უნდა განადგურებულიყო.

პილსუდსკის მოსაზრებების ეს ჭრილი, რომელსაც „პრომეთეული"[30] შეიძლება დავარქვათ, XIX და XX საუკუნეების გასაყარზე ჩამოყალიბდა. მსგავს მოსაზრებებს ვხვდებით „რობოტნიკისა" და „ვალკის" ფურცლებზეც, თუმცა ყველაზე გამოკვეთილი და, ამავე დროს, დასრულებული ფორმა მათ 1904 წელს მიიღეს, როდესაც პოლონეთის სოცპარტიის ლიდერი რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი იაპონიის დედაქალაქისაკენ მიემართებოდა. ამ მგზავრობისას მან სპეციალური მიმართვა მოამზადა, რომელიც მოგვიანებით იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩაბარდა. ამ მიმართვაში, რომელიც, ადრესატის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლაპიდარული ენით იყო დაწერილი, შეიძლება ამოვიკითხოთ „პრომეთეული" პროგრამის ალბათ ყველაზე უფრო სრული ვერსია, რომელიც პოლონური სახელმწიფოს მომავალმა მეთაურმა ჩამოაყალიბა.

ერთი შეხედვით, წერილი, რომლის ავტორიც იუზეფ პილსუდსკი იყო, გვიხატავს პოლონეთის პერსპექტივებს რუსეთთან შესაძლო საომარი ან პოლიტიკური შეჯახების შემთხვევაში. რეალურად კი ეს არის გააზრებული პროგრამა, თუ როგორ უნდა მოხდეს „ერთა უზარმაზარი სატუსაღოს"

[30] პრომეთეიზმი – პოლიტიკური და ინტელექტუალური მიმდინარეობა ევროპაში, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც იუზეფ პილსუდსკი იყო. განსაკუთრებულად აქტიური იყო 1-ელ და მე-2 მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. პრომეთეიზმი ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი უკვე საბჭოთა კავშირის დასუსტებასა და დაშლას იქ მცხოვრები, დაპყრობილი არარუსი ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერის გზით.

გაცამტვერება. უნდა ითქვას, რომ პილსუდსკის იმდროინდელი აზრთა დინების თვალის მიდევნების გარეშე გაგვიჭირდება იმ „პრომეთეული ინიციატივების“ გაგება (სხვათა შორის, ამ ინიციატივების წამოყენება და რეალიზება არა მხოლოდ პოლონელების მიერ ხდებოდა), რომლებსაც ორი მსოფლიო ომის ოცწლიან შუალედში ჰქონდა ადგილი.

პილსუდსკი ეყრდნობოდა ნათელ, თუმცა არა ყველასათვის მისაღებ ფაქტს, რომ „რუსეთი მხოლოდ გარეგნულად იყო ერთგვაროვანი სახელმწიფო“. ეს რომ ასე არ იყო მისი აზრით, დასტურდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული უზარმაზარი რელიგიური, ეთნიკური და კულტურული განსხვავებებით. პოლონელი სოციალისტი ხაზს უსვამდა, რომ „ქვეყნის უმეტესი ნაწილი რუსეთს დაპყრობის გზით შეუერთდა და ამ მიწებზე მცხოვრები ხალხები ძალადობით იქნენ ინტეგრირებულნი იმპერიულ სხეულში“, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა არსებული კონტრასტები. ამ კონტრასტების შესარბილებლად ქვეყნის მმართველ ბიუროკრატიას ერთადერთი წამალი გააჩნდა – უხეში რუსიფიკაციის პოლიტიკა, რომელიც „იმპერიის არარუსი მოსახლეობის მუდმივი უკმაყოფილებისა და დაძაბულობის წყაროდ იქცა“ (JP II, 250). თუმცაღა, პილსუდსკის სრულად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ამ მიზეზით წარმოშობილი წინააღმდეგობის მუხტი იმპერიის ყველა ნაწილში ერთნაირი არ იყო. ცარიზმის ცენტრალიზებული წნეხის მიმართ გაწეული წინააღმდეგობა ერთმნიშვნელოვნად ყველაზე მძაფრ ფორმებს იღებდა ლიეტუველების, კათოლიკე ბელორუსების, ლატვიელების, ფინელების, სომხებისა და ქართველების შემთხვევაში, თუმცა ამ სიის სათავეში უდავოდ პოლონელები იდგნენ.

პილსუდსკის აზრით, კიდევ ერთ ფაქტორს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ცარიზმისა და მისი პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი ერები, მისი აზრით, „ორ ჯგუფად იყოფოდნენ – ისტორიულ და არაისტორიულ ერებად ანუ ისეთებად, რომელთაც ჰქონდათ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის გამოცდილება და ისეთებად, რომელთაც

ეს გამოცდილება არ გააჩნდათ. პოლონელების გარდა, ისტორიულ ერებად პილსუდსკის მიაჩნდა „ფინელები, ქართველები და ნაწილობრივ სომხები. რაც შეეხება ლიეტუველებს, ბელორუსებსა და ლატვიელებს, – ამბობდა იგი, – მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებელ ძალად გამოსვლა და ისინი ან პოლონური გავლენის ქვეშ ექცევიან, ან, უბრალოდ, ჩუმი ოპონირების რეჟიმში განაგრძობენ ყოფნას. ერების ეს მეორე ჯგუფი ოცნებობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიის წიაღში მოახდინოს გარკვეული ეროვნული თავისუფლებების რეალიზება. მათი მიზნები არ ითვალისწინებს იმპერიიდან სრულ გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას“ (JP II, 251-252). ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი აღარაა პილსუდსკის აზრი იმის შესახებ, რომ პოლონელები იდგნენ იმ ერთა ჯგუფის სათავეში, რომელთაც პოლიტიკური აზრიც უფრო გამოკვეთილი ჰქონდათ, ოპოზიციაც უფრო უკეთ ორგანიზებული ჰყავდათ, ხოლო მათი საზოგადოებრივი სტრუქტურა იძლეოდა გამძლეობისა და ბრძოლისათვის მზაობის გარანტიას. აღსანიშნავია, რომ როგორც პილსუდსკის, ისე მის უახლოეს თანამებრძოლებს, იმ პერიოდისათვის მეტ-ნაკლებად ინტენსიური კავშირი ჰქონდათ დაპყრობილი ხალხების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც მათსავით რუსეთის იმპერიის დანგრევაზე ფიქრობდნენ. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ვაშილევსკის მონაწილეობა 1905 წელს პეტერბურგში ჩატარებულ სოციალისტურ კონფერენციაში, სადაც კავკასიელ ერთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია იყო წარმოდგენილი, ხოლო მათ შორის წამყვანი ადგილი ქართველებს ეკავათ...

პილსუდსკის რამდენიმე არგუმენტი მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ პოლონელები მართლაც იმსახურებდნენ მის მიერ ჩამოთვლილ ერთა სიის სათავეში ყოფნას. პირველ რიგში, ამას განაპირობებდა პოლონელთა რიცხობრივი სიმრავლე (იმპერიის ფარგლებში მათი რაოდენობა 12 მილიონამდე იყო), შემდეგი არგუმენტი იყო პოლიტიკური მისწრაფებების ჩამოყალიბებულობა, რომელთა წყალობითაც ისინი „ყველაზე

აქტიურად იყვნენ ჩართულნი რუსეთთან ბრძოლაში და ამავე დროს ამჟღავნებდნენ აბსოლუტურ და უკომპრომისო სიძულვილს რუსული სახელმწიფოს მიმართ", დაბოლოს, პოლონელების მიერ ბრძოლაში დაგროვილი უზარმაზარი „რევოლუციური და ორგანიზაციული გამოცდილება". თავისუფლებისათვის მებრძოლი სოციალისტების ლიდერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ზუსტად პოლონელებს და მხოლოდ პოლონელებს ძალუძდათ „ცალკეული შეტაკებების ღია ბრძოლამდე მიყვანა და რუსეთის მიერ დაპყრობილი სხვა ხალხების გაძღოლა". ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლონეთის რეალური ძალა – არა მარტო სუფთა დემოგრაფიულ, არამედ ეკონომიკურ და ფინანსურ ასპექტებშიც – იძლეოდა იმის საშუალებას, რომ პოლონელებს თამამი, მაგრამ ამავე დროს რეალური პოლიტიკური მიზანი დაესახათ, რომელიც „რუსეთის სახელმწიფოს ნაწილებად დაშლას და დაპყრობილი და იმპერიის შემადგენლობაში ძალადობრივად შეყვანილი ერების განთავისუფლებას ითვალისწინებდა" (JP II, 253).

უნდა გავიხსენოთ, რომ ეს იდეა პილსუდსკის არაერთხელ გამოუხატავს როგორც „რობოტნიკისა" და „ფშედშვიტის" ფურცლებზე, ასევე სხვა ანალიტიკურ ნაშრომებშიც, როგორიც არის, მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები ერთჯერადი გამოცემა „რუსეთი". მიუხედავად ამისა, იგი სულ უფრო უკეთ ხვდებოდა, რომ პოლონეთის მსოფლიო რუკაზე დასაბრუნებლად გარე მოკავშირის მოძებნა იყო აუცილებელი. პირველად ეს საკითხი მან 1904 წელს დააყენა დღის წესრიგში, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. პილსუდსკის აზრით, გაჩნდა შანსი, რომ რეალური ნაბიჯები გადადგმულიყო პოლონეთის დამოუკიდებლობის მიღწევისაკენ. პოლონელი სოციალისტების ლიდერის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ისეთი პარტიის ჩამოყალიბება იყო, რომელიც არა მარტო მუშებს, არამედ გლეხებსაც გააერთიანებდა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში თავის სიტყვას იტყოდა. ამავე დროს, საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენებმა პილსუდსკი გარე მოკავშირე ძალის მოძიებაზეც დააფიქრა. იმდროინდელი რეალიების

გათვალისწინებით, ასეთი ძალის როლში მხოლოდ იაპონია შეიძლებოდა გამოსულიყო, და ამიტომაც, 1904 წლის მაისის შუა რიცხვებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პარტიის ხელმძღვანელი ტოკიოში გამგზავრებულიყო და შესაძლო თანამშრომლობის ფორმალიზება მოეხდინა. მას მშვენივრად ჰქონდა გააზრებული, რომ ამ იდეის წარმატებით განხორციელება პოლონეთის სოცპარტიას ახალი, ეროვნული აჯანყების აუცილებლობის წინაშე დააყენებდა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.

ჩნდება შთაბეჭდილება, რომ პილსუდსკის 1904 წლის იაპონური ვოიაჟი პირველი ნაბიჯი იყო, რომელიც არა მარტო მნიშვნელოვნად სცდებოდა ლოკალურ მასშტაბებს, არამედ, აგრეთვე, მის პოლიტიკურ წარმოსახვას უსვამდა ხაზს. ეგზოტიკური, მაგრამ ძლიერი მოკავშირე ქვეყნის შეძენის ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. რა თქმა უნდა, ამ ვოიაჟს წარმატებით დასრულება არც ეწერა, რადგანაც იაპონელი პოლიტიკოსებისა და სამხედროებისათვის პილსუდსკი მხოლოდ და მხოლოდ რადიკალური, ტერორისტული, გასამხედროებული დაჯგუფების წარმომადგენელი იყო. მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯიც და აგრეთვე რუსეთის რეალიების უკიდურესად ზუსტი ანალიზი (მათ შორის, იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც მომავალში მეფის იმპერიის განადგურების საფუძველი შეიძლება გამხდარიყვნენ) პილსუდსკის არაორდინარულ და გამორჩეულ პიროვნებაზე მიუთითებს. იგი იყო პოლიტიკოსი, რომელსაც არა მხოლოდ რისკიანი ნაბიჯების გადადგმა ძალუძდა, არამედ გრძელვადიანი და კარგად გათვლილი ორგანიზაციული მოქმედებების ნიჭიც ჰქონდა.

პოლონურ-იაპონური კავშირის იდეამ ვერც იაპონიის გენერალური შტაბის წევრებსა და ვერც პოლიტიკოსებს შორის მოწონება ვერ ჰპოვა. მიუხედავად ამისა, ტოკიო თანხმობას გამოხატავდა გარკვეული თახების გამოყოფაზე, რომელიც ანტირუსულ დივერსიებს უნდა მოხმარებოდა, თუმცა რაიმე ვალდებულებების აღებისგან იაპონელებმა თავი შეიკავეს.

პილსუდსკის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა „ეროვნული ლიგის“ მეთაური რომან დმოვსკიც[31], რომელიც იმავე პერიოდში ჩავიდა „აყვავებული ალუბლების“ ქვეყნის დედაქალაქში. დმოვსკისა და სოციალისტების ლიდერს შორის მრავალსაათიანი მოლაპარაკება გაიმართა, თუმცაღა შეხვედრის უკიდურესი გასაიდუმლოებულობის გამო დღეისათვის ძნელია მის შინაარსზე საუბარი. მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ – უშედეგოდ დაშორდნენ ერთმანეთს შეხვედრის მონაწილეები თუ რაიმე შეთანხმება იქნა მიღწეული პოლონეთის დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ერთობლივი მოქმედებების განხორციელების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესოა, რომ შორეული იაპონიის მინაზე ერთმანეთს შეეჯახა აზროვნების ორი განსხვავებული სტილი, რომელთაც სულ ცოტა ხანში პოლიტიკური მოქმედებების ენაზე ჰპოვეს გამოვლინება. პილსუდსკი არ მალავდა, რომ მისი პარტიის გეგმები სახალხო აჯანყებას უკავშირდებოდა, დმოვსკი კი „გონივრული შეთანხმების“ უნარის მქონე პარტიის შექმნას ლამობდა და თავის მომხრეებთან ერთად სულ უფრო და უფრო ავლენდა ისეთი მოქმედებებისათვის მზაობას, რომელთაც ყველანაირი აჯანყების პერსპექტივა შეიძლებოდა მოესპოთ. თუმცაღა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იაპონიაში შემდგარი შეხვედრისას ორ დიდ ეროვნულ მოღვაწეს შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა როლების განაწილების თაობაზე, რადგანაც ორივე მათგანის საბოლოო მიზანი იდენტური იყო – აღორძინებული, დამოუკიდებელი პოლონეთი.

პილსუდსკიმ ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზანს, რომელსაც იაპონიის მიერ „პოლონეთის სამეფოში“ ანტირუსული აჯანყების მხარდაჭერა წარმოადგენდა, თუმცა ორმხრივი კავშირი შენარჩუნებულ იქნა და მათი წყალობით პოლონელებმა საგრძნობი თანხობრივი დახმარება მიიღეს, რომელიც იარაღისა

[31] რომან დმოვსკი (1864-1839) – პოლონელი პოლიტიკოსი, სხვადასხვა დროს იყო ორგანიზაცია „პოლონეთის ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარე, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის დეპუტატი.

და ასაფეთქებელი მასალების შესაძენად იქნა გამოყენებული. ამ დახმარების შესახებ ზუსტი მონაცემები უცნობია, თუმცა შეფასებების მიხედვით თანხა მაშინდელი ფულით დაახლოებით ოცი ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. პოლონელი ემისრები ევროპაში უკვე იაპონიის მთავრობის ხარჯით დაბრუნდნენ. გამომგზავრების წინ მათ მთა ფუძიამაზე ასვლაც კი მოასწრეს და, ამას გარდა, თავიანთ გამყოლებს გამოსამშვიდობებელი „იაპონური“ სადილითაც გაუმასპინძლდნენ. გამყოლებს შორის ერთ-ერთი მომავალში ცნობილი პოლიტიკოსი კოკი ჰიროტა იყო, რომელსაც სხვადასხვა დროს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის პოსტები ეკავა. მოგვიანებით პილსუდსკის არაერთხელ გაუხსენებია, რომ ამ სადილის კულმინაცია „ცოცხალი“ თევზის (საშიმი) დეგუსტაცია იყო, რასაც იგი კულინარიულ კოშმარს უწოდებდა. დეგუსტაციის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ და მხოლოდ სირჩა კონიაკის დახმარებით მოხერხდა...

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პილსუდსკიმ მთელი თავისი ენერგია იქით მიმართა, რომ პარტიის მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლის პროცესში ახალი დინამიკა შეეტანა. ეს იდეა მან მკაფიოდ გაახმიანა პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს – „მშრომელთა ცენტრალური კომიტეტის” კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბერში, ქალაქ კრაკოვში გაიმართა. იგი მოითხოვდა, რომ „პარტია უფრო აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებებზე გადასულიყო“. პილსუდსკის აზრით, პოლიტიკური ბრძოლის უფრო ხისტი მეთოდების გამოყენება მოკლევადიანი მიზნების მიღწევის საშუალებას არ წარმოადგენდა. მას ასეთი გააქტიურება სულ უფრო და უფრო გამოკვეთილი რადიკალიზაციის გზაზე შემდგარ მშრომელთა მასებში მეტი გავლენის მოსაპოვებლად სჭირდებოდა. პილსუდსკი აქაც უკიდურესად თანმიმდევრული იყო და ძირითად მიზნად მას „პოლონური საკითხის“ დღის წესრიგში დაყენება მიაჩნდა, რაც პოლონეთში მოქმედ სხვა პარტიებს ან არ სურდათ, ან კი უბრალოდ ამის ძალა არ შესწევდათ. „ჩვენს სინდისზეა მთელი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ

„პოლონური საკითხი“ მკვდარია არა მარტო ევროპასა და რუსეთში, არამედ თვით პოლონეთშიც კი“, – მიმართავდა იგი შეკრებილთ. შესაბამისად, პილსუდსკის აზრით, პოლონეთის სოციალისტური პარტიის ჩუმად ყოფნა აღარ შეიძლებოდა. მისი აზრით, „პოლიტიკა მათემატიკა არ იყო“ (JP, U II, 190) – ანუ ისეთი რამ, რისი ბოლომდე გამოთვლა და განჭვრეტაც სრულადაა შესაძლებელი. ეს დეფინიცია პილსუდსკისათვის ნიშანდობლივია რადგანაც იგი თვლიდა, რომ პოლიტიკა არ იყო ის სფერო, სადაც ყველაფერი ცივ და რაციონალურ ანალიზს ემორჩილება. ეს მიდგომა მომავალში პილსუდსკისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს და მას იგი „უხილავი ფაქტორების ერთობლიობას“ უწოდებს.

პილსუდსკის მიერ ვერბალიზებული ახალი ტაქტიკის დაგვირგვინებად შეიძლება ქცეულიყო მორიგი ეროვნული აჯანყება, თუნდაც მისი ხვედრი გარდაუვალად სისხლში ჩახშობა ყოფილიყო. „ასეთი გამოსავალი ისე ძვირი არ დაგვიჯდება, როგორც დღევანდელი აპათია“, – ასკვნიდა პილსუდსკი (JP, U II, 192). პოლონეთის სოცპარტიის რიგებში განწყობის ცვლილებაზე გადამწყვეტი გავლენა 1904 წლის 13 ნოემბრის დემონსტრაციამ მოახდინა, როდესაც ვარშავაში, გუიბოვსკის მოედანზე გამოსულმა დემონსტრანტებმა პოლიციის შტურმს სროლებით უპასუხეს. თუმცაღა, სიტუაცია რადიკალურად მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ზამთრის სასახლესთან მომხდარი სისხლიანი კვირის სასაკლაოს მოწყობის შემდეგ რუსეთში საერთო-სახალხო აჯანყებამ იფეთქა. ამხანაგ „მეჩისლავს“ ნაკლები პარტიული სტაჟის მქონე თანამებრძოლებისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ეს უკანასკნელნი რუსულ რევოლუციასთან თანამშრომლობისთვის მზად იყვნენ, მაგრამ პილსუდსკი პოლონური და რუსული საპროტესტო მოძრაობის გამიჯვნის მომხრე იყო. იგი თვლიდა, რომ პარტიის შიგნით შექმნილ სპეციალურ სტრუქტურას – საბრძოლო დანაყოფს დაუგეგმავ და არაორგანიზებულ აქციებში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. ამის მაგივრად უნდა მომხდარიყო კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული კადრების ჩამო-

ყალიბება, რომლებიც შესაბამის მომენტში ეროვნულ აჯანყებას გაუძღვებოდნენ. პილსუდსკი შიდაპარტიულ ოპოზიციას იგნორირებას არ უწევდა, თუმცა თუმცა მას შემდეგ, რაც 1905 წლის ოქტომბერში საბრძოლო-კონსპირაციული დანაყოფის ხელმძღვანელობა ჩაიბარა, გამოკვეთილად უჭერდა მხარს საპროტესტო აქციების განხორციელებას მეფის რეპრესიული აპარატის მიმართ. ამ მოქმედებათა მიზანი „მაგალითის ძალით ხალხის მოზიდვა“ იყო, რომელიც მათ რევოლუციისაკენ უბიძგებდა (JP III, 31).

რევოლუციური გამოცდილებიდან, განსაკუთრებით გაფიცვებიდან და მანიფესტაციებიდან, აგრეთვე საბრძოლო დანაყოფის მიერ ჩატარებული აქციებიდან გამომდინარე, პილსუდსკიმ დაასკვნა, რომ განმათავისუფლებულ მოძრაობას ერთადერთი გზაღა დარჩენოდა – უხეში ფიზიკური ძალის შექმნა, რომელსაც ხელეწიფებოდა ხელისუფლების სიძლიერისთვის ძირის გამოთხრა. „შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი მომწიფდა, როგორც აქამდე არსებული პოლიტიკური მოძრაობის ერთადერთი და ლოგიკური შედეგი“. – წერს პილსუდსკი თავის სტატიაში „აქტიური ბრძოლის პოლიტიკა“, რომელიც 1906 წლის ნოემბერში დაიბეჭდა. ამრიგად, აჯანყება იქცა ერთადერთ პასუხად, რომელსაც შეეძლო რევოლუციის მიწურულს მთავრობის მხრიდან წამოსული რეაქციის ტალღის შეჩერება. „ამჟამად საზოგადოება სარგებლობს იმ მცირე ბზარებიდან შემოსული თავისუფლების სიოთი, რომლებიც მონობის ბასტიონის კედლებში მართალი საქმისთვის დაღუპული მებრძოლების წყალობით გაჩნდა“, – ამბობდა პილსუდსკი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – სისტემის საბოლოო მსხვრევა, როგორც ისტორიული აუცილებლობა, მხოლოდ აჯანყების გზით შეიძლება განხორციელებულიყო. ეროვნული აჯანყება იყო ის ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა პოლონელთა პოლიტიკური რეალობის შეცვლა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ პოლონეთის ნაწილში, ხოლო მომავალში – სხვა დამპყრობელთა ხელში მყოფ ყველა პოლონურ მიწაზე, რომლებიც შემდგომში უსათუოდ

უნდა აღმოჩენილიყო აღორძინებული პოლონეთის ფარგლებში.

იმ სიტუაციაში, როდესაც ცარიზმი მკვეთრ კონტრშეტევაზე გადავიდა, აჯანყების იდეის გაიდეალება, ერთი თვალის შევლებით, ერთობ უტოპიურ მიდგომად მოჩანდა. აჯანყებისადმი უნდობლობა უფრო გასაგები იყო მესაკუთრეთა კლასის წარმომადგენლების შემთხვევაში, მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ ეს მიდგომა თვით სოციალისტების ბანაკშიც კი აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკისთვის ეს სიტუაცია დაუძლეველ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. იგი თვლიდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტი იყო, რომლის მიხედვითაც თანამედროვენი „ვერ ხედავდნენ და ვერ გრძნობდნენ მომავლის იმ ჩანასახს, რომელსაც საფუძველი აწმყოში ეყრებოდა“ (JP II, 266). ამ ყველაფრიდან ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობდა, რომლის მიხედვითაც აქტიური ბრძოლის დაწყება ისევ და ისევ საზოგადოების ინტერესში შედიოდა – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ბრძოლა მისი ნების საწინააღმდეგოდ დაიწყებოდა.

პილსუდსკის აზრით, მნიშვნელოვანი იყო, რომ აჯანყების იდეა მხოლოდ და მხოლოდ სააგიტაციო ფრაზის დონემდე არ დაყვანილიყო. „აჯანყება თავისთავად არ დაიწყება, მას წინ უნდა უსწრებდეს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაო და აგრეთვე სამანიფესტაციო პერიოდი, რომლის თანმდევიც იქნება მცირე მაგრამ მეფის რეპრესიული აპარატისათვის საკმაოდ შემაწუხებელი შეტაკებები და ინციდენტები“, – ამბობდა პოლონელ სოციალისტთა მეთაური. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი კადრების მიერ სამხედრო ტექნიკის ათვისებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებათა ავტორისათვის შესანიშნავად იყო ცნობილი, თუ რა უპირატესობა ჰქონდა რეგულარულ ჯარს სტიქიურად შეკრებილ და ერთიანობის არმქონე ბრბოსთან შედარებით. ამიტომაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საკუთარი კადრების გაწვრთნას და მათთვის თუნდაც „მინიმალური საბრძოლო პრაქტიკის მიღების შესაძლებლობის შექმნას“. ასევე მნიშვნელოვანი იყო მასებისთვის იმის შთა-

გონება, რომ მათ რეგულარული ჯარის დამარცხების უნარი გააჩნდათ. ამ უკანასკნელი მოსაზრების განმტკიცება პარტიზანული ბრძოლის დაწყებას საჭიროებდა, რაც მოკრძალებული წარმატებების შემთხვევაშიც კი მოსახლეობის თვალში მეფის არმიის ავტორიტეტს გარკვეულწილად დაბლა დასცემდა. ამასთან ერთად, პილსუსდკი მიუთითებდა, რომ პოლონეთში იმპერიის არმიის ავტორიტეტის დაცემის პროცესი უკვე დაიწყო მას შემდეგ, რაც აქამდე ორგანიზებული საბრძოლო აქციების შედეგად ჯარი იძულებული გახდა, რომ სუფთა პოლიციური ფუნქციებიც აეღო თავის თავზე. „უეჭველია, რომ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი პროცესი ასე მალე არ დამთავრდება, თუმცა იგი უკვე ნამდვილად დაიწყო", – მტკიცე თავდაჯერებულობით ასკვნიდა პილსუდსკი (JP II, 271). მისი აზრით, ამ პროცესში უმთავრეს მასტიმულირებელ ფაქტორს მაინც „უშუალო, შეიარაღებული ბრძოლა წარმოადგენდა", ბრძოლა, რომლის საბოლოო შედეგიც დამოუკიდებელი პოლონეთი უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, საბრძოლო ორგანიზაციის მიერ მეფის ხელისუფლებასთან წამოწყებული ბრძოლა მტკივნეული მარცხით დასრულდა. სიტუაცია ვერც ცალკეულმა, შთამბეჭდავმა წარმატებებმა შეცვალა, როგორებიც იყო, მაგალითად, 1906 წლის აგვისტოს „სისხლიანი ოთხშაბათი" ან იმავე წლის 8 ნოემბერს დაბა როგუვთან განხორციელებული თავდასხმა საფოსტო მატარებელზე. თვითონ პარტია, რომელიც იდეურად გახლეჩილი იყო, საბოლოოდ 1906 წლის ნოემბერში დაიშალა მის IX ყრილობაზე. პილსუდსკი და ყველა ის თანამებრძოლი, რომლებიც მის მიერ ჩამოყალიბებულ პროგრამას უჭერდნენ მხარს, პოლონეთის სოციალისტური პარტიის რევოლუციურ ფრაქციაში აღმოჩნდნენ, თუმცაღა „აქტიური ბრძოლის პოლიტიკა" რევოლუციური ტალღის ჩავლის შემდეგ უკვე აზრს მოკლებული გახდა. უფრო მეტიც, უკვე დაკარგული პოზიციების ჯიუტად არმიტოვება თვითგანადგურების ტოლფასი იყო.

III. კომენდანტი

1904-1907 წლების გამოცდილებამ პილსუდსკი დაარწმუნა, რომ „ცარიზმის მიერ რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად გამოყენებულ ფიზიკურ ძალაზე გასამარჯვებლად“ (JP II, 294) სამხედრო კადრების მომზადება იყო აუცილებელი. ამ იდეის განხორციელება შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მოპოვებამ (200 ათას რუბლზე მეტი), რაც ორგანიზაციას დაბა ბეზდანისთან საფოსტო ვაგონზე თავდასხმამ მოუტანა, რომელსაც თვით პილსუდსკი ხელმძღვანელობდა. სამხედრო ძალის მომზადების იდეის რეალიზაცია ერთ-ერთ პოლონურ პროვინციაში – გალიციაში დაიწყო, რომელიც იმჟამად ჰაბსბურგების მონარქიას ჰქონდა ოკუპირებული. პილსუდსკის გეგმის განხორციელებას ხელი შეუწყო იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაციის უეცარმა გამძაფრებამაც, რაც ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიას მოჰყვა. ამის პარალელურად, პილსუდსკიმ თავისი გეგმის სისწორეში შიდაპარტიული ოპოზიციის დარწმუნებაც შეძლო. დასაწყისში სამხედრო მზადებას პილსუდსკის ინიციატივით 1908 წელს შექმნილი „აქტიური ბრძოლის კავშირი“ უძღვებოდა, 1910 წლიდან კი ამ სამუშაოთა ძირითადი ნაწილი საკუთარ თავზე „მსროლელთა ღია კავშირებმა“ აიღო.

1908 და 1909 წლების გასაყარზე პილსუდსკიმ პოლონური სამხედრო ძალის შექმნის მოსამზადებელ სამუშაოებში არა მარტო თავისი უახლოესი გარემოცვა, არამედ მთლიანად პარტიაც ჩართო. ეს პერიოდი მისთვის გამორჩეულად რთული აღმოჩნდა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის იდეას ბევრი პოლონელი მოღვაწე ეჭვქვეშ აყენებდა (დასაწყისში ოპონენ-

ტების ჯგუფში თვით იოდკო[32], იენჯეიოვსკი[33] და სულკევიჩიც კი შედიოდნენ, ხოლო ომის დაწყებამდე პოლონეთის სოცპარტიის „მილიტარიზაციის“ იდეას უკიდურესად სკეპტიკურად უყურებდა პერლი[34]). პილსუდსკი ავად გახდა. იგი ხანგრძლივად და მძიმედ ავადმყოფობდა, ცხელების ძლიერი შეტევების თანხლებით. ამას, პირველ რიგში, მისი არაჰიგიენურმა ცხოვრების წესმა შეუწყო ხელი, რომლის შეცვლასაც იგი, ყველაფრის მიუხედავად, არ აპირებდა. ჩვენამდე მოღწეული ყველა ცნობა ადასტურებს, რომ ამ პერიოდში იგი უკიდურესად ცუდად გამოიყურებოდა, ხოლო ზოგი წყაროს თანახმად, მისი სიცოცხლე, უბრალოდ, ბეწვზე ეკიდა. ექიმებს ეჭვი ჰქონდათ გულის მუშაობის დარღვევაზე, აგრეთვე შიშობდნენ, რომ პაციენტს ტუბერკულოზიც შეიძლებოდა ჰქონოდა. ყველა ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ 1909 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მიღებულ იქნა შეუქცევადი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პილსუდსკი ხანგრძლივ, სულ მცირე, სამთვიან სამკურნალო-დასასვენებელ მივლინებაში უნდა გამგზავრებულიყო. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე აბაცია[35] შეირჩა – კურორტი, რომელიც იმჟამად პოლონელებს შორის ძალზე მოდური და პოპულარული იყო. ამ არჩევანზე შესაძლოა იმ ფაქტმაც მოახდინა გავლენა, რომ აბაციაში მაშინ ცნობილი მხატვარი სტანისლავ ვიტკევიჩი ცხოვრობდა, რომელსაც პილსუდსკი უაღრეს პატივს სცემდა და თან მას ნათესავადაც ერგებოდა.

ჯანმრთელობის გაუარესება პილსუდსკისთვის პირადი ხასიათის ერთადერთ პრობლემას არ წარმოადგენდა. მის ცხოვრებაში ახალი გრძნობა გაჩნდა და იგი თანდათან ძლიერდებოდა. ეს გრძნობა „ამხანაგ ოლას“ – ალექსანდრა

[32] ვიტოლდ იოდკო-ნარკევიჩი (1864-1924) – პოლონელი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, დიპლომატი.

[33] ბოლესლავ ანტონი იენჯეიოვსკი (1867-1914) – პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე.

[34] ფელიქს პერლი (1871-1927) – პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე, პუბლიცისტი.

[35] აბაცია – ახლანდელი ქალაქი ოპატია ხორვატიის სანაპიროზე.

შჩერბინსკას ეკუთვნოდა, რომელიც საბრძოლო ორგანიზაციის წევრი იყო. პილსუდსკიმ ალექსანდრა 1906 წლის მაისში გაიცნო. 1907 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე იგი თან ახლდა იუზეფს კიევში განსახორციელებელი ექსპროპრიაციის ოპერაციის მზადების პროცესში (ეს აქცია საბოლოოდ აღარ განხორციელდა). ზუსტად იქ, დნეპრის ნაპირებზე სეირნობისას გამოუტყდა იუზეფი ოლას სიყვარულში. ასეთი იყო ამ რთული კავშირის დასაწყისი. პილსუდსკის მომავალი მეუღლე ამ პერიოდს შემდეგნაირად იხსენებდა: „დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონია ის ყველაფერი, რაც ბედნიერი ცოლქმრობის საფუძველს წარმოადგენს. არ გვღირსებია არც სახლი, არც სიმშვიდე, არც უსაფრთხოების შეგრძნება. ამის ნაცვლად იყო უწყვეტი შრომა, ღატაკი ყოფა, ყველა მხრიდან საფრთხის მოლოდინი და ხვალინდელი დღის ბუნდოვანება“ (AP, 137). უნდა აღინიშნოს, რომ შჩერბინსკა იყო ის ადამიანი, ვინც ბეზდანის აქციისათვის საჭირო იარაღი იშოვა და მიაწოდა შეთქმულებს. პილსუდსკი მარიას წინაშე თავის დამოკიდებულებას აღარ მალავდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე ფეხს ითრევდა. უფრო მეტიც, როგორც მისი ჯერ კიდევ ოფიციალური ცოლისადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, იგი ცდილობდა, რომ თავისი ახალი გატაცება ერთგვარად არასერიოზულად წარმოეჩინა. მის წერილებში შეხვდებით ისეთ ფრაზებსაც, რომ ეს მცირე ფლირტი მისთვის ყველა სხვა საქმის მსგავსი ამბავი იყო (JP U, II, 254). თუმცაღა, მიუხედავად „ამ ამბის“ გაუბრალოების მცდელობებისა, პილსუდსკის პირველი ქორწინება სულ უფრო და უფრო მძიმე კრიზისს განიცდიდა. ამ სიტუაციაში პილსუდსკის ოჯახისთვის კიდევ ერთ, უმძიმეს დარტყმად იქცა მისი შვილობილის, ვანდა იუშკევიჩის გარდაცვალება 1908 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, რომელთანაც მამობილს განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა. პირადი ცხოვრების აღრევას (ავადმყოფობა, ქორწინების კრიზისი) ემატებოდა უამრავი სხვა პრობლემა, რომლებიც იუზეფის პოლიტიკურ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

ამ ნაირსახოვანი პრობლემების მრავლისმეტყველ აღწერას ვხვდებით 1908 წლის მაისის ბოლოს იოდკოსთვის გაგზავნილ წერილში. ადამიანური და ფინანსური რესურსების დრამატული სიმწირის გამო მომავალი მუქ ფერებში ჩანდა. პილსუდსკი აცნობიერებდა, რომ კარგად ნაცნობი, ფართო შარაგზიდან უცნობ და ჯერ კიდევ გაუკვალავ ბილიკზე გადაუხვია, თუმცა, მიუხედავად ამისა, უკან დაბრუნებას არ აპირებდა. „ვეცდები, რომ ბნელში, გაუკვალავ ბილიკზე ხელის ცეცებით ვიარო, – ეუბნებოდა იგი ერთ-ერთ სანდო მეგობარს, – რა დამთავრდება უფრო ადრე, ჩემი სასიცოცხლო ძალები თუ ეს ბილიკი? აი, ეს არის კითხვა, რომელიც ჩემ წინაშე დგას და რომელსაც უახლოესი მომავალი გასცემს პასუხს“ (JP II, 297). ძალები კი მართლაც იწურებოდა და ძლივსღა კმაროდა საჭირო ფულადი სახსრების საშოვნელად, რომლებიც პილსუდსკის ჯერ კიდევ შორეულ ჰორიზონტზე მბჟუტავი საბრძოლო მოქმედებების მოსამზადებლად სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დასახულ მიზანზე უარის თქმას არანაირად არ ნიშნავდა, რადგანაც, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, მიზანი საოცრად დიდი და ნათელი იყო. თუმცა, როგორც ბეზდანის აქციამ აჩვენა, რისკის მასშტაბიც არ ჩამორჩებოდა დასახული მიზნის მასშტაბებს.

პილსუდსკი მხოლოდ გამარჯვებისთვის იყო მომართული და ამას მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი თავის ალბათ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ წერილში, რომელიც 1908 წლის სექტემბერში ფელიქს პერლს მისწერა (ამჟამად ეს წერილი ერთ-ერთ მოსკოვურ არქივში ინახება). „მე არც სასოწარკვეთა მამოძრავებს და არც მსხვერპლშეწირვის ჟინი, მხოლოდ გამარჯვების სურვილი და მისთვის მზადებაა ჩემი მამოძრავებელი ძალა“. – წერს იგი. ბრძოლაში გამარჯვება, წარმატებით დასრულებული მორიგი ეროვნული აჯანყება – ეს იყო პილსუდსკის მიზანი, ეს კი შესაძლებელი უნდა გამხდარიყო „ყოველ პარტიაში – განსაკუთრებით კი ჩვენსაში – ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის უნარის მქონე ძალის ჩამოყალიბების გზით“, – ამბობდა იგი. საბრძოლო მოქმედებების დაწყების მოსამზადებელ პროცესში

პილსუდსკის კიდევ ერთი იმპულსი ამოძრავებდა. ეს სუფთა მორალური იმპულსი იყო – იგი ფიქრობდა, რომ თუ თვითონ დაიღუპებოდა, ეს ბუნებრივი მაგალითი იქნებოდა ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებსაც იგი საბრძოლო დავალებაზე უშვებდა და აქციის წარუმატებლობის შემთხვევაში პრაქტიკულად სახრჩობელისთვის იმეტებდა. ეს თვალნათელი დასტური უნდა ყოფილიყო იმისა, რომ „მეთაური მათ ზემოდან არ უყურებდა და მხოლოდ შავი სამუშაოს შესასრულებელ იარაღად არ განიხილავდა, რათა თვითონ სუფთა დარჩენილიყო". არსებობდა კიდევ ერთი, მიწიერი ფაქტორი: „ფული"! პილსუდსკის არასოდეს დაუმალავს საკუთარი ზიზღი მატერიალური მხარის მიმართ, თუმცა ამავე დროს ამბობდა: „მირჩევნია ფული ისე მოვიპოვო, როგორც საბრძოლო ნადავლი, ვიდრე ინფანტილიზმში გადავარდნილ და დაშინებულ პოლონურ საზოგადოებას ვეხვეწო მოწყალების გაღებისათვის" (JP II, 299-300). ბეზდანის აქცია ამ თვალსაზრისით წარმატებული გამოდგა და მან ზუსტად ეს „ფული" მოიტანა. ამ თანხის დახმარებით არა მარტო ფინანსური ვალდებულებების დარეგულირება მოხერხდა, არამედ მან შესაძლებელი გახადა, რომ დაპატიმრებული თანამებრძოლებისა და მათი ოჯახებისთვის საგრძნობი დახმარება გაეწიათ. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამ ფულმა შექმნა პოლონური მიწების მომავალი გათავისუფლებისა და გაერთიანების ფინანსური ფუნდამენტი.

XX საუკუნის პირველი და მეორე ათწლეულების გასაყარზე პილსუდსკი ყველაზე უფრო შესამჩნევ ფიგურად იქცა ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა შორის. იგი ოპოზიციურად იყო განწყობილი ანტიგერმანული ბანაკის მიმართაც, რომელსაც დმოვსკი აყალიბებდა. მომავალ კომენდანტს პირველ რიგში იმის იმედი ჰქონდა, რომ მეფის რუსეთსა და ჰაბსბურგების მონარქიას შორის კონფლიქტი დაიწყებოდა. მისი განჭვრეტით, ამ კონფლიქტს ორი განვითარება შეიძლებოდა ჰქონოდა: პირველ ვარიანტში რუსეთის ფარგლებში მყოფი პოლონეთის ნაწილი მომენტით ისარგებლებდა, რუსულ ოკუპაციას თავს დააღწევდა და ჰაბსბურგების დუალისტური

მონარქია პოლონურ-ავსტრიულ-უნგრულ ტრიადად გარდაიქმნებოდა, მეორე ვარიანტში პოლონეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა. ეს მოქმედებები შემდგომი, უფრო მასშტაბური მიღწევის შესავალი უნდა გამხდარიყო, რაც სამივე იმპერიის ფარგლებში მყოფი პოლონური მიწების განთავისუფლებასა და დამოუკიდებელი პოლონეთის საზღვრებში მათ გაერთიანებაში უნდა გამოხატულიყო. პილსუდსკის აზრით, დამპყრობელთა შორის გაჩაღებული ბრძოლის ფინალზე შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა ძალას, რომელიც თვით პოლონელების მიერ იქნებოდა შექმნილი. ეს კი საჭიროებდა საკუთარი სამხედრო სტრუქტურების სასწრაფოდ ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ტერიტორიაზე შეიძლებოდა განხორციელებულიყო, რომელიც იმ მომენტში პოლონელებისთვის ტაქტიკურ მოკავშირეს წარმოადგენდა. ძნელია არ შევნიშნოთ, რომ პილსუდსკი საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა ერთგვარ დამცავ ქოლგას, რომელსაც მის მიერ წამოწყებული სამხედრო მომზადებისთვის ავსტრო-უნგრეთის არმია წარმოადგენდა. ამაში მას ისიც ეხმარებოდა, რომ ის და მისი ხალხი ავსტრო-უნგრეთის მხარეს დაზვერვითი ხასიათის ინფორმაციასაც აწვდიდნენ. ამავე დროს პილსუდსკი იმასაც შესანიშნავად ხვდებოდა, რომ ავსტრიელთა სამხედრო შტაბის მეთაურებისთვის იგი მხოლოდ და მხოლოდ ანტირუსული მოქმედებების ერთ-ერთი ელემენტი იყო, რომელსაც ვიწროდ დივერსიული ხასიათის აქციები უნდა განეხორციელებინა.

ანტირუსული ორიენტაციის მქონე მოძრაობის მიმართულებას იმჟამად განსაზღვრავდა რწმენა, რომ სუფთა პოლონურ ინტერესებში მოქმედ რეალურ ძალას შეეძლო ისტორიული მასშტაბის მნიშვნელობა მოეპოვებინა. იმ პერიოდში გააქტიურებული „სრულიად პოლონელთა მოძრაობა“ საკმაო წარმატებით ახერხებდა მოსახლეობის მიმხრობას როგორც პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე, ასევე პრუსიის მიერ ოკუპირებულ პოლონურ მიწებზე. ეს მოძრაობა ცდილობდა, რომ ეროვნული ენერგიის რაც შეიძლება მეტი პოტენციური

რესურსის აკუმულირება მოეხდინა. მათგან განსხვავებით, პილსუდსკი მომხრე იყო, რომ პოლონელთა ენერგია არა უბრალოდ დაეგროვებინა, არამედ მოძრაობაში მოეყვანა. აქედან გამომდინარეობდა მისი ფორმულაც, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო. ცოტა ხანში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ზუსტად ამ ტიპის ორგანიზაციები მოევლინა ქვეყანას უკვე სრულიად ლეგალურად, მსროლელთა კავშირების ფორმით. პირველი მათგანი იყო „მსროლელთა კავშირი" ლვოვში, ხოლო მეორე – საზოგადოება „მსროლელი" კრაკოვში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პილსუდსკი თავისი მოქმედებით ცდილობდა ის ტრადიციად ქცეული მდგომარეობა შეეცვალა, რაც პოლონეთში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა – მას სურდა პოლონური მხედრული ტრადიცია აღედგინა, რაც ქვეყანაში დიდი ხნის დავიწყებული იყო. ამ ტრადიციის გაქრობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იანვრის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ გახდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდა ადამიანების ჭრელი რაზმები, რომლებიც გალიციის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში დააბიჯებდნენ, ერთდროულად იწვევდნენ სიამაყესაც და ენამწარე კომენტარებსაც. მიუხედავად ყველაფრისა, ამ ახალგაზრდებს, რომლებიც იდეურ და პატრიოტულ ატმოსფეროში იყვნენ გაზრდილნი, მსროლელთა მოძრაობა განუმეორებელ შანსს აძლევდა, რომლის წარმოდგენაც ცოტა ხნის წინ შეუძლებელი იყო. ეს იყო შანსი, რომ იარაღით ხელში, ღიად და გამოცხადებულად ებრძოლათ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მსროლელთა მოძრაობისადმი საზოგადოების დამოკიდებულება გულგრილი, ხოლო ზოგ შემთხვევებში კი აშკარად მტრულიც იყო, იგი რიცხობრივად სწრაფად იზრდებოდა. შესამჩნევად იხვეწებოდა ამ ორგანიზაციის წევრთა უნარ-ჩვევებიც, რომელიც ჯერჯერობით პოლონური არმიის ერთგვარ სუროგატს წარმოადგენდა. ორგანიზაციის წევრებს

თითქმის მთლიანად ახალგაზრდები წარმოადგენდნენ – სტუ-
დენტები, მოსწავლეები, მუშები, ხელოსნები და ა. შ. ცალკე
რაზმები იქმნებოდა პოლონეთის საზღვრებს გარეთ მოქმედ
უმაღლეს სასწავლებლებში – ვენაში, პრაღაში, ბელგიის ქალაქ
ლიეჟში, შვეიცარიის ფრაიბურგში. ამას გარდა, ხორციელდე-
ბოდა მცდელობები, რომ ორგანიზაციული ღონისძიებები პო-
ლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე და აგრეთვე იმპერიის იმ
ქალაქებში გადაეტანათ, სადაც პოლონელ სტუდენტთა მნიშ-
ვნელოვანი რაოდენობა იყო თავმოყრილი (პეტერბურგი, კიე-
ვი). თუმცაღა სამუშაოს ეს ნაწილი ყველაზე რთული და დიდი
რისკის შემცველი იყო. 1912 წლის შუა ხანებიდან ამ საქმიანო-
ბას პილსუდსკი „აქტიური ბრძოლის კავშირის“ მთავარი კომენ-
დანტის სტატუსით უძღვებოდა (შტაბის ხელმძღვანელის ად-
გილი სოსნკოვსკიმ[36] დაიკავა). იგი ცდილობდა, რომ სამხედრო
წვრთნების პროგრამას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქ-
ტიკული ხასიათიც ჰქონოდა. წვრთნების ყველაზე ეფექტურ
მეთოდად რამდენიმეკვირიანი კურსები იქცა. ეს კურსები არა
მარტო ადგილობრივ ახალგაზრდებს, არამედ საზღვრისმიღმა
რეგიონებიდან ჩამოსულებსაც კი აძლევდა საბაზისო სამხედ-
რო ცოდნის ათვისების საშუალებას. მაგალითად, ტარდებოდა
სისტემატური ღამის წვრთნები და მრავალგვარი „მანევრები“,
რომლებშიც ახალგაზრდების დიდი რაოდენობა იღებდა მო-
ნაწილეობას. ეს წვრთნები დიდწილად ლვოვის მიდამოებში
ხორციელდებოდა, სადაც მსროლელთა მოძრაობა განსაკუთ-
რებით აქტიურად ვითარდებოდა.

ყველა ამ წამოწყების დაგვირგვინებად შეიძლება ჩაითვა-
ლოს „მსროლელთა კავშირის“ ოფიცერთა სკოლის ჩამოყალი-
ბება, რომელიც სოფელ სტრუჟაში იყო განლაგებული, დაბა
ლიმანოვასთან ახლოს. რეალურად სკოლამ თავისი საქმიანობა
1913 წლის აგვისტოში დაიწყო, მაგრამ მისი სრული სანვრთნე-
ლი ციკლი თითქმის ყველა იმ მებრძოლმა გაიარა, რომლებმაც

[36] კაზიმეჟ სოსნკოვსკი (1885-1969) – პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი.

შემდეგ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს პოლონური ლეგიონების პირველი მსოფლიო ომისდროინდელ ეპოპეას. პილსუდსკი ოფიცერთა სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო. იგი კურსანტებს სამხედრო ისტორიას ასწავლიდა და ძირითად აქცენტს იმ მოვლენებზე აკეთებდა, რომლებიც თავისი ხასიათით მოსალოდნელ პოლონურ-რუსულ შეტაკებას შეიძლებოდა ჰგვანებოდა. აგრეთვე განიხილავდა 1863 წელს მომხდარი უკანასკნელი ეროვნული აჯანყების გამოცდილებას და მას ინგლის-ბურების ომის მაგალითებით აზავებდა, რომელიც პარტიზანული მეთოდებით მიმდინარეობდა. მეორე მხრივ, რუსეთ-იაპონიის ომის მაგალითები კურსანტებისთვის ბრძოლის სულიერი მხარის სიძლიერის ამსახველი უნდა ყოფილიყო – ანუ იმ ელემენტის, რომელსაც მატერიალური საშუალებების უკმარისობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლებოდა მოეპოვებინა. საზაფხულო სამხედრო სკოლის ფინალად იქცა სანახაობრივი საველე წვრთნები, რომლებიც საკმაოდ დიდ მარშრუტზე ტარდებოდა. მარშრუტი იწყებოდა სტრუჟადან, მოიცავდა ისეთ დასახლებებს, როგორიცაა მშანა დოლნა, რაბკა, ხაბუვკა, ნოვი ტარგი და საბოლოოდ ზაკოპანეში სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი და თან შეიარაღებული რაზმის გამოჩენამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებში პანიკა გამოიწვია – შეშინებულმა ნოვი ტარგის მამასახლისმა ლვოვის მეფისნაცვალსაც კი შეატყობინა ამის შესახებ. ძნელია ეს გაგვიკვირდეს, რადგანაც ადგილობრივი ჩინოვნიკის განკარგულებაში არსებული პოლიციური ძალები უმნიშვნელო იყო, ხოლო პოდჰალეს დედაქალაქში შესული პატრიოტთა რაზმი არათუ კონსპირაციაზე არ ზრუნავდა, არამედ საკუთარი მარში მათ პირდაპირ საზეიმო დათვალიერებით დაასრულეს...

გალიციაში ერთმნიშვნელოვნად ანტირუსული, სამხედრო ფორმირების დაბადებამ რუსეთის იმპერიის დიპლომატიური ჩარევა გამოიწვია. ვენაში გაგზავნილ ოფიციალურ ნოტებში პეტერბურგის დიპლომატია მოითხოვდა, რომ ამ სამხედრო გაერთიანების ლიკვიდაცია მომხდარიყო, რადგანაც, მათი აზრით,

ეს ინიციატივა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. სხვათა შორის, სამართლიანად უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ეს მტკიცება ნამდვილად არ იყო აზრს მოკლებული. ამ ბრალდებების საპასუხოდ ჰაბსბურგებმა ფორმალურად სპეციალური საპოლიციო გამოძიებაც კი წამოიწყეს, მაგრამ რეალურად მათ არც კი უფიქრიათ, რომ ნეისპირა ქალაქიდან მომავალი მითითებები შეესრულებინათ. თვითონ პილსუდსკი ამ ყველაფრის გამო არ ნერვიულობდა და არხეინად განაგრძობდა მწერლისა და „შეძლებული მოქალაქის" ოფიციალური როლის თამაშს, მისი ხელქვეითები კი სულ უფრო ინტენსიურად ემზადებოდნენ მომავალი შეიარაღებული შეტაკებებისათვის. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ომი გარდაუვლად დაიწყებოდა და მისი შედეგი აუცილებლად იქნებოდა დამოუკიდებელი პოლონეთი. მებრძოლების მთავარი ამოცანა პრაქტიკული, საომარი უნარ-ჩვევების ათვისება იყო, რაც მათ მომავალში ბრძოლის ველზე უნდა გამოსდგომოდათ. პილსუდსკიმ თავის თავზე აიღო პოლონელთა მომავალი დამოუკიდებელი, შეიარაღებული გამოსვლების ჩარჩოების შემუშავების ამოცანა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ისტორიული გამოცდილებიდან საჭირო დასკვნების გამოტანა და შემდეგ კი მომავალი მეამბოხური მოძრაობისათვის რეალისტური კონცეფციის შემუშავება. ზუსტად ამ მიზნით, პილსუდსკი გამალებით ეცნობოდა პოლონეთისა და უცხო ქვეყნების სამხედრო ისტორიის საკითხებს, რათა ნათლად და, რაც მთავარია, დამაჯერებლად დაესახა უკვე მოახლოებული ეროვნული აჯანყების უმთავრესი ამოცანები.

ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოთა კონტექსტში პილსუდსკის უმნიშვნელოვანეს ნაშრომად უნდა ჩაითვალოს 1910 წელს შექმნილი *„რევოლუციის პრაქტიკული ამოცანები რუსული ოკუპაციის პირობებში"*, რომელიც თავიდან „რობოტნიკის" ფურცლებზე იბეჭდებოდა, ხოლო მოგვიანებით პარტიულმა გამომცემლობამ გამოსცა. სიტყვა „რევოლუციაში" აქ პირდაპირ აჯანყებაა ნაგულისხმები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა – ამ ნაშრომში გაჟღერებული თეზისები

იმ კონცეფციის გასაღებს წარმოადგენს, რომელიც პილსუდსკიმ პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ჩამოაყალიბა. ეს გასაღები საშუალებას გვაძლევს, რომ გავიგოთ პილსუდსკისა და მისი გარემოცვის საქციელი დიდი ომის დაწყების წინ და მისი მიმდინარეობის პირველ დღეებში. *„ამოცანები“* ისეთ ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც პრაქტიკულად საშტაბო დირექტივების მანერით არის დაწერილი. ავტორის მიერ „რევოლუციად“ მონათლული აჯანყება განხილულია, როგორც ბრძოლა ხელისუფლებისათვის, „რომელიც უნდა განხორციელებულიყო ძალისმიერი მეთოდებით და შედარებით მოკლე დროის მონაკვეთში“. ამასთან, პილსუდსკი ხაზს უსვამდა, რომ აჯანყებულთა მოძრაობისთვის ხელშემწყობ პირობებს შეიძლება არც ემოქმედათ, თუკი აჯანყებულები გამარჯვების რწმენას მოისაკლისებდნენ. კომენდანტი თვლიდა, რომ მოვლენათა მოსალოდნელი მსვლელობა პატრიოტებს საბოლოო გამარჯვებამდე აუცილებლად მიიყვანდა, მაგრამ, ამავე დროს, ის სულაც არ იყო პოლიტიკურ და სოციალურ რეალიებს მოწყვეტილი ოპტიმისტი. პილსუდსკი ფიქრობდა, რომ საბოლოო წარმატების რწმენა მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ რჩეულთ შეიძლება ჰქონოდათ, იმ თვალნათლივი ფიზიკური უპირატესობიდან გამომდინარე, რაც ცარიზმს გააჩნდა. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იმ ლოგიკური დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა, რომ პოლონური საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი, გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა შეუძლებელი იყო. ამიტომაც, „ომი, რომელშიც რუსეთი იყო ჩაფლული, შიდა არეულობა, რომელიც სახელმწიფოს შიგნიდან ღრღნიდა, ფინანსური პრობლემები, რომლებიც მთავრობას იძულებულს ხდიდნენ, რომ სისუსტე გამოევლინა“ (JP III, 8-9), ზუსტად ის ფაქტორები შეიძლება აღმოჩენილიყო, რომლებიც საბოლოო გამარჯვების რეალურობის რწმენას გააძლიერებდნენ. ძნელია არ შენიშნო, რომ პილსუდსკი თავის გათვლებს გარე ფაქტორების გააქტიურებაზე ამყარებდა და ამ საძირკველზე აფუძნებდა შიდა, პოლონური ძალების მომზადების პროცესს.

მაინც რას უნდა უზრუნველეყო, პილსუდსკის აზრით, „რევოლუციის“ ანუ იმავე ეროვნული აჯანყების წარმატება? მისი შემოქმედი პირველ პლანზე ისეთი მთავრობის შექმნის საჭიროებას აყენებდა, რომელსაც უნარი ექნებოდა, რომ „საკუთარი გამგებლობის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე არსებული ყველა საკითხისადმი“ საკუთარი დამოკიდებულების შემუშავება შესძლებოდა. უფრო მეტიც, ამ დამოკიდებულებიდან მთავრობას სუფთა პრაქტიკული დასკვნების გაკეთების უნარიც უნდა ჰქონოდა, რომლებიც მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების სრულ სპექტრთან იქნებოდა დაკავშირებული. მას უნდა ჰქონოდა სრული წვდომა ყველა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესზე, წვრილმანი საქმეებიდან დაწყებული და ფუნდამენტური პროცესებით დამთავრებული. ამიტომაც, „მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ პირველი ამოცანა იქნებოდა საყოველთაო განცხადების გაკეთება იმის შესახებ, რომ „მთავრობა“ არსებობს“, შემდეგ კი უნდა მომხდარიყო მისი ადგილობრივი წარმომადგენლობების დაფუძნება. ამასთან, მთავრობას უნდა ეზრუნა, რომ მისი ადგილობრივი წარმომადგენლები კომპეტენტური და ადგილობრივი პრობლემების კარგად მცოდნე ადამიანები ყოფილიყვნენ. მომდევნო ნაბიჯი უნდა ყოფილიყო „ომის საჯაროდ გამოცხადება“, რაც განმათავისუფლებელ მოძრაობას დამატებით დინამიზმს შემატებდა, არაორგანიზებული მასების მხარდაჭერის უზრუნველყოფის წყალობით. ამიტომაც ამ მიზნით გამოცემულ მანიფესტში უნდა გაჟღერებულიყო „რევოლუციური მოძრაობის ძირითადი პოლიტიკური და სოციალური პოსტულატები და უნდა გამოკვეთილიყო მოთხოვნები, რომელთა მისაღწევადაც იწყებოდა ეს ბრძოლა“ (JP III, 12-13). მთავრობა, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის იქმნებოდა, რომ შეიარაღებული აჯანყების წარმატება უზრუნველეყო. თუმცა ბრძლას უმცირესი აზრიც კი ეკარგებოდა, თუ არ იარსებებდა კარგად შეიარაღებული და აღჭურვილი ჯარი. აჯანყების კონცეფციის ავტორი ამ ამოცანას, როგორც პრიორიტეტულს ისე განიხილავდა და ამასთან ერთად, განსა-

კუთრებით უსვამდა ხაზს, რომ „ფიზიკური ბრძოლა მკაფიო გათვლებს უნდა ემყარებოდეს“ (JP III, 14). ეს არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავდა იმას, რომ ნებისმიერმა ჯგუფმა და მოძრაობამ მოქმედება უნდა განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც რეალურად მის განკარგულებაშია. მოცემულ შემთხვევაში დაყრდნობა უნდა მომხდარიყო ფაქტობრივად არსებულ სამხედრო ორგანიზაციაზე, მისი წევრების რაოდენობისა და მომზადების ხარისხის გათვალისწინებით. გარდა ამისა, მხედველობაში მისაღები იყო ის ფაქტორიც, რომ არმიის ჩამოყალიბება უნდა განხორციელებულიყო მტრის მიერ კონტროლირებულ ქვეყანაში, თანაც არა დიდ, სამრეწველო ცენტრებში, რომელთა აღებაც სამომავლო ამოცანა იყო, არამედ მცირე ქალაქებში, სადაც სამთავრობო ჯარების კონცენტრაცია ყველაზე მცირე იყო.

ლაკონურად წარმოდგენილი გეგმის ყველაზე არსებითი ელემენტები – მთავრობის არსებობის შესახებ განცხადების გაკეთება, ომის გამოცხადება და გათვლაზე დამყარებული სამხედრო ორგანიზაციის მზადყოფნაში ყოლა – პილსუდსკიმ ფაქტობრივად 1914 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში განახორციელა. იგი აგრეთვე უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა შესაბამისი კადრების მოზიდვას და სამხედრო ფორმირებათა წევრების ურთიერთშეგუებას მსროლელთა რაზმებში და, მოგვიანებით, უკვე პირველი ბრიგადის რაზმების რიგებში. კომენდანტის აზრით, ეს ყველაფერი მებრძოლების „ურთიერთობას ადუღაბებდა, მათ წინააღმდეგობის უნარსა და საბრძოლო გამბედაობას მატებდა“ (JP III, 16). ის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „პოლონური ომის“ პირველი დღეები – პილსუდსკის უკვე 1909 წელს ჰქონდა მკაფიოდ გასიგრძეგანებული! ამ პერიოდში მან განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო აჯანყებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გააზრება. მისი მორიგი ნაშრომები ეხებოდა ისეთ თემებს, როგორიც იყო, მაგალითად, იანვრის აჯანყებისთვის მზადების პროცესის ანალიზი ან პოლონეთის სამეფოს „სამხედრო გეოგრაფია“. ეს ნაშრომები აღრმავებდა და ავითარებდა აჯანყების თემატიკასთან დაკავშირებულ სულ ახალ და ახალ მიმართულებებს.

გრძელვადიანი მოქმედებები, რომლებიც მსოფლიო ომის მიმდინარეობის პარალელურად უნდა განხორციელებულიყო, დროით კონტექსტში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხედრო ხასიათის მზადებასთან, რომელიც გალიციის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ პილსუდსკი ამ პერიოდში უკვე არა მხოლოდ პარტიის, არამედ მთლიანი პოლიტიკური ბანაკის ლიდერად იქცა. ომის პერსპექტივა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა და ამიტომაც პოლონური ირედენტიზმის წარმომადგენლებმა 1912 წლისათვის ომისწინა პოლიტიკური მზადების პროცესი კიდევ უფრო გააააქტიურეს. თავდაპირველად, 1912 წლის აგვისტოში, ზაკოპანეში გამართულ ყრილობაზე (სადაც პილსუდსკიმ განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო პერსპექტივები წარმოადგინა) დაფუძნდა პოლონეთის სამხედრო ხაზინა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოყალიბდა „თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიების კონფედერაციის დროებითი კომისია", რომელსაც თავის თავზე უნდა ეტვირთა პოლონეთის შეიარაღებული ძალების პატრონაჟი. 1912 წლის დეკემბრიდან ამ ორგანიზაციებს სათავეში თვითონ პილსუდსკი ჩაუდგა მთავარი კომენდანტის სტატუსით. მან გვერდზე გასწია ყველა დისკუსია იმის შესახებ, თუ რა გრძელვადიანი პერსპექტივა შეიძლებოდა ჰქონოდა მსოფლიო იმპერიების მომავალ საომარ შეტაკებას და საჯაროდ გამოაცხადა, რომ მოსალოდნელი მსოფლიო ომის შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა სამივე დამპყრობლური იმპერიის დამხობა და ამის შედეგად დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს დაბრუნება ევროპის რუკაზე.

ბანაკი, რომლის საკვანძო ფიგურაც პილსუდსკი გახდა, ჰაბსბურგების მონარქიის ტაქტიკური მოკავშირის როლში აპირებდა გამოსვლას მომავალი მსოფლიო შეტაკების პირობებში. ამის ნათელი დადასტურებაა იმ მიმართვების ტექსტები, რომლებსაც კომენდანტი ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ხელმძღვანელობას უგზავნიდა. ერთი მხრივ, იგი ხაზს უსვამდა გარემოებას, რომ პოლონელთა მოძრაობის მიზანი იყო „რუსე-

თის მიერ დაპყრობილი პოლონეთის ნაწილში სამხედრო ძალის შექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და შეეცდებოდა, რომ ოდინდელი რეჩპოსპოლიტას მიწების რაც შეიძლება დიდი ნაწილი გამოეხსნა; მეორე მხრივ კი, კომენდანტი დაჟინებით და მრავალჯერადად ეკითხებოდა მონარქიის მესვეურთ, თუ რა მასშტაბის დახმარების გაწევა შეეძლოთ მათ და მოითხოვდა კონკრეტულად დაეზუსტებინათ, თუ „რამდენად დამოუკიდებელი იქნებოდა პოლონეთის პოლიტიკური ხელისუფლება რუსეთთან მეომარ მხარეებთან მიმართებაში“ (JP U II, 301, 350). ამ მოსაზრებებს და შეთავაზებებს გულდასმით ეცნობოდნენ როგორც ავსტრიელი დიპლომატები, აგრეთვე სამხედრო შტაბის ხელმძღვანელები. ამასობაში, 1913 წლის შუა ხანებში, წინასაომარი სიტუაცია ნელ-ნელა დაცხრა და აქტუალურობა დაკარგა. უფრო მეტიც, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ევროპამ ხელახლა შეაბიჯა სტაბილიზაციის ხანაში.

საომარი განწყობების გააქტიურების პერიოდიდან მოყოლებული, პილსუდსკი საზღვრის მეორე მხრიდან გულმოდგინედ აკვირდებოდა არსებულ სიტუაციას და აქედან მნიშვნელოვანი დასკვნები გამოჰქონდა. როგორც მისი გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს, აქამდე იგი თვლიდა, რომ მოვლენები იმგვარად განვითარდებოდა, როგორც ეს რუსეთ-იაპონიის ომისა და რევოლუციის პერიოდში ხდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმედი ჰქონდა, რომ შეიარაღებული აჯანყება თავისთავად დაიწყებოდა და იგი უეჭველად და ავტომატურად მოიცავდა ფართო მასებს. ახლა, როდესაც აშკარა გახდა, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული პოლონეთის ნაწილში განმათავისუფლებელ მოძრაობას საზოგადოების რაიმე მკვეთრი რეაქცია არ მოჰყვა, პილსუდსკის აზრით, საჭირო იყო „ომით აგიტაცია“. პატრიოტთა მრავალრიცხოვან რაზმს უნდა გადაეკვეთა პოლონეთის ფორმალური სამეფოს საზღვარი და ეწარმოებინა რაღაც რეგულარული ომის მსგავსი, რათა „გამოეღვიძებინა და გაეაქტიურებინა მთვლემარე პოლონელები“. ამ ქმედებებს პარტიზანული ომისთვის უნდა დაედო დასაბამი.

ამავდროულად, პილსუდსკი კარგად აცნობიერებდა, რომ „ჩვენი შემთხვევითი ტაქტიკური მოკავშირეები – ავსტრო-უნგრეთი და პრუსია დაინტერესებულნი იქნებოდნენ, რათა ჩვენი მოძრაობა რაც შეიძლება გვიან დაწყებულიყო“ (JP III, 175-176). უფრო მეტიც, მას მშვენივრად ესმოდა, რომ თვით აჯანყებულთა ავანგარდის დაძვრაც კი უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. მისი სიტყვებითვე რომ გამოვხატოთ, მას ანგარიში უნდა გაეწია იმისათვისაც, რომ „ავანგარდმა ცუდი დრო შეარჩია და მის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხი აუცილებლად „არა“ იქნებოდა!“, სხვათა შორის, ეს დილემა ახალი არ იყო და XIX საუკუნის ყველა ეროვნული აჯანყების მონაწილეთა წინაშე იდგა. მიუხედავად ყველაფრისა, პილსუდსკიმ იცოდა, რომ არჩევანი არ ჰქონდა. ის, ვინც მოწინავე რაზმის გაგზავნას გადაწყვეტს, „იძულებული იქნება გარისკოს და საზოგადოებას კითხვა დაუსვას: „ჰო თუ არა?“ – ამბობდა პილსუდსკი. „მთავარი ძალები გადამწყვეტ როლს ასრულებენ, მაგრამ ავანგარდის გადასროლის და რისკთან პირისპირ დადგომის გარეშე რევოლუცია არ მოხდება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“, – ასკვნიდა იგი (JP III, 168-169). მიუხედავად მწირი რესურსებისა და არასაკმარისი მომზადებისა, პილსუდსკი მზად იყო, რომ ეს სარისკო ნაბიჯი უკვე 1912 წლის მინურულს გადაედგა. ნათელი ხდებოდა, რომ პოლონური ირედენტიზმის ერთ-ერთი თანაავტორისაგან თანდათან კომენდანტის ფიგურა ყალიბდებოდა.

კომენდანტად ჩამოყალიბება მისი გარემოცვის თვალში პილსუდსკიმ უკვე იმ მომენტიდან დაიწყო, რაც მსროლელთა კავშირების ფორმირების პროცესში ჩაება. პილსუდსკის პიროვნული გარდაქმნის ალბათ ყველაზე უფრო ნიშანდობლივი დახასიათება წლების შემდეგ მიხალ სოკოლნიცკიმ[37] მოგვაწოდა. მისი სიტყვებით: „მხოლოდ სამხედრო სფერომ მისცა მას დისციპლინისა და სუბორდინაციის უნარების განვითარების სასურველი შესაძლებობა იმ გაგებითა და მასშტაბით, რო-

[37] მიხალ სოკოლნიცკი (1880-1967) – პოლონელი ისტორიკოსი, დიპლომატი, პოლიტიკოსი.

გორადაც მას მიაჩნდა აუცილებლად პოლონეთის საკეთილ-დღეოდ და საკუთარი საქმის საუკეთესოდ შესასრულებლად. თანდათანობით იგი უფრო გვერდზე გადგა, განცალკევდა თვით ყველაზე ახლო მეგობრებისგანაც კი. მეტი თავშეკავება გამოსჭვიოდა ადამიანთა მიმართ მის დამოკიდებულებაში. რაღაც ახალი დისტანცია გაჩნდა მასა და დანარჩენებს შორის, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფდათ. სხვებთან მისმა საუბარმა თანდათან პატაკების ჩაბარებისა და ბრძანებების გაცემის ხასიათი მიიღო, მისდამი ადამიანების დამოკიდებულებამ კი – მათ შორის ყველაზე ახლობელი ადამიანებისაც – ხელქვეითებისა და მეთაურის ურთიერთდამოკიდებულებისათვის დამახასიათებელი ფორმები შეიძინა. ყველა ჩვენგანი ცნობიერად თუ ინსტინქტურად შეეგუა ახალ რეალობას", – იგონებდა სოკოლნიცკი (MS, R 14, 17). ეს იმას ნიშნავდა, რომ პილსუდსკის უახლოესი თანამშრომლები თანდათან მის შტაბად იქცნენ, თუმცაღა, მინიმუმ ომის დაწყებამდე ეს „საშტაბო" ურთიერთობა სუფთა მეგობრულ კავშირებთან იყო გადაჯაჭვული. დროთა განმავლობაში, მეთაურის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების მხრივ ერთგვარი სპეციალიზაციაც ჩამოყალიბდა. თანამშრომელთა ერთი ნაწილი, რომლებსაც პრინციპში უფრო მრჩევლების სტატუსი ჰქონდათ, ვიდრე დავალებათა შემსრულებლებისა – სუფთა პოლიტიკურ საქმიანობაზე კონცენტრირდა (იოდკო, სლავეკი, ვაშილევსკი, სოკოლნიცკი). იგივე შეიძლება ითქვას პოლონეთის სოცპარტიის შემადგენლობაზეც (სულკევიჩი, იავოროვსკი). მეორე ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ, სამხედრო მომზადებებში ჩაერთვნენ, ისე, რომ პოლიტიკისთვისაც თავი არ დაუნებებიათ (იგივე სოკოლნიცკი, კუკელი, კრინიცკი, შიკორსკი). პილსუდსკი ხელქვეითებისათვის უპირობო ავტორიტეტს წარმოადგენდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი მათ შორის ასაკობრივი სხვაობაც იყო. ეს სამხედრო მოძრაობის ოდინდელ მომხრეთა ჯგუფი იყო, რომლის წევრებიდან უმეტესობა მომავალში I ბრიგადის ოფიცრები და „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციის" (POW) შემადგენელი

ნაწილი გახდა. მიუხედავად მეთაურის უზომო ავტორიტეტისა, ძნელი სათქმელია, რომ ხელქვეითები მის აზრს, როგორც უალტერნატივო წინასწარმეტყველებას, ისე იღებდნენ. აქ გადამწყვეტ როლს მაინც პილსუდსკის პოლიტიკური ალღო, დასაბუთების ნიჭი, მსმენელამდე უკიდურესად ზუსტად მიღწევის უნარი და, რაც ყველაზე მთავარია, გამორჩეული ქარიზმა თამაშობდა. უეჭველია, რომ იუზეფი ახალგაზრდა თაობას სრულიად განსხვავებულად უყურებდა და არა ისე, როგორც მის თანატოლებს. იგი ახალგაზრდებში ხედავდა ყველა იმ იმედის ასრულებას, რომლებიც პოლონეთის სახელმწიფოს აღორძინებას უკავშირდებოდა. „ჩვენ გამოცდა ვერ ჩავაბარეთ", – ამბობდა პილსუდსკი 1912 წელს. „თქვენ ახლა საშუალება გაქვთ, რომ საკუთარი თვალით დააკვირდეთ ცისკარს, რომელიც სადაცაა დადგება. იქნებ ოდესმე ჩვენ ნაცვლად ჩააბაროთ ეს გამოცდა ისე, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის არ შეგეშინდეთ" (JP III, 146). ამ თაობისათვის პილსუდსკი მხოლოდ „კომენდანტი", მხოლოდ „მეთაური" შეიძლებოდა ყოფილიყო!

მსოფლიო ომი, რომელსაც პოლონური მიწების მოსახლეობის მცირე ნაწილი იმედით, ხოლო უდიდესი უმრავლესობა შიშნარევი მღელვარებით ელოდა, პილსუდსკის ცხოვრებაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისს მოასწავებდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უპირველესი მიზანი, რომლისთვისაც „მთავარი კომენდანტი" თავისი მსროლელების მობილიზებას ახდენდა, დამოუკიდებელი პოლონეთი იყო. უპირველეს მტერს კი რომელიც ამ მიზნის მიღწევას წინ ეღობებოდა, მეფის რუსეთი წარმოადგენდა. თავისუფლების ბრძოლით მოპოვება, პირველ რიგში, ხალხის მხარდაჭერით უნდა მომხდარიყო. ამავდროულად, მხოლოდ თავისუფლების მოპოვების შემდეგ უნდა გაცემულიყო პასუხი კითხვაზე, თუ რა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და თუნდაც ტერიტორიული ფორმა უნდა მისცემოდა სახელმწიფოს. დამპყრობელთა ერთმანეთთან შეტაკება საჭირო საერთაშორისო კონიუნქტურას ქმნიდა, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელი იყო ერთ-ერთი მებრძოლი მხარის მხარდაჭერა (ან მინიმუმ, მისი

მხრიდან ტოლერანტობის გამოვლენა მაინც). ამ როლისათვის ყველაზე უკეთ ჰაბსბურგების მონარქია გამოდგებოდა. იგი ერთადერთი სახელმწიფო გამოდგა, „რომლის ტერიტორიაზე არსებული პირობებიც პოლონური შეიარაღებული ძალების შექმნის საშუალებას იძლეოდა. ამ შეიარაღებულ ძალას თავისი სიტყვა ომის დასასრულს უნდა ეთქვა, როდესაც ყველა მხარე ილაჯგაწყვეტილი იქნებოდა ბრძოლისაგან, და არა მანამდე, სანამ დამპყრობელი იმპერიები ჯერ კიდევ ბრძოლის ჟინით და ენერგიით იქნებოდნენ სავსე". წლების შემდეგ პილსუდსკი აღიარებდა: „თუკი დავრწმუნდებოდი, რომ სამხედრო საქმის კეთება რომელიმე სხვა დამპყრობლის ტერიტორიაზე უფრო ადვილი იქნებოდა, ერთი წუთითაც არ შევყოყმანდებოდი და იმ დამპყრობელთან წავიდოდი ამის გასაკეთებლად, მიუხედავად იმისა, ჩვენი აღმოსავლელი მეზობელი იქნებოდა ეს თუ გერმანია" (JP V, 267-268). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ინტერესთა დროებითი ერთობის გამოყენება სულაც არ ნიშნავდა ძლიერი მხარისადმი სრულ დაქვემდებარებას. პილსუდსკი ყველა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენებას აპირებდა, რათა ძალთა შორის არსებული მკაფიო უთანასწორობის ნიველირება მოეხდინა. შესაბამისად, პატრიოტთა ავანგარდის მიერ პოლონეთის სამეფოში „საომარი აგიტაციით" გაღვივებული შეიარაღებული აჯანყება შემდგომი დამოუკიდებელი მოქმედებების საფუძველი უნდა გამხდარიყო. რაც უფრო ძლიერი იქნებოდა ეს „აფეთქება", მით უფრო მეტად გაუწევდნენ „შემთხვევითი მოკავშირეები" ანგარიშს პოლონური მხარის მოთხოვნებს, რომლებიც განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების მიერ ულერდებოდა. ამრიგად, გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მსოფლიო მასშტაბის გიგანტურ ბრძოლებში „პოლონურ მახვილსაც უნდა გაებრწყინა", ადრინდელი გეგმებისა და მზადების შედეგი იყო. თვითონ პილსუდსკი კი გონებამახვილურად აღნიშნავდა, რომ „მიუხედავად იმისა, თუ ვინ იმარჯვებს ომში, ამ ომის დასასრული, პირველ რიგში, დამარცხებულის სისუსტეს ნიშნავს" (JP V, 266). ეს შენიშვნა, სხვათა შორის, ბევრად უფრო ფრთხილია, ვიდრე 1914 წლის და-

საწყისში ვიქტორ ჩერნოვისათვის გაზიარებული მოსაზრებები, სადაც პილსუდსკი ვარაუდობს, რომ მსოფლიო არეულობის შემთხვევაში გამარჯვების სასწორი აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაინაცვლებს. ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ კომენდანტს სიტუაციის განვითარების სხვადასხვა ვარიანტის განჭვრეტისა და მათთვის შესაბამისი ტაქტიკის მისადაგების შესანიშნავი უნარი გააჩნდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, პილსუდსკის აზრით, მოსალოდნელი „საყოველთაო ომის" ფინალი პოლონეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ იდეის განხორციელება საზოგადოების ძალზე დიდ ჩართულობას საჭიროებდა.

ომის მოსალოდნელობის მიუხედავად, მისმა დაწყებამ პილსუდსკი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. 28 ივლისს, როცა ავსტრია-სერბეთის ომი უკვე ფაქტად იქცა, კომენდანტს ამ კონფლიქტის ლოკალიზების იმედი ჯერ კიდევ ჰქონდა. მას ნაკლებად წარმოედგინა, რომ ეს საომარი შეტაკება გლობალურ, ყოვლისმომცველ ომში გადაიზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ერთი დღის შემდეგ პილსუდსკი უკვე პირველ სამობილიზაციო ბრძანებებს გასცემს, ხოლო 3 აგვისტოს, კრაკოვის ბლონიას პარკში, ეგრეთ წოდებულ „ოლეანდრებში", საკადრო ასეულს აყალიბებს. ფორმირება, რომელიც 144 მებრძოლს ითვლიდა, ძირითადად „მსროლელთა კავშირების" და მათი მოძმე „მსროლელთა რაზმების" ოფიცერთა სკოლების კურსანტებისგან შედგებოდა. უდავოა, რომ ეს ადამიანები შემდგომში მომავალი პოლონური არმიის საკადრო საძირკვლად იქცნენ. ზუსტად ასე განსაჯა პილსუდსკიმ, როდესაც მებრძოლების წინაშე ერთ-ერთი გამოსვლისას მათ მიმართა: „გიცქერთ თქვენ და ვხედავ კადრებს რომელთაგანაც მომავალში პოლონური ჯარი შეიქმნება" (JP IV, 8).

პილსუდსკისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო, რომ მებრძოლების წინაშე გამოსვლებისას პოლიტიკური ხასიათის თემებსა და ტაქტიკურ თუ ქვეყნის ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს არ უღრმავდებოდა. იგი ცდილობდა, ზედმეტი „ფილოსოფიით" თავი არ მოებეზრებინა ადამიანებისთვის,

რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე გაცნობიერებულად დააყენეს რისკის ქვეშ. მოხალისეებს, რომლებსაც იგი აგროვებდა, ერთი უმთავრესი ამოცანა ჰქონდათ – მათ დამოუკიდებელი პოლონეთისთვის უნდა ებრძოლათ. ზუსტად პილსუდსკის მიერ ხაზგასმით დეკლარირებული ეს იდეა იზიდავდა ახალგაზრდებს, თავდაპირველად „მსროლელთა კავშირების“ ხოლო შემდეგ უკვე – ლეგიონის რიგებში. მართალია, მოხალისეთა რაოდენობა მთლიანობაში დიდი არ ყოფილა (მთელი ომის პერიოდში მათ რიგებში დაახლოებით 42 ათასმა ადამიანმა გაიარა), მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ისინი პატრიოტი და სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეით გულანთებული ადამიანები იყვნენ. ცნობილი ფაქტია, რომ იმ დროის რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსებისათვის დამოუკიდებლობა რაღაც სრულიად ირაციონალურს წარმოადგენდა, პილსუდსკიმ კი ეს იდეა აბსოლუტურად გაცნობიერებულად დააყენა შეუფასებელი ღირებულებების რიგში – ისეთი ღირებულებების, რომლებსაც იგი მოგვიანებით „ძნელად შესაფასებელ, მაგრამ სიტუაციაზე არსებითი გავლენის მომხდენ ფაქტორებს“ უწოდებდა. ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ავსტრო-პოლონური ვარიანტის შერჩევის კვალად, კომენდანტი ცდილობდა, რომ მოხალისეთა რიგებში დაგროვილი იდეური კაპიტალი ფუჭად არ გაფანტულიყო წვრილმანი, ერთი შეხედვით ადვილად მისაღწევი მიზნების დევნაში.

6 აგვისტოს, სისხამ დილით დაწყებულმა მსროლელთა ეპოპეამ მოსალოდნელი გამოხმაურება ვერ ჰპოვა. ეს განსაკუთრებით პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე იგრძნობოდა. მსროლელებს არა ენთუზიაზმით სავსე ხალხის მასები, არამედ მიხურული დარაბების მიხეთქების ხმა ეგებებოდა. მოხალისეების ძირითადი ნაწილი „ცუდად შეიარაღებულ და აღჭურვილ მცირე რაზმებს წარმოადგენდა“. მანლიხერის თანამედროვე შაშხანები მხოლოდ ელიტარული საკადრო ნაწილის წევრებს ჰქონდათ, დანარჩენების განკარგულებაში კი მოძველებული, ერთსატენიანი „ვერნდლის“ მარკის თოფები იყო. ჩანასახობრივ მდგომარეობაში იყო საინტენდანტო სამსახური.

არც სანიტარული სამსახური იყო უკეთეს მდგომარეობაში, მსროლელთა რაზმების მომზადება კი უკიდურესად სამოყვარულო დონეზე იდგა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რაზმების მოქმედებებმა გალიციის მმართველ კონსერვატორებსა და დემოკრატებს პოლიტიკური ნაბიჯებისკენ უბიძგა. ვინაიდან აჯანყებულთა წარუმატებლობა მთელი წამოწყების ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო, გადაწყდა, რომ იგი ავსტრო-პოლონურ სამხედრო ინიციატივად გარდაექმნათ, რომლის პოლიტიკურ გამოვლინებადაც კრაკოვის მთავარი ეროვნული კომიტეტი იქცა. ეს კომიტეტი განახორციელებდა მეურვეობას მოხალისეთა ფორმირებებზე – პოლონურ ლეგიონებზე, რომლებიც ჰაბსბურგთა მონარქიის ჯარების მხარდამხარ იბრძოდნენ. ამ რაზმების საერთო ხელმძღვანელობა ავსტრიული არმიიდან დელეგირებულ ოფიცრებს დაევალათ, ხოლო პილსუდსკი დასავლეთი ლეგიონის 1-ელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. მოგვიანებით, პილსუდსკის ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ, რომ მათ მიერ დაკავებულ ქალაქ კელცეში ავსტრო-უნგრეთის მონარქისთვის მიეცათ ერთგულების ფიცი...

სექტემბრის მეორე დეკადიდან მოყოლებული, კომენდანტმა ფასეული საფრონტო გამოცდილების შეძენა დაიწყო. ქალაქ კელცეს დატოვების შემდეგ პილსუდსკის ძალები თავდაპირველად ვისლის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაკვეთს იცავდნენ. მოგვიანებით ისინი ვარშავის ასაღებად ორგანიზებულ შეტევაში მონაწილეობდნენ, რომლის მარცხით დამთავრების შემდეგ, ავსტრიული არმიის ფაქტობრივად პანიკური უკანდახევის პირობებში, პილსუდსკიმ უკიდურესად სარისკო არჩევანი გააკეთა – მან გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებლად მოეხდინა გარღვევა კრაკოვისაკენ. ეს გადაწყვეტილება, რომელიც თითქმის დაუმორჩილებლობას ესაზღვრებოდა, მხოლოდ იმ ფაქტით არ იყო ნაკარნახევი, რომ საიმპერატორო-სამეფო არმიასთან ერთობლივი უკანდახევა ძალზე გაძნელდა. პილსუდსკის, ერთი მხრივ, პოლონური მიწების დატოვება არ უნდოდა, ხოლო მეორე მხრივ, პოლონელთა და

ავსტრო-უნგრელთა ერთობლივი უკანდახევის მარშრუტი თანდათან ცხადყოფდა, რომ ისინი უმალ ვროცლავში ან პრაღაში მოხვდებოდნენ, ვიდრე კრაკოვში. რუსების შეტევამ ამ მომენტისთვის თავის აპოგეას მიაღწია და ამიტომაც 1-ელი პოლკის მეთაური წინასწარ იყო შეგუებული იმას, რომ პირადად მისი და მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამებრძოლების საბოლოო ხვედრი ყველაზე უფრო ტრაგიკული შეიძლებოდა ყოფილიყო. პილსუდსკიმ გადაწყვიტა, რომ პოლონელებს ნებისმიერ ფასად უნდა მიეღწიათ კრაკოვამდე, ხოლო თუკი კრაკოვის კედლებში თავდაცვა შეუძლებელი გახდებოდა მაშინ სარეზერვო ვარიანტად პოდჰალეს რეგიონი რჩებოდა. „როდესაც ჰეკატომბის[38] დრო დადგება, სჯობს ეს მაღლა, მთებში მოხდეს, იქ იგი უფრო ისტორიული, უფრო სანახაობრივი იქნება, იქ ჩვენს ბედისწერას თავისუფლები შევხვდებით", – ამბობდა პილსუდსკი (JP IV, 255). შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კრაკოვისაკენ პოლკის სამი ბატალიონი გაეშურა ვლადისლავ ბელინა-პრაჟმოვსკის[39] ულანებთან ერთად. ეს თავზეხელაღებული გადაწყვეტილება მართლა შეიძლებოდა ჰეკატომბით დასრულებულიყო, რადგანაც იგი, ყველაფერთან ერთად, არასწორ ინფორმაციასაც ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთისაკენ მიმავალი რუსეთის ჯარის ნაწილებს შორის თითქოს ერთგვარი კორიდორი არსებობდა. მხოლოდ და მხოლოდ შაშხანებით შეიარაღებულ პოლონელ მებრძოლებს რუსეთის ჯართან გადაყრის შემთხვევაში გარდაუვალი და სრული მარცხი ელოდათ.

მძიმე და დამღლელი მარშის შემდეგ პილსუდსკის ძალებმა 10 ნოემბრის გამთენიისას სოფელ ულინა მალას მიაღწიეს. აღმოჩნდა, რომ მათ მისვლამდე აქ უკვე კაზაკებს მოესწროთ ყოფნა, ხოლო ცოტა ხანში აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან

[38] ჰეკატომბა – ხარების რიტუალური, საზეიმო მსხვერპლშეწირვა ძველ საბერძნეთში.

[39] ვლადისლავ ზიგმუნტ ბელინა-პრაჟმოვსკი (1888-1938) – პოლონელი მხედართმთავარი, პოლკოვნიკი, პოლონური კავალერიის ფუძემდებელი, კრაკოვის მერი (1931-1933), ლვოვის ვოევოდა (1933-1937).

მტრის კავალერიის მრავალრიცხოვანმა რაზმებმა იწყეს მოახლოება. ლეგიონერები ხაფანგში აღმოჩნდნენ. უკანდახევის ვარიანტი არც კი განიხილებოდა. ამიტომაც, რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა – კრაკოვისაკენ, თუმცა ამ გზაზე ტყიანი მასივების არარსებობის გამო ძალზე დიდი იყო იმის რისკი, რომ პოლონელთა რაზმი მტრის თვალთახედვის არეში მოხვდებოდა. რუსები თავიანთ სრულ უსაფრთხოებაში დარწმუნებული იყვნენ და ამიტომაც პილსუდსკის რაზმის მათთან მოულოდნელი გადაყრა პოლონელებს გამარჯვების მცირე შანსს მაინც უტოვებდა. 11 ნოემბერს, სამდღიანი მარშის შემდეგ, პილსუდსკის რაზმმა დანაკარგების გარეშე მიაღწია კრაკოვს და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ გზაში ტყვეების აყვანაც კი მოახერხეს. ერთი შეხედვით წარმოუდგენელი საქციელი ფაქტად იქცა.

წლების შემდეგ პილსუდსკი სიამაყით იხსენებდა ულინას მარშს. როგორც იგი ამბობდა, დიდი ომის განმავლობაში მას არასოდეს გაუწევია იმხელა რისკი მიზნის მისაღწევად, როგორიც 9 ნოემბერს გასწია. მან ბედის სასწორზე არა მარტო თავისი სიცოცხლე, არამედ მისთვის ყველაზე უფრო ფასეული რამ დადო – ის, რასაც იგი „პოლონური არმიის ჩანასახს“ უწოდებდა. ძნელია გაგვიკვირდეს მის მიერ მოგვიანებით გამოთქმული აზრი: „მხოლოდ ულინას შემდეგ ვირწმუნე საკუთარი თავის და ჩემი ძალების. ალბათ ამ ამბის დამსახურება იყო ისიც, რომ შემდგომში ჩემი ჯარისკაცებისგან არაერთხელ მსმენია ასეთი სიტყვები: ამის მერე ჩვენს კომენდანტს ყველგან გავყვებით! თუკი მან შეძლო და ულინადან გამოგვიყვანა, მაშინ ყოველთვის შეგვიძლია მასთან ერთად მშვიდად ვიყოთ“. გიჟურმა გადაწყვეტილებამ პილსუდსკის სრული წარმატება და ხელქვეითების პრაქტიკულად ირაციონალური რწმენა მოუტანა. ჯარისკაცებს სჯეროდათ, რომ მეთაური მათ ნებისმიერ, ყველაზე ჩახლართულ სიტუაციებშიც კი იხსნიდათ. საბედნიეროდ, ჯარისკაცებმა მაშინ არ იცოდნენ ის, რასაც პილსუდსკი მოგვიანებით თვითონაც იხსენებდა და რაც კაზი-

მეჟ შვიტალსკიმ[40] თავის დღიურშიც აღნიშნა: „მთელი იმ გზის განმავლობაში ისეთ დღეში ვიყავით, რომ ჩვენს ტანსაცმელზე მყოფი ყველა რწყილიც კი შიშისგან დაიხოცა...“

კრაკოვის ციხესიმაგრეში მცირეხნიანი დაყოვნების შემდეგ პილსუდსკის ჯარისკაცები პოდჰალეში[41] აღმოჩნდნენ, პოლონეთის ულამაზესი მთების – ტატრების მთისწინეთში. იქ, დაბა ლიმანოვასთან, რაზმი პერიოდულ, თავდასხმით შეტაკებებს აწარმოებდა რუსებთან და აუცილებელ საბრძოლო გამოცდილებას იძენდა. პილსუდსკი სწრაფად ეუფლებოდა სამხედრო საქმეს, მაგრამ ძნელია არ შევნიშნოთ, რომ საველე პრაქტიკიდან მიღებულ ცოდნაში ჯერ კიდევ დიდი ხარვეზები ჰქონდა. ამის დასტურად, პირველ რიგში, ნოვი სონჩზე შეტევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და მისი შედეგები გამოდგება. იუზეფმა ბელინას რაზმი მდინარე დუნაეცის გაღმა გააგზავნა, რათა უკან დახევის პროცესში მყოფი (როგორც მას მცდარად ეგონა) მტრის რიგებში არევ-დარევა გამოეწვია. თუმცაღა რეალობა სხვანაირი აღმოჩნდა... უკანდახეული რაზმების ნაცვლად პოლონელებს ადგილზე რუსების არტილერია დახვდათ, რომელსაც დამატებით, ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ქვეითი ჯარი იცავდა. პილსუდსკი მიხვდა, რომ მან რაზმი არა ნოვი სონჩიდან ევაკუაციის პროცესში მყოფ რუსულ ნაწილებზე თავდასასხმელად, არამედ მთელ კორპუსთან საბრძოლველად გაუშვა, რომელიც თვითონ ცდილობდა სრულყოფილი შეტევის განხორციელებას! საბედნიეროდ, ლეგიონერებმა დიდი დანაკარგების გარეშე მოახერხეს უკან დახევა. მათი გაუაზრებელი თავდასხმის ერთადერთი დადებითი შედეგი ის იყო, რომ მან რუსული დივიზიის მოძრაობა მნიშვნელოვნად შეაფერხა...

მიუხედავად ყველაფრისა, საზრიანობისა და სიმამაცის ერთიანობის წყალობით, ლეგიონის ჯარისკაცებს თავიანთ ანგარიშზე მართლაცდა შთამბეჭდავი წარმატებები დაუგროვ-

---

[40] კაზიმეჟ შვიტალსკი (1886-1962) – პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი 1929 წელს.

[41] პოდჰალე – რეგიონი პოლონეთის სამხრეთ ნაწილში.

დათ. როგორც პილსუდსკი ამბობდა, „ჩვენი პირველივე გამოსვლა საბრძოლო თეატრის სცენაზე ხანგრძლივი ეფექტის მქონე ტრიუმფი აღმოჩნდა, რომელმაც გარშემომყოფთა აღიარება და პატივისცემა მოგვიტანა". ეს ტრიუმფი იყო ულანთა მთელი ესკადრონის ტყვედ აყვანა, რასაც, ავსტრო-უნგრეთის არმიაში გამეფებული პანიკური განწყობების გათვალისწინებით, უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, „მით უმეტეს, რომ კავალერიის მთელი საჯარისო ნაწილის ტყვედ აყვანა ომებში ზოგადად იშვიათად ხდება", – ხაზს უსვამდა პილსუდსკი (JP IV, 308-309). პოდჰალეში წარმოებულ საომარ კამპანიას კომენდანტი კიდევ ერთი მიზეზის გამოც იხსენებდა დადებითად. ეს მიზეზი ადგილობრივ მოსახლეობასთან არსებული ურთიერთობები იყო. მსროლელთა რაზმისადმი ადგილობრივთა დამოკიდებულება სრულიად საპირისპირო იყო იმ დამოკიდებულებისა, რასაც „სამეფოს" ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. პილსუდსკი ასე აღწერდა პოდჰალეს რეალიებს: „არაფრის ძებნა არ გვჭირდებოდა, რადგანაც ყველაფერი, რასაც კი სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი ჯარისკაცის სული ისურვებს – თავისთავად გვქონდა. აქ მე სამშობლოში ვგრძნობდი თავს, ვგრძნობდი, რომ მისთვის საჭირო ვიყავი როგორც დამცველი. კარიდან კარამდე, ყოველი მთიელი მემამულე თუ მისი მეუღლე, მოქალაქე თუ გლეხი – ყველანი პირდაპირ ეძებდნენ შესაძლებლობას, რომ რაიმეთი დაგვხმარებოდნენ ან სულ მცირე თავიანთი სიმპათია მაინც გამოეხატათ ჩვენდამი" (JP IV, 319). ასეთ ატმოსფეროში პილსუდსკის ჯარისკაცები თავს, რა თქმა უნდა, პოლონეთის ნამდვილ, სახალხო ლაშქრად გრძნობდნენ. მალე უკვე ლეგიონის 1-ელი ბრიგადის სტატუსით მებრძოლებს ძალზე მკაცრი გამოცდის ჩაბარება მოუწიათ – 22-25 დეკემბერს ლოვჩუვეკთან გამართულ სისხლიან ბრძოლაში (რაზმს ამ ბრძოლაში სოსნკოვსკი მეთაურობდა, რადგანაც პილსუდსკი ამ დროს კრაკოვში იმყოფებოდა).

უნდა აღინიშნოს: პილსუდსკის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯარისკაცს, სუფთა საბრძოლო ღირსებების გარდა, ისიც გამოარჩევდა, რომ იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რეგულა-

რულ არმიაში გაწვეული ჯარისკაცებისაგან. კომენდანტის მიერ გამიზნულად დანერგილი დეტალები, რომლებიც ადვილი შესამჩნევი იყო – ჩანდა მუნდირში, არმიულ წეს-ჩვეულებებში და ადამიანურ ურთიერთობებში (მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმა – „მოქალაქე", რომელსაც საფუძველი ნაპოლეონის ლეგიონებში დაედო). ეს ყველაფერი არა მარტო სამხედრო ფორმირების წევრების ინტეგრაციას ან მათი დროებითი, „შავ-ყვითელი" მოკავშირისაგან მკაფიო დისტანცირებას ემსახურებოდა – ამ გზით ლეგიონებში და, განსაკუთრებით კი, 1-ელ ბრიგადაში ხელახლა იქმნებოდა საკუთარი სამხედრო ტრადიცია, რომელიც იანვრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ გაქრა. ეს ის ტრადიცია იყო, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელი პოლონეთის რესპუბლიკის ახალ არმიას უნდა გადასცემოდა. უნდა ითქვას, რომ 1-ელ ბრიგადაში ადრეულ ეტაპზევე გახდა შესამჩნევი ბელადის კულტის ფორმირების სიმპტომები, მაგრამ მას კატეგორიული ხასიათი არასდროს შეუძენია. მართალია, პილსუდსკი თავისი ხელქვეითებისათვის ურყევ ავტორიტეტს წარმოადგენდა როგორც პოლიტიკურ, ისე მორალურ ჭრილში, მაგრამ ეს დამოკიდებულება ბრმა მორჩილებაში არასოდეს გადაზრდილა. ამავდროულად, ძნელია 1-ელი ბრიგადა მიუკერძოებელი სამხედრო ფორმირება ყოფილიყო, მაშინ როდესაც იგი ასეთი გულანთებული და ენერგიული ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, რომლებსაც მშვიდობიანობის პირობებში თავისუფლად შეეძლოთ მნიშვნელოვანი თანამდებობებისა და პოსტების დაკავება, სადაც მაღალი ინტელექტუალური და ორგანიზაციული უნარები იყო საჭირო. იმ პერიოდში ჩამოყალიბებული ფორმულა – „კომენდანტმა იცის, რასაც აკეთებს!" – არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში მტრული რეალობიდან გაქცევის მცდელობას კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულიად გაცნობიერებულად არჩეული ცხოვრებისეული გზის სისწორის დასტური იყო.

1915 წლის დასაწყისში, კენტის[42] მიდამოებში მცირე შესვენების შემდეგ პილსუდსკის რაზმი მდინარე ნიდას ნაპირებზე

[42] კენტი – ქალაქი პოლონეთის სამხრეთში, მალოპოლსკას რეგიონში.

აღმოჩნდა. 1914 წლის სამხედრო კამპანიისგან განსხვავებით, ახლა ლეგიონერებმა პოზიციურ ომს გაუგეს გემო. პილსუდსკისთან დაკავშირებული იმდროინდელი მოგონებებიდან ერთი სასაცილო, მაგრამ ამავე დროს ძალზე ნიშანდობლივი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ. ეს არის ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გადაეყარა ბრიგადირი მსროლელ იუზეფ ლასს სანგრების დათვალიერებისას. ეს იმ მომენტში მოხდა, როდესაც „უეცრად, პოლონელთა სანგრიდან ეული გასროლა გაისმა, რომლის ავტორიც მთიელი ჯარისკაცი, გვარად ლასი იყო. კომენდანტი შედგა. „რას ესვრი, ჭაბუკო?" – შეეკითხა იგი ლასს, რომელიც ამ მომენტში შაშხანის გადატენას აპირებდა. „– სასროლი ჯერ არავინა ჩანს და ამიტომაც აიმ საკვამურს ვესვრი" – უპასუხა ლასმა მისთვის დამახასიათებელი კილოთი. „– რა საკვამურს?" – ჩაეძია კომენდანტი. „– აიმ საკვამურსა, აგე, მოსკალების მიწურიდან რო ამოჩრილა". კომენდანტმა ჭოგრიტში გაიხედა. როგორც ჩანს, მანაც შენიშნა მიზანი. „– მერე, მოახვედრეთ?" „– ჯერ არა, მაგრა ხელს თუ არ შემიშლით, შეიძლება მოვახვედრო კიდეცა" – მიუგო ლასმა. „გავშეშდი – იხსენებდა იმდღევანდელ ამბავს 1-ელი ბრიგადის ოფიცერი ტადეუშ ალფ-ტარჩინსკი, რომელიც მაშინ პილსუდსკის თან ახლდა – კომენდანტს კი თითქოსდა არც გაუგიაო ჯარისკაც ლასის პასუხი, კაპიტან ოლშინასთან განაგრძობდა საუბარს. შემდეგ ლასის შაშხანაზე მიმითითა და მითხრა: „ – შეხედეთ, რა დაჟანგული საკეტი და ლულა აქვს!" ...და მაშინ მოხდა ისეთი რამ, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა... მსროლელი იუზეფ ლასი – შემდგომში 1-ელი ბრიგადის კაპრალი, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით ორდენ „Virtuti Militari"-ს[43] კავალერი იუზეფ ლასი – ფართოდ გაიღრიჭა და... გააკეთა ის, რაც ალბათ მის მეტს, დედამიწის ზურგზე არავის გაუკეთებია – კომენდანტს ხელი მეგობრულად დაჰკრა მხარზე და დამაჯერებელი ხმითა და ღრმა რწმენით მოახსენა: „მოქალაქე კომენდანტო, ეს ლულა გარედანა სჩანს ესეთი ჟანგიანი, თორე

[43] Virtuti Militari – პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდო.

შიგნიდან სულაც არ არი, შიგნიდან ტყვიითა ვწმინდავ...“ (A-T, 25-26). ვერც ერთ რეგულარულ არმიაში ასეთი ინციდენტი ვერ მოხდებოდა, თუნდაც მთიელი ლასის ბუნებრივად ლაღი და მოუთოკავი ხასიათის გათვალისწინებით. ეს პატარა ისტორია ნებისმიერ ღრმა, ფსიქოლოგიურ ანალიზზე უკეთ გვიხსნის, თუ რატომ იყო პილსუდსკი ლეგიონის მებრძოლებისთვის უბრალოდ „ბაბუ“.

მას შემდეგ, რაც ცენტრალური ბანაკის[44] სახელმწიფოების ჯარებმა გორლიცეს მიმდებარედ გამავალ ფრონტის ხაზზე გარდატეხა შეიტანეს, მაისის პირველ რიცხვებში მდინარე ნიდას ნაპირებიდან დაძრული 1-ელი ბრიგადა უკანდახეულ რუსულ ნაწილებს დაედევნა. იმ მრავალრიცხოვან შეტაკებებს შორის, რომლებიც პოლონურმა რაზმებმა ამ გზაზე განახორციელეს, აღსანიშნავია მაისის შუა რიცხვებში კონარისთან გამართული ბრძოლა. მომდევნო ბრძოლები ტარლუვთან, უჟენდუვთან და იასტკუვთან გაიმართა, რის შემდეგაც პილსუდსკის ლაშქარი ლუბლინში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ეს სტილი დროსთან შეჯიბრს უდრიდა, რადგანაც მარშის ასეთი ტემპი გაქცეულ კაზაკთა ნაწილებს დროს აღარ უტოვებდა, რომ „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკა გამოეყენებინათ. ლუბლინიდან ლეგიონმა ვოლინის[45] მიწებისკენ გასწია, სადაც ლეგიონის სამი ბრიგადა პირველად აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ პილსუდსკის მეთაურობის ქვეშ მყოფმა მსროლელთა ავანგარდმა თავისი გამოსვლით პოლონურ საზოგადოებას ფუნდამენტური კითხვა დაუსვა – იყო თუ არა იგი მზად ახალი ეროვნული აჯანყებისათვის. ეს კითხვა, პირველ რიგში, ეგრეთ წოდებული „კონგრესის სამეფოს“ მიწებზე მცხოვრებთაკენ იყო მიმართული. უკიდურე-

[44] ცენტრალური ბანაკი – სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი პირველი მსოფლიო ომის დროს, რომელშიც გერმანიის იმპერია, ავსტრო-უნგრეთი და მათი მოკავშირე სახელმწიფოები შედიოდა.

[45] ვოლინი – რეგიონი დასავლეთ უკრაინაში.

სად სარისკო „ომით აგიტაციამ“ აშკარა ფიასკო განიცადა, დაგეგმილი ეროვნული აჯანყება ჩვეულებრივ, შეიარაღებულ დემონსტრაციად გადაიქცა, ხოლო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა კი მნიშვნელოვნად გაგრძელდა. 1915 წლის ზაფხულამდე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ლეგიონის ბრიგადირი პოლიტიკურ ნარუმატებლობას შეეგუა და მზად იყო, რომ უკვე პოლიტიკური თვალსაზრისითაც ავსტრო-პოლონური ვარიანტისთვის დაეჭირა მხარი. თუმცა ეს მხოლოდ მოჩვენებითი რეალობა იყო, რომელიც ახალი გარემოებების გაჩენის შემდეგ გაქრა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „სამეფოდან“ რუსები განდევნეს.

1915 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში პილსუდსკი პირდაპირ ფრონტიდან ვარშავაში ბრუნდება და „პოლონური საკითხის ფსონის აწევას“ აცხადებს. ბრიგადირი უკვე მაშინ იყო დარწმუნებული, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ომი პოლონეთისთვის არ წარმოებდა, ეს ქვეყანა დამპყრობელთა სამხედრო-პოლიტიკურ თამაშში ინტერესის საგანი ხდებოდა“ (JP V, 270). ამ მომენტიდან კომენდანტი თავის თამაშში იმ მცირე კოზირების გამოყენებას იწყებს, რომლებიც მას მაშინ გააჩნდა და ცდილობს „ცენტრალური სახელმწიფოები“ აიძულოს, რომ პოლონეთისათვის სახარბიელო გადაწყვეტილებები მიიღონ. ფსონების აწევის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მორიგი მიზნის მიღწევის კვალდაკვალ მოთხოვნების თამასა სულ უფრო მაღლა უნდა აწეულიყო, ხოლო პილსუდსკის კოზირებს კი ისევ და ისევ „ჭირვეული“ ლეგიონები და „მოჩვენებითი“ სამეფო წარმოადგენდა.

ამ გზაზე პირველ თვალსაჩინო მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ ლეგიონებში მოხალისეთა მიღების შეჩერება. ამ ნაბიჯს „სამეფოს“ მოჩვენებითობა უნდა გაეღრმავებინა, თუმცა, თავდაპირველად, მან თვით ბრიგადირის ყველაზე გულმხურვალე მომხრეებშიც კი ვერ ჰპოვა გაგება. რა თქმა უნდა, პილსუდსკის უარი არ უთქვამს ძლიერი პოლონური არმიის მშენებლობაზე, რომელიც „ცენტრალური სახელმწიფოების“ ჯარების

მხარდამხარ იბრძოლებდა, მაგრამ იგი დაბეჯითებით მოუწოდებდა მოწინააღმდეგეებს (განსაკუთრებით „მთავარი ეროვნული კომიტეტის“ სამხედრო დეპარტამენტის ხელმძღვანელ ვლადისლავ შიკორსკის[46]), რომ თავი შეეკავებინათ ამ იდეის ნაჩქარევი განხორციელებისაგან. კომენდანტის აზრით, ამ ნაბიჯის ინიციატორად პოლონური მხარე არ უნდა გამოსულიყო. იგი თვლიდა, რომ თვით „ცენტრალურ სახელმწიფოებს“ უნდა დაეწყოთ „მოლაპარაკება დახმარების პირობების შესახებ“. ასეთი მომენტი კი მაშინ უნდა დამდგარიყო როდესაც „მოკავშირეები“ იძულებულნი გახდებოდნენ, რომ თავიანთი ჯარები დასავლეთ ფრონტზე გადაესროლათ და აღმოსავლეთი საზღვრების დასაცავად ახალი ჯარი დასჭირდებოდათ. პილსუდსკი მტკიცედ უსვამდა ხაზს თავის პოზიციას – მისი აზრით, „პოლონური არმიის შექმნის უფლება მხოლოდ პოლონურ მთავრობას უნდა ჰქონოდა“ (WS, 141).

პილსუდსკის „ფსონების აწევის“ ინიციატივა უფრო მეტ მხარდაჭერასა და მნიშვნელობას მოიპოვებდა, თუკი ისეთი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბება მოხდებოდა, რომელიც „ცენტრალური ბანაკის“ სახელმწიფოების მიერ დაკავებულ „სამეფოს“ მიწებზე მოქმედ ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ დაჯგუფებას გააერთიანებდა. პილსუდსკისა და მისი თანამოაზრეების თავგამოდებული მცდელობების მიუხედავად, საბოლოოდ ამ წამოწყებამ ფიასკო განიცადა. სასურველ პოლიტიკურ კონსოლიდაციამდე საქმე არ მისულა, თუმცა ბრიგადირი იმაზეც კი იყო თანახმა, რომ გუშინდელ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ეთანამშრომლა, რომლებიც კოალიციურ ორიენტაციას უჭერდნენ მხარს. სამაგიეროდ, აქამდე ერთიანი ანტირუსული ბანაკის რიგებში განხეთქილება მოხდა. პოლონური მიწების სამივე იმპერიიდან გამოხსნისა და პოლონეთის სრული დამოუკიდებლობის მომხრე პილსუდსკის და მის თანამოაზრეებს სულ უფრო მკვეთრად უპირისპირდებოდნენ არა

[46] ვლადისლავ ეუგენიუშ შიკორსკი (1881-1943) – პოლონელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, გენერალი, პოლონეთის ლტოლვილი მთავრობის პრემიერ-მინისტრი (1939-1943).

მარტო ავსტრო-პოლონური ორიენტაციის პოლიტიკოსები, არამედ ის ბანაკიც, რომელიც გერმანელებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას უჭერდა მხარს. პილსუდსკის მიერ შექმნილი ბანაკის რიგებში საკვანძო როლს თამაშობდა 1915 წლის დეკემბერში ჩამოყალიბებული „ცენტრალური ეროვნული კომიტეტი“ (CKN). რაც შეეხება ლეგიონების შიგნით არსებულ სიტუაციას, აქ კომენდანტი „ლეგიონების ლეგიონიზაციის“ ლოზუნგს იყენებდა, რაც პრაქტიკაში ლეგიონებიდან ავსტრიელი ოფიცრობის სრულ გამოდევნას ნიშნავდა. ამ უკანასკნელი იდეის ფორსირებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდა 1916 წლის თებერვლის შუა ხანებში შექმნილი პოლკოვნიკთა საბჭო. ნიშანდობლივია, რომ პილსუდსკი ამ ორგანოს ჩამოყალიბების ინიციატორი არ ყოფილა. საერთოდ, ასეთი რგოლის წარმოდგენა რეგულარულ არმიაში ცოტა ძნელიც კი იყო. ლეგიონების საქმეების ერთობლივად განხილვის მიზნით 1-ელი ბრიგადის ოფიცრებს II და III ბრიგადების პოლკების კომენდანტებმა მიმართეს. ეს ადამიანები 1915 წლის ზაფხულიდან პილსუდსკის ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ ვოლინის კამპანიის მიმდინარეობისას. პილსუდსკიმ დაუყოვნებლივ გამოიყენა ეს შესანიშნავი შესაძლებლობა, რათა ამ ფორუმზე საკუთარი ინიციატივები გაეჟღერებინა. ბრიგადირი უმალ მიხვდა, რომ მას არაჩვეულებრივად მოსახერხებელი შესაძლებლობა მიეცა, რათა შეექმნა პოლიტიკური ინსტიტუცია, რომელიც ფრონტიდან ბევრად უფრო ეფექტურ წნეხს განახორციელებდა „პოლონეთის სამეფოსა“ და გალიციის პოლიტიკურ ჯგუფებზე, ვიდრე ის ამას აქამდე პერსონალურად აკეთებდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სამეფოს“ ტერიტორიაზე პილსუდსკის გავლენების შეზღუდვას მისი ყოფილი თანამებრძოლი, პოლკოვნიკი ვლადისლავ შიკორსკი ცდილობდა, რომელიც ამ დროს „მთავარი ეროვნული კომიტეტის“ სამხედრო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მეორე მხრივ, ლეგიონების ჩარჩოებში კომენდანტის ინიციატივების ტორპედირებას ლეგიონების მთავარი შტაბის უფრო-

სი, კაპიტანი (ცოტა ხანში უკვე მაიორი) ვლოძიმეუ ზაგურსკი ახდენდა, რომელიც ავსტრო-უნგრეთის არმიის გენერალური შტაბის ნდობით აღჭურვილ პირს წარმოადგენდა.

ბრიგადირს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული იმედი, რომ „ფსონების აწევის" პრინციპით პოლიტიკოსებს დააინტერესებდა. მის ინტერესს განსაკუთრებით ის პოლიტიკოსები იწვევდნენ, რომლებსაც ავსტრიული მიმართულებით შეეძლოთ მისი მოქმედებების მხარდაჭერა. ცოტა ხანში პილსუდსკის ავადმყოფობის გამო ფრონტის დროებით დატოვებამ მოუწია. საინტერესოა, რომ ამ იძულებითი შვებულების პერიოდში, 27 თებერვალს, კარაშინში პილსუდსკი კათოლიკური ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა. მარტის ბოლო დეკადაში ბრიგადირი ჯერ ჩეშინში[47], ავსტრო-უნგრეთის არმიის მთავარ შტაბ-ბინაში (AOK) გამოჩნდა, მოგვიანებით კი ვენაში ჩავიდა. იმპერიის დედაქალაქში იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა და შეხვდა იმჟამად იქ მყოფ პოლონელ პოლიტიკოსებს. სრულიად კონფიდენციალურ შეხვედრაზე პილსუდსკიმ თანამემამულეებს მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღუწერა ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ცდილობდა მოქმედებას გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული. „როგორც წესი, ფსონებს მაღლა ვწევ და არა დაბლა, – ამბობდა იგი, – როდესაც უკეთეს პერსპექტივას ვხედავ, ფსონს უკეთესისკენ ცვლილებაზე ვდებ. გალიციამ უკვე გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო, – განაგრძობდა პილსუდსკი, – ახლა მხოლოდ „სამეფოს" შეუძლია პოლონური საქმის წინ წაწევა. მხოლოდ „სამეფოშია" ამჟამად შემონახული ის კოზირები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გათამაშებულა და, რომლებიც პოლონურ საქმეს შეიძლება წაადგნენ". ბრიგადირი ცდილობდა შეკრებილთათვის იმის რწმენა ჩაენერგა, რომ „სამეფოსათვის ერთადერთი და სწორი პოლიტიკა იქნებოდა საოკუპაციო ხელისუფლებისათვის პირდაპირი, ღია ანტიპათიის დემონსტრაცია, ყოველგვარი შუამავლების გარეშე". ამ გზით „სამეფოს" შესაძლებლობა მიეცემოდა

[47] ჩეშინი – ქალაქი პოლონეთის უკიდურეს სამხრეთში.

ხაზი გაესვა იმისათვის, რომ მას დამოუკიდებელი მოქმედების უნარი ჰქონდა. „გთხოვთ, შესაძლებელი გავხადოთ ამ ჯერ კიდევ გაუთამაშებელი კოზირის გათამაშება. წესად უნდა იქცეს კოზირის ფსონის მუდმივი აწევა ან თუნდაც ამ კოზირის შექმნა მაშინ, როდესაც ის საერთოდ არ გვაქვს", – ასკვნიდა პილსუდსკი (WS, 154). ეპოქის ეს გამოძახილი მშვენივრად აღგვიწერს პილსუდსკის აზრთა მდინარებას და ამავდროულად ნათლად გვიჩვენებს მის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტების რაობას. სამწუხაროდ, ამ იდეის გამგები იმ დროს ძალზე ცოტა აღმოჩნდა, ხოლო მის მიღებაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

პოლიტიკურმა თამაშებმა, რომლებიც 1916 წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდნენ, ივლისის პირველ რიცხვებში მეორე პლანზე გადაინაცვლა. ამას წინ უძღოდა ლეგიონების რიგებში განვითარებული ეგრეთ წოდებული „გამოსარჩევი ნიშნების კრიზისი", რომელიც ამ თამაშების ერთგვარი ფინალური დაგვირგვინება აღმოჩნდა (30 ივნისს პოლკოვნიკთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ 5 ივლისამდე ყველა დანარჩენი ბრიგადის ჯარისკაცებს პირველი ბრიგადის მსგავსი ნიშნები უნდა დაემაგრებინათ მუნდირებზე, რამაც ავსტრო-უნგრეთის არმიის ხელმძღვანელობის მხრიდან მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია). იმ მომენტში ლეგიონის ჯარისკაცები კოშჩიუხნუვკის მიდამოებში ამაგრებდნენ ფრონტის ხაზს. ცოტა ხანში მათ რუსების მორიგი იერიშის მოგერიებამ მოუწიათ, რომელიც გენერალ ბრუსილოვის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი შეტევის ერთ-ერთ ფრაგმენტს წარმოადგენდა. უმთავრესი დარტყმის თავის თავზე მიღებამ პილსუდსკის მებრძოლებს მოუწიათ. პოზიციებზე ბრძოლა უკიდურესად მძიმე საარტილერიო ცეცხლის პირობებში მიმდინარეობდა. პერიოდულად ლეგიონერებს კავალერიის იერიშების მოგერიებაც უხდებოდათ, ხოლო ხანდახან ხიშტებით გზის გაკვლევაც კი ხდებოდა საჭირო. სამდღიანი ბრძოლების შემდეგ გაწეულმა დანაკარგებმა (1-ელ ბრიგადაში ამ დანაკარგებმა 35 ოფიცერი და 604 ჯარისკაცი შეადგინა),

განსაკუთრებით კი ამ პროცესში გამოჩენილმა უპრეცედენტო ვაჟკაცობამ მნიშვნელოვნად გაამაგრა პილსუდსკის მიერ წინ წამოწეული პოლიტიკური არგუმენტები. როგორც პილსუდსკი მის მიერ ლაშქრობის დაწყებიდან ორი წლისთავზე ამბობდა, მისმა ჯარისკაცებმა „შეძლეს და მუხთალ ბედს ხელიდან გამოგლიჯეს ის, რაც კარგა ხნის დაკარგული იყო – პოლონელი ჯარისკაცის ღირსება, რომლის ბრძოლისუნარიანობა და შინაგანი დისციპლინა ამიერიდან აღარასოდეს დადგებოდა ეჭვქვეშ“ (JP IV, 80-81).

მიუხედავად ყველაფრისა, 1916 წლის ზაფხულში აღმოჩნდა, რომ კომენდანტის ლეგიონის რიგებში ყოფნის პერიოდი დასასრულს მიახლოვებოდა. „ლეგიონიზაციის“ იდეის მხარდასაჭერად პილსუდსკიმ საკუთარი პიროვნება დააყენა რისკის ქვეშ. ივლისის ბოლოს მან გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება, რომელიც ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ სექტემბრის ბოლოს დააკმაყოფილა. ამ ნაბიჯს ლეგიონის მორიგი კრიზისი მოჰყვა, რომელსაც „გადადგომის კრიზისი“ უწოდეს. ლეგიონიდან წასვლის შესახებ განცხადებების გაკეთება დაიწყეს „კონგრესის სამეფოს“ მცხოვრებლებმა, ხოლო გალიციელებმა მოითხოვეს, რომ ისინი ავსტრო-უნგრეთის საიმპერატორო-სამეფო არმიაში გადაეყვანათ. „გადადგომის კრიზისმა“ უკიდურესად მწვავე ფორმები მიიღო. ამავე დროს დაიწყო საპოლკო საბჭოების ჩამოყალიბება, გაისმოდა ხმები, რომ უფრო რადიკალური საშულებებისთვისაც მიემართათ, ვიდრე ეს თავის დროზე ბრიგადირის მიერ იყო რეკომენდებული. ზურგში გადაყვანილ ლეგიონერთა მღელვარება მხოლოდ პილსუდსკის განკარგულების შემდეგ შეწყდა. ეს 1916 წლის 5 ნოემბრის აქტის გამოცემის შემდეგ მოხდა.

გადადგომის შემდეგ ბრიგადირი „ცენტრალური“ სახელმწიფოების შემდგომ ნაბიჯებს ელოდებოდა პოლონურ საკითხთან მიმართებაში. იგი ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნა მათ ვისაც ბერლინისა და ვენის ზრახვათა გულწრფელობის სჯეროდა. ამ კონტექსტში ძალზე ნიშანდობლივია მთავარი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის, გამოჩენილი იურისტის,

პროფესორ ვლადისლავ ლეოპოლდ იავორსკის[48] ჩანაწერი სამხედრო დღიურში. კრაკოველმა კონსერვატორმა 19 ოქტომბერს თავის დღიურში აღნიშნა: „პილსუდსკი მეუბნება, რომ არ სჯერა ავსტრიისა და გერმანიის ხელშეკრულების, მაგრამ ამავე დროს არ სჯერა ავსტრიული კონცეფციის. მაშ რა უნდა მოხდეს? სჯერა თუ არა მას დამოუკიდებელი პოლონეთის? ამზადებს თუ არა იგი კონგრესის დაწყების მომენტისთვის თავის ჯარს, თავის „პოლონურ სამხედრო ორგანიზაციას", თავის სახალხო მილიციას, რათა იძულების გზით მიაღწიოს დამოუკიდებლობას?" სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იავორსკი პილსუდსკის თაყვანისმცემელი არ იყო, მაგრამ მანაც კი აღიარა, რომ „მასში იყო რაღაც განსაკუთრებული". „ის მუდმივად ოპოზიციაშია ანუ უარყოფის რეჟიმში, – აგრძელებს იავორსკი, – მაშასადამე, სადღაც ამ ყველაფრის სიღრმეში მისი სულის გასაღები უნდა იყოს მიმალული. ოდესღაც ვთქვი, რომ მეგალომანია-მეთქი. ეს შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ის პოლონელია და ასეთად საკუთარ თავს ხედავს მხოლოდ ორ განსხეულებაში – ა) ის პოლონელია საკუთარ, ძლიერ სახელმწიფოში, ბ) ის პოლონელია, რომელსაც ძალუძს ასეთი სახელმწიფოს შექმნა" (WS, 163). ...ეს აღწერა უაღრესად ნიშანდობლივია. აგრეთვე საინტერესოა ბრიგადირის მიერ განხორციელებული საქმიანობის პოლიტიკური მოტივების შეფასება ზემოთ ხსენებულ ჩანაწერებში. იავორსკი წერს: „პილსუდსკიმ თქვა: არიან პოლონელები, რომლებიც გერმანელებს ეუბნებიან, რომ ყველაფერი მარტივად წავა. მისი აზრით კი, პირიქით უნდა იყოს, უნდა უთხრან, რომ ასე არ იქნება. თუმცაღა პილსუდსკის ის აღარ უთქვამს, თუ რის ფასად მოხდება ეს" (WS, 163). იავორსკის მონაყოლიდან კიდევ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ – პილსუდსკის ერთი წუთითაც კი არ მოსვლია აზრად „თამაშზე" უარის თქმა.

1916 წლის შემოდგომამდე, პილსუდსკის მიერ წარმოებული თამაში ზუსტად „ომისა და ჯარის" ლოზუნგის ქვეშ მიმ-

[48] ვლადისლავ ლეოპოლდ იავორსკი (1865-1930) – პოლონელი იურისტი და პოლიტიკოსი, კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტის პროფესორი.

დინარეობდა. მრავალათასიანი პოლონური არმია ამ თამაშში შეიძლება მნიშვნელოვანი არგუმენტი ყოფილიყო, პილსუდსკი კი ამ დროისთვის ერთადერთ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა, რომელსაც ამ იდეის განხორციელება ხელეწიფებოდა. პილსუდსკის მსჯელობის საფუძველში უცვლელად ფიგურირებდა რწმენა, რომ აქამდე გამოუყენებელი კოზირების საშუალებით, რომლებიც რუსების მიერ პოლონეთის სამეფოს დატოვების შემდეგ გამოჩნდა, შესაძლებელი გახდებოდა „ცენტრალური სახელმწიფოების“ მხრიდან კონკრეტული დეკლარაციების გაკეთება პოლონეთის საკითხში. ამით კი „პოლონურ საკითხს“ საერთაშორისო ხასიათი მიეცემოდა. ამ დრამატული ეპიზოდებით სავსე თამაშში, რომელსაც თან ახლდა დათმობები, ლეგიონთან დაკავშირებული კრიზისები და ცხარე დისკუსიები დამოუკიდებლობის შესახებ, პილსუდსკის ინტუიციის უტყუარობის დამადასტურებელ გარდატეხად იქცა ორი იმპერიის მიერ 1916 წლის 5 ნოემბერს მიღებული აქტი, რომელიც პოლონეთის სამეფოს აღდგენას ამცნობდა მოსახლეობას. ეს აქტი არსებითად საერთაშორისო ხასიათს ანიჭებდა პოლონეთის საკითხს და თამაშის მინდორი სრულიად ახალ დონეზე გადაჰქონდა, რომლის წარმოდგენაც სულ ერთი წლის წინათ ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მალე თამაშის სიმძიმის ცენტრმა დასავლეთით გადაინაცვლა და ინიციატივა რომან დმოვსკის ხელში გადავიდა, ხოლო თვით ბრიგადირი კი მაგდებურგულ ტყვეობაში აღმოჩნდა, ძნელია არ შევამჩნიოთ, რომ ზუსტად პილსუდსკიმ მიანიჭა აუცილებელი დინამიზმი „ფსონის აწევის“ პროცესებს.

პილსუდსკის წასვლა ლეგიონების ხელმძღვანელობიდან და ავსტრიელთა მიერ ამ აქტზე დასტურის მიცემა ბრიგადირის პოლიტიკურ სივრცეში სრულად დაბრუნებას ნიშნავდა. ცოტა ხანში, პილსუდსკი უკვე „ლეგიონების გადამდგარი ბრიგადირის“ ხარისხში არჩეულ იქნა 25-კაციანი დროებითი სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში. ეს საბჭო სამოქალაქო ხელისუფლების სუროგატს წარმოადგენდა და მწირი საკანონმდებლო და აღმასრულებელი კომპეტენციები გააჩნდა.

პილსუდსკი ამ პერიოდში ცდილობს, რომ „ეროვნულ კონსოლიდაციას“ მიაღწიოს, რომელიც პოლონეთის ყველა პოლიტიკურ ძალას მოიცავდა, პირველ რიგში, „სამეფოს“ ტერიტორიაზე და აგრეთვე გალიციაშიც. აქედან გამომდინარე, იგი პოლიტიკურ შეთანხმებას სთავაზობს „სრულიად პოლონელთა მოძრაობას“ და კონსერვატორებს, დროებითი სახელმწიფო საბჭოს ფორმისა და შემადგენლობის შესახებ ჩატარებული მოლაპარაკებების ფარგლებში. 1917 წლის მაისში პილსუდსკი პოლიტიკური სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შესაძლებლობასაც კი განიხილავდა, რათა საოკუპაციო ხელისუფლებისთვის პოლონური საზოგადოების ერთიანი პოზიცია დაეპირისპირებინა. ეს ჩანაფიქრები განუხორციელებელი გეგმების სფეროში დარჩა, ისევე როგორც ფრონტის ხაზის გადალახვის იდეა, რათა რევოლუციისშემდგომ რუსეთში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პოლონურ სამხედრო ფორმირებებს ჩასდგომოდა სათავეში.

დროებითი სახელმწიფო საბჭოს ფარგლებში, სამხედრო კომისიის რეფერენტის სტატუსით პილსუდსკი, ერთი მხრივ, ცდილობდა, რომ მომავალი ეროვნული არმიის ფორმაზე ეზრუნა, ხოლო მეორე მხრივ, მხარდაჭერას უცხადებდა და აღვივებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა ბანაკის ინიციატივებს. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საკითხს, ბოლო პერიოდში რუსეთში მომხდარი რადიკალური ცვლილებების ფონზე დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული მოქმედებები ბუნებრივად უნდა მიმართულიყო დანარჩენი დამპყრობლებისკენაც, პირველ რიგში კი – გერმანიისკენ. გაზაფხულისთვის ლეგიონები გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ მომენტისთვის პილსუდსკის მიერ ლეგიონებში განხორციელებული ნაბიჯების შედეგად უმძიმესი კრიზისი დაიწყო, რომელიც „ფიცის მიცემის“ კრიზისად არის ცნობილი. ეს მოვლენა პრაქტიკულად შლიდა ყველა იმ გეგმას, რომლებიც პოლონური ჯარის „ცენტრალური სახელმწიფოებისადმი“ დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. კომენდანტის აქტიურობას საბოლოოდ წერტილი გერმანელებმა დაუსვეს, რომლებ-

მაც „ფიცის მიცემის“ კრიზისის პერიოდში იგი დააკავეს და მოგვიანებით მაგდებურგის ციხესიმაგრეში მოახდინეს მისი ინტერნირება. პილსუდსკის დაკავება 1917 წლის 22 ივლისს განხორციელდა, მაგდებურგში კი იგი გდანსკის, შპანდაუსა და ვეზელის ციხეების გავლით მოხვდა.

იზოლაციის პირობები ძალზე მკაცრი არ ყოფილა. კომენდანტს ძირითადად მარტოობა და ციხის ცხოვრების ერთფეროვნება ტანჯავდა, რასაც ლეგიონისდროინდელი მოგონებების წერით ებრძოდა. პილსუდსკი ჯანმრთელობის პრობლემებმაც შეაწუხა (გულის ტკივილები, ქრონიკული რევმატიზმი), თუმცა ყველაზე რთული მდგომარეობა მას მაინც პირად ცხოვრებაში ჰქონდა. მარიასთან ქორწინება საბოლოოდ 1916 და 1917 წლების გასაყარზე დაირღვა, სამაგიეროდ, ალექსანდრა იუზეფის ციხეში ყოფნის პერიოდში მისგან ბავშვს ელოდებოდა. მათი პირველი ქალიშვილი – ვანდა, ქვეყანას 1918 წლის 7 თებერვალს მოევლინა, მაგრამ მამამ მისი პირველად ნახვა მხოლოდ ნოემბერში შეძლო...

ციხის ყოფაში არსებითი ცვლილება აგვისტოს ბოლოს მოხდა როდესაც პილსუდსკის თანამესაკნედ სოსნკოვსკი შეუსახლეს. ამ მომენტიდან ისინი ერთად ეცნობოდნენ საგაზეთო ცნობებს ბრძოლის ველიდან, აწყობდნენ ცხარე დისკუსიებს და ამ ყველაფერთან ერთად დაუნდობელ საჭადრაკო პაექრობას აწარმოებდნენ. დასანანია, რომ ისტორიამ არ შემოგვინახა ამ საჭადრაკო ტურნირების ჩანაწერები, მაგრამ ცნობილია, რომ კომენდანტის სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში უპირატესობა შტაბის უფროსმა მოიპოვა... ციხის კარი მათ გერმანიის რევოლუციამ გაუღო. ბერლინში რამდენიმედღიანი დაყოვნების პერიოდში პილსუდსკიმ და მისმა ყოფილმა თანამესაკნემ უარი განაცხადეს რაიმე სავალდებულო პოლიტიკური განცხადების გაკეთებაზე, 9 ნოემბრის საღამოს კი ბერლინიდან გავიდა მატარებელი, რომელიც მაგდებურგის ყოფილ ტყვეებს ვარშავისაკენ მიქროლებდა.

IV. სახელმწიფოს მეთაური

1918 წლის ნოემბერში პილსუდსკი ქვეყანაში ღრმა რწმენით აღსავსე ბრუნდება. მას სწამს, რომ ყველა დამპყრობელი იმპერიის დამხობის შედეგად მომხდარი ისტორიული გარდატეხა პოლონურ საზოგადოებას გააერთიანებს, ყველა აქამდელი უთანხმოება წარსულში დარჩება (მათ შორის კამათი ორიენტაციის შესახებ) და ერი იმ გამოწვევებზე კონცენტრირდება, რომლებსაც ახლო მომავალი მოიტანს. ეს გამოწვევები კი, პირველ რიგში, არის სახელმწიფოს აგება და მისი საზღვრების უმტკიცესი სარტყლის გამოჭედვა. მისი აზრით, საჭიროა მყარი და ამავე დროს ახალ დროებასთან მისადაგებული სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა. 1918 წლის ნოემბრიდან 1921 წლის შუა პერიოდამდე პილსუდსკის მიერ განხორციელებული ინიციატივები შეიძლება შეფასდეს, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწის ქმედებანი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა II რეჩპოსპოლიტის საზღვრების დელიმიტაციის საქმეში, სადაც მან უდავოდ საკვანძო როლი შეასრულა.

პოლონეთის დედაქალაქში პილსუდსკი უკვე ლეგენდით მოცულ პიროვნებად დაბრუნდა. მას გარს ერტყა ყველა დამპყრობთან მებრძოლი რაინდის შარავანდედი. ამასთან ერთად, მას უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალიც ჰქონდა და ერთგული თანამოაზრეების დიდი გუნდიც ჰყავდა. პილსუდსკი ქვეყანაში ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვისაც რეალური ძალაუფლების ფორმალურად გადმობარება ხელეწიფებოდა უავტორიტეტო რეგენტთა საბჭოსაგან. სიტუაცია, რომელიც მას დახვდა, უკიდურესად ჩახლართული იყო. არ არსებობდა საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული ცენტრალური ხე-

ლისუფლების ორგანო, არმიის ფორმირების პროცესი ისევ ჩანასახობრივ ეტაპზე იყო, ხოლო მომავალ მეზობლებთან კონფლიქტების რაოდენობა დღითი დღე იზრდებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, იუზეფმა უყოყმანოდ აიღო საკუთარ თავზე მთელი პასუხისმგებლობა, საკმაოდ სწრაფად მოახერხა კაბინეტის ჩამოყალიბება (თუმცა ეს კაბინეტი, რომელსაც იენჯეი მორაჩევსკი ჩაუდგა სათავეში, ეროვნული კონსოლიდაციის იდეას ვერ პასუხობდა, რადგანაც გამოკვეთილად მემარცხენე ხასიათის იყო) და დამფუძნებელი კრების არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარების განკარგულება გასცა. თვითონ პილსუდსკი, როგორც სახელმწიფოს დროებითი მეთაური და ამავდროულად სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მთლიანად გადაერთო არმიის მშენებლობაზე. ამ პერიოდში პილსუდსკის პოზიციებს აქტიურად უტევდა შიდა ოპოზიცია – ძირითადად ეროვნულ-დემოკრატების სახით, თუმცა 1919 წლის იანვრის შუა რიცხვებში მიღწეული კომპრომისის შედეგად ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა, რომელსაც გენიალური პოლონელი პიანისტი იგნაცი პადერევსკი[49] ჩაუდგა სათავეში, და რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. პილსუდსკის ფუნქციები საკანონმდებლო სეიმმა ოფიციალურად დაამტკიცა და ამიერიდან მას უკვე „დროებითი" მეთაურის სტატუსის გარეშე შეეძლო პოლონეთის საზღვრებისთვის ბრძოლაზე კონცენტრირება.

მთავრობის ფორმირების მომენტში პილსუდსკი ფაქტობრივი დიქტატორი იყო, თუმცა მას არასოდეს ჰქონია ამ სტატუსით ყოფნის სურვილი. იგი თავის ერთ-ერთ თანამშრომელთან საუბარში აღნიშნავდა, რომ არსებული მდგომარეობის გაგრძელება არანაირად არ სურდა, რადგანაც ის „მის შეხედულებებთან და შინაგანი თავისუფლების შეგრძნებასთან კატეგორიულად შეუთავსებელი იყო" (WB, 95). გარდა ამისა, მისი აზრით, დიქტატურა შექმნის პროცესში მყოფი სახელმწიფოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სამართლებრივ სისტემასაც

[49] იგნაცი იან პადერევსკი (1860-1941) – პოლონელი პიანისტი, კომპოზიტორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე.

შეარყევდა. მიუხედავად იმისა, რომ პილსუდსკიმ საკუთარ თავზე აიღო სახელმწიფოს პირველი პირის ფუნქციები, მან თავისი თანამდებობის ოფიციალურ დასახელებად ტერმინი „სახელმწიფოს მეთაური" შეარჩია, რომელიც კოსციუშკოსდროინდელი აჯანყების პერიოდს უკავშირდებოდა. ამით მან მკვეთრად გაუსვა ხაზი მის მიერ დაკავებული პოსტის დროებით ხასიათს.

დროებითი მდგომარეობისთვის წერტილის დასმა ყველაზე უკეთ დამფუძნებელი კრების არჩევნებს შეეძლო. ამიტომაც ამ საკითხთან დაკავშირებული დეკრეტი უკვე 26 ნოემბერს იქნა გამოქვეყნებული, ხოლო თვით არჩევნები ორი თვის შემდეგ ჩატარდა. საარჩევნო სისტემა უდავოდ დემოკრატიულ საწყისებზე აიგო (5 პრინციპზე დაყრდნობილი საარჩევნო კანონმდებლობა, არჩევნებზე ხმის მისაცემად ქალების დაშვება – რაც იმდროინდელი რეალიების გათვალისწინებით ერთ-ერთი პირველი მსგავსი ნაბიჯი იყო ევროპაში, ერთპალატიანი სეიმის არჩევა), თუმცა მხოლოდ ეს არ იყო ამ არჩევნების პროგრესულობის მაჩვენებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საარჩევნო ოლქების დაყოფის პრინციპი: ისინი ისე იყო წარმოდგენილი, რომ ძალზე მკაფიოდ გამოხატავდა აღორძინების პროცესში მყოფი სახელმწიფოს ტერიტორიულ მისწრაფებებს. არჩევნების ჩატარება გადაწყდა ყველა იმ მიწაზე, სადაც კი პოლონელები იყვნენ დასახლებულები – ანუ არა მარტო ვილნოსა და ლვოვში, არამედ ვარმიაში, მაზურიაში, ვისლისპირეთში, ბიტუვისა და ლემბორკის მიწებზე, ზედა სილეზიასა და ოპოლეში.

გარდა ამისა, პოლონეთის სახელმწიფო აპირებდა, რომ თავისი მოქალაქეების მიმართ ბევრად უფრო ჰუმანური ყოფილიყო, ვიდრე დამპყრობელი იმპერიები. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების შესრულების დაწყებიდან უკვე მეორე დღეს, პილსუდსკიმ კიდევ ერთ, ძალზე მნიშვნელოვან დეკრეტს მოაწერა ხელი: ამ დეკრეტის მიხედვით ძალაში შედიოდა 8-საათიანი სამუშაო დღე და 46 საათიანი სამუშაო კვირა. ეს აქტი სოციალისტმა პრემიერ-მინისტრმა მოამზადა იმ გუნდთან ერთად, რომელიც შრომითი კანონმდებლობის სისტემაზე

მუშაობდა. საკანონმდებლო ძალა ზემოხსენებულ აქტს პოლონელ სოციალისტთა მრავალწლიანმა ლიდერმა მიანიჭა, თუმცა იგი ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაცნობიერებულად იყო გამიჯნული პარტიის ჩარჩოებს. ამას პილსუდსკი იმიტომ აკეთებდა, რომ სხვა, საკვანძო მნიშვნელობის პროცესისათვის ეხელმძღვანელა, რასაც პოლონური არმიის მშენებლობა ერქვა. მას სურდა, რომ ეს საქმე ყოველგვარი იდეოლოგიური შეზღუდვებისაგან თავისუფალს ეკეთებინა. იგი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ჯარის პოლიტიკურ თამაშებში ჩართვის ცდუნებას. პილსუდსკი ცდილობდა თავისი თანამემამულეებისათვის ჩაეგონებინა, რომ „ჯარი – ესაა ინსტრუმენტი, რომელთანაც ძალზე გონივრული და დელიკატური მოპყრობაა საჭირო". „იმ ანომალიური პოლიტიკური გარემოს გამო, რომელშიც დიდხანს ვცხოვრობდით, ვერ შევჩვეულვართ აზრს, რომ ჯარი ის იარაღი არაა, რომელიც პარტიულ თამაშებში უნდა გამოიყენო. ასეთ შემთხვევებში ჯარი წყვეტს იმ მისიის შესრულებას, რაც მისთვის ერთ-ერთი უპირველესია – ერის ერთიანობის სადარაჯოზე დგომას", – ამბობდა პილსუდსკი (JP V, 29). ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოსაზრებებია და ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ იმ შემდგომი ნაბიჯების კონტექსტში, რომლებიც პილსუდსკიმ ამ სიტყვების თქმიდან ცოტა ხანში გადადგა. ეს ნაბიჯები გადადგმულ იქნა არა უბრალოდ არმიისათვის, არამედ, პირველ რიგში, არმიის, როგორც პოლონეთის დამოუკიდებლობის გარანტის ინტერესებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელია არ შევამჩნიოთ, რომ ზუსტად სახელმწიფო ინტერესების ყველაზე მაღლა დაყენებამ და არა წამიერი პოლიტიკური ან პროპაგანდისტული სარგებლის მიღებამ უკარნახა პილსუდსკის არმიის ერთიანობის შესახებ გამოცემულ ბრძანებაში შემდეგი დირექტივის ჩართვა: „ერის შეხედულებათა კრისტალიზების პერიოდში ჯარი ბობოქარი და მღელვარე პოლიტიკური ცხოვრების მიღმა უნდა იდგეს". აქედან გამომდინარე, პილსუდსკი ძლიერ და ერთიან ჯარს საკუთარი პოლიტიკური პოზიციების გასაძლიერებლად ან რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად

არ აშენებდა. შეიარაღებულ ძალას, რომლის შექმნას და ჩამოყალიბებასაც ის ელტვოდა, მხოლოდ და მხოლოდ პოლონური სახელმწიფოს ინტერესებში უნდა ემოქმედა. იგი ცდილობდა რაზმებში ერთიანი მხედრული სული დამკვიდრებინა და „საფუძველშივე აღმოეფხვრა ცალკეული დანაყოფებისა და ერთეულების კუთხური ან პარტიული პატრიოტიზმის გამოვლინებები" (JP V, 33-34). მომავალი სახელმწიფოს ბედს ისედაც ბევრი ბუნდოვანი საფრთხე ემუქრებოდა და ამ საფრთხეების რიცხვში საკუთარი ჯარის აღმოჩენა პოლონეთს ნამდვილად არ წაადგებოდა...

1918 წლის ნოემბერში, პილსუდსკიმ და არა რომელიმე სხვა პოლიტიკოსმა აიღო საკუთარ თავზე ქვეყნის პრიორიტეტების შერჩევის პასუხისმგებლობა როგორც საშინაო პოლიტიკაში, აგრეთვე იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხში, რომელიც პოლონეთის სახელმწიფოს საზღვრების დაზუსტებას ეხებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც საზღვრის დასავლეთ და სამხრეთ მონაკვეთებთან დაკავშირებული გადაწყვეტები ძირითადად ანტანტაზე[50] და გერმანიასთან დადებული ზავის პირობებზე იყო დამოკიდებული, იმდენად აღმოსავლეთი საზღვრის ბედს გადაწყვეტდა პოლონელთა აქტიურობა, რომელიც ძლიერ არმიაზე იქნებოდა დაყრდნობილი. აღმოსავლეთი საზღვრების საკითხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულ იქნებოდა იმ ფაქტითაც, რომ რუსეთში ამ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. პილსუდსკის ხშირად განიხილავენ ხოლმე იაგელონთა დინასტიის[51] დანატოვრის მემკვიდრედ და ამავდროულად მათი საქმის გამგრძელებლად. მარტივად რომ ვთქვათ, მას აფასებენ, როგორც აღმოსავლეთზე კონცენტრირებულ პოლიტიკოსს რომელიც თავს არიდებდა, ან უკეთეს შემთხვევაში, იგნორირებას უკეთებდა დასავლეთ მიმართუ-

[50] XX საუკუნის პირველ მეოთხედში მოქმედი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომლის ძირითადი წევრი სახელმწიფოები იყვნენ დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და საფრანგეთი.

[51] იაგელონები – სამეფო დინასტია პოლონეთში (1386-1572) და აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში.

ლებას. ამ მიდგომაში გამოსჭვივის II რეჩპოსპლიტის გარიჟრაჟისდროინდელი ისტორიული დავის ექო და აგრეთვე თავს გვახსენებს შავი პროპაგანდისტული ხატი, რომელსაც თავის დროზე ინტენსიურად იყენებდა პოლონეთის კომუნისტური ხელისუფლება. სახელმწიფოს მეთაურს ლუბლინის უნიისდროინდელი საზღვრების აღდგენის განზრახვა არ ჰქონია, და ამავდროულად ძალზე კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული პოლონეთის სახელმწიფოს ყოფნის აუცილებლობა მდინარე ვარტის ნაპირებსა და ბალტიის ზღვაზე. პილსუდსკი აცნობიერებდა, რომ დასავლეთი საზღვრების საკითხი გამარჯვებული კოალიციის წევრებზე იყო დამოკიდებული, თუმცა ხაზს უსვამდა, რომ „პოლონეთის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო პოზნანის მიწები, ზემო სილეზია, დასავლეთი პრუსია და აღმოსავლეთი პრუსიის ოლშტინის ადმინისტრაციული ოლქი". უფრო მეტიც, იგი დაჟინებით იმეორებდა, რომ „პოლონური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა უშუალოდ და მთლიანად არის დამოკიდებული ბალტიის ზღვაზე გასასვლელთან და საპორტო ქალაქ გდანსკის დაბრუნებასთან" (WS, 187). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ მიმართულებას მეთაური დიდი ყურადღებით ეკიდებოდა, რა დროსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოზნანისა და ზემო სილეზიის რეგიონებს (სადაც იგი შემდგარი ფაქტის სტრატეგიაზე აკეთებდა აქცენტს) და ამავდროულად ცდილობდა, რომ ანტანტის სახელმწიფოებთან კონფლიქტში არ შესულიყო.

მიუხედავად დასავლეთ ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტისა, დეკემბერში სახელმწიფოს მეთაურის მთავარ თავის ტკივილს მაინც გერმანიასთან არსებული ურთიერთობები წარმოადგენდა. დადებული ზავის მიუხედავად, ნოემბრიდან მოყოლებული, აღმოსავლეთი გალიციისთვის ბრძოლები ისევ გრძელდებოდა, რადგანაც აღმოსავლეთ ფრონტებზე ამ საზავო მოლაპარაკების შედეგები არ ვრცელდებოდა. თუმცა ამ ყველაფერში ერთი პლუსი ის იყო, რომ ლვოვის აღების საფრთხე პოლონელთა ენერგიული მოქმედებების წყალობით უკვე ლიკვიდი-

რებულ იქნა. რუსეთის იმპერიის სილრმიდან უკანდახეული „ობერ-ოსტის“[52] ჯარები (დაახლოებით 400 ათასი ჯარისკაცი) ჯერ კიდევ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს წარმოადგენდა, ხოლო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლისა და ანტანტის სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინების გამო ბერლინთან ოფიციალური კონტაქტების გაწყვეტა ამ მიმართულებით დამატებით სიძნელეებს ქმნიდა. გარდა ამისა, ვარშავას არ შეეძლო, რომ თავისი ძალაუფლება ჯერ კიდევ პრუსიის ფორმალური მმართველობის ქვეშ მყოფ პოლონურ მიწებზე გაევრცელებინა, თუმცაღა „პრუსიის ოკუპაციის ქვეშ მყოფი პოლონური მიწების სამხედრო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელობით და პილსუდსკის ფარული დახმარებით სამხედრო იატაკქვეშეთის ორგანიზატორები აქტიურად მუშაობდნენ, რისი წყალობითაც სახელმწიფოს მეთაურს ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ვარტის ნაპირებზე გამეფებული განწყობების შესახებ. ყველაფერთან ერთად პილსუდსკი ამ ადამიანებს სამხედრო მზადების პროცესშიც ეხმარებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პილსუდსკი ფაქტის წინაშე დაყენების სტრატეგიას მიჰყვებოდა, თუმცა მაქსიმალურად ცდილობდა, რომ ამ პროცესებში ვარშავის ჩარევა სრულიად შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ამ კონტექსტში მის მოღვაწეობას კარგად წარმოაჩენს ველკოპოლსკას[53] ტერიტორიაზე აჯანყების დაწყების შემდეგ განხორციელებული მოქმედებები. პილსუდსკი არა მარტო მატერიალურად ეხმარებოდა აჯანყებულებს, არამედ მათთან თავისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი ოფიცერი – პოდპოლკოვნიკი იულიან შუხევიჩი გააგზავნა, რათა მას აჯანყებულთა შტაბისთვის ემეთაურა. ახლა სახელმწიფოს მეთაურს შეეძლო, რომ ველკოპოლსკას მცხოვრებთა პოზიციაზე დაყრდნობით „კოალიციისთვის წარმოედგინა არგუმენტები იმ პუნქტის ცვლილების აუცილებლობისთვის, რომელიც პოზ-

[52] „ობერ-ოსტი“ – პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ ოკუპირებული რუსეთის იმპერიის დასავლეთი ტერიტორიები.

[53] ველკოპოლსკა – რეგიონი პოლონეთის დასავლეთ ნაწილში, ცენტრი – ქალაქი პოზნანი.

ნანის რეგიონის საკითხის გადაწყვეტის პროცესის შეჩერებას ითვალისწინებდა“ (JP V, 51). მისი აზრით, ეს უმოკლესი გზა იყო ახლად აღორძინებული პოლონური სახელმწიფოს ფარგლებში ამ მიწების ფაქტობრივი ინტეგრაციისთვის.

საკანონმდებლო სეიმის[54] არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ორ არსებულ ფრონტს მესამეც დაემატა. პირველი ფრონტზე, აღმოსავლეთ გალიციაში პოლონელებს უკრაინელების წინააღმდეგ უწევდათ ბრძოლა, მეორეზე – პოზნანის რეგიონში – გერმანელებთან, ხოლო ახლა სამხრეთის მიმართულებიდან ჩეშინის სილეზიაში[55] მოულოდნელად ჩეხების ჯარები შემოვიდნენ. აქ პოლონელებს საკმაოდ სუსტი და მცირერიცხოვანი სამხედრო ნაწილები ჰყავდათ განლაგებული. აღმოჩნდა, რომ არც შემრიგებლური მისია, რომელიც პოლონელებმა დეკემბრის მეორე ნახევარში პრაღაში გააგზავნეს და არც ადგილობრივი საზღვრისპირა თემების მიერ განხორციელებული საზღვრების დემარკაცია ჩეხეთის ხელისუფლებამ არად ჩააგდო. მასარიკისადმი გაკეთებული დეკლარაციიიდან გამომდინარე, პილსუდსკის სამხრეთ მეზობელთან ომი არ სურდა, თუმცა იძულებული გახდა, რომ დამხმარე ძალები გაეგზავნა, რომელთა დახმარებითაც იანვრის ბოლოს, ქალაქ სკოჩუვთან მომხდარი ბრძოლის შედეგად ჩეხების შეტევა შეჩერებულ იქნა. ჩეხურმა მხარემ, რომელიც ანტანტის აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა, 3 თებერვალს დადებული ზავის პირობების მიხედვით, „დროებითი სადემარკაციო ხაზის“ გაუქმების შემდეგ თავის საზღვრებში მოაქცია არა მარტო ის ტერიტორიები, სადაც პოლონელი მოსახლეობა წარმოადგენდა უმრავლესობას, არამედ აგრეთვე ეკონომიკური თვალსაზრისით უკიდურესად მნიშვნელოვანი რაიონები – კოქსირებადი ქვანახშირით მდიდარი კარვინას აუზი და აგრეთვე ბოგუმინის სარკინიგზო კვანძი. მართალია, ჩეხეთთან კონფლიქტს ახლად აღორძინებული ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის საფრთხე არ შეუქმნია,

[54] სეიმი (პოლ. Sejm) – პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატა.

[55] ჩეშინის სილეზია – ისტორიული რეგიონი, რომლის ნაწილიც პოლონეთშია განლაგებული, ხოლო ნაწილი კი – ჩეხეთში.

თუმცა იყო ერთი ფაქტორი, რომელსაც პილსუდსკი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა – ამ კონფლიქტმა ჩაკეტა ერთადერთი თავუსუფალი კორიდორი, საიდანაც ქვეყნის იარაღითა და სხვა სამხედრო ტექნიკით მომარაგება ხდებოდა.

სამაგიეროდ, სრულიად სხვა სიტუაცია და შესაძლებლობები ყალიბდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებთან, სამხრეთისა და, განსაკუთრებით, დასავლეთისაგან განსხვავებით. აღმოსავლური კვანძი, რომლის გაჭრასაც პილსუდსკი პოლონური მახვილით აპირებდა, ათასგვარი ხვეულებისა და ხლართებისაგან შედგებოდა. პირველი ხლართი უკიდურეს სამხრეთში მდებარეობდა და მისი კონტურები კარგად ჩანდა ლვოვის ქონგურებიდან. აქ, აღმოსავლეთ გალიციაში უკრაინელები იარაღის ძალით ცდილობდნენ, რომ საკუთარი სახელმწიფო აეგოთ. მათ ინტერესებს დასავლეთი უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არმია წარმოადგენდა. ვოლინის რეგიონში პოლონეთის ინტერესები უკვე სხვა, მეორე უკრაინის ინტერესებთან იკვეთებოდა, რომელსაც დნეპრისპირა ან კიევის უკრაინასაც უწოდებდნენ. თავის მხრივ, ამ „მეორე" უკრაინას ერთდროულად „წითელი", ბოლშევიკური უკრაინა და „თეთრი" გენერლის – დენიკინის[56] ჯარები ემუქრებოდნენ. თუკი გენერალ დენიკინის ჯარები 1919 წლის დასაწყისში პოლონური ჯარების სამოქმედო ტერიტორიებიდან საკმაო მანძილით იყვნენ დაშორებულნი, წითელი არმია პოლონეთის საზღვრებს უფრო და უფრო უახლოვდებოდა. იანვრის დასაწყისში „წითლებმა" ვილნო დაიკავეს და ახლა გროდნოსკენ მიიწევდნენ. ამრიგად, ისინი პოლონეთს უკვე უშუალო საფრთხეს უქმნიდნენ. წითელ არმიას გზაზე „გერმანული ფარდა" ელობებოდა, თუმცა იგი თავის მხრივ საკმაოდ სუსტი, არაჰერმეტული, ალაგ-ალაგ გარღვეული და, ბოლოს და ბოლოს, არცთუ ლოიალური იყო. კრემლის სტრატეგები აღმოსავლეთ მიწებს არა მხოლოდ სამხედრო ძალით იპყრობდნენ. მათი

[56] ანტონ დენიკინი (1872-1947) – რუსი მხედართმთავარი, გენერალი, რუსეთის ანტიკომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ბრძოლის მეორე იარაღი ლიეტუვა-ბელარუსის საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომლის ჩამოყალიბებასაც ისინი დაპყრობილ მიწებზე აპირებდნენ. აქედან გამომდინარე, ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირე ძალების მოძებნა იყო საჭირო. პირველ რიგში საჭირო იყო ლიეტუველებთან დაკავშირება, რომელთა კონსოლიდაციაც კოვნოს[57] გარშემო მოხდებოდა. ასევე აუცილებელი იყო ბელორუსთა ეროვნულ ძალებთან კავშირი, თუმცაღა ეს უკანასკნელნი საკმაოდ სუსტნი იყვნენ და ჯერ კიდევ თავიანთი ეროვნული იდენტობის ძიება-ჩამოყალიბების ეტაპზე იმყოფებოდნენ. ჩრდილოეთში მოკავშირეებად ლატვიელები, ესტონელები და თვით ფინელებიც კი გამოდგებოდნენ, მათი სიშორის მიუხედავად. ამ ერებისთვის ბოლშევიკები ანალოგიურ და ახლო საფრთხეს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის რეგიონში ძლიერი გავლენები ჰქონდათ გერმანელებსაც. გარდა ამისა, პარიზული პერსპექტივიდან აღმოსავლეთის სცენისკენ მომზირალი დასავლეთის უძლიერესი სახელმწიფოები თავს უფლებამოსილად გრძნობდნენ, რომ სიტყვა მოეთხოვათ და თავიანთი, ოდესღაც რეალობასთან შეუსაბამო კონცეფციები ახლა უკვე სავალდებულო საჭიროებად წარმოესახათ. ზუსტად ამ პრობლემების გადაწყვეტას აპირებდა პილსუდსკი, მისი აზრით, ყველაზე პერსპექტიული იდეის გამოყენებით – ეს იდეა იყო ფედერაცია.

პილსუდსკის ჩანაფიქრით, ფედერაციულ პროექტში, ჩრდილოეთის მიმართულებით საკვანძო როლი ლიეტუვის უნდა შეესრულებინა, ხოლო სამხრეთი მიმართულებით – უკრაინას. სახელმწიფოს მეთაურის აზრით, ეს პროექტი პოლონეთს საკუთარი ძალებით უნდა განეხორციელებინა. ცნობილ წერილში, რომელიც მეთაურმა 1919 წლის აპრილში პარიზში მყოფ თავის დესპან ლეონ ვაშილევსკის მისწერა, იგი აცხადებს, რომ აღმოსავლეთის სამყაროსაკენ კარის გაჭრის მაქსიმალური ძალისხმევის პროცესში „მას არ სურს იყოს არც

[57] კოვნო – ახლანდელი ქალაქი კაუნასი ლიეტუვაში.

იმპერიალისტი და არც ფედერალისტი მანამდე, სანამ ამ თემებზე სალაპარაკოდ არ ექნება: განსაკუთრებული ავტორიტეტი და კიდევ ერთი რამ – რევოლვერი ჯიბეში" (JP, V, 73). ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა ვილნოს არმია, რომელიც ზუსტად ამ დროს სალაშქროდ ემზადებოდა. რაც შეეხება თვითონ გამონათქვამს – იგი არც პილსუდსკის განზრახვათა არაგულწრფელობაზე მიუთითებს და, მით უმეტეს, არც მის მიერ ფედერალისტური კონცეფციებისადმი ინსტრუმენტულ მიდგომაზე. სახელმწიფოს მეთაური აქ არც მკაცრი ფედერაციული დოქტრინის მომხრედ გვევლინება და არც იმ პოლიტიკოსად, რომელიც ამ ლოზუნგს პროპაგანდისტული მიზნებით იყენებდა, როგორც ამას მაშინ ბოლშევიკები აკეთებდნენ. აღმოსავლეთში შესაქმნელ ფედერაციულ სტრუქტურას ორმაგი ამოცანა უნდა ეტვირთა თავის თავზე. პირველი და უმთავრესი ამოცანა მდგომარეობდა ეფექტური ჯებირის შექმნაში, რომელიც ევროპისაკენ მიმართულ რუსეთის იმპერიულ მისწრაფებებს შეაჩერებდა. ეს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, თუ საბოლოოდ რომელი რუსეთი დაიბადებოდა სამოქალაქო ომის „ჭინთვებიდან" – „თეთრი" მენშევიკური თუ „წითელი" ბოლშევიკური. მეორე ამოცანა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო – უნდა მოძებნილიყო საზღვრისპირა, ეთნიკურად შერეულ რეგიონებთან დემოკრატიული თანაცხოვრების პრინციპი. ყველაზე მკაფიოდ ეს იდეა პილსუდსკიმ „ლიეტუვის დიდი სამთავროს ყოფილ ტერიტორიაზე მცხოვრებთადმი" მიმართულ თავის მოწოდებაში გამოხატა: „გპირდებით, რომ ერთხელ, ამ თითქოსდა ღვთისაგან დავიწყებულ მიწაზეც გამეფდება თავისუფლება, იმოქმედებს შეუზღუდავი და თავისუფალი გამოხატვის უფლება ყველა იმ მისწრაფებისა და საჭიროების შესახებ, რომლებიც კი აქ არსებობს" (JP V, 75). იმავე ნოტებმა გაიუღერა მის სიტყვაში, რომელიც მან 19 სექტემბერს მინსკში გამოსვლისას წარმოთქვა. პილსუდსკიმ იქ შეკრებილთ ბელორუსულად მიმართა და შეახსენა: „მე იმავე მიწის შვილი ვარ, რომელმაც თქვენ გშობათ და ამიტომაც ალბათ უფრო მეტად მესმის და

ვგრძნობ იმ ჭირ-ვარამსა და უბედურებას, რომელიც ამ მიწას თავს დასტეხია" (JP V, 106).

ძნელია არ შევნიშნოთ, რომ იმ პერიოდში პილსუდსკის მიერ წარმოებული თამაშის არსი უპირველესად მდგომარეობდა საკუთარი ძალებით იმ საფრთხეების აღმოფხვრაში, რომლებიც პოლონეთის სახელმწიფოს აღიარებულ ტერიტორიულ მისწრაფებებს (აღმოსავლეთი გალიცია) ემუქრებოდა, ასევე პოტენციური მოკავშირეების მოძებნაში (ლიეტუველები, ბელორუსები და „კიევის უკრაინელები"), დაბოლოს, იმ ძალის წინააღმდეგ გალაშქრებაში, რომელიც „თეთრი" და „წითელი" იმპერიალიზმის შეტაკების შედეგად ბრძოლის ველზე დარჩებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე და აგრეთვე დასავლეთის პოზიციის გათვალისწინებით, პოლონეთის ინტერესებში შედიოდა, რომ ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგე ბოლშევიკური და არა „თეთრი" რუსეთი ყოფილიყო.

პილსუდსკის მიერ 1919 წლის გაზაფხულზე დაწყებული უმნიშვნელოვანესი და პასუხისმგებლობით აღსავსე პროცესის პირველი ეტაპი იყო ვილნოზე გალაშქრება. ამ ოპერაციაზე მეთაურმა უმაღლესი ფსონი დადო. პოლონური არმიის შემადგენლობის რაოდენობა ამ მომენტში 200 ათას ჯარისკაცს უტოლდებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ, ვინც უკვე იბრძოდა არმიის რიგებში და მათაც, ვინც ჯერ კიდევ წვრთნას გადიოდა სპეციალურ ბანაკებში. მარში ლიეტუვაზე გარკვეულწილად გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა მომავალი, უფრო მნიშვნელოვანი ამოცნების გადაწყვეტის წინ.

ყველაფრის მიუხედავად, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ლაშქრობის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ჯერ კიდევ საფრთხის ქვეშ მყოფი ლვოვის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამიტომაც, მარტის დასაწყიში პოლონელებმა ლვოვზე შეტევა დაიწყეს. ქალაქის ალყა მარტის ბოლოს ლიკვიდირებულ იქნა და აპრილის შუა რიცხვებისთვის ფრონტის ხაზმა გალიციის დედაქალაქიდან უსაფრთხო მანძილზე გადაინაცვლა. ახლა პილსუდსკის უკვე შეეძლო, რომ ვილნოსთან დაკავშირებული თავისი გეგმების განხორციელება დაეწყო,

მით უმეტეს, რომ ქვეყანაში გენერალ ჰალერის[58] არმიის (ეს იყო პოლონური არმია, რომლის ფორმირებაც 1917 წლის ზაფხულიდან საფრანგეთში მიმდინარეობდა, მისმა პირველმა ნაწილებმა კი პოლონეთის საზღვარი 1919 წლის 20 აპრილს გადმოლახეს) ჩამოსვლამდე ფრონტის ამ მონაკვეთზე შეტევითი ხასიათის მოქმედებებს არავინ აპირებდა.

ვილნოს გათავისუფლება წითელ არმიასთან უშუალო საბრძოლო შეხებაში შესვლას ნიშნავდა. პოლონური საჯარისო ნაწილების პირველი საბრძოლო კონტაქტი რუსულ არმიასთან 17 თებერვლის განთიადისას შედგა, სკიდელ-კობრინის ხაზზე და ვოლინის რეგიონის ქალაქ მანევიჩესთან. ამ მომენტისათვის, პოლონური ძალების სიმცირე მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური ოპერაციების შესრულების საშუალებას იძლეოდა, თუმცა თანდათანობით უფრო მასშტაბური მოქმედებების განხორციელება გახდა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ ვილნოზე ლაშქრობა, რომლის მეთაურობასაც პილსუდსკი პირადად აპირებდა, „ლიეტუვურ-ბელორუსული საკითხის“ რეალურ გასაღებს წარმოადგენდა. სახელმწიფოს მეთაური ამ ინსტრუმენტის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას აპირებდა.

თუმცაღა „ვილნოს გასაღების“ გამოყენება ძალზე გულმოდგინე მომზადებას მოითხოვდა. ამ პროცესის ძირითადი ელემენტი მიხალ რომერისთვის დაკისრებული მისია უნდა ყოფილიყო. მიხალ რომერი[59] იმჟამად მოსამართლე იყო ქალაქ ლომჟაში. ეს ადამიანი ოდესღაც ლეგიონების 1-ელი ბრიგადის ჯარისკაცი იყო. იგი პატივისცემით სარგებლობდა ლიეტუვაში მოქმედ პოლონელ მოღვაწეებს შორის და ამავდროულად ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ლიეტუველ და ბელორუს პოლიტიკოსებთან. რომერი იდეალური კანდიდატი იყო და-

[58] იუზეფ ჰალერ ფონ ჰალენბურგი (1873-1960) – პოლონელი მხედართმთავარი, გენერალი, სხვადასხვა დროს ეკავა უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური თანამდებობები.

[59] მიხალ პიუს რომერი (1880-1945) – პოლონელ-ლიეტუველი იურისტი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

მოუკიდებლობააღდგენილი ლიეტუვის დიდი სამთავროს მთავრობის პრემიერ-მინისტრობისთვის, რომლის რეზიდენციაც ლიეტუვის ისტორიულ დედაქალაქში – ვილნოში განლაგდებოდა. ამავდროულად, რომერის მთავრობაში შევიდოდნენ ლიეტუვაში მცხოვრები ყველა ძირითადი ერის წარმომადგენლები.

პილსუდსკი ფრონტზე სამი დღით ადრე გამოჩნდა, ვიდრე 15 აპრილს ჯარების კონცენტრაცია დასრულდებოდა. პოლონელებმა დარტყმა ორი მიმართულებით განახორციელეს, ვილნოსა და ლიდაზე[60]. ქალაქი ლიდა ხუთშაბათს, 17 აპრილს იქნა დაკავებული, ხოლო ორი დღით გვიან ბელინას ულანები ბოლშევიკებისთვის მოულოდნელად ლიეტუვის დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ (სხვათა შორის, მათი გამოჩენის დრო რომერთან წინასწარ იყო შეთანხმებული). პოლონელებმა თავდაპირველად რკინიგზის სადგური დაიკავეს, სადაც უკვე იმავე საღამოს, სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ ედვარდ რიძ-შმიგლის[61] ქვეითი ნაწილები. სამდღიანი ბრძოლების შედეგად, 21 აპრილს ვილნო მთლიანად იქნა განთავისუფლებული. გეგმის პირველი, სამხედრო ნაწილი შესრულდა.

სამწუხაროდ, გეგმის პოლიტიკურმა ნაწილმა წარუმატებლობა განიცადა. რომერის მისია ფიასკოთი დამთავრდა. მან კოვნომდე მანამდე ჩააღწია, სანამ პილსუდსკის ძალები ვილნოში შევიდოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიეტუველი პოლიტიკოსების დარწმუნება ვერ შეძლო. მემარცხენე პოლიტიკოსებმა, რომლებმაც თავდაპირველად რომერის მომავალ კაბინეტში შესვლით დაინტერესებულები იყვნენ, საბოლოოდ თანამშრომლობაზე უარი თქვეს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ეს ადამიანები პილსუდსკისთან თანამშრომლობის შემთხვევაში თავიანთ თავზე უზარმაზარ პასუხისმგებლობას იღებდნენ, მკვეთრად ნაციონალისტური განწყობებიდან გამომდინარე, რომლებიც ლიეტუველთა ფართო ფენებში სუფევდა. მათი თვალსაზრისით, რისკის დონე მთელ ამ წამოწყებაში

[60] ლიდა – ქალაქი ახლანდელ დასავლეთ ბელარუსში.

[61] ედვარდ რიძ-შმიგლი (1886-1941) – პოლონელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, პოლონეთის მარშალი.

ძალზე დიდი იყო და, გამომდინარე აქედან, მომხდარი ფაქტის წინაშე დაყენების მცდელობა, რომელიც ვარშავის სეიმისა და კოვნოს მთავრობისათვის სრული მოულოდნელობა იქნებოდა, ფუჭი აღმოჩნდა. როგორც მალე გაირკვა, ამით დაკარგულ იქნა ერთადერთი შანსი იმისა, რომ პოლონურ-ლიეტუვურ-ბელორუსული თანამშრომლობა პოლიტიკურ დონეზე, პრაქტიკულად განხორციელებულიყო.

აღმოსავლეთი მიმართულების პოლიტიკა, რომელსაც იმ დროს პილსუდსკი აწარმოებდა, ფედერაციულ პოლიტიკად განისაზღვრებოდა. იგი დმოვსკისა და მისი ბანაკის მიერ წარმოებული პოლიტიკის საპირისპირო იყო, რომელსაც ინკორპორაციული პოლიტიკა შეიძლება ეწოდოს. უნდა ითქვას, რომ მეთაური დოქტრინიორი არ ყოფილა. ფედერაციას, როგორც ინსტრუმენტს, იგი პირველ რიგში იმიტომ იყენებდა, რომ პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრების კონტური ქვეყნისთვის რაც შეიძლება მომგებიანად განსაზღვრულიყო. ამ მხრივ, უდიდეს საფრთხეს ბოლშევიკები წარმოადგენდნენ და, შესაბამისად, მათთან ცხარე ბრძოლები პრაქტიკულად მთელი 1919 წლის განმავლობაში და 1920 წლის ბოლომდე მიმდინარეობდა. აღმოსავლეთ ფრონტზე წარმოდგენილ სხვა ძალებს – კერძოდ კი, დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკას, დნეპრისპირა უკრაინასა და ლიეტუვას – პოლონური არმია განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე უმკლავდებოდა. ამავდროულად, პილსუდსკი სრულ და თანმიმდევრულ იგნორირებას უწევდა სხვადასხვა მხრიდან, პირველ რიგში კი საფრანგეთიდან მომავალ წინადადებებს იმის თაობაზე, რომ პოლონელებს მხარი დაეჭირათ „თეთრი“ რუსეთის მოქმედებებისათვის. სამწუხაროდ, მეთაურმა აღმოსავლეთის მიმართულებით საიმედო პარტნიორების მოძებნა ვერ მოახერხა. ლიეტუვასთან დაკავშირების მცდელობა, რომელიც ვილნოს ლაშქრობამდე ერთი დღით ადრე განხორციელდა, ფიასკოთი დამთავრდა, ხოლო სიმონ პეტლიურას[62] უკრაინასთან დამყარებულმა კა-

[62] სიმონ პეტლიურა (1879-1926) – უკრაინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

ვშირმა დროის გამოცდას ვერ გაუძლო, რისი მიზეზიც სხვადასხვა არახელსაყრელი გარემოება გახდა.

მაშინაც კი, როდესაც პილსუდსკი კატეგორიულად უარყოფდა „თეთრ" გენერლებთან რაიმე შეთანხმების შესაძლებლობას, იგი მაინც ცდილობდა, რომ რუსეთში მოკავშირეები ეპოვნა. პირველ რიგში ასეთ მოკავშირეებს იგი „მესამე რუსეთში" ეძებდა – სავინკოვისა და გორლოვის ტიპის ადამიანებს შორის, რომლებიც დემოკრატიულ ან სოციალისტურ წრეებს მიეკუთვნებოდნენ. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ეს წრეები ძალზე სუსტნი იყვნენ და, პირიქით, თვითონვე საჭიროებდნენ პოლონელთა დახმარებას ბოლშევიკებთან ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ მეთაური აგდებულად ეკიდებოდა ტროცკის[63] და მას კერენსკის[64] ბოლშევიკურ ანალოგად მიიჩნევდა. ყველაზე საშიშ მტრად პილსუდსკის ლენინი[65] მიაჩნდა. იგი მასში ხედავდა პოლიტიკოსს, რომელმაც ბრწყინვალედ შეძლო ორიენტირება და მიხვდა, რომ ომი პროფესიონალებმა უნდა აწარმოონ. ლენინმა ზურგის დასაშოშმინებლად ძერჟინსკი[66] აირჩია, როგორც „უმოწყალო ფანატიკოსი", რომელმაც უყოყმანოდ მიმართა „სისხლიან ტერორს". ლენინის აღწერისას პილსუდსკი მას სენკევიჩისეულ ჯვაროსანს ადარებდა, რომელიც „არა მარტო ნებისმიერ ხელშეკრულებას ან შეთანხმებას დადებდა, რათა თუნდაც ხუთწუთიანი სარგებელი ენახა,

---

[63] ლევ ტროცკი (1879-1940) – ნამდვილი სახელი და გვარი ლეიბა ბრონშტეინი, ეთნიკურად ებრაელი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

[64] ალექსანდრ კერენსკი (1881-1970) – რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე (1917).

[65] ვლადიმირ ლენინი (1870-1924) – ნამდვილი სახელი ვლადიმირ ილიას ძე ულიანოვი, საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის ფუძემდებელი.

[66] ფელიქს ძერჟინსკი (1877-1926) – ეთნიკურად პოლონელი საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, საბჭოთა უსაფრთხოების ორგანოების ფუძემდებელი, წითელი ტერორის ერთ-ერთი სიმბოლო.

არა მარტო დაარღვევდა ამ ხელშეკრულებას იმ წუთშივე, რა წუთშიც ის მისთვის მიუღებელი გახდებოდა, არამედ თავის პარტნიორსაც კი დაადანაშაულებდა იმაში, რომ მან ის ვერაგულად მოატყუა". სახელმწიფოს მეთაური სერიოზულად განიხილავდა იმ შესაძლებლობასაც, რომ ლენინის მიერ შემოღებული სახელისუფლებო სისტემა, რომელიც „დისციპლინასა და ზემოდან დიქტატზე" იყო დამყარებული, იმით დამთავრდებოდა, რომ რუსეთი „ბევრად უფრო ადრე დაიბრუნებდა მძვინვარე ძალას, ვიდრე ამას ვინმე მოელოდა" (WS, 216). ასეთი წინასწარმეტყველება პირველად პილსუდსკიმ ჯერ კიდევ 1919 წლის ზაფხულში გააკეთა და ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ იგი მთელი ძალებით ცდილობდა ბოლშევიკური საფრთხის წინმსწრები დარტყმით განეიტრალებას რაც შეიძლება მოკლე ვადებში.

თუმცაღა ბოლშევიკებთან საბოლოო ანგარიშსწორებამდე ყველა დანარჩენ ფრონტზე სიტუაციის დალაგება უნდა მომხდარიყო. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე ეს ქვეყანა ახლადაღორძინებული პოლონეთისთვის დაასავლეთის მხრიდან რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა თუმცა ეს პრობლემა ივნისის ბოლოს, ხელშეკრულების დადებისთანავე აღმოიფხვრა. მიუხედავად ვერსალში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა პოლონელებს კმაყოფილების საფუძველი ნამდვილად ცოტა ჰქონდათ. ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდნენ ზემო სილეზიის მაცხოვრებლები მაგრამ პილსუდსკის იმ მომენტისათვის ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და მათთვის ჯეროვანი დახმარების გაწევა არ შეეძლო. ცოტა ხნით ადრე, მაისის შუა რიცხვებში პოლონურმა მხარემ აღმოსავლეთი გალიციის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა განიზრახა. ამ აქციის წინაპირობა თვით დასავლეთი უკრაინის რესპუბლიკის სამხედრო მეთაურებმა შექმნეს მას შემდეგ რაც პოლონელთა წარმატებული შეტევითი მოქმედებები დასავლეთის სახელმწიფოების ინტერვენციის შედეგად შეჩერდა. უკრაინელებმა ივნისის ბოლოს აგრესიულ სამხედრო მოქმედებებს მიჰყვეს ხელი. პილსუდსკის ანტანტის

სახელმწიფოთა წარმომადგენლების უმაღლესი საბჭოს 25 ივნისის გადაწყვეტილება ეპყრა ხელთ, რომელიც პოლონეთის მთავრობას აღმოსავლეთი გალიციის დროებითი ოკუპაციის ფორმალური უფლებამოსილებით აღჭურვავდა. ამ გადაწყვეტილების მიხედვით პოლონურ ჯარებს მდინარე ზბრუჩამდე განლაგებული ტერიტორია უნდა დაეკავებინათ. პოლონელებმა პილსუდსკის მეთაურობით სასაზღვრო მდინარის ნაპირებს ივლისის შუა ხანებში მიაღწიეს.

აღმოსავლეთ გალიციაში ჩატარებული წარმატებული სამხედრო ოპერაცია, ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული მასირებული შეტევის პროლოგი აღმოჩნდა, რომელმაც მთელი ფრონტის ხაზი მოიცვა. ივლისის ბოლოს პოლონური არმიის ნაწილები უკვე მინსკში იდგნენ თუმცა ისინი ამას არ დასჯერდნენ და წარმატებული მარში ბორისოვისა და ბობრუისკის მიმართულებით განაგრძეს. ამავდროულად, ვილნოს დაჯგუფებამ შმიგლის მეთაურობით წითელარმიელები დვინის მარჯვენა ნაპირზე გადარეკა, სამხრეთის ფრონტზე მყოფმა სხვა ნაწილებმა კი მდინარე პტიჩის ხაზს მიაღწიეს. გარდა ამისა, ვოლინის რეგიონში, სამხრეთის მიმართულებით აღებულ იქნა ქალაქები – როვნო, სარნი, ზასლავი (ახლანდ. იზიასლავი), შეპეტოვკა და სხვა დასახლებული პუნქტები. აქვე, ვოლინში პოლონურ ჯარს უკრაინელი ატამანის – პეტლიურას რაზმი შემოხვდა წინ.

1919 წლის აგვისტოში უკრაინელ მეთაურს დიდი არჩევანი არ ჰქონდა. მისი ძალები ნელ-ნელა იწურებოდა, რადგანაც, ერთი მხრივ, ბოლშევიკებთან უწევდა ბრძოლა, მეორე მხრივ კი – დენიკინთან. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, პოლონელებს ნებისმიერ შემთხვევაში, უალტერნატივოდ უნდა დაემარცხებინათ აღმოსავლეთ გალიციაში მებრძოლი უკრაინული ძალები, მაგრამ პეტლიურასთან მოლაპარაკება იყო საჭირო. თუმცაღა მოლაპარაკება აუცილებლად იმ პირობით უნდა შემდგარიყო, რომ ამ ინიციატივით მხოლოდ პოლონური მხარე არ გამოვიდოდა. რეალურად ასეც მოხდა. 9 აგვისტოს პეტლიურამ თვითონ მიმართა პილსუდსკის დახმარებისთვის.

თავდაპირველად მან ვარშავაში სამშვიდობო პირობებზე მოსალაპარაკებლად დელეგაცია გააგზავნა, ხოლო მოგვიანებით მხარეებს შორის საზავო ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი. პილსუდსკის უკვე აგვისტოში შეეძლო პეტლიურასთვის ქმედითი მხარდაჭერის აღმოჩენა, მაგრამ ჩათვალა, რომ პოლონელების მიერ გაწეულ ნაადრევ დახმარებას პოტენციური პარტნიორის შემრიგებლური იმპულსები შეიძლებოდა ჩაეხშო. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, პეტლიურას მიერ მოთხოვნილი ერთობლივი შეტევა კიევზე მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა განხორციელებულიყო, როდესაც დნეპრისპირა უკრაინა ჩათვლიდა, რომ საკუთარი პოლიტიკური არსებობა მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის მხარდაჭერის წყალობით შეიძლებოდა შეენარჩუნებინა.

თავის მხრივ, კოვნო იგნორირებას უწევდა ან სათანადოდ ვერ აფასებდა ბოლშევიკურ საფრთხეს, რომელმაც პეტლიურა აიძულა, რომ პოლონეთთან ეთანამშრომლა. პილსუდსკის აღარ შეეძლო, რომ ამ მიმართულებით უმოქმედოდ ყოფილიყო. ლიეტუველებთან მაისის თვიდან წარმოებულმა მოლაპარაკებების მცდელობებმა შედეგი არ მოიტანა. უმთავრესად, ეს იმ გადაჭარბებული ტერიტორიული პრეტენზიების ბრალი იყო, რომლებსაც ლიეტუველები აყენებდნენ. მათი პოზიცია ვარშავაში სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევდა. ამას დაემატა აგვისტოში მომხდარი ლიეტუვურ-პოლონური კონფლიქტი სუვალკის რეგიონის თაობაზე და „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციის“ მიერ განხორციელებული პროპოლონური გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა კოვნოში, რამაც ორი ქვეყნის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააფუჭა. პილსუდსკის იდეა, რომ „ვილნოსაგან არა კონფლიქტის საგანი, არამედ გამაერთიანებელი რგოლი“ შეექმნა (JP V, 80), სრულიად წარუმატებელი გამოდგა. ძნელია არ შევნიშნოთ, რომ ლიეტუველებთან არსებული უთანხმოება არა მარტო მეთაურის ფედერაციულ გეგმებს აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ, არამედ მთელ ბალტიურ მიმართულებას პარალიზებით ემუქრებოდა. ამ სიტუაციას ვერც ლატვიასთან არსებული კარგი ურთიერ-

თობა აწონასწორებდა და ვერც ბელორუსული საზოგადოების აზრის მაფორმირებელ წრეებთან ურთიერთგაგების მიღწევის აშკარა სიმპტომები. პოლონურ-ლატვიურმა თანამშრომლობამ კონკრეტული ფორმები 1920 წლის იანვარში მიიღო, როდესაც დინებურგის (ახლანდელი დაუგავპილსი) გასათავისუფლებლად ერთობლივი ოპერაცია ჩატარდა და გათავისუფლებული ტერიტორიები პოლონური სამხედრო ნაწილების გასვლის შემდეგ ლატვიელებმა დაიკავეს.

ნიშანდობლივია, რომ პილსუდსკი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიაში არსებული სიტუაციის განვითარებას. ამ რეგიონიდან, კერძოდ კი, საქართველოდან მომავალი ინფორმაცია მას ერთგვარად პირველი ხელიდან მიეწოდებოდა, რადგანაც იქ იმ დროს პოლონელების მრავალრიცხოვანი ჯგუფები იყო თავმოყრილი. აღსანიშნავია, რომ უკვე 1917 წელს კავკასიაში „პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციის“ სტრუქტურები გაჩნდა. ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა თბილისში მდებარეობდა, ხოლო მისი ფილიალების ქსელი 1919-1920 წლებში მთელ ამიერკავკასიაში იყო განტოტვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება პოლონეთის სახელმწიფოს მიერ ზუსტად პილსუდსკის სათავეში ყოფნის პერიოდში მოხდა – 1920 წლის 29 იანვარს ანუ ბოლშევიკებთან საბოლოო ბრძოლამდე ერთი დღით ადრე. უფრო მეტიც, იმავე წლის თებერვალში პილსუდსკის ბრძანებით ტიფლისში პოლონეთის რესპუბლიკის სპეციალური მისია გაიგზავნა, რომლის სათავეშიც იუზეფის ძველი თანაპარტიელი და ნდობით აღჭურვილი პირი ტიტუს ფილიპოვიჩი[67] იდგა. თუ როგორ წარმოედგინა პოლონურ ხელისუფლებას ორმხრივი თანამშრომლობა, შეიძლება ნათლად განვსაზღვროთ იმ დეპეშის შინაარსის მიხედვით, რომელიც 1920 წლის 24 მარტს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ პატეკმა საქართველოს დიპლომატიის მეთაურს – ევგენი გეგეჭკორს გაუგზავნა. პატეკი პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით

[67] ტიტუს ფილიპოვიჩი (1873-1953) – პოლონელი საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, მწერალი.

აცხადებდა, რომ პოლონური მხარე მზადაა „ცნოს საქართველოს მთავრობა დამოუკიდებელ ორგანიზაციად დე-ფაქტო იმაზე ადრე, ვიდრე სამშვიდობო კონფერენცია საქართველოს სტატუსს აღიარებს, როგორც მისი ხალხის ნების შესაბამისს. პოლონეთის მთავრობა მტკიცე იმედს გამოხატავს, რომ ორივე ერის საერთო ინტერესები, ისევე როგორც ურთიერთსიმპათია, ხელს შეუწყობს ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნებოდა, რომ ვარშავაში საქართველოს წარმომადგენელი მიეღო“ (G-W, 134). უშუალო მეგობრული კონტაქტების დამყარება ზუსტად იმ დიპლომატიურ მისიას უნდა მოეხდინა, რომელსაც ფილიპოვიჩი ხელმძღვანელობდა. ის ფაქტი, რომ მისიის გასაგზავნად მუშაობა ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწყო, ხოლო საქართველოში გასამართი მოლაპარაკებები პირდაპირ ისახავდა მიზნად პოლონურ-ქართული სამხედრო კავშირის ჩამოყალიბებას (ამ კავშირში იგულისხმებოდა როგორც ოპერატიული ურთიერთთანამშრომლობა, აგრეთვე ქართული არმიის იარაღითა და აღჭურვილობით მომარაგების შესაძლებლობა) არა მარტო იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ პილსუდსკი ამ ნაბიჯს იწონებდა, არამედ იმასაც, რომ ეს პირდაპირ მისი ინიციატივა იყო. უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ პოლონეთის დესპანი საქართველოში რომან კნოლი[68] უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხედრო ატაშეს ფუნქციებს ვაცლავ იენჯეევიჩი[69] შეასრულებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გეგმებს ასრულება არ ეწერა. ცოტა ხანში ტიტუს ფილიპოვიჩი „ჩეკას“ ხელში აღმოჩნდა, ხოლო სრულებით დაუცველ საქართველოში ბოლშევიკური აგრესიის განხორციელებამ პოლონური წარმომადგენლობის ამოქმედების პერსპექტივა დიდი ხნით დაასამარა. თუმცაღა ორმხრივი ურთიერთობები მაინც არ შეწყვეტილა. პოლონეთის საკანონმდებლო სეიმმა საბჭოთა აგრესიის აქტი ერთმნიშვნე-

[68] რომან კნოლი (1888-1946) – პოლონელი, პოლიტიკოსი და დიპლომატი.

[69] ვაცლავ იენჯეევიჩი (1893-1993) – პოლონელი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ბრიგადის გენერალი, დიპლომატი, ისტორიკოსი.

ლოვნად დაგმო, ხოლო პილსუდსკის პირადმა დამოკიდებულებამ ქართველ ჯარისკაცთა მიმართ განაპირობა, რომ ვარშავა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართული სამხედრო ემიგრაციის უდავო ცენტრად იქცა.

პილსუდსკის პიროვნების განხილვა მხოლოდ მის მიერ წარმოებული პოლიტიკური თამაშის პრიზმაში (მიუხედავად ამ თამაშის ძალზე დიდი სირთულისა და მრავალწახნაგოვნობისა) მნიშვნელოვნად აკნინებს მის პიროვნებას. მეთაური არა მარტო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სტრატეგი და უშიშარი ჯარისკაცი იყო, იგი, უპირველეს ყოვლისა, გონიერი და დახვეწილი სულის ადამიანი გახლდათ. იგი უზარმაზარ გავლენას ახდენდა გარშემო მყოფებზე, რომლის ზუსტად განსაზღვრაც შეუძლებელია. ამ გავლენით იგი თითქოს ერთგვარად აჰიპნოზებდა და იმორჩილებდა ადამიანებს ან, სულ მცირე, მათ კეთილგანწყობას მაინც მოიპოვებდა. აქ არ გვეყოფა დრო და ადგილი იმისათვის, რომ აღვწეროთ, თუ როგორ ზემოქმედებდა პილსუდსკი ადამიანებზე შეხედრების, მიღებების, ვიზიტების დროს და როგორ ფლობდა სიტუაციას. იგი ისევე ბატონობდა გარშემომყოფებზე, როგორც გენიალური მსახიობი ბატონობს ხოლმე მაყურებელთა დარბაზზე. პილსუდსკის მიერ პოლიტიკური და დიპლომატიური თამაშების პროცესში წარმოთქმული ტაქტიკური ფრაზები არა მარტო მისი ქმედებების გენერალურ ხაზს ნიღბავს, არამედ გამოცდილებისა და შინაგანი განსჯების საფუძველზე ჩამოყალიბებულ, სიღრმისეულ მოტივებსაც, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა. თუკი ამ კონტექსტში მეთაურის მიერ ლიეტუვის, უკრაინის ან ბელარუსის საკითხებში გადადგმულ ნაბიჯებს გავაანალიზებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, თუ საერთოდ რას ნიშნავდა პილსუდსკისთვის პოლონეთის საზღვრისპირა რეგიონები. პირველ რიგში, ეს მისთვის რეალურად არსებული სივრცე იყო, სადაც „ერთი ერი კონტაქტირებდა მეორესთან, ერთი კულტურა ურთიერთქმედებდა მეორესთან, აღზრდის ერთი სისტემა ეხებოდა აღზრდის მეორე სისტემას“. ამ, ერთი შეხედვით, მარტივი და უტყუარი დაკვირვებებიდან სიმპტომატური

დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომლის მიხედვითაც „ნებისმიერი საზღვრისპირა პოლიტიკის ურთულესი ელემენტია საჯარო ხელისუფლებისადმი მყარი და დამაჯერებელი პატივისცემის მოპოვება". ამასთანავე, პილსუდსკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ პატივიცემის მოპოვება იმ საშუალებებით არ უნდა მომხდარიყო, რომლებიც საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობისთვის აქამდე გატარებული პოლიტიკის წყალობით ძალზე კარგად იყო ნაცნობი – ანუ „დამცირებითა და წნეხით". ამიტომაც, როცა პილსუდსკი „ჩვენი საზღვრისპირა პოლიტიკის გულწრფელობის" სადღეგრძელოს წარმოთქვამდა (JP V, 131-132), ეს ცარიელი ფრაზა კი არ იყო, არამედ დირექტივა, რომლითაც იგი თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი სიტყვის გახსენება, რომელიც 1919 წლის ოქტომბერში, ვილნოში უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე წარმოთქვა: „ყველა ერს, ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი საზღვრისპირა რეგიონები – ამბობდა პილსუდსკი. – ძნელი და ცვალებადია ქვეყნის განაპირას მდებარე ქალაქებისა და სოფლების ბედი. როდესაც ქარიშხალი ამოვარდება, პირველ რიგში იქ მდგომი სახლების საძირკვლებს არყევს, როდესაც ღრუბელი შეიყრება, ულმობელი სეტყვა პირველ რიგში იქაურ მინდვრებს უშენს, როდესაც ჭექა-ქუხილი ატყდება, მეხი პირველ რიგში განაპირა მიწებზე მდგარ სახლებსა და კოშკებს ეცემა". ამ მსჯელობიდან გამომდინარე, პილსუდსკი თვლიდა, რომ ვილნოს უნივერსიტეტის აღორძინება უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ფასეული მოვლენა იყო ამ მხარეში, მიუხედავად იმისა, რომ „ჯერ კიდევ ისმოდა გარდასული ქუხილის ექო და რუხი ღრუბლები ჯერ კიდევ არ გამქრალიყვნენ ცის კაბადონიდან". მისი თქმით, ვილნოს უნივერსიტეტი იყო სასწავლებელი, რომელსაც „არასოდეს უფრქვევია სიძულვილისა და შხამის ოხშივარი, რაც ამ მიწის ტრადიციის გამოძახილი იყო". სამაგიეროდ, იგი ყოველთვის „გვაძლიერებდა ცოდნის ნათელით, შემოქმედებითი აზრის პოტენციალით, სამეცნიერო მუშაობის უნარ-ჩვევებითა და გულმოდგინე შრომის მაგალითით" (JP V,

112-113). ეს იშვიათი მაგალითია, როდესაც პოლიტიკოსი და, მით უმეტეს, ჯარისკაცი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებს და ასე ზრუნავს ისეთ ღირებულებებზე, როგორსაც თავის თავში აერთიანებს კულტურა და მეცნიერება. ასეთი მიდგომა მით უმეტეს დასაფასებელია, რადგანაც პილსუდსკი ამას აკეთებდა ქვეყანაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაესრულებინა თავისი საზღვრებისა და, ზოგადად, სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლა. ეს ბრძოლა კი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. 1919 წლის შემოდგომაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენები ვითარდებოდა აღმოსავლეთ ფრონტზე, „წითელ" რუსეთთან ბრძოლის ხაზზე. პილსუდსკი, ერთი მხრივ, დასავლეთის სახელმწიფოების წნეხს განიცდიდა, რომლებიც მას მოუწოდებდნენ, რომ „თეთრი" რუსეთისთვის დაეჭირა მხარი, მეორე მხრივ კი მის მოხიბვლას ბოლშევიკები ცდილობდნენ თავიანთი დაპირებებით. ამ პირობებში სახელმწიფოს მეთაურს დრამატული და შედეგობრივად გარდამტეხი არჩევანი უნდა გაეკეთებინა.

როგორც კი პოლონეთმა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ოფიციალური კონტაქტები დაამყარა, იმ მომენტიდან გრძელდებოდა ამ სახელმწიფოების ზეწოლა პილსუდსკიზე, რათა მას დენიკინის ძალებისათვის დაეჭირა მხარი. წნეხი ბევრად გაძლიერდა 1919 წლის დასაწყისში, როდესაც „თეთრმა" გენერალმა გადამწყვეტი მოქმედებებისთვის დაიწყო მზადება. დენიკინი და მისი გარემოცვა პირდაპირ აცხადებდნენ, რომ გარდაუვლად უნდა მომხდარიყო „განუყოფელი" რუსეთის ძველი ფორმით აღდგენა, ეს კი პრაქტიკულად გამორიცხავდა რაიმე არსებით დისკუსიას დამოუკიდებელი პოლონეთის შესახებ, რომლის საზღვრებიც მდინარე ბუგს შეიძლებოდა გასცდენოდა. ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მეფის გენერლის მიერ აგვისტოში გაჟღერებული შემოთავაზება ერთობლივი ოპერაციის ჩატარების შესახებ, რომლის შედეგადაც დნეპრის ზედა წელზე პოლონელთა ფრონტი უნდა გაძლიერებულიყო, პილსუდსკის მიერ უკუგდებულ იქნა. უფრო მეტიც, იმ პერიოდში მეთაურმა ბოლშევიკებთან არაოფიციალური კონტაქტები დაამყარა (პროცესი ჰუმანიტარულ საკითხებზე

მიმდინარე მოლაპარაკების საფარქვეშ მიმდინარეობდა), რაც აუცილებელი იყო, რათა პოლონელებს ამ ყველაზე საშიში მოწინააღმდეგის რეალური ზრახვების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონოდათ.

დენიკინის შეტევის წარმატების პილსუდსკის არც სჯეროდა და არც იმის სურვილი ჰქონდა, რომ ეს წარმატება შემდგარიყო. რაც შეეხება პოლონელების მიერ ბოლშევიკებთან წარმოებულ ფარულ მოლაპარაკებებს, მათი ძირითადი ფუნქცია იყო მოსკოვისათვის ერთმნიშვნელოვანი და მკაფიო სიგნალის მიწოდება იმის შესახებ, რომ პოლონური არმია „თეთრებთან" ერთად „წითელი" არმიის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებებს არ განახორციელებდა. უნდა ითქვას, რომ პილსუდსკის ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა რუსული იმპერიალიზმის ორივე სახეობისადმი, მიუხედავად მათი ფერისა. მეთაური ბოლშევიკებსაც და დენიკინსაც ცხადად მიანიშნებდა ერთსა და იმავე რამეს: „ჩვენ ძალა ვართ, თქვენ კი – გვამები". „თეთრებისა" და „წითლების" ურთიერთბრძოლას პილსუდსკისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა მანამ, სანამ იგი პოლონეთის ინტერესებს არ შეეხებოდა. თავისი პარლამენტიორის პირით პილსუდსკი რუსებს უთვლიდა: „თუკი პოლონეთის ინტერესებს შეეხებით – დაგარტყამთ. ...და თუკი აქამდე სადმე, ოდესმე თქვენთვის არ დამირტყამს, ეს იმიტომ კი არა, რომ თქვენ არ გინდოდათ ასე, არამედ იმიტომ, რომ ჩემი სურვილი არ იყო ასეთი". ეჭვგარეშეა, რომ მეთაურის აზრით, პოლონეთისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი ვარიანტი იქნებოდა „თეთრი" რუსეთის განადგურება ბოლშევიკების ხელით, რადგანაც მას ეს საფრთხე პოტენციურად ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა. ასეთ შემთხვევაში, აღმოსავლეთში რჩებოდა მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე – მართალია, ძალზე მრისხანე, მაგრამ ისეთი, რომლის დამარცხებაც შესაძლებელი იყო.

ამავდროულად, უნდა ითქვას, რომ ორივე მოწინააღმდეგე გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბოლშევიკური რუსეთი თავისი პროპაგანდისტული საჭიროებებისათვის და ზავის სანაცვლოდ მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებზე

აპირებდა წასვლას, თუმცა ბოლშევიკები ამაზე გაჩერებას არ აპირებდნენ. ამ მანევრით ისინი პოლონელების სიფხიზლის მოდუნებას ცდილობდნენ, რათა შემდგომში წითელარმიელთა ხიშტებით რევოლუციური ცეცხლი დასავლეთ ევროპაში გადაეტანათ. თავის მხრივ, პილსუდსკი გეგმავდა, რომ კონფრონტაცია მისი პირობებით წარმართულიყო და ამ კონფრონტაციისთვის მას უკრაინის ტერიტორია ჰქონდა შერჩეული. ძირითადი მოვლენები კიევის მიმართულებით იყო დაგეგმილი. უნდა მომხდარიყო არა მარტო ბოლშევიკთა ძალების განადგურება, არამედ უნდა შექმნილიყო უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფო როგორც შემდგარი ფაქტი.

კოზირი, რომლის გამოყენებასაც პილსუდსკი გადამწყვეტ ბრძოლაში მთელი სისრულით აპირებდა, იყო ალიანსი პეტლიურასთან. პოლონურ-უკრაინული კონტაქტები განსაკუთრებით ინტენსიური 1919 წლის ბოლოს გახდა, როდესაც ატამანის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათთვის მისაღები იყო ვარიანტი, რომლის მიხედვითაც პოლონეთ-უკრაინის საზღვარს მდინარეების: ზბრუჩისა და ჰორინის გასწვრივ უნდა გაევლო. რამდენიმე დღეში პილსუდსკისა და პეტლიურას უშუალო შეხვედრაც შედგა. ხანგრძლივი, მრავალსაათიანი მოლაპარაკების შედეგად დადგინდა ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვაც ორივე მხარისათვის სავალდებულო იქნებოდა. მოლაპარაკებების უმთავრესი შედეგი მაინც ის იყო, რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება პოლონურ ტერიტორიაზე უკრაინული რაზმების შექმნის შესახებ. ამავდროულად, არსებული კონტაქტების დაგვირგვინებად და შემდგარი ფაქტების ლეგალიზებად იქცა ორი პოლონურ-უკრაინული ხელშეკრულება. პირველი მათგანი პოლიტიკური იყო, ხოლო მეორე – სამხედრო ხასიათის. ამ დოკუმენტთაგან პირველს საბოლოოდ 1920 წლის 21 აპრილს მოეწერა ხელი. პოლონური მხარე ამ ხელშეკრულებაში აღიარებდა უკრაინის დამოუკიდებლობის უფლებას და ამავე დროს მის უზენაეს ხელისუფლებად ცნობდა დირექტორატს, რომლის სათავეშიც პეტლიურა იდგებოდა. ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი დგინდებოდა დეკემბრის დეკლარაციაში

განსაზღვრული დებულებების მიხედვით. ამავდროულად, პეტლიურა უარს ამბობდა აღმოსავლეთ გალიციასთან დაკავშირებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე და აგრეთვე ვოლინისა და პოდოლიეს რეგიონების პოლონურ ნაწილზე. სამაგიეროდ, რეჩპოსპოლიტა უკრაინის სასარგებლოდ თმობდა ტერიტორიებს, რომლებიც სასაზღვრო ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობდა და 1772 წლამდე მის შემადგენლობაში შედიოდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, ეროვნულ უმცირესობებს ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე იდენტური უფლებები ჰქონდათ, რაც შეთანხმებების თანაბარუფლებიან ხასიათს უსვამდა ხაზს. სამხედრო ხელშეკრულებას ხელი სამი დღით გვიან მოეწერა. ეს ხელშეკრულება თანამშრომლობის პირობებზე კონცენტრირდებოდა, რომლებიც არა მხოლოდ სამხედრო საკითხებს მოიცავდნენ მოახლოებული შეტევის პირობებში. მნიშვნელოვანი ვალდებულებები ეკისრებოდა უკრაინულ მხარეს, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულად უნდა აეთვისებინა განთავისუფლებული ტერიტორიები, რადგანაც აქ პოლონური ჯარების ყოფნა მხოლოდ დროებით იყო გათვალისწინებული. თავის მხრივ, პოლონელებს ხელი უნდა შეეწყოთ უკრაინული არმიის ინტენსიური ზრდა-განვითარებისათვის და უნდა უზრუნველეყოთ საჭირო რაოდენობის იარაღით, საბრძოლო მასალითა და აღჭურვილობით მისი მომარაგება. ამ მოქმედებების შედეგად მოკლე ხანში უკრაინულ მხარეს დამატებით სამი დივიზიის გამოყვანა უნდა შესძლებოდა.

უკრაინის მცხოვრებთადმი თავისი მიდგომა პილსუდსკიმ სპეციალურ მოწოდებაში გაახმოვანა. იგი ამბობდა: „პოლონური ჯარები უკრაინელი ხალხის მიწიდან გააძევებენ უცხო დამპყრობლებს“. ისინი აქ მხოლოდ „იმდენ ხანს დარჩებიან, რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ ამ მიწაზე კანონიერმა უკრაინულმა მთავრობამ ძალაუფლება გადაიბაროს“. იმ წუთიდან, რა წუთშიც უკრაინაში სახელმწიფო ხელისუფლება ჩამოყალიბდება და „ქვეყნის საზღვრებზე უკრაინელთა სამხედრო ნაწილები განლაგდებიან, რომლებსაც თავიანთი ქვეყნის დამპყრობთა თავდასხმისაგან დაცვა შეეძლებათ“, პოლონელი

ჯარისკაცი დატოვებს უკრაინას და შინ დაბრუნდება. ბოლოს პილსუდსკი ხაზს უსვამდა მხედრულ ძმობას, რომელიც პოლონელებს პეტლიურას რაზმების მებრძოლებთან აკავშირებდათ და იმედს გამოთქვამდა, რომ პოლონეთის დახმარებით „უკრაინელი ხალხი შეძლებდა საკუთარი თავისუფლების ბრძოლით მოპოვებას და ამ მადლიან ქვეყანაში ბედნიერებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფდა" (JP V, 156). აგიტაციური, რიტორიკული მიმართვის მიღმა აშკარად ჩანს რეალური სიმპათია და აზრები, რომლებიც ოფიციალურ დოკუმენტებში გაწერილ გეგმებსა და მიზნებს სრულიად თანხვდება. თუმცაღა, ნებისმიერი მიზანი, თუნდაც ყველაზე მიმზიდველი და კეთილშობილი, ისევ და ისევ ბრძოლით უნდა მიღწეულიყო.

19 მარტს პილსუდსკი უკვე პოლონეთის პირველი მარშლის სტატუსით ჩაუდგა სათავეში რეორგანიზებულ სამხედრო ძალას. ამჯერად სამხედრო ნაწილები ფრონტებად კი აღარ იყოფოდნენ, არამედ არმიებად. აღმოსავლეთი ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარეების დვინისა და ბერეზინის ნაპირებზე 1-ელი არმიის ნაწილები იყო განლაგებული (გენერალი – სტეფან მაევსკი). მათ მეზობლად, ბერეზინის შუა წელზე და პოლესიეს რეგიონში გენერალ სტანისლავ შეპტიცკის[70] მე-4 არმია იდგა. ქალაქ ზვიაჰელის (დღეს – ნოვოგრად-ვოლინსკი) რაიონში ძირითადი დამრტყმელი ძალის სტატუსით კონცენტრირებული იყო მე-3 არმიის დივიზიები, რომლებიც თავდაპირველად მთავარსარდლის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იყვნენ, ხოლო 3 მაისიდან გენერალ ედვარდ რიძ-შმიგლის დაქვემდებარებაში გადავიდნენ. ვოლინის რეგიონში მე-2 არმიას ხელმძღვანელობდა გენერალი ანტონი ლისტოვსკი, ხოლო პოდოლიეს რეგიონს მე-6 არმია იცავდა, გენერალ ვაცლავ ივაშკევიჩის ხელმძღვანელობით. დაბოლოს, მე-7 არმიაში შემავალი ნაწილები გენერალ გუსტავ ზიგადლოვიჩის ხელმძღვანელობით

[70] სტანისლავ მარია იან ტეოფილ შეპტიცკი (1867-1950) – პოლონელი მხედართმთავარი, გენერალი, პოლონური არმიის გენერალური შტაბის უფროსი (1918-1919), პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი (1923).

პოლონეთ-ლიეტუვის სადემარკაციო ხაზს იცავდა. მარტში ეს ძალები მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყოფილი ველკოპოლსკის ფრონტის რაზმებით. ამიტომაც, აპრილის დასაწყისისათვის ფრონტის სამხრეთ მონაკვეთზე მტერთან მიმართებაში რიცხობრივი უპირატესობა იგრძნობოდა, ეს კი მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც აქედან უნდა დაწყებულიყო პოლონელთა შეტევა. მთავარსარდლის მიერ განხორციელებული გადაადგილებების შედეგად პოლონურ ძალებს რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდათ, ორი ქვეითი და ერთი კავალერიის დივიზიის სახით. მიუხედავად ამისა, მარშალი იძულებული იყო, რომ დარტყმა დაეჩქარებინა, ვინაიდან მოწინააღმდეგის ბანაკიდან ინფორმაციამ გამოჟონა, რომ მტერი თავისი ძალების კონცენტრირებას ეგრეთ წოდებული „სმოლენსკის ჭიშკრის" მახლობლად ახდენდა. პილსუდსკი ვარაუდობდა, რომ სამხრეთში ბოლშევიკთა ძალების განადგურების შემდეგ თავის ჯარებს საფრთხის ქვეშ მყოფ ბელარუსის ფრონტს მიაშველებდა.

პოლონელთა შეტევა 25 აპრილს დაიწყო. ოპერაციას პირადად მარშალი ხელმძღვანელობდა. შეტევიდან მეორე დღეს პოლონელთა ძალები უკვე ხმელნიკში, კოროსტენში და ჟიტომირში იყვნენ. მესამე დღეს პოლონელებმა კოზიატინი და ბერდიჩევი აიღეს. პირველ მაისს პოლონურმა კავალერიამ უკვე ხვასტუვი (ახლანდელი ფასტოვი) დაიკავა, ხოლო კიდევ ორი დღის შემდეგ ბილა ცერკვაც მათ ხელში იყო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პილსუდსკის მთავარი ინტერესი არ ყოფილა არც შთამბეჭდავი ტაქტიკური წარმატებები და არც თუნდაც ტერიტორიული დაპყრობები. კიევზე ლაშქრობის მთავარი პოლიტიკური მიზანი დნეპრისპირა უკრაინის სახელმწიფოებრივი აღდგენა იყო, ხოლო სტრატეგიული ხასიათის სამხედრო მიზანს ამ ფრონტზე მოქმედი ბოლშევიკური ძალების სრული განადგურება წარმოადგენდა. „წითელი" არმია პირდაპირ შეტაკებებში ჩართვას ერიდებოდა, რათა ბრძოლისუნარიანობა შეენარჩუნებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პილსუდსკის ჯარისკაცების უზარმაზარი მოტივაციის წყალობით დასახული სტრატეგიული მიზანი დიდწილად მიღწეულ იქნა. განსა-

კუთრებით შთამბეჭდავი იყო შეტევის ტემპი – ქვეითი ჯარი დღიურად 40 კილომეტრს გადიოდა, ხოლო კავალერია – 80 კილომეტრამდე! თუკი იმასაც დავამატებთ, რომ პოლონელების მხარეს გადასვლა დაიწყეს უკრაინულმა ფორმირებებმა, რომლებიც ადრე ბოლშევიკებს ემორჩილებოდნენ, მაშინ წარმატების მთელი მასშტაბი უფრო თვალსაჩინო ხდება. ყველაფერთან ერთად კი შეტევის უსწრაფესი ტემპი მოწინააღმდეგის დამატებით დემორალიზებას იწვევდა. პილსუდსკი ვარაუდობდა, რომ წითელი არმია კიევს ბოლომდე კბილებით დაიცავდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მოწინააღმდეგე ამის გაკეთებას არ აპირებდა.

ბოლშევიკების მიერ დროის გამიზნულმა გაწელვამ ორსახოვანი შედეგი გამოიღო: მართალია, ტაქტიკური თვალსაზრისით პოლონელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ პილსუდსკი, რა თქმა უნდა, ცხადად აცნობიერებდა, რომ სტრატეგიულად ეს გამარჯვება სრულყოფილი არ იყო. როგორც მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, მთავარი მიღწევა მაინც ის იყო, რომ ბოლშევიკთა მე-12 არმია ბრძოლის შემდგომ ეტაპს გამოეთიშა, ხოლო თანამებრძოლთა მასობრივი ტყვედ ჩავარდნა ბოლშევიკური არმიის უკანდახეულ ნაწილებში მძიმე დემორალიზაციას იწვევდა. ოპერაციის პირველი ფაზის დაგვირგვინებად პოლონელთა მიერ კიევის დაკავება იქცა, თუმცა ამ ეპიზოდსაც უფრო პოლიტიკური სიმბოლოს მნიშვნელობა ჰქონდა და არა იმდენად სტრატეგიული წარმატების. პოლონური კავალერია კიევში 7 მაისს შევიდა. ქალაქში პილსუდსკიც გამოჩნდა რამდენიმესაათიანი ვიზიტით. ამ მომენტისათვის მას ფრონტის სტაბილიზაციისა და კრემლთან ახალი სამშვიდობო მოლაპარაკებების იმედი ჰქონდა. მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში პოლონური ჯარების უკრაინაში ყოფნის ვადა შემოდგომამდე გასტანდა, ეკონომიკური ურთიერთობები კი, პოლიტიკურისა და სამხედროს მსგავსად, ამ პერიოდის განმავლობაში ცალკე ხელშეკრულებით დარეგულირდებოდა, რათა ისეთი შეთაბეჭდილება არ შექმნილიყო, თითქოსდა პოლონეთს უკრაინის ექსპლუატირება ჰქონდა განზრახული.

ამავდროულად, ოპტიმისტურ სიგნალს წარმოადგენდა პეტ-ლიურას ნაწილების საგრძნობი გაძლიერება.

უკრაინელების მხრიდან მკაფიო მხარდაჭერას დიდი მნიშ-ვნელობა არა მხოლოდ იმიტომ ჰქონდა, რომ ჩრდილოეთის მხრიდან ბოლშევიკების კონტრშეტევა იყო მოსალოდნელი, არამედ იმიტომაც, რომ საცაა ჰორიზონტზე უკვე ბუდიონის[71] ცხენოსანი ნაწილები გამოჩნდებოდნენ. პილსუდსკი დარწმუ-ნებული იყო, რომ „წითელი" არმიის მიერ უკრაინაში სტრატე-გიული ინიციატივის დაბრუნების მცდელობას ბოლშევიკების მხრიდან ამ მონაკვეთზე დიდი ძალების კონცენტრირება მოჰ-ყვებოდა, მათი დამარცხების შემთხვევაში კი პოლონელებს შე-საძლებლობა ეძლეოდათ, რომ თავიანთი უძლიერესი საჯარი-სო ნაწილები ჩრდილოეთის ფრონტის გასამაგრებლად გადაეს-როლათ. ბუდიონის ჯარის მოახლოება უკვე ასი პროცენტით მოსალოდნელი ფაქტი იყო, რასაც დამაჯერებლად ადასტუ-რებდა პოლონური დაზვერვა, რომელიც ამ ფორმირების გა-დაადგილებას მუდმივ რეჟიმში ადევნებდა თვალს. ადვილი შე-სამჩნევი იყო, რომ პილსუდსკი ბუდიონის, როგორც მოწინააღ-მდეგეს, აშკარა იგნორირებას უწევდა. როგორც ოთხი წლის შემდეგ მეთაური წერდა, მას ვერ წარმოედგინა, რომ „ასე თუ ისე შეიარაღებული ქვეითი ჯარი, ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლის დახმარებით კავალერიას ვერ მოთო-კავდა". ასეთი მსჯელობისას მეთაური ლეგიონისდროინდელ ბრძოლებში მიღებულ გამოცდილებას ეყრდნობოდა და იმასაც ითვალისწინებდა, რომ „წითელი" კავალერია „ლამის მომთაბა-რეთა მეთოდებით აწარმოებდა ბრძოლას". ამიტომაც, ბუდიო-ნის წინანდელ წარმატებებს პილსუდსკი „მასთან მებრძოლი ჯარების შინაგან რღვევასა და სისუსტეს მიაწერდა და არა „წითელი" კავალერიის ბრძოლის მეთოდსა და მათ მხედრულ ღირსებებს" (JP VII, 41). აქ მეთაური არ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ბუდიონის კავალერია ფრონტზე პირისპირ შეტა-

[71] სემიონ ბუდიონი (1883-1973) – საბჭოთა მხედართმთავარი, ბოლშევი-კური არმიის კავალერიის ფუძემდებელი, რუსეთის სამოქალაქო ომის (1918-1922) ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა.

კებებს ერიდებოდა. იგი ძირითადად მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედებდა და, სახელდობრ, აქ იწვევდა ხოლმე არეულობასა და პანიკას. ზუსტად ზურგის პოზიციამ იქონია საბოლოოდ გადამწყვეტი გავლენა პოლონური ჯარის განწყობაზე. ბუდიონის ლაშქრობას სამართლიანად მიიჩნევენ პირველ და თითქმის გადამწყვეტ კატაკლიზმად, რომელმაც პოლონელების უკან დახევა განაპირობა. ეს პროცესი მსხვილი მასშტაბებით ივლისის თვეში, ჩრდილოეთის ფრონტზე დაიწყო.

ჩრდილოეთის ფრონტზე, მიხაილ ტუხაჩევსკის[72] დაქვემდებარების ქვეშ მყოფმა ნაწილებმა შეტევის პირველი მცდელობა უკვე მაისის შუა რიცხვებში განახორციელეს. პოლონური მხარისათვის ეს შეტევა მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ 1-ელმა არმიამ თავისი პოზიციები ვერ შეინარჩუნა და უკან დახევა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ტუხაჩევსკის ძალები ჯერ სრული შემადგენლობით არ იყვნენ მობილიზებულნი, მათ პოლონელების გეგმები ჩაფუშეს. პოლონელებმა უარი თქვეს კონტრშეტევაზე რომელსაც მინსკზე შეტევისათვის მზადების პროცესში მყოფი მოწინააღმდეგე უნდა გაენადგურებინა. უფრო მეტიც, საჭირო გახდა ოთხი დამატებითი დივიზიის გადასროლა უკრაინიდან ჩრდილოეთის ფრონტზე. საბოლოოდ, ტუხაჩევსკის ძალები ეგრეთ წოდებული „სარეზერვო არმიის“ მიერ, რომელსაც გენერალი კაზიმეჟ სოსნკოვსკი მეთაურობდა, წარმატებით იქნა უკუგდებული.

ამ ყველაფრის შემდეგ სიტუაცია ერთგვარად ნორმალიზებული ჩანდა, რამაც პოლონურ საზოგადოებაში ეიფორიასთან მიახლოებული განწყობები გაამეფა. ვარშავაში დაბრუნებულ პილსუდსკის ისე შეხვდნენ, როგორც გამარჯვებულ მხედართმთავარს. მისი დაბრუნება ბოლესლავ მამაცის დაბრუნებას ჰგავდა ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მტერი საბოლოოდ დამარცხდა...

---

[72] მიხაილ ტუხაჩევსკი (1893-1937) – საბჭოთა მხედართმთავარი, ნითელი არმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რეპრესირებულ და დახვრეტილ იქნა 1937 წელს.

პოლონელების საომარ წარმატებებში პირველი ბზარი სწორედ პილსუდსკის მიერ არად ჩაგდებულმა ბუდიონიმ შეიტანა. მისმა ცხენოსანმა არმიამ თავიდან მარცხი განიცადა პოლონელ ქვეითთა მე-13 დივიზიასთან შეტაკებაში, მაგრამ მოგვიანებით, მე-7 არმიასთან შეტაკებამ ბოლშევიკებს უკვე წარმატება მოუტანა. მართალია, ფრონტის აღდგენა მოხერხდა, მაგრამ ჟიტომირისა და ბერდიჩევის მიმართულებით მოძრავი ასეულების დევნა უშედეგო გამოდგა. უფრო მეტიც, ფრონტის ხაზს მიღმა ბუდიონის ყოფნამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ზურგის დეზორგანიზაციაზე. პრინციპში, ეს გასაკვირიც არაა. ბუდიონის რაზმები მართლაც „მომთაბარეებს“ მიაგავდნენ, რაც მარშალს არაერთხელ აღუნიშნავს – თუმცა ეს მხოლოდ ამ რაზმების გადაადგილების სტილიდან არ გამომდინარეობდა. ცხენოსანი არმიის კვალს ძარცვისა და გაუპატიურებების შლეიფი მიჰყვებოდა უკან. თავდასხმის ობიექტები არა მარტო სამხედრო ნაწილები ხდებოდა, არამედ საველე ჰოსპიტლებიც. ამ მოწინააღმდეგის წესებში ტყვეების აყვანა არ შედიოდა, დაჭრილებს ისინი უბრალოდ ხოცავდნენ. ამგვარი მოქმედებებით „ბუდიონელები“ ფრონტზე პანიკას თესავდნენ, რომელიც უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა.

მართალია, მთავარსარდალი აცნობიერებდა, რომ ფრონტზე ატმოსფერომ მკვეთრი ცვლილება განიცადა, მაგრამ ბუდიონი მასში შეშფოთებას მაინც არ იწვევდა. იგი მთელი სამხედრო კამპანიის მიმდინარეობასაც მშვიდად აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში, კიევში განლაგებული მე-3 არმია მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში არ იყო, რადგანაც მისი ძირითადი ძალებიდან იზოლირების რეალური საშიშროება გაჩნდა. ამ დროს შმიგლი კიევში მძიმე თავდაცვითი ბრძოლებისთვის ემზადებოდა და თავის ძალებს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე აჯგუფებდა, მაგრამ პილსუდსკიმ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება კი უკრაინის დედაქალაქის დატოვება იყო.

პილსუდსკი კიევის დაცვას არ აპირებდა, რადგანაც მისი მიზანი არც ქალაქის ფლობა ყოფილა და არც დნეპრის ხაზის

შენარჩუნება, მისი მიზანი მხოლოდ მოწინააღმდეგის ძალების საბოლოო განადგურება იყო. შმიგლის აუხსნელი დაყოვნების გამო ჯარმა კიევი არა 8 ივნისს, არამედ ორი დღით გვიან დატოვა. მთავარსარდალი თავისი ლეგიონისდროინდელი ხელქვეითის დივიზიების გამოყენებას ბუდიონის ცხენოსან არმიასთან ანგარიშის გასასწორებლად აპირებდა. ოპერაცია სხვადასხვა პოლონური ნაწილების გაერთიანებას ითვალისწინებდა, რათა მათ ბუდიონის კავალერიისთვის ერთობლივად დაერტყათ, სანამ იგი თავისი ჯარით ჟიტომირსა და მის შემოგარენში იმყოფებოდა. პილსუდსკი ამ მომენტს ასე იხსენებდა: „გენერალ შმიგლის მკაფიო ბრძანება მივეცი, რომ კიევში უქმად მდგარი თავისი ჯარით ჟიტომირის მიმართულებით დაძრულიყო და იქ მდგარი ბუდიონის მთავარი ძალისთვის დაერტყა. ასეთ შემთხვევაში მის დახმარებას პოლონელთა მე-6 არმიის მარცხენა ფრთა და კოზიატინთან განლაგებული ჩვენი კავალერია შეძლებდნენ.“ თუმცაღა, როგორც ჩანს, შმიგლიმდე მთავარსარდლის ამ ბრძანებამ დამახინჯებულად მიაღწია, ან თვითონ გენერალმა ვერ გაიგო იგი სათანადოდ. პილსუდსკი სამხედრო კამპანიის ამ მომენტს ასე იხსენებდა: „ჩემთვის დღემდე აუხსნელი მიზეზების გამო ჩემი დეპეშა გენერალ შმიგლიმდე ვერ მივიდა და მან თავისი ჯარი კიევიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ დახია, კოროსტენისა და შემდეგ უკვე სარნის მიმართულებით. იგი პოლესიეს რეგიონის სამხრეთში გადაადგილდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გენერალი გულმოდგინედ ცდილობდა თავი აერიდებინა ბუდიონის კავალერიასთან შეხვედრისათვის“ (JP VII, 47). ამ მომენტმა, დიდი ალბათობით, მთელი კამპანიის მიმდინარეობაზე მოახდინა გავლენა...

შმიგლის უკან დახევის დადებითი შედეგი ის იყო, რომ პოლონურმა დივიზიებმა ამით მე-12 არმიისა და იონა იაკირის ჯგუფების მიერ მოწყობილ ხაფანგს დააღწიეს თავი. პოლონური ნაწილები ძირითადად იმ საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ, რომლებიდანაც აპრილის შეტევა დაიწყეს. პოლონელებს ისევ ყველაზე სერიოზულ ზიანს აყენებდა ბუდიონი, რომელმაც

კიდევ ერთხელ გაარღვია ფრონტის ხაზი და 5 ივლისს ქალაქ როვნოში აღმოჩნდა. აქედან ის ჩრდილოეთში მებრძოლ პოლონურ ნაწილებსაც ემუქრებოდა და პოდოლიეში მოქმედ მე-6 არმიასაც. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, შმიგლიმ მე-6 არმიას უბრძანა, რომ მდინარე ზბრუჩისაკენ დაეხია, რათა ლვოვი დაეცვა. ამავდროულად, მე-2 არმიამ ბრძანება მიიღო, რომ ბოლშევიკების ცხენოსანი არმია ქალაქ კოველისკენ არ გაეშვა, მე-3 არმია კი მდინარე სლუჩის ნაპირებისკენ აწარმოებდა უკან დახევას. მდგომარეობა რთული იყო, მაგრამ დიდ შეშფოთებას მაინც არ იწვევდა. მიუხედავად იმისა რომ პოლონური ნაწილები უკან იხევდნენ, მათ თითქმის არანაირი დანაკლისი არ განუცდიათ და კონტრშეტევების განხორციელების შესაძლებლობასაც ინარჩუნებდნენ. თუმცაღა, რეალური საფრთხე მოახლოებული იყო და იგი ჩრდილოეთიდან მიიწევდა პოლონელებისკენ.

ივნისში მიღებული გამოცდილების შემდეგ პილსუდსკიმ ცხენოსანი არმიის არად ჩაგდება შეწყვიტა. ახლა იგი შესაბამის საშუალებას ეძებდა, რათა მოწინააღმდეგის კავალერიის თავდასხმები ეფექტურად მოეგერიებინა. საბოლოოდ მან გადაწყვიტა, რომ „აქამდე მოუხელთებელი მოწინააღმდეგის შეჩერებისა და მისი დამარცხებისთვის აუცილებელი, იყო რომ პოლონელებს თავიანთი კავალერიის რაოდენობა გაეზარდათ“. ამის მისაღწევად კი დრო იყო საჭირო, დრო კი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ მუშაობდა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ. ამავე დროს, ბუდიონის ქმედებები პოლონელთა ზურგის კატასტროფულ პარალიზებას იწვევდა. პილსუდსკი იხსენებდა: „პანიკა ზურგში მდებარე ისეთ დასახლებებშიც კი ტყდებოდა, რომლებიც ფრონტიდან ასეულობით კილომეტრით იყო დაშორებული. მისგან ყველაზე მსხვილი სამხედრო ნაწილების შტაბებიც კი არ იყო დაზღვეული. ეს განწყობები სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. დროდადრო თვით სახელმწიფოს გამართული მუშაობაც კი ვარდებოდა კალაპოტიდან და მისი პულსი სუსტი და არათანაბარი ხდებოდა. დაუსაბუთებელი ურთიერთბრალდებების მომენტებს აუწერელი შფოთისა და

ნერვული აშლილობის წუთები ცვლიდა“ (JP VII, 48). თანდათანობით იქმნებოდა „შიდა ფრონტი“, რომელიც პოლონური ჯარისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. ამ სიტუაციაში პილსუდსკი სულ უფრო მკაფიოდ იხრებოდა უკან დახევის იდეისაკენ რომელსაც ჩრდილოეთი ფრონტიც უნდა მოეცვა. მისი აზრით, არმია 1-ელი მსოფლიო ომისდროინდელ, გერმანულ გამაგრებით ხაზზე უნდა განლაგებულიყო. ამავე დროს, ფრონტის ორივე ფრთაზე ძლიერი სამანევრო ჯგუფები უნდა შექმნილიყო. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრმა არ გაამართლა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩრდილოეთი ფრონტის ხელმძღვანელ გენერალ შეპტიცკის წარმატების საკმარისი რწმენა არ აღმოაჩნდა.

მაის-ივნისის ბრძოლებიდან ტუხაჩევსკიმაც გამოიტანა შესაბამისი დასკვნები. იგი მიხვდა, რომ პოლონური ძალების დამარცხება მხოლოდ შესაბამისი რიცხობრივი უპირატესობის ქონის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ივლისის პირველ რიცხვებში ტუხაჩევსკის განკარგულებაში უკვე მძლავრი, ოთხი არმიისაგან შემდგარი დაჯგუფება ჰყავდა. ამ დაჯგუფებაში შედიოდა ქვეითთა ოცი და კავალერიის სამი დივიზია. ამას ემატებოდა რუსეთის სილრმიდან დასახმარებლად მომავალი დამატებითი ნანილები. ამრიგად, საბჭოთა მხედართმთავარს უკვე ორმაგი რიცხობრივი უპირატესობა გააჩნდა. ტუხაჩევსკიმ 1-ელი პოლონური არმიისთვის ალყის შემორტყმისა და მისი განადგურების გადაწყვეტილება მიიღო, რათა ამით პოლონეთის სილრმეში გახსნოდა გზა, შემდეგ კი ვისლის იქითაც გადასულიყო.

წითელარმიელებმა პოლონელებს ივლისის დასაწყისში შეუტიეს. თავიდან ისინი საკმაოდ გაუბედავად მოქმედებდნენ, რადგანაც კარგად ახსოვდათ, რომ აქამდე ბედის სასწორი მუდმივად მათი მოწინააღმდეგის მხარეს იყო. მტრის რიცხობრივი უპირატესობის გამო პოლონელები იძულებულები გახდნენ, უკან დაეხიათ. კონტრშეტევებისა და საწყისი პოზიციების აღდგენის მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით, დასაწყისში ეს ბრძოლები პოლონელებისთვის არც ლოკალური ჩავარდნისა

და მით უმეტეს არც მსხვილმასშტაბიანი მარცხის მომასაწავებელი არ იყო. პილსუდსკის თქმით: „ამ წარუმატებლობის აჩრდილი ჩვენს ჯარს კარგა ხანს დაჰყვებოდა თან. ამ ბრძოლებში განცდილი ტრავმა ისეთი ღრმა გამოდგა, რომ მას თავი მხოლოდ უზარმაზარი ძალისხმევის წყალობით დავაღწიეთ“. მთავარსარდლისთვის ამ ბრძოლებიდან მიღებული ტრავმის ასეთი ღრმა გავლენა, მით უმეტეს, გასაკვირი იყო, რადგანაც 4 ივლისს დაწყებული ბრძოლის შედეგად ტუხაჩევსკის თავდა-პირველი მიზნები ვერ განხორციელდა. 1-ელი არმია მისთვის დაგებულ ხაფანგს დაუძვრა. მიუხედავად ამისა, როგორც პილსუდსკი იხსენებდა, „ამ მომენტიდან ჩვენი ჯარი თითქმის უბრძოლველად და სულ უფრო სწრაფად იხევდა უკან, ისე, რომ ერთი თვის განმავლობაში იგი დედაქალაქის კარიბჭესთან აღმოჩნდა, რომელიც ზურგის სიღრმეში, 600 კილომეტრის დაშორებით იყო განლაგებული“ (JP VII, 63). პილსუდსკი თავიდან ბობრუისკის ციხესიმაგრეზე დაყრდნობით აპირებდა მდევრების ფლანგზე დარტყმას, შემდეგ კი იერიშის განხორციელება უკვე ვილნოს მიდამოებიდან უნდოდა, თუმცა საბოლოოდ არც ერთი ეს გეგმა არ განხორციელებულა.

ბოლშევიკების შეჩერება მხოლოდ ენერგიულ კონტრშეტევას შეეძლო. ენერგიულ წინააღმდეგობას კი მეთაურების შესაბამისი განწყობა სჭირდებოდა, რისი ნაკლებობაც ლიეტუვა-ბელარუსის ფრონტზე აშკარად იგრძნობოდა. მათ სულ უფრო და უფრო ედებოდათ მათი უშუალო ხელმძღვანელის პესიმიზმი. იყო შემთხვევები, როდესაც სამხედროები მათთვის ჩაბარებული ქალაქებიდან უბრალოდ გარბოდნენ. ასე მოხდა ვილნოში, როცა მის დაცვაზე პასუხისმგებელმა გენერალმა ალექსანდერ ბორუშჩაკმა თავისი ჯარების ევაკუაცია ქალაქიდან მანამდე მოახდინა, სანამ მას მოწინააღმდეგის მხრიდან რეალური საფრთხე დაემუქრებოდა. ამ რეგიონში წარმოებულ ბრძოლებში ტუხაჩევსკის ლიეტუველთა რაზმებმაც დაუჭირეს მხარი, რომლებმაც ნეიტრალიტეტზე უარი თქვეს. პილსუდსკი წერდა, რომ „ამ მომენტიდან ჩვენ, პოლონელებს, ერთი ომის ნაცვლად უკვე ორი უნდა გვეწარმოებინა“ (JP VII, 91).

ვილნო შედარებით სუსტად იყო დაცული და თანაც მისი დამცავი ჯარის ნაწილები თითქმის 100-კილომეტრიან მონაკვეთზე იყო გაშლილი. უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქისთვის ბრძოლას მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური კუთხით. წითელი არმიის ნაწილები აქამდე წინ უკიდურესად ფრთხილად მიიწევდნენ და მოწინააღმდეგისადმი აშკარა, ხანდახან გადაჭარბებული რიდითაც კი გამოირჩეოდნენ. ახლა კი მათ თავიანთი დამოკიდებულება შეცვალეს. როგორც პილსუდსკი აღნიშნავდა: „დასრულდა საბჭოთა ჯარის მიერ ადგილზე ბოლთის ცემა. აქამდე მათ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგის მიმართ თავდაჯერება აკლდათ, გამარჯვებულის თავდაჯერება“ (JP VII, 92). ახლა ეს თავდაჯერება გაჩნდა. მსოფლიო რევოლუციური ხანძრის გამყინავმა მოწოდებამ რიგითი წითელარმიელისთვის რეალური განზომილება შეიძინა. ამ რევოლუციისაკენ მიმავალი, გზას კი პოლონეთის გვამზე უნდა გაევლო.

ჩრდილოეთში მოპოვებულმა წარმატებებმა „წითლებს“ სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანა. ამიერიდან, ტუხაჩევსკის წინსვლის შეჩერების მცდელობები უშედეგოდ მთავრდებოდა, ეს უკანასკნელი კი ვილნოსთან მოპოვებული უპირატესობის ხელიდან გაშვებას აღარ აპირებდა. სერგეევის მეთაურობის ქვეშ მყოფი IV არმია, რომლის შემადგენლობაშიც ძლიერი ცხენოსანი ნაწილები შედიოდა (გაი-ხანის ცხენოსანთა კორპუსი), „საკმაოდ ვიწრო კორიდორით გადაადგილდებოდა. იგი სისტემატურად უვლიდა გვერდს ჩვენი ჯარების ჩრდილოეთ ფრთას და საბჭოთა ჯარის დანარჩენ ნაწილს წინ მიუძღოდა, თითქოსდა ავანგარდის რომელიმე გვერდითი ნაწილი ყოფილიყო. თითოეული ასეთი შემოვლა პოლონელების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის მცდელობას დასაწყისშივე ახშობდა ხოლმე, ისევე, როგორც ეს თავის დროზე ვილნოსთან მოხდა. უკან იხევდა პოლონელთა 1-ელი არმია, მის კვალს მიჰყვებოდა სამხრეთის მე-4 არმიაც“, – აღწერს პილსუდსკი (JP VII, 96). მოვლენათა

გარე დამკვირვებლების თვალსაზრისით, უკანდახევა თანდათან მარცხად იქცა.

ტუხაჩევსკის ჯარი ვარშავას ყოველდღიურად საშუალოდ 20 კილომეტრით უახლოვდებოდა. „ამ მარშის გავლენა უზარმაზარი იყო", – ამბობდა პილსუდსკი. წითელი არმიის წნეხი, ყოველდღიური უწყვეტი წინსვლა, „რომელიც კვირების განმავლობაში გრძელდებოდა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ეს იყო რაღაც გარდაუვალი, მეხის ღრუბელივით გავეშებული საშინელება, რომლის შემჩერებელიც არავინ და არაფერი არ იყო. ამ პირქუში ღრუბლის გავლენით წელში გატეხვის პირას იყო ქვეყანა, იმსხვრეოდა სულები, მორალურად ტყდებოდნენ ჯარისკაცები. ამ მოვლენების შედეგად გარე ფრონტთან ერთად სულ უფრო ნათლად ყალიბდებოდა შიდა ფრონტის კონტურები. შიდა ფრონტი კი – ომების ისტორიის ყველა გაკვეთილის გათვალისწინებით – მარცხისა და ნგრევის მომასწავებელი იყო. რა თქმა უნდა, აქ ბრძოლაში დამარცხებაზე არაა ლაპარაკი, ლაპარაკია მთლიანად ომის წაგებაზე", – ასკვნიდა საბოლოოდ მარშალი (JP VII, 97). შიდა ფრონტის ცენტრალურ წერტილად თანდათან ქვეყნის დედაქალაქი ხდებოდა.

შიდა ფრონტზე თავდასხმის უპირველესი ობიექტი მთავარსარდალი იყო. მის მიმართ განხორციელებულ შეტევას დასაწყისში პროპაგანდისტული ხასიათი ჰქონდა, თუმცა ამ შეტევამ მალევე გადაინაცვლა „სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს" (სადაც შევიდნენ მთავრობის, ჯარისა და პარლამენტის წარმომადგენლები) ფარგლებში, რომელიც 1-ელ ივლისს შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ პილსუდსკი ამ ორგანოს თავმჯდომარე იყო, მას მნიშვნელოვნად ჰქონდა შეზღუდული კომპეტენციები. ზუსტად ამ საბჭომ მისცა უფლებამოსილება პრემიერ ვლადისლავ გრაბსკის[73], რათა მას ზავი ეთხოვა ანტანტის სახელმწიფოების შუამავლობით. ამასთან, პოლონური მხარე

[73] ვლადისლავ გრაბსკი (1874-1938) – პოლონელი პოლიტიკოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლონეთის რესპუბლიკის ორგზის პრემიერ-მინისტრი.

წინასწარ თანხმდებოდა ანტანტის სახელმწიფოთა „უმაღლესი საბჭოს“ მიერ ნაკარნახევ პირობებს. ამ კაპიტულანტური ტენდენციების შედეგი იყო ბელგიის ქალაქ სპაში ჩატარებული კონფერენციის დადგენილებები ჩეშინის სილეზიის, პოლონეთ-გდანსკის კონვენციის, ვილნოსა და აღმოსავლეთი გალიციის საკითხებში. ყველა ეს დადგენილება პოლონეთის საზიანოდ იყო მიღებული. ბოლშევიკების მიერ საზავო პირობების მიღების შემდეგ, ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრად დგინდებოდა ეგრეთ წოდებული „კერზონის ხაზი“[74], რომელიც ძირითადად დასავლეთის სახელმწიფოების მიერ 1919 წლის 8 დეკემბერს შემოთავაზებული დელიმიტაციის დუბლირებულ ვარიანტს წარმოადგენდა. საზღვარი ძირითადად მდინარე ბუგს მიჰყვებოდა, ხოლო აღმოსავლეთით ველკოპოლსკის რეგიონში არსებულ ფრონტის ხაზს თანხვდებოდა. როგორც ერთმა თანამედროვე მკვლევარმა აღნიშნა, „დავიწყებული სამშვიდობო პოლიტიკის“ ეს რადიკალური გამოვლინება აღორძინების პროცესში მყოფი ქვეყნისათვის სრულ კატასტროფას ნიშნავდა (დასავლეთის დიდი სახელმწიფოები იმ პლებისციტების ვადის გადანევასაც არ დათანხმდნენ რომლებიც ვარმიაში, მაზურიაში და ვისლისპირეთის რეგიონებში 11 ივლისს უნდა ჩატარებულიყო). საბოლოო წარმატებაში დარწმუნებული კრემლის მიერ სამშვიდობო შუამავლობის უარყოფამ განაპირობა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ვალდებულად იგრძნეს თავი, რათა პოლონეთისთვის მატერიალური დახმარება მაინც აღმოეჩინათ. ამ სიტუაციაში გრაბსკის მთავრობამ მოსკოვს მხოლოდ და მხოლოდ ზავისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების თხოვნით მიმართა. ამ უიმედო წამოწყების რეალიზება უკვე ახალმა, 24 ივლისს ჩამოყალიბებულმა მთავრობამ აიღო თავის თავზე, რომელსაც „სახალხო პარტიის“ ლიდერი

[74] კერზონის ხაზი (ინგლ. Curzon line) – პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც ანტანტის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციით განისაზღვრა 1919 წლის 8 დეკემბერს და საბოლოოდ დადგინდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯორჯ ნათანიელ კერზონის ოფიციალურ ნოტაში.

ვინცენტი ვიტოსი[75] და და სოციალისტების წინამძღოლი იგნაცი დაშინსკი[76] ედგნენ სათავეში.

ვიტოსის კაბინეტის გამოჩენა იმ შიდა ფრონტის პირველი რეალური გარღვევა იყო, რომელიც მარშალ პილსუდსკის სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ეკვროდა გარს. პილსუდსკიმ, როგორც დამამცირებელი ხელშეკრულებების დადების კატეგორიულმა მოწინააღმდეგემ, ორჯერ დააპირა თანამდებობიდან გადადგომა, თუმცა კულმინაციური, კრიზისული მომენტი 19 ივლისს დადგა, როდესაც მარშალი ფრონტის ხაზის სარეზიზიო შემოვლის შემდეგ დედაქალაქში დაბრუნდა. ამ დღეს დაეცა გროდნო. პოლონეთის ჯარები უკვე მდინარეების – ნემანისა და შჩარას ნაპირებზე იბრძოდნენ, ხოლო სამხრეთში სტირსა და ზბრუჩზე გამავალი ფრონტის ხაზის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ამ სიტუაციაში, პილსუდსკის მოწინააღმდეგეებმა დმოვსკის თაოსნობით მარშალზე პირდაპირი იერიში მიიტანეს. მარშალმა მოწინააღმდეგეების ბრალდებები და შეთავაზებები (არმიის დეზორგანიზაცია, სამეთაურო თანამდებობებზე საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელება – სამოკავშირეო მისიებში მომსახურე ოფიცრების მოზიდვის გზით) რკინის ლოგიკით გააცამტვერა და თან საბჭოს მოუწოდა, რომ საზოგადოებისთვის კამათისა და დაპირისპირების მაგალითი კი არ მიეცათ, არამედ რწმენა და ოპტიმიზმი ჩაენერგათ. თუმცა ამ მოწოდების ტონი დრამატულად ჟღერდა: „პოლიტიკოსების მიერ დამარცხებულ გენერლებს მოსმენისა და მსახურების უნარი დაჰკარგვიათ, – მწუხარებით ამბობდა პილსუდსკი – სამაგიეროდ, ინტრიგებითა და გზების ხლართვით არიან დაკავებულნი!... ძალზე საშიში ჟამია კარს მომდგარი, არც ერთი წუთის დაკარგვის უფლება არ გვაქვს!... უფსკრულის პირას

[75] ვინცენტი ვიტოსი (1874-1945) – პოლონელი პოლიტიკოსი, პოლონეთის რესპუბლიკის სამგზის პრემიერ-მინისტრი.

[76] იგნაცი ევარისტ დაშინსკი (1866-1936) – პოლონელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, პუბლიცისტი, პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალი (1928-1930).

დგახართ და ხვალ შეიძლება ყველა ერთიანად გაგწყვიტონ!... არ ვიცი, რა სიტყვებით დაგარწმუნოთ, რათა თქვენში ერთიანობის სულმა გაიღვიძოს და შეთანხმებამდე მიხვიდეთ!... თუკი ამისთვის ჩემი სიკვდილი გჭირდებათ, მზად ვარ, შუბლში ტყვია ვიკრა, რათა, ბოლოს და ბოლოს, გაიგოთ, რომ ეს გადარჩენის უკანასკნელი შანსია და უნდა გაერთიანდეთ!... მე ვიცი, რაც უნდა ვაკეთო, მე გეგმა მაქვს, თუმცა ჩემს გეგმას თავს არ გახვევთ!" (P-M II, 450). ამ გამოსვლის შედეგად მარშალმა ნდობის ვოტუმი მოიპოვა...

პილსუდსკის მართლაც ჰქონდა გეგმა, როგორც ამას საბჭოს წევრებს ეუბნებოდა. საზოგადოებივი განწყობების დასტაბილურებას ხელი მნიშნელოვნად შეუწყო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამ და პრემიერ-მინისტრის პირადმა მაგალითმა, რომელიც ფეხს არ იცვლიდა საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიდან. ახალი სამხედრო მინისტრი, მარშლის ერთ-ერთი უახლოესი პირი, გენერალი სოსნკოვსკი გახდა, ხოლო მთავარ შტაბს გენერალი ტადეუშ როზვადოვსკი[77] ხელმძღვანელობდა. ამ უკანასკნელს პილსუდსკი ასე ახასიათებდა: „იგი არასოდეს კარგავდა სულის მედგრობას, ენერგიასა და მორალურ ძალას და, რაც მთავარია – მას ყოველთვის სჯეროდა ჩვენი გამარჯვების" (JP VII, 111).

ზემოთ ხსენებულმა პერსონალურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ მთავარსარდალმა საკუთარ სამხედრო გეგმაზე კონცენტრირება შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მას პირადად სურდა ფრონტის ხელმძღვანელობის საკუთარ თავზე აღება, მაინც დედაქალაქში დარჩენა გადაწყვიტა, რათა იქ მორალური სიმტკიცის მაგალითი მიეცა „თუნდაც მხოლოდ მშვიდი სახისა და თავდაჯერებულობის შენარჩუნებით". ვარშავის ბრძოლაში მომხდარ გარდატეხამდე მარშლის გენერალური სტრატეგიული გეგმის მიხედვით ჩრდილოეთ ფრონტს უნდა მოეხერხებინა არსებული მდგომა-

[77] ტადეუშ როზვადოვსკი (1866-1928) – პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი.

რეობის შენარჩუნება მანამ, სანამ სამხრეთი ფრონტიდან მომავალი დამხმარე ჯარი მოაღწევდა. გარდა ამისა, ბუდიონის დამარცხებას საშუალება უნდა მიეცა, რომ „უფრო მეტი ძალების კონცენტრირება მომხდარიყო კონტრშეტევისათვის, რომელიც ამჯერად ბრესტის მხრიდან იგეგმებოდა“ (JP VII, 101). ზუსტად აქედან უნდა დაწყებულიყო გადამწყვეტი ფლანგური კონტრშეტევა, რომელსაც გენერალ ვლადისლავ შიკორსკის ჯარი გაუმაგრებდა ზურგს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პილსუდსკის გეგმის წარმატება პოლესიეს ჯგუფის ჯარებზე იყო დამოკიდებული. დრო აღარ ითმენდა. ნემანისა და შჩარას ნაპირებზე პოლონელთა წინააღმდეგობის გატეხვის შემდეგ ტუხაჩევსკის დივიზიები სულ ახალ და ახალ დასახლებულ პუნქტებს იკავებდნენ: 19 ივლისს – გროდნო, 27-ში – ოსოვეცი, ხოლო 28-ში – ბელოსტოკი. კონტრშეტევისთვის ენერგიული მზადება მიმდინარეობდა, თუმცა მანამდე სამხრეთში ბუდიონის განეიტრალება იყო საჭირო. ცხენოსან არმიაზე კონტრშეტევა 28 ივლისს განხორციელდა. კავალერისტები ამ მომენტში კრასნესა და კამიონკა-სტრუმილოვას მიმართულებით მიეშურებოდნენ, თუმცა აქ მოქმედი ბოლშევიკური არმიების მთავარი მიზანი მაინც ლვოვის აღება იყო. ბუდიონის ჯარს ცოტა ხნის წინ ზამოშჩში[78] ფორმირებული კავალერიის კორპუსი შეერკინა, რომელიც ორი დივიზიისაგან შედგებოდა. ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი ბრძოლები ბერესტეჩკოს მიდამოებში მიმდინარეობდა. ბრძოლის მიმდინარეობას მარშალი ქალაქ ხელმიდან აკვირდებოდა. ბუდიონის პოლონელებმა ორი მხრიდან შეუტიეს, მათ შორის, მე-6 არმიის ნაწილმაც. „წითელმა“ კავალერიამ უკანდახევა იწყო. ამ უბანზე საბოლოო გადაწყვეტამდე საქმე აღარ მისულა, რადგანაც 1 აგვისტოს პილსუდსკის ბრესტის დაცემის შესახებ შეატყობინეს. „ბრესტი დაეცა და მასთან ერთად მთელი ჩემი გათვლებიც წყალში ჩაიყარა“, – ამბობდა იგი (JP VII, 103). ამ სიტუაციაში მთავარსარდალმა

[78] ზამოშჩი – ქალაქი პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ბრძანება გასცა რომ ბუდიონისთან ბრძოლა შეეწყვიტათ, ისე, რომ საბოლოო შედეგი მიღწეული არ იყო. საომარი კამპანია კრიტიკულ ფაზაში შედიოდა.

ხელმიდან[79] ვარშავაში პილსუდსკი 2 აგვისტოს დაბრუნდა. იგი მოგვიანებით წერდა, რომ „ვარშავა მას ბევრად უფრო შფოთიანი განწყობით დახვდა, ვიდრე მისი ფრონტზე წასვლის წინ იყო". ამ მომენტისათვის „მდინარე ნარევი – უკანასკნელი სამდინარო ბარიერი, რომელიც ვარშავას ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან იცავდა, თითქმის უკვე მტრის ხელში იყო" (JP VII, 104). მიუხედავად თითქმის ერთთვიანი, უწყვეტი უკანდახევისა, პოლონური ნაწილები სულ უფრო და უფრო უკეთ იბრძოდნენ, მაგრამ 2 აგვისტოს ლომჟა დაეცა, ხოლო მომდევნო დღეს – ოსტროლენკა". ბებჟას, ნარევისა და ნუჟეცის ნაპირებზე გამართულმა ბრძოლებმა წითელი არმიის სვლა მნიშვნელოვნად შეაფერხა. უფრო მეტიც, ამ ბრძოლების სიცხარემ ტუხაჩევსკი დაარწმუნა, რომ პოლონელები ზუსტად ჩრდილოეთ მონაკვეთზე ახდენდნენ თავიანთი მთავარი ძალების თავმოყრას. ბოლშევიკთა მხედართმთავარი დარწმუნდა, რომ გარდამტეხი მომენტი დამდგარიყო, მაგრამ მან მთელი თავისი ძალებით ვარშავაზე პირდაპირ დარტყმას პოლონეთის დედაქალაქისთვის ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შეტევა ამჯობინა. პასკევიჩის მსგავსად, ტუხაჩევსკისაც ვისლის მეორე მხარეს გადასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

სტრატეგიული სიტუაცია მთლიანობაში შეიცვალა, რაც, სხვათა შორის, ორივე მებრძოლი მხარისათვის შეუმჩნეველი დარჩა. ჩრდილოეთში განლაგებულ ტუხაჩევსკის ჯარებსა და სამხრეთში განლაგებულ წითელი არმიის სხვა ნაწილებს შორის თანდათან სიცარიელე ჩამოყალიბდა, რომელიც ნელ-ნელა უფრო ფართოვდებოდა. ამ სიცარიელეს გაჭირვებითლა ფარავდა ეგრეთ წოდებული მოზირის დაჯგუფება. პილსუდსკი მორიგი კონტრშეტევის გეგმის განხილვის პროცესში იმყოფებოდა, თუმცა ზემოაღნიშნული ფაქტი გაცნობიერებული არ

[79] ხელმი – ქალაქი პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

ჰქონდა. მან იცოდა, რომ მხოლოდ თამამ, უკიდურესი რისკის ზღვარზე მდგარ მანევრს შეეძლო სიტუაციის რადიკალური ცვლილების მოტანა. ისიც იცოდა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში შეუქცევადი მარცხი ელოდა. ამასობაში, ის მხედართმთავრები, რომლებმაც გამარჯვების რწმენა დაკარგეს, თანდათან საქმეს ჩამოშორდნენ. ანტანტის მხრიდან არმიის ხელმძღვანელ რგოლში პერსონალური ცვლილებების იძულებითი განხორციელების წარუმატებელი მცდელობების შემდეგ ამ ორგანიზაციამ საკუთარი აზრის თავს მოხვევა შეწყვიტა (საბოლოოდ მხოლოდ ის მოხერხდა, რომ მთავარი შტაბის ოფიციალურ მრჩევლად გენერალი ვეიგანი[80] დაინიშნა). დასავლეთის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკაში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა ბოლშევიკებთან შეთანხმების მიღწევის ტენდენცია (ეს განსაკუთრებით კარგად დიდი ბრიტანეთის მაგალითზე ჩანდა), თუმცა ისინი იძულებულნი იყვნენ პოლონეთის მხარდაჭერა განეგრძოთ, რადგანაც მოსკოვის მიერ შემოთავაზებული ეგრეთ წოდებული სამშვიდობო პირობები (მათ შორის, პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი „კერზონის ხაზზე", პოლონური არმიის შემცირება 50 ათას კაცამდე, შეიარაღების საბჭოთა მხარისთვის გადაცემა, პოლონეთის ტერიტორიაზე მოსახლეობისა და პროდუქციის ტრანზიტის თავისუფლება) ნათლად მიუთითებდა, რომ კრემლისთვის პოლონეთი მხოლოდ „საბჭოთა რესპუბლიკის" სტატუსით იყო მისაღები. ამავდროულად, რუსების წარმოდგენით პოლონეთი „რევოლუციურ კომიტეტს" უნდა ემართა, რომლის სათავეშიც ძერჟინსკი და მარხლევსკი[81] იდგებოდნენ. ამ კომიტეტმა თავისი ქვეყნად მოვლინების შესახებ საზოგადოებას 2 აგვისტოს, ბელოსტოკში აუწყა. „წითელი" რუსეთი თავის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო.

---

[80] მაქსიმ ვეიგანი (1867-1965) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე, გენერალი.

[81] იულიან ბალტაზარ იუზეფ მარხლევსკი (1866-1925) – პოლონელი რევოლუციონერი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე, კომინტერნის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პუბლიცისტი.

პილსუდსკის წარმატებული ფინალის რწმენა დიდად არ ჰქონდა. ვარშავის ყველა კუთხეში იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ მტრის მთავარი არმია საცაა დედაქალაქს მოადგებოდა, მთავარსარდალი კი სულ უფრო აშკარად გრძნობდა საზოგადოების წნეხს, რომ „ახალი ბრძანებების გაცემა უნდა დაეწყო". ნათელი იყო, რომ „ბოლო ერთი თვის განმავლობაში განცდილი წარუმატებლობებისა და მარცხების სერია, მათი ყველა მატერიალური და მორალური შედეგით, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ისევ სამხედროთა მხრებს აწვებოდა". პილსუდსკი, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად იყო ბრძოლისათვის, თუმცა „ცოტა ხნის წინ, ბრესტიდან კონტრშეტევის დაწყებასთან დაკავშირებული მისი გეგმის ჩავარდნამ ისიც სერიოზულად დათრგუნა". როგორც მარშალი მოგვიანებით იხსენებდა, „იმ წუთში არანაირი გონივრული გადაწყვეტილება თავში არ მოსდიოდა". მაშინ მან ერთადერთ რაციონალურ გზას მიმართა – პილსუდსკიმ რამდენიმე დღით მთელი თავისი გარემოცვისაგან განცალკევება გადაწყვიტა. იგი ვარშავის მახლობდალად მდებარე დაბა ანინში განმარტოვდა, შორს საგანგაშო ამბებისგან, ჩახლართული გეგმებისაგან, წნეხისაგან, რათა კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად გაეაზრებინა შექმნილი სიტუაცია. საკუთარი შტაბში ზედმეტი ფორიაქი რომ არ გამოეწვია, მან საბოლოო ვადა დანიშნა – 6 აგვისტო – თარიღი, როდესაც „პოლონური ომი" უნდა დაწყებულიყო. თარიღის არჩევანიც არ იყო შემთხვევითი – პილსუდსკი ამბობდა, რომ ეს მისთვის „ბედნიერი რიცხვი იყო". მისი თქმით, „ესეც იმაზე მიუთითებდა, რომ მისი სულიერი მდგომარეობა მერყევი და თავდაჯერებულობას მოკლებული იყო" (JP VII, 109-110).

პილსუდსკი არ უარყოფდა, რომ პასუხისმგებლობის ის ტვირთი, რომელიც მან თავის თავზე აიღო, ძალზე მძიმე იყო. მარშალი მერყეობდა. გასაკვირი არაა, რომ იგი შტაბის შეხლა-შემოხლას გამოერიდა (ამ კამათების ძირითადი მონაწილენი როზვადოვსკი და ვეიგანი იყვნენ, მოდერატორის როლს კი სოსნკოვსკი ასრულებდა) და შტაბის მიერ მოწოდებული მიმდინარე ანგარიშების გაანალიზებასაც კი ანება თავი.

ყველაფრის მიუხედავად, 6 აგვისტოს ღამე იქცა იმ ღამედ, როდესაც „მიღებულ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება, უნდა მოძებნილიყო გამოსავალი“, რომელსაც თან ახლდა რისკი, რომელსაც თან ახლდა „საკუთარ თავთან გააფთრებული ბრძოლა“. ზუსტად „ბელვედერის კაბინეტში მარტოობისას და არა რომელიმე თათბირის დროს“ პილსუდსკიმ „საკუთარ სულში მოახდინა გარდატეხა გადაწყვეტილების მისაღებად“ (JP VII, 114). ამ გადაწყვეტილებამ ბრძანების ფორმა მიიღო, რომლის მიხედვითაც „ჯარების გადაჯგუფება უნდა მომხდარიყო“. ეს კი სამანევრო ჯგუფის მიერ მდინარე ვეფშას ნაპირებიდან მოიერიშე მტრის ფლანგებსა და ზურგზე დარტყმას ნიშნავდა.

პილსუდსკის გეგმა უკიდურესად სარისკო იყო, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე პერსპექტიული. რისკი იმ პოლიტიკური ვალდებულებებიდან და სტრატეგიული აბსურდიდან გამომდინარეობდა, რაც მთავარსარდალს არათუ უნდა გაეთვალისწინებინა, არამედ მიეღო კიდეც. პირველ ვალდებულებას სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოების აუცილებლობა წარმოადგენდა. პოლონურმა დელეგაციამ ვარშავა 14 ივლისს დატოვა და მოლაპარაკებებზე გაემგზავრა. ამასთან დაკავშირებით პილსუდსკი იხსენებდა: „როგორც მთავარსარდალი და სახელმწიფოს მეთაური, ვალდებული ვიყავი ჩვენი დელეგაცია დედაქალაქიდან ისეთი სულიერი განწყობით გამეშვა, რომ მათ უკან, დაუპყრობელ ქალაქში დაბრუნების იმედი არ დაეკარგათ“. მეორე ვალდებულებას წარმოადგენდა „მთელი სამეთაურო რგოლის რეორგანიზაციის აუცილებლობა იმ შემთხვევისათვის, თუკი მთელი ინიციატივის ჩვენს ხელში აღება მოგვიწევდა“. ეს კი ისეთი მეთაურების მოძიებას ნიშნავდა, რომლებსაც შეტევის რისკის საკუთარ თავზე აღების უნარი ექნებოდათ. სტრატეგიულ აბსურდს წარმოადგენდა უმთავრესი საჯარისო ნაწილების დედაქალაქის დასაცავად დატოვების აუცილებლობა, რადგანაც ეს ვარშავას „პასიურ როლში აყენებდა, რომლის მიხედვითაც მას მხოლოდ მოწოლილი წნეხისთვის უნდა გაეძლო“. მთავარსარდალს ვერ გადაეწყვიტა დედაქალაქიდან ზედმეტი ძალების გაყვანა, რადგანაც, რო-

გორც იგი იხსენებდა: „რამდენჯერაც დავაპირე საკუთარი თავის დარწმუნება, რომ ამის არგაკეთება სრული ნონსენსი იყო, იმდენჯერ შემაკავა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე აღებულმა პასუხისმგებლობამ. მიჭირდა ბოლომდე დამაჯერებინა ქალაქის მცხოვრებთა და იქ მყოფი ჯარის სულის სიმტკიცის, მიჭირდა მერწმუნა მათი მეთაურების თავდაჯერების“ (JP VII, 114-116). მთავარსარდლის წინააღმდეგ წარმოებული პროპაგანდისტული კამპანია და დამპყრობლური არმიების პროფესიონალთა მიერ „დილეტანტი“ პილსუდსკის მიმართ ოპოზიციონირება თავის უნებურ შედეგს იძლეოდა.

მარშალ ჟოფრის[82] მსგავსად, პილსუდსკის არ შეეძლო ეთქვა, რომ იგი ვარშავის გარეთ იბრძოლებდა. 1921 წლის გვიანი შემოდგომით, გენერალური შტაბის სკოლის მსმენელთა წინაშე მან ლექცია წაიკითხა. ამ ლექციაზე შედგა პირველი საჯარო პოლემიკა იმ მოსაზრებების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც ვარშავის ბრძოლაში გამარჯვება ვეიგანს მიეწერებოდა. ლექციის კითხვისას პილსუდსკის არ დაუმალავს, რომ ვალდებული იყო ვარშავა დაეცვა. თუმცაღა, მისივე სიტყვებით: „გონება კარნახობდა, რომ თუკი მოსკალები ვარშავას კბილებს ჩაავლებდნენ, ვეფშას ნაპირებზე გამართული ბრძოლა მათთვის კიდევ უფრო დამანგრეველი იქნებოდა და შეიძლება ნემანის ნაპირებზე შერკინება აღარც კი გამხდარიყო საჭირო. მიუხედავად ყველაფრისა, მან ვარშავაში დარჩენა და მისი დაცვა გადაწყვიტა, რადგანაც შიშობდა, რომ თუკი ბოლშევიკები იქ ფეხს შედგამდნენ, შეიძლება ამას პოლონელთა ნაწილის საბრძოლო სულზე უარყოფითი გავლენა ჰქონოდა და, გარდა ამისა, პოლიტიკური შედეგებიც მოჰყოლოდა. მის მოწინააღმდეგეებში ხომ ისედაც ტრიალებდა პოზნანში ალტერნატიული მთავრობის შექმნის იდეა“ (A-T, 95). ეს კი პილსუდსკის მხრიდან საფუძველს მოკლებული ეჭვი არ იყო, თუკი გავითვალისწინებთ, რომ აქა-იქ უკვე ისმოდა ხმები ცალკეული

[82] ჟოზეფ ჟაკ სეზერ ჟოფრი (1852-1931) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე, საფრანგეთის მარშალი.

სამთავრობო დაწესებულებების ველკოპოლსკის დედაქალაქში ევაკუირების შესახებ...

საბოლოოდ, 6 აგვისტოს ბრძანების თანახმად, პოლონურ ჯარს თავდაცვითი პოზიციები უნდა დაეკავებინა მდინარეების: ოჟიცა-ნარევ-ვისლა-ვეფშის ხაზზე და შემდგომ უკვე სერეტზე ან სტირზე. ვეფშის ქვედა წელში, დემბლინის მახლობლად დამრტყმელი ჯგუფი კონცენტრირდებოდა. აქ პილსუდსკიმ „ყველაზე უფრო თავზეხელაღებული ამოცანის გადაწყვეტა" აიღო საკუთარ თავზე და თვითონ ჩაუდგა სათავეში ამ პროცესს. როგორც ის მოგვიანებით წერდა: „ერთი ფიქრი მიტრიალებდა ამ დროს – გადამწყვეტი ოპერაციის წუთებში შინაგან განგაშს არ ავყოლოდი" (JP VII, 117-118). ჩრდილოეთი ფრონტის ჯარები უნდა დაშორებოდა მტრის ძალებს, დალაგებულიყო, დამატებითი ძალით გაძლიერებულიყო და მტრის შეტევები მანამ მოეგერიებინა, სანამ კონტრშეტევისათვის მზადება არ დამთავრდებოდა. სამხრეთში, აუცილებლობის შემთხვევაში, ფრონტი ლვოვს უნდა დაყრდნობოდა და თუკი საჭირო გახდებოდა, დამრტყმელი ჯგუფისათვის ლეგიონის ორი დივიზია (1-ელი და მე-3) უნდა მიეშველებინა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება გადაჯგუფების შესახებ მტრის ხელში მოხვდა, „საბჭოელთა მთავარ შტაბში ამ დოკუმენტს დიდი ნდობა არ დაუმსახურებია, რადგანაც ბრძანებაში ხსენებულმა დივიზიებმა პირველად რუსებს დაარტყა და შემდეგ მშვიდად განაგრძო გზა კონცენტრაციის რაიონისაკენ, ეს კი ბრძანების საპირისპირო ქმედება იყო" (JP VII, 121). რუსების უნდობლობა არცაა გასაკვირი, რადგანაც დივიზიები, რომლებიც თითქოსდა ჩრდილოეთში უნდა ყოფილიყვნენ, ლუბარტუვის მიდამოებში უტევდნენ მოწინააღმდეგეს...

წარმატებით გადაწყდა სამეთაურო რგოლის რეორგანიზაციის დილემაც. ჩრდილოეთ ფრონტს მეურვეობდა გენერალი იუზეფ ჰალერი, რომელმაც საკუთარ უკმაყოფილებებსა და ამბიციებს გადააბიჯა და არსებული დღის წესრიგის რეალიზებას შეუდგა. აქ მთავარ ამოცანას მტრის ფრონტალური შეტევის შეჩერება წარმოადგენდა, რაც ახლად გამომცხვარ მე-5

არმიას დაეკისრა რომელსაც გენერალი ვლადისლავ შიკორსკი მეთაურობდა. სეროცკიდან კარჩევამდე თავდაცვით ხაზს გენერალ ფრანჩიშეკ ლატინიკის 1-ელი არმია ავსებდა, ხოლო გურა-კალვარიადან დემბლინამდე მე-2 არმიის ნაწილები იდგნენ გენერალ კაზიმეჟ რაშევსკის ხელმძღვანელობით, რომელიც მალევე გენერალმა ბოლესლავ როიამ შეცვალა. ფრონტის ცენტრალური ნაწილი შმიგლის ჰქონდა ჩაბარებული. დემბლინიდან კოცკამდე მე-4 არმიის ნაწილები იდგნენ გენერალ ლეონარდ სკერსკის მეთაურობით, ხოლო აქედან დაწყებული ბროდიმდე ფრონტს ამაგრებდა გენერალ ზიგმუნტ ზელინსკის მე-3 არმია. დაბოლოს, ფრონტის სამხრეთ სეგმენტს წარმოადგენდა მე-6 არმია, ისევ და ისევ გენერალ ვაცლავ ივაშკევიჩის ხელმძღვანელობით. თვითონ პილსუდსკის მე-4 არმიის სამი დივიზიისთვის (მე-14, მე-16 და 21-ე) და სამხრეთიდან მოახლოებული ლეგიონის დივიზიებისთვის უნდა ემეთაურა, რომლებიც დამრტყმელ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

პილსუდსკი ვარშავიდან ფრონტისკენ 12 აგვისტოს გაეშურა. მანამდე კიდევ ერთხელ განიხილა გეგმის დეტალები როზვადოვსკისთან, სოსნკოვსკისთან და ვეიგანთან, ხოლო პრემიერ-მინისტრ ვიტოსს კი ხელში ოფიციალური განცხადება ჩააბარა. დოკუმენტში ეწერა, რომ პილსუდსკი ტოვებდა როგორც სახელმწიფოს მეთაურის, აგრეთვე ქვეყნის მთავარსარდლის თანამდებობებს. ამ დოკუმენტში დეკლარირებული ნაბიჯი ერთგვარ დაზღვევას წარმოადგენდა პოლონეთისთვის და იგი იმ შემთხვევაში უნდა ქცეულიყო რეალობად, თუკი პოლონელები გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდებოდნენ. მარცხის შემთხვევაში ერთადერთ იმედად ანტანტის დახმარებაღა რჩებოდა, მისი მესვეურები კი დახმარების სანაცვლოდ უპირობოდ მოითხოვდენ პილსუდსკის გადადგომას ქვეყნის მთავარსარდლის თანამდებობიდან. ამ დოკუმენტით, რომელიც განსაკუთრებულად მძიმე ისტორიულ მომენტში მომზადდა – მომენტში, როდესაც დაგეგმილი ოპერაციის წარმატებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი, პილსუდსკი პასუხისმგებლობას იღებდა „როგორც პოლონეთის წარსულ დიდებასა და

უძლეველობაზე, აგრეთვე აწინდელ უძლურებასა და მორჩილებაზე“ (K II, 185). მარშალს ხელშეკრულებების არ სჯეროდა. არ სჯეროდა, რომ კრემლს რაიმე პირობის დაცვა შეეძლო. მიუხედავად ამისა, პოლონეთში წარმოებული მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, მისი აზრით, სხვა არაფერი რჩებოდა თუ არა ანტანტის სახელმწიფოებისთვის რეალური დახმარების თხოვნა. ამ ქვეყნების მეთაურები კი დახმარების გაწევის პირობად პირდაპირ ასახელებდნენ პილსუდსკის გადადგომას. იმ შემთხვევაში, თუკი კონტრშეტევის გეგმა ჩაიფუშებოდა, ანტანტის პირობებით მარშალი უნდა გადამდგარიყო. ამიტომაც, მან ვიტოსს უფლება მისცა, რომ საკუთარი პერსონით, როგორც სარეზერვო კოზირით, ისე ესარგებლა.

ფრონტზე ჩასვლის მომენტიდან პილსუდსკის წუთიც არ დაუკარგავს უქმად. უპირველეს ყოვლისა, ოპერატიული გეგმა შმიგლისა და სკერსკის წარუდგინა, შემდეგ კი იმ ნაწილების შემოვლას შეუდგა, რომლებიც დამრტყმელ ძალას ქმნიდნენ. მათმა სულიერმა სიმტკიცემ მარშალს თავდაჯერებულობა შემატა. სამაგიეროდ, ცუდად იდგა ჯარისკაცების აღჭურვისა და მათი ჩაცმა-დახურვის საკითხი. „ასეთი ჩამოტყაული ჯეელები აქამდე მთელი ომის განმავლობაში არ მინახავს. ფირლეიში, 21-ე დივიზიის თითქმის ნახევარი ფეხშიშველი მარშირებდა ჩემს წინაშე“ – იხსენებდა პილსუდსკი (JP VII, 123). მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მრავალი წყაროს თანახმად, ზუსტად უმაღლესი მთავარსარდლის მათ გვერდით ყოფნა მუხტავდა რწმენით შიშველ-ტიტველ ჯარისკაცებს. მებრძოლთა აზრით, პილსუდსკის მათთან ყოფნა გამარჯვების გარანტია იყო.

მარშალი ვარაუდობდა რომ „წითელი“ არმია ვისლისა და ვკრის ნაპირებზე ჩაებმებოდა ბრძოლაში. მან გადამწყვეტი შეტევა 17 აგვისტოსათვის დანიშნა. ვარშავაზე განხორციელებული უპრეცედენტო წნეხის გამო (ყველაზე ცხარე ბრძოლები 13 აგვისტოს ქალაქ რაძიმინისთვის გაიმართა) დედაქალაქიდან საგანგაშო დეპეშები მოდიოდა. „ჩემზე პირდაპირი ზეწოლა ხორციელდებოდა, რომ დაუყოვნებლივ ვარშავის დასახმარებლად მიმეშურებინა, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის მზად

არ ვიყავი", – იხსენებდა პილსუდსკი (JP VII, 125). მარშალი დათმობაზე წავიდა და „სამხედრო მიზანშეწონილობისა და არსებული საგანგაშო განწყობების გათვალისწინებით" იერიშის დაწყება ერთი დღით ადრე – 16 აგვისტოსათვის გადაწყვიტა.

ოპერატიული გათვლები პილსუდსკიმ სპეციალურ ბრძანებაში მოაქცია. ძირითად ამოცანას წარმოადგენდა „ჩრდილოეთში მოქმედი მტრის არმიების ფლანგებზე შეტევა და ყველა საკომუნიკაციო ხაზის ხელში ჩაგდება". მე-4 არმიის მარჯვენა ფრთას შეტევის პირველ დღეს რაძიმინისთვის უნდა მიეღწია, ხოლო მე-3 არმიას – პარჩევისთვის. მარშალი ფართო ფრონტით შეტევას ფიქრობდა, თუმცა ამაში საკმაოდ დიდი რისკი იდო და ეს განსაკუთრებით მარცხენა ფლანგზე მოქმედ მე-14 დივიზიას შეეხებოდა. ხელქვეითებს იგი ახსენებდა: „ყველა მებრძოლმა უნდა გაიგოს, რომ ეს ბრძოლა მთლიანად ომისა და ქვეყნის ბედს წყვეტს. მან სასურველი შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოგვიტანოს, როცა თითოეული ჯარისკაცი და ოფიცერი უდიდეს ძალისხმევასა და ნებისყოფას არ დაიშურებს" (JC, 17-19). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მთავარსარდალი უწყვეტ და გამართულ კავშირს ინარჩუნებდა ვარშავაში მყოფ მთავარი შტაბის ხელმძღვანელთან. ის არა მარტო დამრტყმელ ჯგუფთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებდა, არამედ მთელი არმიის მოქმედებების ბედსაც წყვეტდა. ამაზე ცხადად მოწმობს ოპერაციის წინა დღეს – 15 გვისტოს პილსუდსკისა და როზვადოვსკის შორის წარმოებული კორესპონდენცია.

მე-4 არმიის მთელი ფრონტისა და მე-3 არმიის ფრონტის ნაწილის შემოვლის შემდეგ მარშალი როზვადოვსკის წერილს უგზავნის და ატყობინებს, რომ სრულად აკონტროლებს მის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებს. ამავე წერილში ჰპირდება, რომ ჯარი „თავიდანვე ისეთი სისწრაფითა და გიჟური ტემპით იმოქმედებს", როგორც ეს კიევზე შეტევისას იყო. ამასთანავე, პილსუდსკი შტაბის უფროსს შეახსენებს, რომ უზრუნველყოს მე-2 არმიის გადაადგილება მე-4 არმიასთან შესახვედრად, ხოლო შეტევიდან მეორე დღეს ანალოგიური მანევრი

განახორციელებინოს 1-ელ არმიასაც. მარშალი შტაბის უფროსს ასევე შეახსენებს სატანკო შეტევის შესახებ რაძიმინის მიმართულებით და განსაკუთრებულ ხაზს უსვამს „აღმოსავლეთი გალიციის აქტიური და არა პასიური დაცვის აუცილებლობას". როზვადოვსკიმ დაუყოვნებლივ უპასუხა. იგი ამბობს: „ზოგადი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მთელი ოპერაცია ძალზე ხელსაყრელად ვითარდება. დროის კუთხით ძალზე მომგებიან პირობებში ვიმყოფებით ისე, როგორც ამას თქვენ ვარაუდობდით, ბატონო კომენდანტო". შემდგომ, შტაბის უფროსი პილსუდსკის ინფორმაციას აწვდის ბრძოლების მიმდინარეობაზე და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ არმიებს შორის ურთიერთქმედება (განსაკუთრებით მე-2 და მე-4 არმიებს შორის) „ზუსტად კომენდანტის განკარგულების შესაბამისად ვითარდება". გარდა ამისა, როზვადოვსკი თვლიდა, რომ „მე-4 და 1-ელი არმიების უერთიერთქმედების გეგმა ბატონმა კომენდანტმა შესანიშნავად მოამზადა". იგი პილსუდსკის მიმართავდა: „გთხოვთ გქონდეთ იმედი, რომ მჭიდრო კონტაქტში ვიქნები თქვენთან და ყველა პროცესს დავაჩქარებ იმისათვის, რათა აქ 17-ში დილით ერთობლივი მოქმედებებისათვის სრულ მზადყოფნაში ვიყოთ". ამ დოკუმენტში შეიძლება ამოვიკითხოთ საქებარი სიტყვები შიკორსკის მისამართით, რომელიც „შესანიშნავად მოქმედებს", აგრეთვე დრეშერის მისამართით, „რომელიც მალე მოწინააღმდეგის კავალერიის საკითხს მოაგვარებს, რადგანაც მეთაურის შეცვლის შემდეგ პოლონურ ცხენოსან ჯარში სულ სხვა სულმა დაქროლა". ბოლოს როზვადოვსკი სრულად იწონებს 1-ელი არმიის ქვეითთა მე-4 დივიზიით გაძლიერების დირექტივას და ამბობს: „ბატონი კომენდანტის მითითებების თანახმად ვაპირებ, რომ გენერალ ლატინიკს დავუქვემდებარო საბოლოო სარეზერვო ნანილი" (JC 19-24). როზვადოვკის წერილის ასეთი ფართო ციტირება აქ შემთხვევით არ მოგვიხდენია. ეს საკვანძო დოკუმენტია, სადაც ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული საბრძოლო გეგმის ავტორი და პილსუდსკის უპირობო ლიდერობა მთელი ფრონტის მასშტაბით მიმდინარე ოპერაციებში. ვარშავის

ბრძოლის გეგმის ავტორობის შესახებ მიმდინარე დისკუსიები ახლა ისეთი ინტენსური აღარ არის, როგორც თუნდაც თხუთმეტიოდე წლის წინათ, თუმცა ძალზე ნიშანდობლივია, რომ გადამწყვეტი დარტყმის წინა დღეს მთავარი შტაბის ხელმძღვანელი მთავარსარდალს ბრძოლის გეგმის ერთადერთ ავტორად მიიჩნევდა. გარდა ამისა, იგი პილსუდსკის განიხილავდა მთელ ფრონტზე განვითარებული ინიციატივების მთავარ კოორდინატორად და საბრძოლო გეგმის საკვანძო ნაწილის ძირითად შემსრულებლად.

როზვადოვსკი კარგად ხედავდა, რომ უშუალოდ მთავარსარდლის ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარე ოპერაცია პოლონური მხარისთვის ხელსაყრელად ვითარდებოდა. 16 აგვისტოს დაწყებული იერიში ფაქტობრივად ასე გამოიყურებოდა: „მტერთან უშუალო შეხებაში მხოლოდ 21-ე დივიზია იყო, რომელიც საკმაოდ მსუბუქ და ზედაპირულ ბრძოლას აწარმოებდა“. დანარჩენი დივიზიები „ისე მიიწევდნენ წინ, რომ მტერთან პრაქტიკულად კონტაქტი არ ჰქონდათ“. მოზირის ჯგუფი – „ეს აპოკალიფსური მხეცი, რომლის წინაშეც მთელი თვის განმავლობაში მრავალრიცხოვანი დივიზიები იხევდნენ უკან“ და რომელიც პილსუდსკისათვის თავის დროზე ღამეული სიზმრების კოშმარად იქცა, რეალობაში ჩვეულებრივი ფანტომი აღმოჩნდა. მარშალი იმასაც კი ფიქრობდა, რომ მას ხაფანგში იტყუებდნენ. მოგვიანებით იგი წერდა: „ვფიქრობდი, ხომ არ მესიზმრებოდა, როცა ვხედავდი, რომ ხუთი დივიზია თავისუფლად და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიწევდა წინ. ისინი იმავე სივრცეს გადიოდნენ, რომელიც ცოტა ხნის წინ, უკანდახევის საგანგაშო მარშისას მტერს დაუთმეს“. ამიტომაც, როცა 17 აგვისტოს, საღამოს, გარვოლინში მარშალს „ჩრდილოეთიდან მომავალი „სიცოცხლის“ ხმა მოესმა, რომელსაც ზარბაზნების ყრუ ზალპის ულერადობა ჰქონდა“, დარწმუნდა, რომ „მტერი სადღაც ნამდვილად არსებობდა და მის არსებობას ეს საომარი მუსიკა ადასტურებდა“ (JP VII, 126-128). ამ დღეს დამრტყმელი ჯგუფის ჯარები უკვე ბიალა-პოდლასკაში, მენძიჟეცში და შედლცეში იყვნენ. უფრო

მეტიც, მინსკ-მაზოვეცკის რაიონში, მარცხენა ფლანგზე მე-14 დივიზია მე-15 დივიზიას შეხვდა, რომელიც მთავარსარდლის ბრძანების თანახმად ვარშავის საფორტიფიკაციო ხაზის – „ფშედმოშჩეს" მხრიდან უტევდა მტერს. უკვე კონტრშეტევის მეორე დღეს, ტუხაჩევსკის ჯარებს დანარჩენი ძალებისაგან მოწყვეტის საფრთხე დემუქრა. პილსუდსკის სარისკო მანევრი არსებითად სტრატეგიულ გარდატეხად იქცა ვისლის ნაპირებზე მიმდინარე ბრძოლაში.

სრულიად დაბნეულმა ტუხაჩევსკიმ მხოლოდ 18 აგვისტოსღა გასცა უკან დახევის ბრძანება. ეს ძალზე დაგვიანებული გადაყვეტილება იყო და, ამასთანავე, თითქმის შეუსრულებელიც. უნდა ითქვას, რომ მისი არმიები (IV არმიის გამოკლებით, რომელიც გაი-ხანის კორპუსთან ერთად ჯერ კიდევ ცდილობდა ვისლაზე გადასვლას) უკვე მეორე დღე იყო, რაც უკან იხევდნენ და ეს პროცესი ხანდახან სრულიად პანიკურად მიმდინარეობდა. ამ დღესვე პილსუდსკიმ საკუთარი ძალების გადაჯგუფება გადაწყვიტა. რუსების XVI არმია, რომელსაც სამანევრო ჯგუფის პირველი დარტყმა ხვდა წილად, პრინციპში, განადგურებული იყო. ამიტომაც, მარშალმა გადაწყვიტა, რომ ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ უკანდახეული მტრის მთავარი ძალებისათვის გზა მოეჭრა. რომ არა გენერალ ჰალერის მცდარი გადაწყვეტილება, რომელმაც 1-ელი არმია არა პილსუდსკის მიერ მითითებული მიმართულებით, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთით წაიყვანა – ტუხაჩევსკი თავისი ძალებით ალყას თავს ვერ დააღწევდა. გზის გახსნამ ბოლშევიკთა მე-3 და მე-15 არმიებს უკან დახევის საშუალება მისცა, ამ უკანასკნელის ნაწილმა კი აღმოსავლეთი პრუსიის საზღვრები გადაკვეთა. აღმოსავლეთ პრუსიაში აღმოჩნდა მე-4 არმიის ნაწილიც, რომელმაც, სხვათა შორის, უკან დახევისას გზად ორი ბარიერის დაძლევა მოახერხა (მლავასთან და ხოჟელესთან), თუმცა საბოლოოდ ქალაქ კოლნოსთან ისინი ალყაში აღმოჩნდნენ და პოლონელების მიერ იქნენ განადგურებულნი. ეს ნამდვილი ულტა იყო. „წითელმა" არმიამ არა მარტო უზარმაზარი ადამიანური ზარალი ნახა (დაახლოებით 25 ათასი

მოკლული და დაჭრილი), არამედ უამრავი ტექნიკა და აღჭურვილობა დატოვა ბრძოლის ველზე. ამას ემატებოდა დაახლოებით 70 ათასამდე დატყვევებული წითელარმიელი რაც მართლაცდა კოლოსალურ რაოდენობას წარმოადგენდა. მიუხედავად ყველაფრისა, ამჯერად გამარჯვების რეალური ავტორის ნაცვლად დიდების შარავანდედი გენერალ ჰალერს ერგო. საომარი კამპანიის გმირად თითქმის მაშინვე ის გამოაცხადეს. რაც შეეხება კონტრშეტევის სტრატეგიული კონცეფციის ავტორობას, ის ვეიგანს მიაკუთვნეს, თუმცა თვითონ ფრანგი გენერალი მაშინაც და წლების შემდეგაც ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის გეგმის ავტორი სწორედ პილსუდსკი იყო...

მტერი დამარცხდა, მაგრამ მისი საბოლოო განადგურება არ მომხდარა. განსაკუთრებით ეს სამხრეთს ეხებოდა. ბუდიონიმ ერთკვირიანი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ლვოვის აღება გადაიფიქრა, მაგრამ 28 აგვისტოს მან კიდევ ერთხელ გაარღვია პოლონელთა ფრონტის ხაზი და ზამოშჩს შეუტია. ქალაქმა თავის დაცვა შეძლო. ამასობაში კი მთავარსარდლის მიერ ზამოშჩის დასახმარებლად გაგზავნილმა მაშველმა რაზმებმა „წითლების" ცხენოსან არმიას უკან დახევა აიძულეს. ეს იყო ვოლინისა და აღმოსავლეთი მალოპოლსკის რეგიონების „წითელი" არმიისაგან სრული გაწმენდის დასაწყისი. 12 სექტემბრიდან მიმდინარე ცხარე ბრძოლები ამ რეგიონებში მოქმედი ბოლშევიკთა მე-12 და მე-14 არმიების დამარცხებით დამთავრდა. პოლონელებმა მტერი ზბრუჩისა და ჰორინის გაღმა განდევნეს. ფრონტის ხაზი საბოლოოდ მდინარეებზე – უბორჩსა (უკრ. უბორტი) და სლუჩზე განლაგდა, შემდეგ კი დაბების – ლუბარისა და ლატიჩუვის (უკრ. ლეტიჩევი) გავლით დნესტრის მიმართულებით გაინელა. თუმცაღა ომის ბედი კიდევ ერთხელ მაინც ჩრდილოეთში გადაწყდა.

აგვისტოს ბოლოს, ტუხაჩევსკის ძალების ნემანის იქით გადარეკვის შემდეგ ფრონტმა დასტაბილურება დაიწყო. იგი გროდნოდან იწყებოდა, ბიალოვეჟას გაივლიდა და მდინარე ჰუჩვაზე მდებარე ქალაქ ტიშოვცემდე აღწევდა. „წითელი"

არმია დამატებითი რაზმებით ძლიერდებოდა. მას ის ჯარისკაცებიც უერთდებოდნენ, რომლებიც გერმანული და ლიეტუვური მიწების გავლით ბრუნდებოდნენ. ბოლშევიკები არა მარტო წინააღმდეგობის გაგრძელებას აპირებდნენ, არამედ კონტრშეტევის განხორციელებისთვისაც კი ემზადებოდნენ. ამავდროულად, პილსუდსკი ამ რაიონში დაგეგმილი თავისი მოქმედებებით ცოტა ხანში ანტანტის პოზიციასთან წინააღმდეგობაში შეიძლებოდა მოსულიყო. ეს მაინც შეიძლებოდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო თავდაცვის საბჭომ" კერზონის ხაზის გადაკვეთაზე თანხმობა გამოხატა, ხოლო სექტემბრის პირველ რიცხვებში პოლონეთ-ლიეტუვას სადემარკაციო ხაზის გადაკვეთის შესაძლებლობაც დაუშვა. ნებისმიერ შემთხვევაში, „სუფთა თავდაცვით პოზიციაში" დგომას მთავარსარდალი არ აპირებდა. პოლონელების წინაშე ორი არჩევანი იდგა: ან „წინ უნდა წავსულიყავით, ბოლომდე გაგვენადგურებინა მტერი და გვეიძულებინა, რომ ჩვენთან სხვა ენით ელაპარაკა, ან უნდა გავჩერებულიყავით ჩვენს ილუზორულ საზღვარზე და რაც შეიძლება ჩქარა დაგვედო საზავო ხელშეკრულება" (JP V, 166-167). პილსუდსკი ერთმნიშვნელოვნად პირველ გადაწყვეტას ანიჭებდა უპირატესობას. თუმცაღა, აღმოსავლეთისკენ წასვლა და იმ ხაზის გადაკვეთა, რომელიც, დასავლეთის სახელმწიფოების აზრით, არ უნდა გადაკვეთილიყო, სასწრაფო მოლაპარაკებას საჭიროებდა უკვე არა იმდენად „მესამე" რუსეთთან, რამდენადაც გენერალ ვრანგელთან[83]. პილსუდსკიმ დიდი იმედგაცრუება განიცადა მეფის გენერლის დელეგატის – პიოტრ მახროვის ვიზიტის შემდეგ, რომელსაც ვრანგელის მხრიდან მხოლოდ სამხედრო უფლებამოსილებები ჰქონდა მინიჭებული და არა პოლიტიკური. ეს უკანასკნელი კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა იმისათვის, რომ არსებითი დისკუსია წარმართულიყო როგორც პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრის, აგრეთვე უკრაინის სტატუსის შესახებ.

[83] პიოტრ ვრანგელი (1878-1928) – რუსი მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

პოლონურ მხარესთან მოთანამშრომლე სხვადასხვა ძალებს რუსეთში (გენერალ ბორის პერემიკინის ხელმძღვანელობით), უკრაინასა (პეტლიურა) და ბელარუსში (გენერალი სტანისლავ ბულაკ-ბალახოვიჩი) რეალური დახმარების მიღების შემთხვევაში შეეძლოთ ადგილებზე ბოლშევიკთა ხელისუფლების ლიკვიდაციის დამოუკიდებელი მცდელობა განეხორციელებინათ. ნებისმიერ შემთხვევაში, „წითელი" არმიის განადგურების შემდეგ, კრემლთან პოლონელებისთვის ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა დადებულიყო. ამავდროულად, ტუხაჩევსკის ჯარების ჩრდილო ფრთას ლიეტუველთა ძალები იფარავდა, რომელთაც სუვალკის რეგიონი ეპყრათ ხელთ – თვით ქალაქ ავგუსტუვამდე.

ლიეტუველებთან ბრძოლა 2 სექტემბერს დაიწყო. მას შემდეგ, რაც პოლონელთა ნაწილებმა სუვალკის რეგიონის დაკავება სცადეს, ლიეტუველებმა ქალაქ სეინის შეუტიეს. ეს პრობლემა მალე ერთა ლიგის ფორუმზეც აღმოჩნდა განსახილველად. ამიტომაც, პილსუდსკიმ დროის მოსაგებად კოვნოსთან პირდაპირ მოლაპარაკებაზე თანხმობა განაცხადა. პოლონელთა დელეგაციას მარშალმა კატეგორიული დირექტივა მისცა, რომ ამ მოლაპარაკებებზე სადავო პრობლემებს არ შეხებოდნენ. ამის ნაცვლად, პოლონელებს თავიანთი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინათ, რომლის მიხედვითაც: „პოლონური მხარე გაკვირვებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ლიეტუვის მთავრობამ კარგად იცოდა რა ვილნოსა და ვილნოს რეგიონის საკითხის მწვავე კონფლიქტურობა, მცდელობაც კი არ განუხორციელებია, რათა ამ რეგიონის პოლონელ მოსახლეობასთან საერთო ენა გამოენახა და მოლაპარაკებოდა". მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი ფორმულირება, რომელსაც პილსუდსკი არგუმენტად იყენებდა: „ჩვენს არმიაში, რომელიც ამჟამად ნემანის იქით იბრძვის, უამრავი კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარისკაცი და ოფიცერია, რომლებიც ზუსტად ამ სადავო რეგიონიდან არიან წარმოშობით. დიდი ალბათობით, ეს ადამიანები თავიანთი უფლებების დაცვას უფრო ქმედითი მეთოდებით მოინდომებდნენ, ვიდრე ხელშეკრულე-

ბებია". პილსუდსკი ხაზს უსვამდა, რომ „პოლონეთს არ სურდა რაიმე მკაცრი ზომების მიღება ლიეტუვის მისამართით, მაშინ, როდესაც ლიეტუვა უხეშად თელავდა ფეხქვეშ პოლონელების უფლებებს მათ საკუთარ მიწაზე" (IJP-NY, AGNW, ტ. 28, დოკ. N4932). ძნელია უფრო მკაფიო ფორმით გაფრთხილება. 7 ოქტომბერს ხელმოწერილი პოლონეთ-ლიეტუვის ხელშეკრულება მხოლოდ სადემარკაციო ხაზის განსაზღვრას და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას შეეხებოდა. გარდა იმისა, რომ პილსუდსკიმ კრემლის ოცნებას დასავლეთისკენ ახალ გალაშქრებაზე ერთმნიშვნელოვნად დაუსვა წერტილი, იგი ლიეტუვის დილემის გადასაწყვეტადაც ემზადებოდა.

ფინალური შეტაკება, რომელიც ნემანზე ბრძოლის სახელითაა ცნობილი, 20 სექტემბერს დაიწყო. ამჯერად მთელ ოპერაციას მთავარსარდალი ხელმძღვანელობდა. მთავარ დარტყმას გროდნოს რაიონში მე-2 არმია განახორციელებდა შმიგლის მეთაურობით. გარდა იმისა, რომ იგი პირდაპირ შეუტევდა მტრის ძალებს, დამატებით მათ ჩრდილოეთიდანაც შემოუვლიდა. მეორე დარტყმა ვოლკოვისკსა და სლონიმზე მე-4 არმიას უნდა განეხორციელებინა, რომელსაც შიკორსკი ედგა სათავეში. ცხარე ბრძოლები რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბრძოლები მიდიოდა ნემანზე გადასასვლელის დასაუფლებლად და მდინარე შვისლოჩის ნაპირებზე, ხელიდან ხელში გადადიოდა ვოლკოვისკი. გადაწყდა, რომ პოლონელებს მტრისთვის ლიეტუველების კონტროლქვეშ მყოფი ტერიტორიიდან შემოეარათ, ასევე დაიგეგმა კავალერიის ღრმა შეჭრა ქალაქ ლიდას მიმართულებით. „წითელმა" არმიამ უკან დახევა იწყო. 25 სექტემბერს გროდნო დაბრუნდა. სამი დღით გვიან, ლიდასთან მარცხი განიცადა ბოლშევიკთა მე-3 არმიამ. ამავე მომენტში პოლონელთა მე-4 არმიამ მდინარე შჩარას ფორსირება მოახდინა, ხოლო გენერალ ფრანჩიშეკ კრაიოვსკის ჯგუფმა ბალახოვიჩის ნაწილებთან ერთად პინსკი დაიკავა. პოლონურმა მარწუხებმა შევიწროება იწყო, ასე რომ, ტუხაჩევსკი იძულებული გახდა ტოტალური უკან დახევის გადაწყვეტილება მიეღო. უკან დახევას პანიკა ახლდა თან, თუმცა გაქცეუ-

ლი მტერი გზადაგზა პოლონელებს მძიმე ბრძოლებსაც უმართავდა. ასე და ამგვარად, ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის პოლონურმა ჯარმა აღმოსავლეთის მიმართულებით მიაღწია ისეთ ქალაქებს, როგორიც არის დრუია, ძისნა, ბარანოვიჩი, მინსკი, სლუცკი, გავიდა მდინარეების – პტიჩისა და სლუჩის ნაპირებზე და სამხრეთში, ქალაქ ბარის გავლით რუმინეთის საზღვარზე აღმოჩნდა.

9 ოქტომბერს პოლონური ჯარები უკვე ვილნოშიც იდგა. ლიეტუვასთან ომის დაწყება პილსუდსკის არ შეეძლო და ამიტომაც, ერთადერთ გამოსავლად რჩებოდა, რომ ოფიციალურ მიზეზად დაესახელებინა წარმოშობით ვილნოს რეგიონთან დაკავშირებული ჯარისკაცების ნაწილების „ამბოხი". პილსუდსკისთან საუბრის შემდეგ ამ აქციის განხორციელება გენერალ ლუციან ჟელიგოვსკის[84] დაევალა. მთავარსარდალს გენერლისთვის არ დაუმალავს, რომ მას სერიოზული სიძნელეები ელოდებოდა. სრულიად ნათელი იყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ამ ოპერაციას ნეგატიური რეაქცია მოჰყვებოდა, თუმცა ყველაზე ტრაგიკომიკული ის იყო, რომ ჟელიგოვსკის წინააღმდეგ ოფიციალურად პოლონეთის სახელმწიფოს და პირადად პილსუდსკისაც შეიძლებოდა გაელაშქრა. საბოლოოდ, 8 ოქტომბერს მე-3 არმიის შერჩეულმა ნაწილებმა „ამბოხი" ატეხეს და მეორე დღის შუადღისთვის პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ვილნო. უნდა ითქვას, რომ ეგრეთ წოდებული „ცენტრალური ლიეტუვის" შექმნა გრძელვადიან პერეპექტივაზე გათვლილი საქმე იყო. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პილსუდსკისთვის ისევ აქტუალური იყო ლიეტუვის დიდი სამთავროს აღდგენის შესაძლებლობა, როგორც მისი ფედერაციული გეგმების ერთ-ერთი ვარიანტისა. ამ სახელმწიფოში სამი შემადგენელი სუბიექტი უნდა

[84] ლუციან ჟელიგოვსკი (1865-1947) – პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, ამბოხების ლიდერი, რომლის შედეგადაც ვილნოსა და მის რეგიონში ცენტრალური ლიეტუვის სახელმწიფო გამოცხადდა, რომელიც პოლონეთ-ლიეტუვის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი უნდა გამხდარიყო.

ყოფილიყო – კოვნოს ლიეტუვა, ცენტრალური ლიეტუვა და ბელარუსი. იგი ორგანულად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული პოლონეთის სახელმწიფოსთან. ვფიქრობთ, რომ ეს ჰიპოთეზა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

ვილნოს საქმის ბოლო, გარე აკორდი იყო ფრანგი და ბრიტანელი დიპლომატების ვიზიტი პილსუდსკისთან, რომელიც 12 ოქტომბერს შედგა. მარშალი კატეგორიულად შეეწინააღმდეგა მათ მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომლის მიხედვითაც პოლონეთს ვილნო ლიეტუვისთვის უნდა გადაეცა. არც ის დაუმალავს, რომ „მისი სიმპათიები ჟელიგივსკის მხარეს იყო". პილსუდსკი ხაზს უსვამდა რომ „ვილნოს საკითხში ორი გადაწყვეტა შეიძლებოდა არსებულიყო: ან ფედერაცია, რომელიც არც პოლონელებს აკმაყოფილებდა და არც ლიეტუველებს, ანდა ვილნოს რეგიონის პოლონეთის სახელმწიფოში ინკორპორაცია. ამ არგუმენტაციაში სუფთა პირადულმა აქცენტებმაც გაიჟღერა. შვიტალსკი იხსენებდა: „კომენდანტი დიდხანს ლაპარაკობდა იმაზე, რომ ანგარიში უნდა გაეწიათ მისი ღირსების გრძნობისათვის. ის ამბობდა, რომ ბევრად უარეს მდგომარეობებში მოხვედრილა, ვიდრე ეს შეხვედრა იყო მისთვის. მჯდარა ციხეში, ბევრჯერ ყოფილა სიკვდილის რისკის ქვეშ, მაგრამ არასოდეს უთქვამს უარი საკუთარ ღირსებასა და პრინციპებზე. მარშალმა ხაზი გაუსვა, რომ ახლაც არ აპირებდა საკუთარ ღირსებასთან კომპრომისზე წასვლას და საუბარი იმით დაასრულა, რომ დასავლელ დიპლომატებს სიამოვნებით უმასპინძლებდა უკვე ვილნოში" (Ś 60-61). მიუხედავად ჟელიგოვსკის მიმართ გაკეთებული გაფრთხილებებისა, პილსუდსკის ჟელიგოვსკის წინააღმდეგ არ გაულაშქრია. თუმცაღა, მარშალმა საჯარო განცხადება გააკეთა, რომ ჟელიგოვსკის მოქმედებები თვითნებური გადაწყვეტილების შედეგი იყო და ამავე დროს ოფიციალურად დააყენა პოლონური სამხედრო ძალებიდან მისი გარიცხვის საკითხი. ამ ნაბიჯებმა პილსუდსკის მნიშვნელოვნად გაუადვილა თამაშის გაგრძელება საერთაშორისო არენაზე. სახელმწიფოს მეთაურს დასავლელი დიპლომატების შემოთავაზებების უარყოფა სხვა მიზეზითაც

შეეძლო. 12 ოქტომბერს რიგაში, ბოლშევიკებთან ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. აღნიშნული შეთანხმება ძალაში 19 ოქტომბრის 00.00 საათზე შედიოდა.

პოლონური არმიის შექმნისათვის მის მიერ ჩატარებული ორწლიანი შრომის პროცესი პილსუდსკიმ იმ მომენტისათვის გამოცემულ მიმართვაში შეაჯამა. „თქვენ შესანიშნავი გამარჯვებებით ამთავრებთ ომს. თქვენ მიერ ქედგადატეხილი მტერი, როგორც იქნა, დაგვთანხმდა ხელი მოაწეროს პირველ და ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს. სანატრელი მშვიდობიანობა შორს აღარ არის". ამიერიდან პოლონელი ჯარისკაცის ამოცანა იყო „პოლონეთის დამოუკიდებელი არსებობის უზრუნველყოფა, მისდამი საერთაშორისო პატივისცემის განმტკიცება და ქვეყნისთვის საშუალების მიცემა, რომ სრულიად თავისუფლად ემართა საკუთარი ბედ-იღბალი". ამავდროულად, პილსუდსკი ხაზს უსვამდა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანობის საწყისი ფაზა იყო და ჯარისკაცი, რომელსაც ჯერჯერობით იარაღი გვერდზე გადაედო, „ნებისმიერ მომენტში მზად უნდა ყოფილიყო, რომ საკუთარი გამარჯვების ნაყოფი დაეცვა" (JP V, 175-176).

მთავარსარდალი ტყუილად არ ფიქრობდა, რომ ომის ცეცხლი ხელახლა შეიძლებოდა დანთებულიყო. უფრო მეტიც, ის ფიქრობდა, რომ საქმე მაინც აქამდე მივიდოდა. პოლონეთის უსიტყვო თანხმობით საქმეში თანდათან ერთვებოდა უკრაინული, ბელორუსული და რუსული რაზმები. პოლონელი მოხალისეებით გაძლიერებული პეტლიურას ნაწილები ბოლშევიკების მიერ დაკავებულ უკრაინის ტერიტორიაზე შედიოდნენ. ისინი 12 ათას ჯარისკაცზე მეტს ითვლიდნენ. მათთან ურთიერთმოქმედებდნენ პერემიკინის პოლკები, რომლებშიც თითქმის ამდენივე მებრძოლი იყო. ეს ნაწილები გენერალ ვრანგელის ჯარისკენ გარღვევას და მასთან შეერთებას ლამობდნენ. ბელარუსისკენ მიემართებოდა ბალახოვიჩის 11-ათასიანი დაჯგუფება. წარმატების შემთხვევაში ეს ჯგუფი ჟელიგოვსკის ჯარების სამხრეთ ფრთას შეუერთდებოდა, რაც უდავოდ ლიეტუვის დიდი სამთავროს

ალდგენის წინაპირობა იქნებოდა, განსაკუთრებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ლიეტუვა რუსეთის იმპერიას გეოგრაფიულადაც მოწყდებოდა. თუმცაღა ფედერაციული გეგმების ფორსირების ეს უკანასკნელი მცდელობაც წარუმატებელი გამოდგა. პოლონეთის მოკავშირეებმა ეს ლაშქრობები ბოლშევიკებთან ბრძოლაში წარმატებად ვერ აქციეს და უკან დაიხიეს. მოკავშირეების ჯარისკაცები ინტერნირებულ იქნენ, იმის მაგივრად, რომ ფედერაციული იდეის მაცნეებად ქცეულიყვნენ. 1921 წლის მაისში, პილსუდსკი ვიზიტით ჩავიდა კალიშის მახლობლად მდებარე დაბა შჩიპიორნოში, სადაც ჯარისკაცების ერთ-ერთი ასეთი ბანაკი იყო განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ბანაკის იძულებითმა ბინადრებმა სტუმარი ძალიან გულთბილად მიიღეს, მეთაურმა ისეთი ჟესტი გააკეთა, როგორსაც პოლიტიკოსები უკიდურესად იშვიათად კისრულობენ ხოლმე. პილსუდსკიმ პატიება სთხოვა მათ, ვინც სახელმწიფოს აშენების მცდელობისას, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად, მისი აღმოსავლური გეგმების თანამონაწილენი გახდნენ – გეგმებისა, რომლებსაც რიგის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში საბოლოოდ გადაესვა ხაზი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას რომ მთავარი მტრის – ბოლშევიკური რუსეთის დამარცხების მცდელობამ, რაც უკრაინელ მოკავშირეებთან ერთად იქნა განხორციელებული 1920 წლის გაზაფხულზე – თავიდან შთამბეჭდავი წარმატება მოიტანა, რაც კიევის დაკავებაში გამოიხატა, მაგრამ მოგვიანებით, ტუხაჩევსკის მიერ განხორციელებული კონტრშეტევის შედეგად ეს წარმატება სასიკვდილო საფრთხით შეიცვალა, რომელიც ახლად შექმნილი პოლონური სახელმწიფოს ჯერ კიდევ სუსტ ორგანიზმს ემუქრებოდა. ომის ბედი საბოლოოდ პოლონელთა მიერ განხორციელებულმა კონტრდარტყმამ გადაწყვიტა. ოპერაცია ვეფშას ნაპირებიდან დაიწყო. ვარშავის ასაღებად მებრძოლ ბოლშევიკურ არმიებს პოლონელებმა პილსუდსკის მეთაურობით ზურგიდან შეუტიეს. მტრის ძალების განადგურების საბოლოო აკორდი კი მდინარე ნემანზე

გამართული ბრძოლა აღმოჩნდა. ვარშავის ბრძოლის გეგმის ავტორობის შესახებ დღემდე აქტიურად მიმდინარე დისკუსიები ფაქტობრივად ფუჭი დროის კარგვაა. მხოლოდ და მხოლოდ მარშალს და სხვას არავის შესწევდა ძალა, რომ საშტაბო კამათისაგან გვერდზე გამდგარიყო და ოპერატიული დილემა გადაეჭრა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ამ საქმის გაკეთება წინასწარ დადგენილ ვადას – 6 აგვისტოს არ უნდა გადასცილებოდა. უნდა ითქვას, რომ ვეფშას ნაპირებიდან დაწყებული კონტრშეტევა ვარშავის მისადგომებთან მოსული მტრის ფლანგსა და ზურგზე, ამ მიზნისათვის სპეციალურად შექმნილი სამანევრო ჯგუფის მეშვეობით, ამ ტიპის პირველი იდეა არ ყოფილა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, პირველი კონტრშეტევა ივლისის დასაწყისში ბობრუისკის ციხესიმაგრეზე დაყრდნობით უნდა განხორციელებულიყო, შემდეგი შეტევები კი ვილნოზე და და ბრესტის ციხეზე დაყრდნობით, თუმცა ყველა ეს გეგმა ტუხაჩევსკის ჯარების მოახლოების გამო დაგვიანებული აღმოჩნდა. ამ ვითარებაში, წინა გეგმების ლოგიკასთან ახლოს მდგომი საბოლოო სცენარი უკიდურესად დრამატულ სიტუაციაში იქნა რეალიზებული – მაშინ, როდესაც ბოლშევიკები უკვე ვარშავის კედლებს იყვნენ მომდგარი. კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ მარშალმა არა მარტო გადაწყვეტილების მიღებაზე აიღო პასუხისმგებლობა, არამედ მის უშუალო შესრულებაზეც – იგი პირადად ჩაუდგა სათავეში დამრტყმელ ჯგუფს. თითქმის დაუყოვნებლივ გამოჩდნენ ისეთები, რომლებმაც მარშლისთვის გამარჯვების დაფნის გვირგვინის ჩამორთმევა მოინდომეს. მარტის თვეში რიგაში დასრულებული მოლაპარაკებების შედეგები მეთაურს ბოლომდე არ აკმაყოფილებდა, რადგანაც მისი სამხედრო წარმატებებით პრინციპში პოლიტიკური მოწინააღმდეგეები სარგებლობდნენ რომლებიც სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციას ახდენდნენ. ყველაფრის მიუხედავად, ეჭვგარეშეა, რომ 1919-1921 წლებში გამოჭედილი მეორე რეჩპოსპოლიტას საზღვრები პილსუდსკის უდიდეს დამსახურებათა ნუსხას უნდა მიეწეროს.

რიგის სამშვიდობო ხელშეკრულებამ საბოლოოდ გადაუსვა ხაზი უკრაინასთან ფედერაციული მოწყობის პერსპექტივებს, ხოლო ლიეტუვასთან ანალოგიური კავშირის იდეა (გარდა იმისა, რომ კოვნოს მხრიდან ამ საკითხზე არანაირი იმპულსები არ იგრძნობოდა) ცენტრალური ლიეტუვის საკანონმდებლო სეიმის ინკორპორაციულმა გადაწყვეტილებამ დაასამარა. პილსუდსკი ჯერ კიდევ 1922 წლის აპრილში აღნიშნავდა, რომ „მათ, კოვნოში, ისევ ძმებად თვლიდა". სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების განსჯისას მარშალი კითხვას სვამდა: „ნუთუ ისტორია თავისი ულმობელი და გამოუცნობი გადაწყვეტილებით სამუდამო თხრილსა და კედელს ავლებს ჩვენს ორ ხალხს შორის? შეიძლება ჩვენი შვილები ერთმანეთისათვის უკვე ძმები კი არა, უცხოები იყვნენ", – ასკვნიდა ბოლოს. მიუხედავად ყველაფრისა, იგი ორივე მხარეს დაუღალავად მოუწოდებდა, რომ „თუკი ეს განაჩენი გარდაუვლად უნდა აღსრულდეს, იმდენი მაინც ვეცადოთ, რომ მისი მოქმედება სულ მცირე შევარბილოთ მაინც". (JP V, 239-240). მაშინაც, როცა ფედერაციული კავშირის შეკვრას ცდილობდა და მაშინაც, როცა ეს უკვე შეუძლებელი გახდა, პილსუდსკი თავს ყოველთვის „განაპირა პოლონეთის" შვილად გრძნობდა, იმ პოლონეთისა, სადაც „ერთი ერი კონტაქტირებდა მეორესთან, ერთი კულტურა ზემოქმედებდა მეორეზე, ერთი აღზრდის სისტემა გავლენას ახდენდა მეორე აღზრდის სისტემაზე" (JP V, 131-132). მოგვიანებით, უკვე ვარშავაში ცხოვრების პერიოდშიც, იგი ბოლომდე „განაპირა პოლონეთის" შვილად დარჩა.

სახელმწიფოს მეთაურის სტატუსში ყოფნის ბოლო წელი ერთგვარი ნორმალიზაციის პერიოდი აღმოჩნდა. პოლიტიკურმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ პოლიტიკოსთა ის ნაწილი რომელიც ეგრეთ წოდებულ „სახალხო ბანაკს" მიეკუთვნებოდა, პილსუდსკის უფლებამოსილებებს სიამოვნებით შეზღუდავდა სუფთა წარმომადგენლობით დონემდე. 1922 წლის ზაფხულში, მძაფრი სამთავრობო კრიზისის დროს, მათ სეიმში პილსუდსკის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებაც კი დაუპირეს. მარშალმა ამ კრიზისის გადალახვა კი მოახერხა, მაგრამ სა-

კუთარი პოლიტიკური ბანაკის კონსოლიდაცია ვერ შეძლო. მისი მოღვაწეობისადმი მიმართულმა მზარდმა წინააღმდეგობამ და სახელმწიფოს მეთაურისთვის განსაზღვრულმა შეზღუდულმა კონსტიტუციურმა უფლებამოსილებებმა პილსუდსკის საბოლოოდ ათქმევინა უარი საპრეზიდენტო სავარძლისთვის მომავალ ბრძოლაზე.

ძალზე დიდი გამარტივება იქნებოდა იმის თქმა, რომ ომისშემდგომი პოლიტიკური დაპირისპირებები, პოლიტიკური სცენის დაქუცმაცება და პარლამენტში ჩამოყალიბებული ვითარება მხოლოდ ქვეყნის არათავისუფალი წარსულის გამოძახილი იყო. ამავდროულად, ძნელია არ შეამჩნიო ის ჩვეულებები, სენტიმენტები, არაფორმალური კავშირები და ყველა სხვა გამთიშველი ელემენტი, რომლებიც პოლონეთს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზმში არსებობამ დაუტოვა არასასურველ მემკვიდრეობად. ამას გარდა, დაპყრობისდროინდელი წარსულის ნეგატიური მემკვიდრეობა იკვეთებოდა სუფთა მატერიალურ საკითხებშიც, სამართლებრივ გადაწყვეტებშიც, მონეტარულ სისტემაშიც და თვით სულიერ ღირებულებებშიაც კი. ეს ის ფაქტორები იყო, რომლებიც პილსუდსკის უნდა გაეთვალისწინებინა და მათთვის ანგარიში გაეწია.

არათავისუფალი წარსულის მემკვიდრეობა პოლონეთს მე-20 საუკუნეში მხოლოდ გართულებებისა და ნეგატიური გამოცდილების სახით არ გადმოჰყოლია. პილსუდსკი ხაზს უსვამდა, რომ ეროვნული არსებობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში პოლონელებს ისეთი პოზიტიური თვისებებიც გამოუმუშავდათ, როგორიცაა პასუხისმგებლიანობა, მოხერხებულობა და საიმედოობა. ამ თვალსაზრისით ძალზე ნიშანდობლივად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა, რომელიც პილსუდსკიმ 1919 წლის ოქტომბერში წარმოთქვა პოზნანში ყოფნისას. ეს სიტყვა მინისტრ ვლადისლავ სეიდას სადღეგრძელოს სამადლობელი იყო, რომელიც მან სახელმწიფოს მეთაურს მიუძღვნა. პილსუდსკიმ აღნიშნა, რომ ველკოპოლსკის რეგიონში მცხოვრებ პოლონელებს წარსულში აუცილებლად უნდა ებრძოლათ, რათა „გამოემუშავებინათ ორგანიზებულობა

და აგრეთვე მზაობა ყოველდღიური, ნაცრისფერი, მოვალეობებით დატვირთული და შრომით აღსავსე ცხოვრების წესისათვის". პარადოქსია, რომ დაპყრობის წლებში შეძენილ ამ თვისებებს თავისი შედეგი უკვე თავისუფალ პოლონეთში უნდა გამოეღო. „მოდის დრო, – ამბობდა პილსუდსკი, – რომლის ნიშანიც შრომით ბრძოლა იქნება, ისე, როგორც მისი წინამორბედი დროის ნიშანი იყო რკინით და სისხლით ბრძოლა. ვინც უფრო მომზადებული შეხვდება ამ დროებას, ვინც უფრო მარჯვე იქნება საჭირო პროფესიებში, ვინც მეტ გამძლეობას გამოიჩენს ამ გამალებულ რბოლაში – უახლოეს ხანში ის გახდება გამარჯვებული". პილსუდსკის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პრუსიელ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოწრთობილი ველკოპოლსკის მცხოვრებნი „პოლონეთის სახელმწიფოს მძიმე და ყოველდღიურ შრომაში მოპოვებული შენაძენით უბრუნდებოდნენ, რომელიც მათ დამსახურებულად ერგოთ" (JP V, 117). რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, არათავისუფალი წარსულის მემკვიდრეობის ზუსტად ეს ფრაგმენტი – სინდისიერი შრომის უნარი – აღმოჩნდა ის ღირებული რამ, რისი გადმოტანაც თავისუფალი პოლონეთის რეალიებში არა მარტო საჭირო იყო, არამედ ის პროპაგანდისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა. ამით ქვეყნისა და მსოფლიოსათვის მაგალითის მიცემა და იმის ჩვენება შეიძლებოდა, რომ შენზე ძლიერ მოწინააღმდეგესთანაც შეიძლება მორალურად გამარჯვებული გამოხვიდე.

პილსუდსკის ბოლო დიდი, საჯარო გამოსვლა სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით 1922 წლის 5 აგვისტოს, ლეგიონების პირველ ყრილობაზე კრაკოვში შედგა. როგორც ყოველთვის, იგი ამჯერადაც კონსპექტის გარეშე გამოვიდა. ამიტომაც, მეთაურის ეს გამორჩეული „აღსარება" მხოლოდ და მხოლოდ მშრალი, არცთუ ზუსტი სტენოგრამიდანაა ცნობილი. გარდა ახლო წარსულის ისეთი მოვლენებისა და გადაწყვეტილებების ანალიზისა, როგორებიც იყო „პოლონური ომის" დაწყება, 1915 წლის ზაფხულში ლეგიონებში გაწევრიანების შეჩერება ან ორი წლის შემდეგ მომხდარი „ფიცის მიცემის

კრიზისი", ამ გამოსვლაში ძალზე თანამედროვე აქცენტებმაც გაიჟღერა. უმრავლესი მათგანი ეხებოდა იმას, თუ რა როლის შესრულება ეკისრებოდა ლიდერს. „არ არსებობს სამუშაო დედამიწაზე იმ ადამიანთა გარეშე, რომლებიც ამ სამუშაოს ასრულებენ, იმათ გარეშე რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას ამ სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებისა" – ამბობდა პილსუდსკი. მარშალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შემდეგ გარემოებას: „მეთაურს გათვლა უნდა შეეძლოს და ზუსტად იქ უნდა დადგეს, სადაც ეს გათვლა ყველაზე უფრო მყიფეა, სადაც დიდწილად ალბათობებზეა დამოკიდებული საქმის შემდგომი ბედი და ეს ალბათობებიც კი ძალზე არამდგრადია". პილსუდსკის აზრით, მეთაურის კიდევ ერთი, უმთავრესი ვალდებულება იყო იმ ეჭვისა და ურწმუნობის აღმოფხვრა, რაც კრიტიკულ მომენტებში ასე ბუნებრივად იჩენდა ხოლმე თავს მის ხელქვეითებში. ამით მეთაური „ურთულეს წუთებში თავდაჯერებულობასა და გამძლეობას მატებდა სხვებს" (JP V, 262, 264). ეჭვი, ურწმუნობა და საკუთარი სისუსტის შეგრძნება – რაზეც პილსუდსკი საუბრობდა, ერთი შეხედვით, თითქოსდა ისტორიას ჩაბარდა წარსულ დროებასთან ერთად, მაგრამ მეთაურმა იცოდა, რომ მათ ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ეჩინათ თავი. პილსუდსკის სჯეროდა, რომ უკანასკნელი ომიდან პოლონეთი შეცვლილი გამოვიდა. როგორც ქვეყანამ, მან ისეთი რამ შეიძინა, რაც ადრე არ გააჩნდა – ეს იყო ძალა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – პოლონეთში ახალი ტიპის ადამიანი ჩამოყალიბდა. იგი თანამებრძოლებს მოუწოდებდა, რომ თითოეულ მათგანს ცხოვრებაზე დაფიქრების მომენტში საკუთარი თავისთვის პასუხი გაეცა – შეძლო თუ არა მან მისთვის განკუთვნილი ტვირთის ღირსეულად ტარება და ჩააბარა თუ არა ჯეროვნად გამოცდა, რომელიც ცხოვრებამ მოუწყო.

1919 და 1921 წლებს შორის პილსუდსკის თავის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ უთქვამს, რომ ახალმა პოლონეთმა საბოლოოდ და წარმატებით ჩამოიბერტყა მონობის ნარჩენები, მაგრამ მის ამ თავდაჯერებულობას ცოტა ხანში მწარე

გამოცდის ჩაბარებამ მოუწია. გარდატეხა 1922 წლის დეკემბერში მოხდა, როდესაც ომის შემდგომი პოლონეთის ახლად არჩეული პირველი პრეზიდენტი – გაბრიელ ნარუტოვიჩი[85] სასტიკად იქნა მოკლული. ტერორისტის თავდაპირველი მიზანი თვითონ პილსუდსკი იყო, მაგრამ მისი არჩევანის ცვლილება ნარუტოვიჩის პრეზიდენტად არჩევამ განაპირობა. პილსუდსკისთვის ეს სამარცხვინო დანაშაული, ერთი მხრივ, პოლიტიკური სიმხეცის გამოხატულება იყო, ხოლო მეორე მხრივ – მონური სულის მკაფიო გამოვლინება, რაც ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადდგენდა. ნარუტოვიჩის შესახებ იგი თავის მოგონებებში წერდა: „დაიღუპე არა მტრის ნასროლი ტყვიით, რაზეც ყმაწვილობაში ალბათ არაერთხელ გიოცნებია, არამედ შენივე თანამემამულეთა ხელით, რომელთათვისაც მთელი ცხოვრება სიყვარულისა და დაუღალავი შრომის მაგალითი იყავი. ნუთუ იმიტომ მოგკლეს, რომ ასეთი იყავი და ასეთად გსურდა დარჩენა, თუ იმისთვის, რომ მონობის ჭუჭყთან ბრძოლა არ გსურდა ან არ ძალგიძდა?“ – პათეტიკურად კითხულობდა ბოლოს მარშალი (JP V, 59). ზუსტად „მონობის ჭუჭყთან ბრძოლა“ იქცა პილსუდსკისთვის იმპერატივად ნარუტოვიჩის სიკვდილის შემდეგ. დაპყრობისდროინდელი მემკვიდრეობის ამ ყველაზე საშიშ ელემენტთან ბრძოლის მოთხოვნილებას მეთაური განსაკუთრებული სიშმაგით შეიგრძნობდა. მოკლული პრეზიდენტისაგან განსხვავებით, მას ასეთი ბრძოლის წარმოება ძალუძდა და იმის რწმენაც ჰქონდა, რომ აქაც გაიმარჯვებდა. მარშლის გარეგოცვა აღნიშნავდა, რომ ეს თავდასხმა მისთვის შოკისმომგვრელი გამოდგა. ამ დანაშაულმა მას პოლონური სულის აღორძინების რწმენა შეურყია. სამაგიეროდ, თანდათან უფრო უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ დემორალიზაციის პროცესისთვის (რომელიც ყველაზე მეტად პოლიტიკურ სცენაზე შეიგრძნობოდა) ურყევი ავტორიტეტი და მტკიცე ძალა უნდა დაეპირისპირებინა, საჭიროების შემთხვევაში კი არც სისასტი-

[85] გაბრიელ ნარუტოვიჩი (1865-1922) – პოლონელი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, დამოუკიდებელი პოლონეთის პირველი პრეზიდენტი.

კეზე უნდა ეთქვა უარი. როგორც ჩანს, პილსუდსკიმ ზუსტად ამ დროს შედგა ფეხი იმ გზაზე, რომლის ბოლო პუნქტადაც 1926 წლის მაისი იქცა.

მოულოდნელი, ძალადობრივი სიკვდილის ასე ახლოს და მკაფიოდ დანახულმა შესაძლებლობამ პილსუდსკის უბიძგა, რომ ერთგვარი საჯარო ანდერძი გაეხმოვანებინა. ამ ანდერძად იქცა მარშლის მიერ მომზადებული „პოლონური არმიის გენერალებისა და დივიზიების მეთაურების კვალიფიკაციის აღწერა". როგორც იგი აღნიშნავდა, ეს დოკუმენტი „სრული გულწრფელობითა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე" შეადგინა. საომარ კამპანიებში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, პილსუდსკის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სამხედრო წარმატებების ბედი კიდევ დიდხანს იქნებოდა დამოკიდებული სუფთა ადამიანურ, პიროვნულ ფაქტორზე. ეს განსაკუთრებით პოლონური არმიის შემთხვევაში იყო აქტუალური. იმ გენერალთა შორის, რომლებიც არმიის გენერლის წოდებას ფლობდნენ, დადებითი შეფასება არც შეპტიცკის, არც როზვადოვსკის და არც იუზეფ ჰალერს არ მოუპოვებიათ. პილსუდსკი უკიდურესობამდე მისული ობიექტურობით აღწერდა თავისი ხელქვეითების ნაკლოვანებებსა და ძლიერ მხარეებს. ნაკლოვანებები ჭარბობდა. ჰალერს მეთაური იაფი პოპულარობის ძიებას და მოუთოკავ ენაჭარტალობას უყენებდა ბრალად; როზვადოვსკი, მისი აზრით, ყოველგვარ ორგანიზაციულ ნიჭს მოკლებული ადამიანი იყო; თავის მხრივ, შეპტიცკის, მისი მერყევი ხასიათიდან გამომდინარე, მეთაურობის სირთულეებთან გამკლავება უჭირდა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკი თვლიდა რომ ჰალერს მთავარსარდლობაც კი შეეძლო, რადგანაც მას არაჩვეულებრივად გამოსდიოდა ჯარისკაცების საბრძოლო განწყობის ამაღლება (თუმცაღა ძალზე მოკლე ხნით), როზვადოვსკის გამოყენება სპეციალური დავალებების შესასრულებლად იყო ზედგამოჭრილი, ხოლო შეპტიცკის, მისი აზრით, შეიარაღების ან არმიის ინსპექტორის ფუნქცია შეეძლო შეესრულებინა.

დივიზიის გენერლებს შორის უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს: სტანისლავ ჰალერმა, ალექსანდერ ოშინსკიმ,

იან რომერმა, ვლადისლავ შიკორსკიმ, ედვარდ შმიგლი-რიძმა, კაზიმეუ სოსნკოვსკიმ და ლუციან ჟელიგოვსკიმ. მთავარსარდლობის კანდიდატებად პილსუდსკის მხოლოდ შმიგლი და სოსნკოვსკი მიაჩნდა, თუმცა თვლიდა, რომ პირველ მათგანს ჯერ კიდევ არ ძალუძდა სრულად გამოეყენებინა მთელი სახელმწიფოს პოტენციალი, ხოლო მეორე ჯერჯერობით მხოლოდ სუფთა ოპერატიულ სამუშაოს უნდა დასჯერებოდა. შესანიშნავი შტაბის უფროსები შეიძლება ყოფილიყვნენ სოსნკოვსკი და შიკორსკი. მათ, სხვათა შორის, სამხედრო საქმეთა მინისტრის ფუნქციების შესრულებაც შეეძლოთ. ბრიგადის გენერალები პილსუდსკიმ სამ ჯგუფად დაჰყო. პირველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი მათგან შედგებოდა, ვისაც მარშალი საშუალო დონისად მიიჩნევდა. მეორე ჯგუფმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. აქ ის გენერლებიც შედიოდნენ, რომლებსაც ლეგიონური წარსული ჰქონდათ (ლეონ ბერბეკი, მარიან იანუშაიტისი, მეჩისლავ ნორვიდ-ნოიგებაუერი) და ისინიც, ვინც ოდესღაც დამპყრობლურ არმიებში მსახურობდნენ (მათ შორის იუზეფ რიბაკი, იულიუშ რომელი, ედმუნდ კესლერი და სხვები). მესამე ჯგუფში ის გენერლები აღმოჩნდნენ, ვინც ჯარიდან დასათხოვი იყო.

პილსუდსკის ანალიზი უდიდესი კეთილსინდისიერებით იყო გამორჩეული. იგი პოტენციურ მემკვიდრეებს ასახელებდა, მაგრამ მათი ნაკლოვანებების დაფარვას არ აპირებდა. ადვილი შესამჩნევია, რომ კანდიდატებს შორის თავისი დონის მხედართმთავარს იგი ვერ ხედავდა. მშვიდობიანობის პირობებში ეს საგანგაშო არ იყო, მაგრამ ომის ან, სულ მცირე, საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე სერიოზული სამხედრო გართულების შემთხვევაში მთავარსარდლის პრობლემა პილსუდკის არყოფნის პირობებში შეიძლება უზარმაზარი უარყოფითი შედეგების მომტანი ყოფილიყო...

საომარი მოქმედებების დასრულების მომენტიდან 1922 წლის დეკემბრამდე პილსუდსკი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს ასრულებდა. 1921-მა წელმა მას ოჯახური მდგომარეობის სასურველი სტაბილიზაციაც მოუტანა. აგვის-

ტოში მისი პირველი ცოლი გარდაიცვალა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მტკიცედ ეუბნებოდა უარს განქორწინებაზე. შეცვლილი სიტუაციის შესაბამისად, პილსუდსკიმ მოკრძალებული კათოლიკური საქორწინო ცერემონია გამართა ვიწრო წრეში და ალექსანდრა შჩერბინსკა მისი ოფიციალური მეუღლე გახდა (აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ომის დროს, 1916 წელს პილსუდსკი კათოლიკური ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა). ამ მომენტიდან ოჯახი სრული შემადგენლობით (1920 წლის 28 თებერვალს წყვილს მეორე ქალიშვილი – იადვიგა შეეძინა) შესახლდა ბელვედერის მარჯვენა ფლიგელის პირველ სართულზე. ცოტა ხანში ისინი „საქსონურ სასახლეში" გადავიდნენ საცხოვრებლად, ხოლო 1923 წლის მაისის ბოლოდან ვარშავის მახლობლად, დაბა სულეიუვეკში მდებარე მოკრძალებულ ვილა „მილუშინში" დაიდეს ბინა.

1923 წლის შუა ხანებში მეთაურმა ყველა საჯარო ფუნქცია მოიხსნა და სულეიუვეკში განმარტოვდა. ამ პერიოდში იგი უმთავრესად იმას ცდილობდა, რომ მის მიერ 1921 წლის 7 იანვარს გამოცემული დეკრეტის დებულებები სამხედრო ძალების უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლის ორგანიზების შესახებ შენარჩუნებულიყო და შესრულებულიყო. ამ დეკრეტის გამოცემით პილსუდსკი ილტვოდა, რომ ქვეყნის თავდაცვის საკითხები ჩინოვნიკური ადმინისტრაციის გადასაწყვეტი არ ყოფილიყო. დეკრეტისადმი წაყენებული არაკონსტიტუციურობის ბრალდება არსებითად იმ წრეების რევანშის მცდელობა იყო, რომლებიც არმიაზე რეალური კონტროლის მოპოვებას ლამობდნენ. ეს დაპირისპირება მალე იქცა მრავალი სხვა, უფრო მცირემასშტაბიანი დაპირისპირების საფუძვლად. პილსუდსკი და მისი მომხრეები ერთ მხარეს აღმოჩნდნენ, ხოლო სეიმის უმრავლესობა, რომელიც სახალხოელთა (პოლონეთის სახალხო პარტია – „პიასტი") ნაწილსა და ეროვნულ-დემოკრატებს ეყრდნობოდა – მეორე მხარეს. ყველა ამ დაპირისპირებას 1926 წლის მაისში ერთიანად მოეღო ბოლო, როდესაც მარშალმა არმიის მეშვეობით სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღო.

საიდუმლო არ არის, რომ პილსუდსკის არმიაში განუსაზღვრელი ავტორიტეტი ჰქონდა. ზუსტად ამ ავტორიტეტმა მისცა მას საშუალება რომ დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი სამხედროებისა და კავკასიის სხვა ერების წარმომადგენლების ინკორპორაცია განეხორციელებინა პოლონურ ჯარში. ეს, პირველ რიგში, ამ ადამიანების პოლონურ სამხედრო სამსახურში მიღებით ხდებოდა, თუმცა გარდა ამისა, მათ საშუალება ეძლეოდათ, რომ სამხედრო სკოლებში თავიანთი კვალიფიკაციაც აემაღლებინათ. ჯერ კიდევ 1922 წელს, ამ მიზნით ვისლისპირა ქალაქში 42 ოფიცერი და 48 იუნკერი ჩამოვიდა (ინიციატორად ქართული არმიის შტაბის უფროსი – გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე[86] მოგვევლინა). უფრო მეტიც, ვარშავის კადეტთა სკოლაში ქართველ კურსანტთა ოცეულიც კი შეიქმნა. თვითონ ზაქარიაძემ, პილსუდსკის მხარდაჭერით, სპეციალური პრაქტიკა გაიარა ქვეითთა 1-ელი დივიზიის შტაბში, ხოლო შემდეგ უმაღლესი სამხედრო სკოლის კურსიც დაამთავრა (ეს კურსი აგრეთვე გაიარეს გენერალმა ალექსანდრე კონიაშვილმა და პოლკოვნიკებმა: რომან გველესიანმა და ნიკოლოზ ვაჩნაძემ). ჯარიდან პილსუდსკის დროებითი წასვლის შემდეგ თავისუფლებისმოყვარე კავკასიელთა მიმართ მანამდე ასე მეგობრული ატმოსფერო ნელ-ნელა განელდა და ახალმიღებულთა დიდი ნაწილი, თითქოსდა ეკონომიის საბაბით, დათხოვნილ იქნა. შექმნილ ვითარებაში მარშალს რაიმეს შეცვლა არ ძალუძდა, თუმცა ქართული ემიგრაციის ლიდერებს სისტემატურად ხვდებოდა.

[86] ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, იკავებდა უმაღლეს თანამდებობებს დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში, იყო საქართველოს არმიის გენერალური შტაბის უფროსი (1919-1921), 1921 ნლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, 1922 წელს შევიდა პოლონურ არმიაში სამასამდე სხვა ქართველ სამხედრო მოსამსახურესთან ერთად, 1927 წელს მიენიჭა დივიზიის გენერლის წოდება, იბრძოდა პოლონეთში შეჭრილი გერმანული არმიის წინააღმდეგ, გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

სულეიუვეკში მარშალს სტუმრობდნენ ნოე რამიშვილი[87], ევგენი გეგეჭკორი[88], და ალექსანდრე ჭელიძე, ხოლო 1925 წელს იგი თვით ლეგენდარულმა ქართველმა პარტიზანმა – პოლკოვნიკმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა[89] მოინახულა. სხვათა შორის, მასთან საუბარში მარშალმა დაადასტურა, რომ „1920 წლის კიევის ოპერაციის ერთ-ერთი მიზანი იყო შავი და კასპიის ზღვებსშუა მდებარე ტერიტორიებთან პირდაპირი კავშირის დამყარება და იქაური ერების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა" (K. II, 394). გასაკვირი არაა, რომ უკვე 1926 წლის მაისის შემდეგ, ზუსტად ქართველები წარმოადგენდნენ უმნიშვნელოვანეს ძალას „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტში", რომელიც ერთდროულად პარიზსა და ვარშავაში ფუნქციონირებდა და როგორც აზრობრივად, ასევე საკუთარი ქმედებით პრომეთეულ იდეას ავითარებდა...

---

[87] ნოე რამიშვილი (1881-1930) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, იკავებდა უმაღლეს თანამდებობებს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918), 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

[88] ევგენი გეგეჭკორი (1881-1954) – ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, იკავებდა უმაღლეს თანამდებობებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში, 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში.

[89] ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი (1888-1930) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1922-1924 წლების აჯანყების მეთაური საქართველოში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ, 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, საქართველოს ეროვნული გმირი.

V. გადატრიალების შემოქმედი

აქტიური პოლიტიკიდან გარკვეული დროით განზე გადგომისთვის უშუალო იმპულსი აღმოჩნდა მაისის თვეში ახალი მთავრობის გამოჩენა. იგი იმ პოლიტიკური ძალების მიერ იქნა ჩამოყალიბებული, რომელთაც მარშალი დეკემბრის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას აკისრებდა. ქვეყნის მეთაურად და პოლონეთის არმიის მთავარსარდლად ყოფნის პერიოდის ერთგვარ შეჯამებად იქცა პილსუდსკის მიერ 1922 წლის 3 ივლისს, სასტუმრო „ბრისტოლის" ჟოლოსფერ დარბაზში წარმოთქმული სიტყვა. ამ მომენტისათვის იგი უკვე გადამდგარი იყო ბოლო საჯარო თანამდებობებიდან (გენერალური შტაბის უფროსი და „მცირე სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარე). ზუსტად მაშინ გაიჟღერა პილსუდსკის ბაგეებიდან ფრაზამ ფურთხით მოსვრილ ამაზრზენ ჯუჯაზე, რომელიც მისი ნაღვაწისა და მის გვერდში მდგომთა მოსვრასაც ლამობდა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკი არ თვლიდა, რომ მონობის შემდგომ დარჩენილ მორალურ ჭაობში საზოგადოების ნაწილის კოტრიალს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა. პირიქით, იგი აცხადებდა, რომ აუცილებლად მოძებნიდა ამ უბედურების წამალს, მოძებნიდა ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც მისთვის უმაღლეს ფასეულობას – საკუთარ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაიცავდა.

ამ ამოცანის შესრულება პილსუდსკიმ 1926 წლის მაისში დაიწყო, როდესაც ხელისუფლებაში დაბრუნდა. მანამდე იგი სულეიუვეკურ განდეგილობაში ძალებს იკრებდა და მთელ თავის დროს სამწერლო საქმიანობას უთმობდა. მეთაური უკიდუ-

რესად უბრალოდ ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ბელვედერში ცხოვრებისას იგი სუფთა სპარტანული პირობებით კმაყოფილდებოდა. მისი იმჟამინდელი საცხოვრისის აღჭურვილობაში შედიოდა „საწოლი, გვერდით პატარა მაგიდა, რომელზეც რადიო იდგა, საწოლის მეორე მხარეს ტუმბო, მასზე მდგარი ღამის სანათით, დიდი კარადა აივნიანი სასტუმრო ოთახის კართან, მაგიდა პარკისკენ გამავალ ფანჯარასთან, ორი სავარძელი, რამდენიმე სკამი, ოთახის მარჯვენა კუთხეში ბუხარი და იატაკზე დიდი სპარსული ხალიჩა". საწოლის თავთით ეკიდა თურქული ასალი, ხოლო მის ზემოთ – „ორი გადაჯვარედინებული ხმალი. ხმლებიდან ერთ-ერთი 1-ელი ბრიგადის ოფიცრების საჩუქარი იყო, ჯერ კიდევ ომის დროს მორთმეული. მის ტარზე თავს იწონებდა წარწერა: „ერთგული სამსახურისათვის". ამ ყველაფერს ემატებოდა ორ ხმალს შორის დაკიდებული ოსტრობრამის ღვთისმშობლის საშუალო ზომის ხატი, ხოლო ხმლების აქეთ-იქით იანვრის აჯანყებისდროინდელ ტანისამოსში გამოწყობილი მშობლების დაგეროტიპები" (WS, 251). დაბოლოს, ღამის ტუმბოზე იდგა მარშლის ქალიშვილის – ვანდას ფოტოსურათი.

სულეიუვეკში, ასეთივე უბრალო ნივთების გარემოცვაში, მეთაური, უპირველეს ყოვლისა, ისვენებდა. დღე პრესის დათვალიერებით იწყებოდა (პილსუდსკი „დილის კურიერს ანიჭებდა უპირატესობას), შემდეგ გრძელდებოდა ბაღში საქმიანობით და ქალიშვილებთან თამაშით. ლიეტუვური დელიკატესებით მეთაურს შვენჩიანის პოვიატიდან ჩამოყვანილი მზარეული ადელცია უზრუნველყოფდა. ყოველდღიურობა წარმოუდგენელი იყო მისი საყვარელი მაგარი ჩაის გარეშე. დროის მნიშვნელოვან ნაწილს პილსუდსკი აქამდე წაუკითხავის წაკითხვას უთმობდა, გართობის დანარჩენ საშუალებებს კი უმთავრესად ჭადრაკი და ბანქო წარმოადგენდა – განსაკუთრებით პასიანსების აურაცხელი სახეობები. საკუთარ თავსა და ოჯახს მარშალი ძირითადად სამწერლობო საქმიანობით ინახავდა, მისთვის დანიშნულ ყოველთვიურ გასამრჯელოს კი რეგულარულად ახმარდა საქველმოქმედო ან კულტურულ საქმიანობას. უპირველეს ყოვლისა, იგი თანმიმდევრულად ეხმარებოდა

ვილნოს უნივერსიტეტს. ამ სასწავლებლის რექტორის მიმართ 1924 წლის მარტში მიწერილ წერილში პილსუდსკი აღნიშნავს, რომ: „სურს რამენაირად მაინც დაეხმაროს ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს მათი საქმიანობის გაგრძელებაში, რადგანაც ბოლო ხანს აგორებული ეკონომიის ტალღა, პირველ რიგში ამ ადამიანთა მდგომარეობაზე აისახება, რომლებიც საზოგადოების ისედაც ყველაზე მცირეანაზღაურებად ნაწილს წარმოადგენენ" (JP VI, 211). პილსუდსკი აგრეთვე მნიშვნელოვან თანხებს ახმარდა დაღუპულ ჯარისკაცთა ქვრივ-ობლებს, ომის ინვალიდებს, სკოლებსა და თვით ზოგიერთ მოგების არმქონე გამომცემლობასაც კი. გარდა ამისა, პილსუდსკის ეძლეოდა სამხედრო პენსია, რომელიც დაახლოებით კაპიტნის ხელფასს უტოლდებოდა, ასე რომ, მაქსიმალური ფუფუნება, რომლის უფლებაც პილსუდკის თავისი თავისთვის შეიძლება მიეცა – დრუსკენიკიში[90] სამკურნალო მოგზაურობები იყო.

პილსუდსკის სამწერლობო შემოქმედება მრავალფეროვანი, ფართომასშტაბიანი და მდიდარია. მის ლიტერატურულ დანატოვარში ერთმანეთს ენაცვლება მოგონებები (მაგალითად, ნარუტოვიჩისადმი მიძღვნილი), ნარკვევები, რომლებიც ისტორიული ლეგენდების განხიბვლას ემსახურება (მაგალითად, ლვოვის დაცვისადმი ან „ვილნოს საკითხისადმი" მიძღვნილი) ან ისეთი მოვლენების შესანიშნავი ანალიზი, როგორიც არის 1863 წლის იანვრის აჯანყება. მარშლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს *„წელი 1920"*. ეს ნაწარმოები ტუხაჩევსკის მიერ დაწერილი ვისლაზე ლაშქრობის ისტორიის პასუხად დაიწერა და მასში პილსუდსკი მწვავედ აკრიტიკებს საბჭოთა მხედართმთავრის მონათხრობს. მის ნააზრევში ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ლექცია რომელიც მან 1925 წლის მაისში წაიკითხა. ამ ლექციაში, პილსუდსკიმ პატიმრის ფსიქოლოგიაზე ისაუბრა და ადამიანის ბუნების საოცარი ცოდნა გამოავლინა. განსაკუთრებით მრავლისმეტყველი იყო ამ გამოსვლაში გაჟღერებული გზავნილი, რომლის

[90] დრუსკენიკი – ამჟამინდელი დრუსკინინკაი, საკურორტო ქალაქი ლიეტუვის სამხრეთში.

ადრესატიც უკვე თავისუფალ პოლონეთში მცხოვრები ახალგაზრდა თაობა იყო – „დაე, დაგვივიწყონ ჩვენ – დაივიწყონ ჩვენი ბრძოლა და ჭირ-ვარამი, დაე, შეუდგნენ ახალი ცხოვრების გზას! იარონ თავისუფლად, წარსულს მიაბარონ ჩვენი ხსოვნა და ახალი ცხოვრება აშენონ!" (JP VIII, 187). ეს განსაკუთრებული მიდგომა ახალგაზრდებისადმი, ბავშვებისადმი, რომელთათვისაც თავისი ხმა გრამოფონის ფირფიტებზეც კი უკვდავყო – პილსუდსკისთვის ძალზე ნიშანდობლივი იყო. თუმცაღა მიმდინარე პრობლემებთან გამკლავებისთვის მას მაინც მოზრდილთა სამყაროში ტრიალი უწევდა.

წელიწადში ერთხელ პილსუდსკის გამოსვლები განსაკუთრებულ ფორმას იღებდა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც თავის იარაღის ძმებს, თავის ხელქვეითებს ხვდებოდა ლეგიონერთა შეკრების დღეს. უკვე 1923 წლის აგვისტოში მეთაური ამბობდა, რომ „სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც სიცრუით, რეალობის უარყოფის საფუძველზე აყალიბებენ პოლიტიკურ აზრს – დაღუპვისათვის არიან განწირულები" (JP VI, 79-80). სიცრუისადმი მიდრეკილებაში მარშალი ყოველთვის სისუსტის სიმპტომებს ხედავდა. ამიტომაც, ლვოვში გამოსვლისას მან საჯაროდ განაცხადა, რომ ცილისწამებასთან უკომპრომისო ბრძოლა ჰქონდა განზრახული. „მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რათა შრომას და პოლონურ სახელმწიფოს ჯეროვანი პატივისცემა მოვუპოვო", – ამბობდა პილსუდსკი (JP VI, 81). მისი აზრით, არა ინსტიტუციურ-სამართლებრივი გადაწყვეტები ან პოლიტიკურ სცენაზე არსებული ძალთა ბალანსი განაპირობებდა სახელმწიფოს სისუსტეს. მთავარ ბოროტებას იგი სპეციფიკურ მორალურ-ეთიკურ ატმოსფეროში ხედავდა, რომელიც იმ დროისთვის იყო დამახასიათებელი, როცა დამპყრობელი ძალები საზოგადოებას რყვნიდნენ. „მორალური სანაციის" პროგრამა, რაზეც პილსუდსკი რეალურად ლაპარაკობდა – მხოლოდ ტაქტიკური ხერხი არ იყო, რომელსაც პროგრამული უსუსურობა უნდა გადაეფარა ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ სფეროებში. პილსუდსკი ამ სფეროების მნიშვნელობას ჯეროვნად აფასებდა,

მაგრამ მისი აზრით, ისინი მაინც მეორეხარისხოვან საკითხებს წარმოადგენდნენ, ისევე, როგორც პოლიტიკური სცენის მოწესრიგება. ის რასაც მარშალმა ბრძოლა გამოუცხადა უფრო ღრმად იყო ჩამარხული, მისი ზუსტად განსაზღვრა კი ყოველთვის შესაძლებელი არც იყო. მიუხედავად ამისა, ეს „რაღაც“ ძალზე მძიმე ტვირთად აწვებოდა პოლონეთის მეორე რეჩპოსპოლიტას აღდგენილი სახელმწიფოებრიობის პირველ წლებში და ამას პილსუდსკი ძალზე ნათლად ხედავდა. მას არ აინტერესებდა ძალაუფლება მხოლოდ მისი აღსრულების თვალსაზრისით, ძალაუფლება, როგორც თვითმიზანი ან ისეთი ღირებულება, რომელიც ყველა პრაქტიკულ წამოწყებას განსაზღვრავდა. მას არ ხიბლავდა ძალაუფლების ქონა, იგი მას ერთგვარ სამედიცინო პრეპარატად წარმოედგინა, რომელიც სწორი დოზირების შემთხვევაში დაპყრობისდროინელი მემკვიდრეობით დამძიმებულ საზოგადოებას უცილობლად წაადგებოდა. თავისი ნებაყოფლობითი გადადგომის შემდეგ, სულ მცირე 1925 წლის შემოდგომამდე მეთაურს დიდი ალბათობით სჯეროდა რომ პოლონური საზოგადოების უმრავლესობა ასეთ აუცილებლობას თვითონ აღმოაჩენდა და მოიწონებდა. მას სჯეროდა, რომ ბელვედერში არა მარტო საკუთარი ნებით დაბრუნდებოდა, არამედ საზოგადოების ზემოთხსენებული ნაწილის მკაფიო მოწოდების საფუძველზეც. თუმცაღა ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავდა, რომ მეთაური გულხელდაკრეფილი აპირებდა ლოდინს.

ერთი წლის შემდეგ, პირველი საკადრო ასეულის მარშის ათი წლისთავზე პილსუდსკიმ ის მიზეზები გააჟღერა, რომლების გამოც მას და მის თანამებრძოლებს პოლონეთის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიანთი არსებობა უნდა დაეფიქსირებინათ. პირველი და პრინციპში ისტორიული მიზეზი გახლდათ მაშინ (ათი წლის წინ) მიღებული გადაწყვეტილება, რომ „პოლონელები – ერი სახელმწიფოსა და მთავრობის გარეშე – ბრძოლის ველზე ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი“, მცდელობა, რომელიც იმ დროს საყოველთაოდ გაბატონებული, პოლიტიკური დოგმის რანგში აყვანილი პასიუ-

რობის საპირისპირო ქმედებას წარმოადგენდა. მეორე მიზეზი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. იგი ეფუძნებოდა სურვილს, რომ „პოლონეთის ეროვნული ღირსება მაღლა აწეულიყო" და „მონობის წლების უცნაურ თაყვანისცემას" დაპირისპირებოდა (JP VIII, 34, 36, 43). წარსული დროების მოჩვენებებთან ბრძოლაში პილსუდსკი უპირველესად იმ ადამიანებზე აპირებდა დაყრდნობას, ვინც პირველი მსოფლიო ომის ისტორიული კატაკლიზმის დღეებში ცხოვრებისეული და პიროვნული გამოცდა ჩააბარა. ამ ადამიანებს საკუთარი მაგალითით კიდევ ერთხელ უნდა მიეზიდათ ისინი, ვისაც ჯერ მერყეობისათვის ვერ დაეღწია თავი, ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა პოლონეთის მომავალი ბედ-იღბალი.

მიუხედავად სულეიუვეკში განმარტოებისა, მარშალს საზოგადოებისაგან თვითიზოლაცია არ მოუხდენია. პირიქით, იგი აქტიურად სერავდა პოლონეთს სიგრძივ და განივ. მოგზაურობები და ხალხთან კონტაქტი მას რწმენას უნერგავდა, რომ მის მიერ არჩეული გზა სწორი იყო და დასახულ მიზნამდე აუცილებლად მიიყვანდა. ამის დასტური იყო მხარდაჭერის ის სპონტანური, ძალდაუტანებელი გამოვლინებები, რომლებსაც იგი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა. ამასვე ადასტურებდა მისი მხარდამჭერების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციები და ღონისძიებები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ყველაზე თვალში მოსახვედრი მისი მფარველი წმინდანის დღის საზეიმო აღნიშვნა იყო 19 მარტს. პილსუდსკის მომხრეთა მიერ მისი მოწინააღმდეების მისამართით განხორციელებული სიტყვიერი შეტევები, რომლებიც ხანდახან უკიდურესი ვულგარიზმების ფორმას იღებდა და არც თუ იშვიათად შეურაცხყოფის ზღვარსაც გადადიოდა – სასურველ შედეგებს არ იძლეოდა. პირიქით, მოწინააღმდეგეთა გავლენები კი არ სუსტდებოდა, არამედ ისინი სხვადასხვა მოტივებით გააფთრებულად ცდილობდნენ, რომ პილსუდსკისთვის პოლიტიკაში დასაბრუნებელი გზა ერთხელ და სამუდამოდ გადაეკეტათ.

მარშალი სულეიუვეკური განმარტოების დროსაც სახელმწიფო მოღვაწედ რჩებოდა. იგი მკაცრად გმობდა „სეიმოკრა-

ტიას", რომელიც თავისი იმწამიერი, მერკანტილური სარგებელისათვის სახელმწიფო ინტერესებს ვნებდა. იგი მთელი ძალით იცავდა მის მიერ ჯერ კიდევ 1921 წლის დასაწყისში გამოცემული დეკრეტის დებულებებს უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელი რგოლის საორგანიზაციო მხარის შესახებ, რომელთაც არმია მიმდინარე პოლიტიკურ თამაშებში ჩათრევისაგან უნდა დაეცვათ. ზუსტად ამ ფონზე ვითარდებოდა სულ უფრო და უფრო მზარდი კონფლიქტი ერთი მხრივ პილსუდსკის, ხოლო მეორე მხრივ გენერალიტეტის ნაწილსა და პოლიტიკოსთა მრავალრიცხოვან ჯგუფს შორის. ამ უკანასკნელთაგან ერთნიც და მეორენიც სულ უფრო მეტად შიშობდნენ, რომ მარშალი ადრე თუ გვიან პოლიტიკურ სცენაზე მოისურვებდა დაბრუნებას.

პილსუდსკი ისევ განიხილებოდა, როგორც უმაღლესი სამხედრო თანამდებობების პოტენციური კანდიდატი, მაგრამ იგი ძალზე ბევრისთვის სრულიად მიუღებელი იყო. მემარჯვენეებისათვის, მთავრობისათვის, მის შემდეგ მოსული სამხედრო მინისტრებისათვის, იმ დეპუტატებისათვის, რომლებიც არსებული მდგომარეობით სრულიად კმაყოფილები იყვნენ (სხვათა შორის მათ რიცხვში პილსუდსკისადმი ლოიალურად განწყობილი მემარცხენე ფრთის დეპუტატების ნაწილიც კი შედიოდა), გენერლების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, რომელთა ერთ ჯგუფს მისი დიდებისა და პოპულარობის შურდა, ხოლო მეორე ჯგუფს მისგან ოდესღაც მიღებული ულმობელი გაკიცხვა ვერ დაევიწყებინა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პილსუდსკის ჰყავდა ურიცხვი და ხშირ შემთხვევაში ფანატიკურად განწყობილი მომხრეები. ნეგატიური და პოზიტიური მოლოდინების, იმედების, ილუზიებისა და ლეგენდების ბალანსი ჯერჯერობით ბუნდოვანი იყო. შესაძლებლობები, რომლებიც პილსუდსკის გრძელვადიანი და არა მხოლოდ იმწუთიერი გეგმების განხორციელების საშუალებას მისცემდა – ისევ არ ჩანდა.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ სიტყვიერი დაპირისპირების ტემპერატურა რომლის საფუძველიც იანვრის დეკრეტი იყო

– თანდათანობით იზრდებოდა. 1925 წლის შემოდგომამდე პილსუდსკის რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით შიდა პოლიტიკურ სცენას არ გასცილებია, თუმცა ზუსტად ამ პერიოდიდან მან დამატებითი, საერთაშორისო კონტექსტიც შეიძინა. ოქტომბრის პირველ ნახევარში, ნეიტრალური შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში იმდროინდელი ოთხი ევროპული სუპერსახელმწიფოს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ბჭობდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და სუპერსახელმწიფოთა წრეში ცოტა ხნის წინ დაბრუნებული გერმანიის წარმომადგენლები. აქვე იყვნენ ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციებიც. ლოკარნოს შეხვედრის ფინალურ აკორდად იქცა ეგრეთ წოდებული „რაინის პაქტის“ ხელმოწერა, რომლითაც აღიარებულ იქნა გერმანიასა და საფრანგეთს და გერმანიასა და ბელგიას შორის არსებული საზღვრების ურღვევობა. სამაგიეროდ, მოლაპარაკების მონაწილეებმა მრავლისმეტყველი დუმილით აუარეს გვერდი ტერიტორიულ სტატუს-კვოს აღმოსავლეთ ევროპაში. გერმანიის დასავლეთმა საზღვრებმა კოლექტიური უსაფრთხოების გარანტია მოიპოვეს, თუმცა აღმოსავლეთი საზღვრები ისევ რჩებოდა პოტენციური რევიზიონისტული პრეტენზიების საგნად. ლოკარნოში არა უბრალოდ პოლონურმა დიპლომატიამ განიცადა მარცხი – ეს თვით მეორე რეჩპოსპოლიტის მარცხი იყო. საგარეო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესმა ელემენტმა – საფრანგეთთან ალიანსმა – ნათლად აჩვენა საკუთარი უსუსურობა.

როგორც ჩანს, საგარეო საფრთხის გააქტიურებამ მარშლის გეგმებზე დიდი გავლენა მოახდინა. სახელმწიფოს უსაფრთხება პილსუდსკისათვის უმაღლეს ღირებულებათაგანი იყო და ამიტომაც მეორე რესპუბლიკისათვის რეალური ტერიტორიული საფრთხის გაჩენამ მარშალს იმ აზრისკენ უბიძგა, რომ ხარისხობრივად ახალ, საერთაშორისო სიტუაციაში საჭირო იყო არა თუ გადამწყვეტი, არამედ პირდაპირ რადიკალური ზომების მიღება. მის ამ მოსაზრებას დამატებით იმპულსს აძლევდა არმიის ეფექტური მართვის საკითხი, რომელიც ისევ ჰაერში იყო გამოკიდებული. პილსუდსკი და მისი გარემოცვა რა თქმა

უნდა ითვალისწინებდნენ და ანგარიშს უწევდნენ შესაძლო შიდა არეულობას ქვეყანაში, მოსალოდნელ ინფლაციას, რომელმაც ოციანი წლების დასაწყისში ასე მტკივნეულად დაარტყა მოსახლეობას, აგრეთვე მისგან გამოწვეულ პოტენციურ სოციალურ მღელვარებას, თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მაინც არ თამაშობდა უმთავრეს როლს ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხში. სამაგიეროდ, გარე იმპულსებმა რომლებიც ბერლინსა და კრემლს შორის შესაძლო ალიანსის შესახებ არსებული ჭორებით იყო გაძლიერებული, როგორც ჩანს პროცესის ძირითადი კატალიზატორის როლი ითამაშეს. რამდენიმე თვით გვიან, ამ ყველაფერმა თავისი განვითარება ვარშავის ქუჩებში ჰპოვა საკმაოდ მოულოდნელი ფორმით.

1925 წლის შემოდგომიდან პილსუდსკი აღარ მალავდა, რომ მისი ზრუნვისა და წუხილის საგანი უკვე მარტო არმია კი აღარ იყო, არამედ სრულიად სახელმწიფო. ისიც ცხადი ჩანდა, რომ მის მიერ განხორციელებული წნეხის მთავარი იარაღი ოფიცერთა კორპუსი იქნებოდა, თუმცა ნათელი არ იყო, თუ რამდენად ფართო გავლენებს ფლობდა მარშალი ამ წრის შიგნით. პილსუდსკი ღიად ითხოვდა „ჯარის მორალური ინტერესების“ პატივისცემას. ეფექტური სავალუტო რეფორმის ავტორის – ვლადისლავ გრაბსკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შემდეგ (რაც 13 ნოემბერს განხორციელდა) მარშალი პირდაპირ აფრთხილებდა ამის შესახებ პრეზიდენტ სტანისლავ ვოიჩეხოვსკის – თავის ოდინდელ თანამებრძოლს პოლონეთის სოცპარტიის რიგებიდან. პილსუდსკი წინააღმდეგი იყო, რომ „ჯარს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიებისთვის და მათი კერძო ინტერესებისთვის ემსახურა“. მას კატეგორიულად დაუშვებლად მიაჩნდა, რომ „არმია ცალკეული პატივმოყვარე გენერლებისა და დეპუტატების ვაჭრობის საგანი გამხდარიყო“. ამავე დროს ხაზს უსვამდა, რომ არმიის შიგნით „სულ უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა გაღიზიანება“ (JP VIII, 217). ახალი, საგარეო კონტექსტის გათვალისწინებით მარშლის ხმა მინიმუმ საგანგაშოდ მაინც ულერდა.

პილსუდსკის აზრის იგნორირება ან მისთვის ყურის წაყრუება ძნელი იყო, განსკუთრებით იმ მრავლისმთქმელი დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა. ამ დღეს სულეიუვეკში ვარშავის განიზონის რამდენიმე ასეული ოფიცერი ჩავიდა, რომელთა შორის თორმეტამდე გენერალიც იყო. ვიზიტის ოფიციალური მიზეზი სახელმწიფოს აღმდგენელის მაგდებურგული ტყვეობიდან დაბრუნების მორიგ წლისთავზე მისთვის პატივის მიგება იყო. სინამდვილეში, ოფიცრების ჩამოსვლა იმაზე მიუთითებდა, რომ არმიაში მარშლის გავლენები რაიმე გამონაგონს კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულიად რეალური ფაქტი იყო.

ოფიცრების სახელით მოკლედ, მაგრამ ძალზე ღრმა დამაჯერებლობით ილაპარაკა გენერალმა გუსტავ ორლიჩ-დრეშერმა[91]. მან გაიხსენა დამოუკიდებლობის პირველი დღეები, როდესაც პილსუდსკის „დიქტატორის უმაღლესი, თუმცა კი არადეკლარირებული ძალაუფლება ეპყრა ხელთ". გაიხსენა არმიის დიდების დღეები, როდესაც პოლონური მხედრობის დროშა „დიადი გამარჯვებების დაფნის" სხივით დაიფარა. თუმცაღა იგი აღნიშნავდა, რომ წარსულსა და აწმყოს შორის საოცარ კონტრასტს დაესადგურებინა. „ახლა, როდესაც შენ მოგმართავ – ამბობდა გენერალი ორლიჩ-დრეშერი – ჩვენს სამშობლოში ტკივილსა და დრტვინვას დაუსადგურებია სიღატაკესთან ერთად. გვინდა გჯეროდეს, რომ გულები ისევ ისე გვაქვს სამშობლოსათვის ანთებული. ჩვენ კი ჩვენის მხრივ გვინდა გვჯეროდეს რომ ამ კრიზისში განზე არ გადგები და ობლად არ დაგვტოვებ არა მარტო ჩვენ – შენს ერთგულ ჯარისკაცებს, არამედ მთელ პოლონეთსაც". ყველაფერთან ერთად ყურადსაღები ისიც იყო, რომ ამ ჯარისკაცებს „ანთებული გულების გარდა ბრძოლაში ნაწრთობი, ალესილი ხმლებიც ამშვენებდათ". (JP VIII, 248).

პილსუდსკის პასუხში იმ თემებმა გაიჟღერა, რომლებიც ადრე უკვე არაერთხელ გაჟღერებულა მის საჯარო გამოს-

[91] გუსტავ ორლიჩ-დრეშერი (1889-1936) – პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი.

ვლებში. იგი საუბრობდა თავის გაცრუებულ იმედებზე, იმ დაკარგულ რწმენაზე, რომ „სახელმწიფოს ფორმალური აღორძინება პოლონელთა სულის აღორძინებასთან ერთად მოხდებოდა და ქვეყანა ოდინდელი ბრწყინვალებით გაცისკროვნდებოდა". ამ მიამიტმა რწმენამ განაპირობა ის, რომ მან გადაწყვიტა ყოფილიყო წარმომადგენელი „არა მარტო მშვენიერებისა, არამედ ჭუჭყისაც, არა მარტო ძალისა, არამედ უსუსური სიმფრთხალისაც, არა მარტო სათნოებისა, არამედ სიავისაც". პილსუდსკი აღიარებდა, რომ მაშინ შეცდა, შეცდა რადგანაც „სახელმწიფოს უძლურებას განაპირობებს ის, ვინც სამართლიანობის აღსრულებას და უგვანოთა დასჯას აბრკოლებს, ამით კი პატიოსან და გულწრფელ მშრომელს ასუსტებს ან უარეს შემთხვევაში მის დემორალიზაციასაც უწყობს ხელს". (JP VIII, 249-250). ბოლოს მარშალი ასკვნიდა, რომ ეს რომანტიკული ეტაპი მის ცხოვრებში უკვე სამუდამოდ დახურული ფურცელი იყო და ახლა იგი „თავისუფლების ბოროტად გამოყენებას" უცხადებდა ბრძოლას. ეს უნდა ყოფილიყო ბრძოლა „ჩვენი განვლილი გზის, ჩვენი ღირსების, ჩვენი დიდებისა და მონაპოვრის დასაცავად". სიტყვა „ჩვენი"-ში იგი არმიას გულისხმობდა.

ორლიჩ-დრეშერის გამოსვლა და მისთვის გაცემული მარშლის პასუხი მოწმობს, რომ როგორც პილსუდსკის გონებაში, ასევე მის გარემოცვაში სახელმწიფო გადატრიალების იდეა აქტიურად მუსირებდა, გაჟღერებული სიტყვები კი ბევრის აზრით გადატრიალების დაუყოვნებლივი დაწყების პირდაპირი სიგნალი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს ასე მიამიტურად არ ამჟღავნებდნენ და ამიტომაც, სულეიუვეკის დემონსტრაცია ხელისუფლების დამხობის პრელუდიად ვერ ჩაითვლება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სამთავრობო კრიზისის პერიოდი იყო და ოფიცერთა კორპუსის სანოემბრო აქტი კონკრეტული საკადრო გადაწყვეტილების მიღების იძულებას ისახავდა მიზნად. მოთხოვნის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე არ უნდა დანიშნულიყო გენერალი, რომელიც მარშლისათვის არ იქნებოდა მისაღები. მიუხედა-

ვად იმისა, რომ დრეშერსა და დემონსტრაციის სხვა მონაწილეებს რეპრესიების გადატანამ მოუწიათ, რაც სადამსჯელო სანქციებში და უფლებამოსილებების შეჩერებაში გამოიხატა – მარშალმა თავის ტაქტიკურ მიზანს მაინც მიაღწია. მინისტრის პოსტი მისთვის სასურველმა გენერალმა ჟელიგოვსკიმ მიიღო, რომელმაც თავისი წინამორბედის პერსონალური გადაწყვეტილებები სრულიად გააუქმა.

ხელისუფლებაში მოსვლა პილსუდსკის ნაბიჯ-ნაბიჯ, ევოლუციურად სურდა. 1925 წლის შუა ხანებში, უახლოეს გადასადგმელ ნაბიჯებზე ფიქრისას იგი ვარაუდობდა, რომ მორიგი სამთავრობო კრიზისი „სეიმის გარეშე უნდა მოგვარებულიყო". პილსუდსკის ერთ-ერთი ახლო თანამოაზრე – კაზიმეჟ შვიტალსკი თავის დღიურში ასე იხსენებს მასსა და მარშალს შორის შემდგარი საუბრის შინაარსს: „მარშალი ჯარს სამხედრო მინისტრის რანგში უნდა დაბრუნებოდა და სეიმის წინააღმდეგ უმკაცრესი და უკომპრომისო ზომები უნდა მიეღო. მიუხედავად ამისა, იგი არ აპირებდა სეიმის დაშლას – მას მხოლოდ მისი შეკრებებისა და უფლებამოსილებების მკვეთრად შეზღუდვა ჰქონდა განზრახული. ამის შემდეგ საკუთარი კაბინეტიდან დააკვირდებოდა სეიმის წევრებს და გადაწყვეტდა თუ ვისთან შეიძლებოდა თანამშრომლობა და ვისთან არა. ხელისუფლებაში მოსვლას პილსუდსკი 1926 წლის შემოდგომაზე გეგმავდა" (KŚ, 152). ეს სცენარი ძალადობრივი მოქმედებების აუცილებლობას არათუ არ ითვალისწინებდა, არამედ პირდაპირ გამორიცხავდა მათ.

თუმცა, მოსალოდნელი კრიტიკული მომენტი უფრო ადრე დადგა. 1926 წლის მაისის დასაწყისში ალექსანდერ სქშინსკის[92] კაბინეტი გადადგა და ხელისულებაში უკვე მესამედ „სახალხოელთა" მეთაური – ვინცენტი ვიტოსი მოვიდა.

აპრილის მეორე ნახევარში, ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის შედეგად ალექსანდერ სქშინსკის მთავრობამ

[92] ალექსანდერ სქშინსკი (1882-1931) – პოლონელი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე, გრაფი, პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 1925-1926 წლებში.

საბოლოოდ დატოვა პოლიტიკური სცენა, თვითონ კრიზისი კი უმწვავეს ფაზაში შევიდა. პილსუდსკი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა იმას, რომ ისევ გაგრძელდებოდა მცდელობები რათა ახალი კაბინეტის შექმნის უნარის მქონე უმრავლესობა ჩამოყალიბებულიყო. ამიტომაც, გადაწყვიტა ისეთი ინსტრუმენტი მოეძებნა, რომელიც მას ეფექტური წნეხის განხორციელების საშუალებას მისცემდა, პირველ რიგში პრეზიდენტ ვოიჩეხოვსკიზე და აგრეთვე სხვა დანარჩენ პოლიტიკოსებზე. ასეთი ინსტრუმენტის როლის შესრულება შესაბამისად შერჩეულ საჯარისო ფორმირებას შეეძლო, რომლის ერთგულებაშიც მარშალს ერთი წუთითაც კი არ შეეპარებოდა ეჭვი. პილსუდსკის ამ ძალის მობილიზება იმისთვის არ უნდოდა, რომ შემდეგ მათი დახმარებით ვინმეს წინააღმდეგ გაელაშქრა. მისთვის უმთავრესი ერთი მხრივ ის იყო, რომ მისი ერთგული გუნდის საშუალებით საკუთარი მოთხოვნებისათვის სოლიდურობა შეეძინა, ხოლო მეორე მხრივ, ნათლად ეჩვენებინა, რომ ზუსტად იგი წარმოადგენდა არმიის ინტერესებს და მათი მხარდაჭერითაც სარგებლობდა. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც ამ ჩანაფიქრის ექოს წარმოადგენდა ის ქმედება, რაც უკვე გადადგომის ზღვარზე მყოფმა, თუმცა ჯერ კიდევ მოქმედმა სამხედრო მინისტრმა – ჟელიგოვსკიმ განახორციელა: 18 აპრილს, მან პილსუდსკის შერჩეული სამხედრო ნაწილების მეთაურობა ჩააბარა, რომლებსაც გარნიზონთაშორის წვრთნებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამ ვერსიის მიხედვით ეს ნაწილები უნდა გამოეყენებინა პილსუდსკის სამხედრო გადატრიალებისას. თუმცაღა პრობლემა ისაა, რომ დღემდე ვერავინ მიაგნო ჟელიგოვსკის ინიციატივის დამადასტურებელ საბუთს, ხოლო მარშალი კი სულ სხვა ნაწილებს დაეყრდნო თავის შემდგომ მოქმედებებში...

მაისის მოვლენების აღწერის დაწყებამდე ღირს კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ იმ სიღრმისეული მოტივების შესახებ, რომლებიც მარშლის წამოწყებათა საფუძველს წარმოადგენდნენ. აპრიორი მიიჩნევა, რომ გადატრიალება (და ზოგადად არასაპარლამენტო გზით წასვლა) დიდი ხნით ადრე იყო დაგეგ-

მილი. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში პილსუდსკის ქმედებების ახსნას მისივე საჯარო გამოსვლების კონტექსტით ცდილობენ ხოლმე, რომლებიც არცთუ იშვიათად, მართლაც გამოირჩეოდნენ უკიდურესი სიმწვავითა და ავისმომასწავებლობით, ზოგჯერ კი მოუთოკავი აგრესიითაც. სამამულო პუბლიცისტიკასა და ისტორიოგრაფიაში დომინირებს წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც პილსუდსკი გამიზნულად აპირებდა კონსტიტუციის დარღვევას, მთავრობის დათხოვნასა და ძალაუფლების ძალადობრივად მოპოვებას. ის რომ ეს ყველაფერი საბოლოოდ მართლაც ასე მოხდა, სულაც არ ნიშნავს, რომ პილსუდსკი მოვლენათა განვითარების ამ ერთადერთ ვარიანტს განიხილავდა – ვარიანტს, რომელიც პოლიტიკურ სცენაზე მოქმედ ძალებთან ყოველგვარ კომპრომისს გამორიცხავდა. ზუსტად ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, მარშლის საქციელი მაისის კრიტიკულ დღეებში სრულიად გაუგებარი და არალოგიკური შეიძლება მოგვეჩვენოს. ეს უცნაურობა განსაკუთრებით ადვილად ახსნადი ჩანს იმ მოარული, დაუდასტურებელი ხმების მოყვარულთათვის, რომელთა მიხედვითაც მარშლის ასეთი საქციელი მაისის იმ დღეებში მისი გონების დაბინდვის შედეგი იყო.

ხაზი კიდევ ერთხელ უნდა გაესვას იმას, რომ პილსუდსკი მეორე რესპუბლიკის სისტემური საფუძვლების წინააღმდეგ არ გამოდიოდა. ფაქტიურად, რასაც ის ებრძოდა – იყო დამახინჯებული საპარლამენტო რეალობა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ – მოკლევადიანი პოლიტიკური კონიუნქტურებისთვის არმიის დამორჩილების უწყვეტი მცდელობები, რაც სამხედრო ორგანიზმს პერმანენტულად ასუსტებდა...

პილსუდსკი ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მის მიერ იმ პერიოდში განხილული არც ერთი სცენარი ძალის გამოყენებას არ ითვალისწინებდა, თუმცა პოლონეთის სახალხო პარტიის („პიასტის“) თავმჯდომარის მიერ პრემიერის პოსტის დაკავების შემდეგ მარშალმა საპროტესტო ფორმების გამწვავება გადაწყვიტა. 11 მაისს, სულეიუვეკის მახლობელ დაბა ვესოლაში ულანთა მე-7 პოლკის შეყვანა სხვა არაფერი

იყო, თუ არა ხელსაყრელი და გამართულად მოქმედი დამხმარე ძალის მობილიზება იმ შემთხვევისათვის, თუკი პილსუდსკი არმიის სახელით პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენებას გადაწყვეტდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარშლის აზრით მის მიერ ძალის დემონსტრირებას შემდეგი ეფექტები უნდა გამოეწვია: ფორმირების პროცესში მყოფი მთავრობა არ უნდა შემდგარიყო, კოალიცია უნდა დაშლილიყო, პრეზიდენტს მანევრირების მეტი თავისუფლება უნდა მოეპოვებინა და ახალი კაბინეტის ფორმირების იდეას უნდა დაბრუნებოდა, რომლის შემადგენლობაში მარშალიც იქნებოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პილსუდსკიმ თავის გათვლებში გენერლების კომპონენტი სათანადოდ ვერ შეაფასა.

როგორც ჩანს, „გენერალთა საბჭოს" (როგორც მას თვით პილსუდსკი უწოდებდა) ფაქტორის გაუთვალისწინებლობის მიზეზი ის იყო, რომ მარშალი ამ ბრძოლის წარმოებას სუფთა პოლიტიკურ სივრცეში აპირებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ძალის თუნდაც უმნიშვნელო მხარდაჭერის შემთხვევაში პილსუდსკის მოწინააღმდეგეებს შესანიშნავი საბაბი მიეცემოდათ, რომ არმიაზე დაყრდნობით გამოხატული უკმაყოფილებისთვის სამხედრო ამბოხის იარლიყი მიეწებებინათ. ყველამ კარგად უწყოდა, რომ მარშალს ოფიცერთა დიდი ჯგუფი დაუჭერდა მხარს, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრებს მისი მოწინააღმდეგეები აკონტროლებდნენ. ის ძალები კი, რომლებიც მის განკარგულებაში უნდა აღმოჩენილიყვნენ, 11 მაისისათვის ჯერ არც კი არსებობდნენ.

მაისის გადატრიალების აღმწერ ისტორიკოსებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ მისი ორგანიზატორების მოუწესრიგებლობის გაგება, რომელიც ზოგჯერ პირდაპირ უდარდელ დამოკიდებულებაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე. მათთვის ასევე ძნელი ასახსნელია კოორდინაციის უქონლობა და მოულოდნელობის ეფექტის აბსოლუტური გამოუყენებლობა. ეჭვგარეშეა რომ პილსუდსკის მოქმედებათა უმრავლესობა სრულ იმპროვიზაციას ემყარებოდა. ეს ყველაფერი ადასტურებს რომ წინასწარ დამუშავებული მოქმედების გეგმა არ არსებობ-

და. კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ მარშალს ჯარი შეიარაღებული ამბოხების მოსახდენად არ სჭირდებოდა. სამაგიეროდ, ერთი რამ ნათელია – პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, კერძოდ კი, უმაღლესი სამხედრო მმართველი რგოლის ორგანიზების პილსუდსკისეული ხედვის განსახორციელებლად აუცილებელი იყო, რომ ჯარს (რეალობაში ოფიცერთა კორპუსს), თუნდაც დეკლარაციულ დონეზე, მაგრამ სრულიად ერთმნიშვნელოვნად გამოეცხადებინა მისთვის მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა მკაფიო სიგნალი იმის შესახებ, თუ ვისი მხარე ეკავა არმიას მიმდინარე დაპირისპირებაში. ზუსტად ეს იყო იმის მიზეზი, რომ არ არსებობდა აქციის მაკოორდინირებელი შტაბების ქსელი, ხოლო თვითონ აქციის ავტორი კი დაჟინებით ცდილობდა, რომ კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით გადაეწყვიტა. ის ხელქვეითები, რომლებიც 12 მაისამდე სულეიუვეკში პილსუდსკისთან ჩნდებოდნენ ხოლმე, ან ინფორმაციას აწოდებდნენ მიმდინარე ვითარების შესახებ, ან კონკრეტულ დავალებებს იღებდნენ. ერთადერთ გამონაკლისს გენერალი გუსტავ ორლიჩ-დრესერი წარმოადგენდა, რომელსაც განსაკუთრებული როლი დაეკისრა – ერთგვარი საჩვენებელი, სამხედრო ესკორტის მომზადება.

კავალერისტი, ლეგიონერი, განუსჯელობამდე მამაცი ოფიცერი და ბოლშევიკებთან ომის ერთ-ერთი გამორჩეული მხედართმთავარი, გარდამავალი პერიოდის რყევების მიუხედავად, ისევ კავალერიის მე-2 დივიზიას მეთაურობდა. 11 მაისს, დღის პირველ ნახევარში ზუსტად მან მისცა ბრძანება ულანთა მე-7 პოლკის მეთაურს – კაზიმეჟ სტამიროვსკის, რომ თავისი დანაყოფი რემბერტუვის პოლიგონზე გაეგზავნა სასწავლო სროლების განსახორციელებლად, ხოლო თვითონ კი სულეიუვეკში გამოცხადებულიყო და მარშლისთვის პატაკი ჩაებარებინა. ბრძანება, დიდი ალბათობით, პილსუდსკის ხელდასხმით იყო გაცემული. პოლკმა პოლიგონს საღამოს მიაღწია, ხოლო სტამიროვსკი მარშალთან გამოცხადდა. არაფერი არ მიუთითებს იმაზე, რომ პილსუდსკი აღნიშნულზე დიდი ძალების

ამოქმედებას აპირებდა. უფრო მეტიც, ულანთა პოლკის თავისთვის დაქვემდებარება მან პრაქტიკულად დემონსტრაციულად განახორციელა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა გარნიზონის ხელმძღვანელობას. თუმცაღა, სიტუაცია შუაღამის პირზე შეიცვალა, როდესაც პილსუდსკიმდე მიაღწია ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა ახალ სამხედრო მინისტრს ულანების სულეიუვეკში გამოჩენაზე. ულანთა პოლკის ბანაკში სპეციალური მეკავშირე ოფიცერი მივიდა და იქ მყოფთ მინისტრის კატეგორიული მოთხოვნა გადასცა, რომ დაუყოვნებლივ ყაზარმებში დაბრუნებულიყვნენ. პილსუდსკიმ სტამიროვსკის მითითება მისცა, რომ ამ ბრძანებისთვის იგნორირება გაეკეთებინა.

მარშლის მიერ სტამიროვსკისთვის მიცემული მითითება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მის მიერ ახალი ხელისუფლების მხრიდან რეაქციის პროვოცირების და ამ გზით შეიარაღებული კონფრონტაციის გამოწვევის მცდელობა. თუმცაღა სიმართლესთან უფრო ახლომდგომი შეიძლება იყოს სხვა ინტერპრეტაცია: როგორც ჩანს, პილსუდსკიმ მხოლოდ ამ მომენტში გააცნობიერა, რომ თავის მოწინააღმდეგეებს ხელსაყრელი საბაბი მისცა და დაგეგმილი დემონსტრაციის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო იყო მას, როგორც მეამბოხეს, ისე მოქცეოდნენ. სამხედრო თანადგომაზე უარის თქმა კი პილსუდსკისთვის პოლიტიკური გეგმის ფიასკოს ნიშნავდა. მცირე რაზმით დემონსტრაციის გაგრძელება არა მარტო იმის მომასწავებელი იყო, რომ მას მეამბოხედ გამოიყვანდნენ, არამედ მთელ ამ წამონყებას იზოლირება და საბოლოოდ ჩახშობა ემუქრებოდა. ამ სიტუაციაში პილსუდსკიმ გადაწყვიტა, რომ თავისი ძალები მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა დედაქალაქში და მის მახლობლად განლაგებული რაზმებით. ამ გადაწყვეტილების შედეგად სტამიროვსკის ულანების გარდა მარშლის უშუალო განკარგულებაში აღმოჩნდა სამანევრო ბატალიონი რემბერტუვიდან, ცხენოსანი მსროლელების პოლკი გარვოლინიდან და ქვეითთა 22-ე პოლკი შედლცედან. გარდა ამისა, ვარშავის უბან პრაგაში განლაგებულ ყაზარმებში მყოფ

ნაწილებს მინისტრ იულიუშ მალჩევსკისათვის[93] დაუმორჩილებლობა უნდა გამოეცხადებინათ და აგრეთვე ეცნობებინათ, რომ ისინი ამიერიდან მხოლოდ პილსუდსკის მითითებებს ასრულებდნენ. მარშლისა და მისი გარემოცვის აზრით, ეს ყველაფერი საკმარისი იყო, რათა პრეზიდენტი დარწმუნებულიყო, რომ ჯარს მიუღებლად მიაჩნდა ვიტოსის კაბინეტი. ამას უნდა მოჰყოლოდა მისი გადაყენება და ისეთი მთავრობის ჩამოყალიბება რომელიც შეძლებდა „არმიის მორალური ინტერესების" სათანადოდ დაკმაყოფილებას.

მარშალი ძალებს აგროვებდა, მაგრამ ჯერ ისევ ვერ ხედავდა აუცილებლობას, რომ ვარშავაზე მარშით წასულიყო. იგი ფიქრობდა, რომ პრეზიდენტ ვოიჩეხოვსკისთან პირადი შეხვედრა საკმარისი იქნებოდა, რათა მისთვის შეთავაზებული პრევენციული ზომების განხორციელება მომხდარიყო. ეს ჩანაფიქრი მცდარი აღმოჩნდა. როდესაც დილით პილსუდსკი მხოლოდ ადიუტანტის თანხლებით ბელვედერის სასახლეში მივიდა, აღმოჩნდა რომ პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში, სპალაში წასულიყო. ეს მან იმის მიუხედავად გააკეთა, რომ უკვე ინფორმირებული იყო არსებული დაძაბულობის შესახებ. უცნობია, თუ რა რეაქცია ექნებოდა ვოიჩეხოვსკის მარშლის არგუმენტაციაზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მათმა ერთმანეთთან არშეხვედრამ უეჭველად მოახდინა გავლენა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. პილსუდსკიმ მშვენივრად იცოდა სამხედრო მინისტრ მალჩევსკის დამოკიდებულების შესახებ, რომლისთვისაც მარშლის წამოწყება ერთმნიშვნელოვნად „ამბოხს" წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, რემბერტუვში დაბრუნების შემდეგ მას თავისი მოქმედებების შენიღბვა აღარ შეეძლო. უკან დასაბრუნებელი გზა მარშალს პრაქტიკულად მოჭრილი ჰქონდა და მას მეტი აღარაფერი რჩებოდა, თუ არა მარში დედაქალაქზე. ცოტა ხანში ყველა იმ საჯარისო ნაწილმა,

[93] იულიუშ ტადეუშ ფრანჩიშეკ ტარნავა-მალჩევსკი (1872-1940) – პოლონელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, 1926 წლის მაისის მოვლენების დროს, კერძოდ კი, 10-14 მაისს ვინცენტი ვიტოსის მთავრობაში იკავებდა სამხედრო მინისტრის პოსტს.

რომელიც პილსუდსკის მხარეს გამოდიოდა, ძმათამკვლელი ომისთვის დაიწყო სამზადისი.

სამთავრობო მხარემ გადამწყვეტ მოქმედებებს იმ მომენტში მიმართა, როდესაც პილსუდსკი თავის სიმართლეში პრეზიდენტის დარწმუნებას შეეცადა. თავდაპირველად მათ გამოსცეს განკარგულება, რომლის ძალითაც იკრძალებოდა სამხედრო ტრანსპორტის დატვირთვა და გაგზავნა სამინისტროს ნებართვის გარეშე, შემდგომ ყველა სამხედრო მოსამსახურეს შეუჩერეს შვებულებები, ბოლოს კი გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენი რომელიც იუწყებოდა, რომ: „მარშალი აღარ იმყოფებოდა აქტიურ სამსახურში, მას აღარ ჰქონდა ბრძანებების გაცემის უფლება, ხოლო მისი ნებისმიერი ბრძანების შესრულება მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა". ვარშავაში მყოფი სამთავრობო ძალები გააძლიერეს პოზნანიდან, ლოვიჩიდან და ოსტრუვ-მაზოვეცკადან ჩამოყვანილი ნაწილებით. იმავე დღეს შესაბამისი ბრძანება მიუვიდათ ლვოვში მდგომ ნაწილებსაც. ზემოხსენებული პოლკები ყველა საჭირო მარაგით იყვნენ უზრუნველყოფილნი და, ამას გარდა, სრული საბრძოლო იარაღით აღჭურვილნი. ამას უნდა დავამატოთ, რომ დედაქალაქში, მთლიანად ვარშავის სავოევოდოში და ლუბლინის სავეოვოდოს ორ პოვიატში (რაიონში) საგანგებო მდგომარეობა იქნა შემოღებული. ძნელი განსასაზღვრია, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ სამინისტროსა და გენერალურ შტაბში თავმოყრილი გენერლები. უცნობია, მართლა ჩათვალეს თუ არა მათ პილსუდსკის გამოსვლა შეიარაღებული აჯანყების მცდელობად, თუ პირიქით, ძალთა ბალანსის საბოლოოდ დასადგენად გადაწყვიტეს, რომ შეიარაღებული შეტაკების გამოწვევა აუცილებელიც კი იყო, რათა პილსუდსკისთვის ჭკუა ესწავლებინათ და იგი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოეშორებინათ საზოგადოებრივი ცხოვრების სცენისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელია არ შევნიშნოთ, რომ პირველი გადაწყვეტილებები სამხედროთა მიერ იქნა მიღებული. მხოლოდ ამის შემდგომ მოხდა ამ გადაწყვეტილებების მოწონება მთავრობის მიერ და პრეზიდენტმაც გამოხატა საკუთარი თანხმობა. აქ

უნდა დავამატოთ, რომ პრეზიდენტი უფრო შორსაც წავიდა და ნებისმიერი კომპრომისის შესაძლებლობა გამორიცხა.

ვოიჩეხოვსკი სპალადან დაბრუნების შემდეგ უკიდურესად გადამწყვეტად იყო განწყობილი. გადმოცემების თანახმად, მან ერთი ხელის დაკვრით მოუღო ბოლო მთავრობის მერყეობას და ხაზი გაუსვა, რომ იგი არათუ პილსუდსკის წინადადებების მიღებას არ აპირებდა, არამედ მათი მოსმენაც კი არ სურდა. ძალზე დიდი ალბათობით, მარშალთან შეხვედრის წინ ვოიჩეხოვსკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სამხედრო თვალსაზრისით გადატრიალება მარცხისთვის იყო განწირული. ღიად რჩება კითხვა: დაუჯერა თუ არა პრეზიდენტმა პილსუდსკის მუნდირებიან მოწინააღმდეგეებს (სპალადან დაბრუნების შემდეგ მას მხოლოდ და მხოლოდ მათთან ჰქონდა კონსულტაციები და არა მთავრობის წევრებთან), თუ უბრალოდ მოინდომა, რომ არა მარტო მარშლის ჩრდილიდან გამოსულიყო, არამედ მისი წნეხისთვისაც დაეღწია თავი, რომელსაც მუდმივად განიცდიდა. თუკი ჭეშმარიტება მეორე ვერსიაშია, მაშინ ვოიჩეხოვსკის აზრით, ალბათ ეს მისი შანსი იყო, რომ პირველ პლანზე გამოსულიყო, ხოლო მარშლისთვის ხვედრად მხოლოდ შელახული ღირსება და სირცხვილი ერგუნებინა. პილსუდსკისთვის პრეზიდენტის პოზიცია სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

მაშინაც კი, როდესაც მარშალმა დედაქალაქზე მარშის განხორციელება გადაწყვიტა, მას თავისი რაზმები საბრძოლველად არ მოუმზადებია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მარშალმა საკუთარ ტრანსპორტად ღია, უსახურავო ეტლი აირჩია. ეტლს წინ ულანების ესკადრონი მიუძღოდა და მთელი ეს პროცესია აუჩქარებლად მიემართებოდა პონიატოვსკის ხიდისკენ, თუმცაღა ვისლის გადაკვეთა მათ გეგმებში არ შედიოდა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკიმ თავის ძალებს ვისლაზე არსებული ორივე გადასასვლელის – პონიატოვსკის ხიდისა (რომელსაც „მესამე ხიდსაც“ უწოდებდნენ) და კერბეჯის ხიდის დაკავება უბრძანა. ხიდებს აქეთ პოზიციები უკვე მთავრობის ერთგულ ძალებს ეკავა. დაახლოებით დღის ოთხ საათზე პრეზიდენტთან შეხვედრა შედგა. კომპრომისის მიღწევის ამ უკანასკნელმა

შანსმა ფიასკო განიცადა. პრეზიდენტმა მარშალს კანონიერების ჩარჩოებში დაბრუნებისკენ მოუწოდა, რაც ამ უკანასკნელის მხრიდან ფაქტობრივად მარცხის აღიარებას ნიშნავდა. უფრო მეტიც, პილსუდსკიმ ვოიჩეხოვსკისგან მოისმინა, რომ ზუსტად პრეზიდენტი იდგა არმიის ღირსების სადარაჯოზე და, გარდა ამისა, საკუთარი თვალით დაინახა, რომ ჯარისკაცების ნაწილი მზად იყო მისთვის იარაღი დაემიზნებინა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მარშალს ორი გზაღა რჩებოდა – ან სამარცხვინო კაპიტულაცია და მოწინააღმდეგის მოწყალების იმედზე დარჩენა, ანდა იარაღით ხელში შებრძოლება.

ამ მომენტამდე პილსუდსკი შეიარაღებული ბრძოლის პერსპექტივას მხედველობაში არ იღებდა ან მინიმუმ – სჯეროდა მაინც, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა. კონფლიქტის ესკალაციის შესახებ გადაწვეტილება მას იოლად არ მიუღია, რადგანაც ეს სამოქალაქო ომის დაწყების ტოლფასი იყო. პრეზიდენტის მიერ გადაკეტილი, დედაქალაქისკენ მიმავალი გზის გასახსნელად ძალის გამოყენება იყო საჭირო. პილსუდსკი დარწმუნებული არ იყო, რომ მისი ძალების მიერ მოპოვებული ტაქტიკური უპირატესობა ვისლის ფორსირებისავის საკმარისი იქნებოდა. იგი ვარაუდობდა, რომ „მარცხენა ნაპირის ვარშავის“ ასაღებად ხანგრძლივი ბრძოლები იქნებოდა საჭირო და ამიტომაც, თავისი ერთ-ერთი ყველაზე ახლო თანამებრძოლი – კაზიმეჟ შვიტალსკი რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირების ლიდერებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. მომავალ პრემიერს რკინიგზელები უნდა მოემხრო, რათა მათ სამთავრობო ძალების სამხედრო ეშელონების მოსალოდნელი გადაადგილებისთვის ხელი შეეშალათ.

პილსუდსკის აღარავითარი ილუზიები აღარ დარჩა მოვლენების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ძალის პირველად გამოყენების პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აეღო. ამის ილუსტრაცია იყო ის კატეგორიული ბრძანება, რომელიც მარშალმა მის დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილებს მისცა. ამ ბრძანების მიხედვით, პილსუდსკის ჯარისკაცებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა

გაეხსნათ ცეცხლი იმ მომენტამდე, სანამ ამას მოწინააღმდეგე მხარე არ გააკეთებდა. ამ თავშეკავებამ განაპირობა ის, რომ ცოტა ხანში „მესამე ხიდი“ გადაიარეს რემბერტუვიდან მომავალმა კადეტთა სკოლის კურსანტებმა, რომლებიც სამთავრობო ძალებს შეუერთდნენ და მნიშვნელოვნად გააძლიერეს ისინი. ამავე თავშეკავების შედეგი იყო ისიც, რომ როდესაც პრეზიდენტის მხარეს მდგომმა ოფიცერთა სკოლის ქვეითთა ქვედანაყოფმა ხიდის აღება სცადა, ისინი ტყვიამფრქვევების ჯერით შეაჩერეს, თუმცა პილსუდსკის ჯარისკაცებს პირდაპირი ცეცხლი არ გაუხსნიათ – მხოლოდ ჰაერში ისროლეს. ეს 12 მაისს მოხდა და ეს იყო პირველი სროლები, რომლებიც ამ დაპირისპირების პროცესში გაისმა. პირველ სისხლისღვრამდე საქმე მოგვიანებით მივიდა. ეს კერბეჯის ხიდის მახლობლად მოხდა, ნოვი ზიაზდის ქუჩაზე. პირველად ცეცხლი სამთავრობო მხარის ჯარისკაცებმა გახსნეს.

უეჭველია, რომ პილსუდსკის მუნდირებიანი მოწინააღმდეგეები ძალის გამოყენებისათვის ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ მზად, სანამ მარშალი და პრეზიდენტი „მესამე ხიდზე“ მოლაპარაკებას გამართავდნენ. ამაზე სამთავრობო ჯარების მეთაურების მიერ იმ პერიოდში გაცემული ბრძანებებიც მოწმობს, თუმცა ოფიციალურად ორივე მხარე ჯერ კიდევ მოლაპარაკების შედეგებს ელოდებოდა. სიტუაცია რადიკალურად მაშინ შეიცვალა, როდესაც ვარშავის დაცვის ოპერაციის ხელმძღვანელად გენერალი ტადეუშ როზვადოვსკი დაინიშნა, რომელიც ბოლშევიკებთან ომის დროს პილსუდსკის შტაბის უფროსი იყო. დანიშვნიდან დაუყოვნებლივ პილსუდსკის დანაყოფებს ულტიმატუმი გაეგზავნათ, რომელიც იუწყებოდა, რომ თუკი ისინი იმავე დღეს, 18.30 საათამდე არ დატოვებდნენ დაკავებულ პოზიციებს, სამთავრობო ძალები შეტევაზე გადავიდოდნენ. თუმცა ბრძოლა ამ ვადის ამოწურვამდე დაიწყო.

იერიში ქალაქის კომენდატურის უსაფრთხოების განყოფილების ოფიცრის – ვაცლავ ბოგუშევსკის მოთხოვნით დაიწყო. 30-ე ქვეითთა პოლკის ჯარისკაცებმა პილსუდსკის ძალებს შეუტიეს. მოიერიშეებს პასუხი 36-ე ქვეითთა პოლკმა გასცა

და სამთავრობო ძალებს საგრძნობი დანაკარგები აწვნია. რუბიკონი უკვე გადალახული იყო. იმ მომენტიდან, რა მომენტშიც ტყვიით განგმირული პირველი ჯარისკაცები დაეცნენ, მოვლენები სულ სხვა – საომარ რიტმში წარიმართა. სამხედრო თვალსაზრისით, მთელი პრობლემა ერთ ფუნდამენტურ კითხვაში მდგომარეობდა – რომელი მხარე მოახერხებდა უფრო მოკლე დროში მეორის დამარცხებისათვის საკმარისი უპირატესობის მოპოვებას. პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო მეორე კითხვა: გავრცელდებოდა თუ არა ჯერჯერობით მხოლოდ დედაქალაქში ლოკალიზებული კრიზისი მთელი ქვეყნის მასშტაბით და ჩამოშლიდა თუ არა (ან მინიმუმ დააზიანებდა თუ არა) ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფო შენობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის, თუ რამდენად და როგორ გამოიყენებდნენ არსებულ კრიზისს პოლონეთისადმი მტრულად ან მინიმუმ არამეგობრულად განწყობილი მეზობლები.

პილსუდსკის ძალებმა თანდათანობით უპირატესობის მოპოვება იწყეს, თუმცაღა ამ უპირატესობას თავიდან უფრო ლოკალური ხასიათი ჰქონდა. კერბეჯის ხიდის ფორსირების შემდეგ ისინი სისტემატურად ახევინებდნენ უკან მოწინააღმდეგეს. ცოტა ხანში მათ ეტაპობრივად დაიკავეს სხვადასხვა ნერტილები, მათ შორის, ქალაქის კომენდატურისა და გენერალური შტაბის შენობები. უკვე 12 მაისის საღამოსათვის ამბოხებულთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სამთავრობო ძალების წინააღმდეგობის სწრაფი და სრული ჩახშობის სცენარი სავსებით რეალურად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, პილსუდსკი არ ჩქარობდა, რადგანაც აცნობიერებდა, რომ ასეთი სცენარის განხორციელება მნიშვნელოვან მსხვერპლს გამოიწვევდა და თანაც ორივე მხარეს. მარშალმა კვლავ მოლაპარაკება გადაწყვიტა, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგო გამოდგა. ვერც სეიმის თავმჯდომარის – მაჩეი რატაის[94] და ვერ სხვა

[94] მაჩეი რატაი (1884-1940) – პოლონელი პოლიტიკოსი, იკავებდა სხვადასხვა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას, იყო პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალი (1922-1928).

პოლიტიკოსებისა და გენერლების (მათ შორის იყო ლუციან ჟელიგოვსკიც) მისიებმა ვერაფერი შეცვალა. ამ მცდელობების ფიასკო უპირველესად პრეზიდენტ ვოიჩეხოვსკის აბსოლუტურად შეუვალი პოზიციით იყო განპირობებული. პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრ ვიტოსისა და კაბინეტის სხვა წევრების მცდელობებსაც არად აგდებდა, რომლებიც უკვე მზად იყვნენ, რომ შექმნილი სიტუაციიდან ღირსეული გამოსავალი ეძებნათ. ვოიჩეხოვსკის ურყევი პოზიცია, სავარაუდოდ, სამხედროთა თავდაჯერებულობით იყო განპირობებული, რომლებიც თავიანთ საფინალო გამარჯვებაში სრულებით დარწმუნებულნი იყვნენ. გამარჯვების სჯეროდა გენერალ როზვადოვსკის. იგი დარწმუნებული იყო, რომ ათასხუთასკაციანი დაჯგუფებით გამაგრებული ბელვედერი დამხმარე ძალის მოსვლამდე შენარჩუნებულ იქნებოდა. მას აგრეთვე ავიაციის იმედიც ჰქონდა, რომელსაც გენერალი ვლოძიმეუ ზაგურსკი მეთაურობდა. მისი აზრით, პილსუდსკის დასახმარებლად მომავალი ნაწილები სწორედ ავიაციას უნდა გაეფანტა. გარდა ამ ყველაფრისა, იგი იმედოვნებდა, რომ მარშლის ძალებს ზურგში დაარტყამდა ვარშავის ციტადელში განლაგებული დაჯგუფება, რომელსაც მახლობელი ზამბრუვიდან დასახმარებლად მომავალი 71-ე ქვეითთა პოლკი დაუჭერდა მხარს. როზვადოვსკიმ თავის ერთ-ერთ მეთაურს ბრძანება მისცა, რომ „ხელში ჩაეგდო მოძრაობის ლიდერები, თუნდაც ეს მათი სიცოცხლის ფასად მომხდარიყო“. ასეთი სვლა ძალზე ნიშანდობლივია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პილსუდსკისთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად იყვნენ განწყობილნი, და იგი კარგად ხდის ფარდას მათ რეალურ ზრახვებს.

13 მაისის გამთენიისას შედგენილ იქნა სპეციალური მოწოდება, რომლითაც პრეზიდენტმა მიმართა „რეჩპოსპოლიტას ჯარისკაცებს“. ეს დოკუმენტი, თავის მხრივ, შესანიშნავად გვიჩვენებს იმ ხალხის აზრთა მდინარებას, რომლებიც პოლონეთის კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ. პილსუდსკი და მისი მომხრეები ამ მოწოდებაში შეშლილებად ივნენ მოხსენიებულნი. ამის საპირისპიროდ, ის ადამიანები, ვინც

მთავრობის განკარგულებებს ასრულებდნენ, „პოლონეთის არმიის შეურაცხოფილი ღირსების დამცველებად" იყვნენ წარმოჩენილნი. ცალკე მანიფესტი გამოსცა სამხედრო საქმეთა მინისტრმა მალჩევსკიმაც, რომელშიც აცხადებდა, რომ „არ იქნება შეწყალება სახელმწიფოს სიდიადის შემბღალველთათვის, არ იქნება დანდობა მათდამი, ვინც ხელები ძმათა სისხლში გაისვარა" (WS, 306). ამ განცხადებებიდან გამოსჭვივის სრული თავდაჯერებულობა სამთავრობო ძალების საბოლოო გამარჯვებაში. გასაკვირი აღარაა, რომ ასეთ ატმოსფეროში მოლაპარაკებებისათვის გაწეულ ძალისხმევას რაიმე შედეგის მოტანა არ შეეძლო. განცხადებების ომი მთელი შემდეგი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა პროპაგანდისტულ ხერხებს ბრძოლის მიმდინარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

პილსუდსკის მხრიდან გამოვლენილი მოლაპარაკებების სურვილი მეორე მხარის მიერ სისუსტედ იქნა აღქმული. ამიტომაც, 13 მაისის დილას, პოზნანიდან დამხმარე ძალის ჩამოსვლისთანავე, როზვადოვსკის ბრძანებით სამთავრობო ძალები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. გვიანი ნაშუადღევის საათებამდე ინიციატივა მათ ხელში იყო, თუმცა ამ უპირატესობას სუფთა ტაქტიკური ხასიათი ჰქონდა. უკვე გვიან საღამოს პილსუდსკი თითქმის დარწმუნდა, რომ ვარშავის ბრძოლის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ციტადელი უკვე მისი რაზმების ხელში იყო. 71-ე ქვეითთა პოლკის დახმარებამ, რომელზეც როზვადოვსკი დიდ იმედს ამყარებდა, თავის მიზანს ვერ მიაღწია. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, პოლკის ზოგიერთი ქვედანაყოფის დაუმორჩილებლობა იყო, ხოლო მეორე მხრივ, მარშლის ძალების მიერ გზის ეფექტური ბლოკირება. პილსუდსკიმ ისიც კარგად იცოდა, რომ სამთავრობო ძალების დასახმარებლად პოზნანიდან და კრაკოვიდან მომავალი ნაწილები დიდი წვალებით იკაფავდნენ გზას და ბევრად უფრო გვიან ჩამოაღწევდნენ ვარშავაში, ვიდრე ლეგიონის პოლკები ვილნოდან და ლუბლინის რეგიონიდან. საეჭვი იყო აგრევე მთავრობის დამხმარე ძალის ჩამოსვლა ლვოვიდან. ამ ნაწილებში გაურკვევლობას დაესადგურებინა, მათი მეთაური ვლადისლავ შიკორსკი კი ვერჩამოსვლის

მიზეზად უკრაინული სეპარატისტული ძალების გააქტიურების საშიშროებას ასახელებდა. ამ ვითარებაში, 14 მაისის ადრიანი დილით დაიწყო ბრძოლა, რომელსაც, დიდი ალბათობით, მთლიანად კონფლიქტის საბოლოო ბედი უნდა გადაეწყვიტა.

მარშლის ძალები ამ დროისათვის ბელვედერისა და მოკოტუვის აეროდრომის მიმართულებით მიიწევდნენ, ხოლო კავალერიის სპეციალურად გამოყოფილ ჯგუფს დავალება ჰქონდა მიცემული, რომ პოზნანიდან გადმოსროლილი მორიგი დამხმარე პოლკების სამთავრობო ძალებთან შეერთება არ დაეშვა. ნაშუადღევს ბელვედერი უკვე უშუალო საფრთხის ზონაში აღმოჩნდა და, შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პრეზიდენტისა და მთავრობის ვილანუვში ევაკუაციის შესახებ. ზუსტად იქ, მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა ვოიჩეხოვსკიმაც დატოვა თავისი პოსტი. ნიშანდობლივია, რომ ეს გადაწყვეტილება გენერლების პოზიციის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, რომლებიც ისევ მზად ივნენ ბრძოლის განსაგრძობად. მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო ჯარის დასახმარებლად პომორიიდან, პოზნანიდან და კრაკოვიდან მომავალი დამხმარე ძალები უკვე ახლოს იყვნენ და მათი ჩამოსვლა მხარეთა შორის მინიმუმ გარკვეულ წონასწორობას მაინც აღადგენდა, ბრძოლის შემდგომი ბედი მთავრობისთვის მაინც ბუნდოვანი რჩებოდა. როგორც ჩანს, პოლიტიკოსებს ეჭვი შეეპარათ, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემდგომ გაგრძელებას რაიმე აზრი ჰქონდა და თანაც, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების ნეგატიური საგარეო და საშინაო გამოძახილების შესაძლებლობასაც ითვალისწინებდნენ. უნდა ითქვას, რომ გენერლებს მყარი პოზიცია არ აღმოაჩნდათ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. მათ ვერ შეძლეს მტკიცე არგუმენტების წარმოდგენა ბრძოლის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხში და ვერც მათ მიერ წინასწარ შეპირებული გამარჯვების თაობაზე თქვეს რაიმე კონკრეტული (აქ ისიც უნდა დავამატოთ, რომ მათ პრაქტიკულად ნორმალური კავშირი არც ჰქონდათ დასახმარებლად მომავალ ნაწილებთან).

ყველაფრის მიუხედავად, პილსუდსკის საბოლოო გამარჯვების დამაგვირგვინებელი პასაჟი მაინც პრეზიდენტის მიერ კაპიტულაციის გამოცხადება უნდა ყოფილიყო. პრობლემა ის იყო, რომ აჯანებულთა შტაბში ამ ეტაპზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ სად იმყოფებოდნენ ვოიჩეხოვსკი, ვიტოსი და გენერლები. მათი ადგილსამყოფელი მხოლოდ გვიან საღამოს დადგინდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ვოიჩეხოვსკის დესპანები რატაისთან გამოჩნდნენ და მალევე პილსუდსკის ოფიციალურად გადაეცა ინფორმაცია პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შესახებ. რატაიმ პოდპოლკოვნიკ ბეკთან ერთად ვილანუვში ოფიციალურად ჩაიბარა შესაბამისი წერილები.

სეიმის თავმჯდომარის – რატაის მიერ კონსტიტუციის მე-40 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მეთაურის ვალდებულებების საკუთარ თავზე აღება სამხედრო გადატრიალების ლეგალიზაციისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ამ მოვლენამ წერტილი დაუსვა მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, რომ პილსუდსკი საკუთარი თავის დიქტატორად გამოცხადებას აპირებდა (უნდა ითქვას, რომ ამ ქმედებას მისი ზოგიერთი თანამებრძოლიც ელოდა). რატაის წინადადებით ბრძოლები შეჩერდა, თუმცა საწყის ეტაპზე ამ შეჩერებას მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის სტატუსი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ პილსუდსკის კონფლიქტის ესკალაცია არ სურდა და ამიტომაც ჯარში სიტუაციის დალაგების ამოცანა სპეციალურ „სალიკვიდაციო კომისიას“ დაევალა, რომელსაც გენერალი ჟელიგოვსკი ხელმძღვანელობდა. პოლიტიკური თვალსაზრისით გადატრიალების ლეგალიზების მომდევნო ნაბიჯები იყო რატაის მიერ ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელსაც პროფესორი კაზიმეჟ ბარტელი[95] ჩაუდგა სათავეში, შემდეგ კი სეიმის მიერ პილსუდ-

[95] კაზიმეჟ ბარტელი (1882-1941) – პოლონელი მათემატიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ლვოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, სეიმის დეპუტატი, იკავებდა სხვადასხვა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობას, იყო პოლონეთის რესპუბლიკის ხუთგზის პრემიერ-მინისტრი (1926-1930), მას შემდეგ, რაც 1941 წელს გერმანელებმა ლვოვი დაიკავეს, დაპატიმრებულ და დახვრეტილ იქნა გესტაპოელთა მიერ.

სკისთვის საპრეზიდენტო უფლებამოსილებების მინიჭება. მარშალმა მინიჭებულ თანამდებობაზე უარი თქვა (მისი რეკომენდაციით ეს პოსტი გამოჩენილმა ქიმიკოსმა – იგნაცი მოშჩიცკიმ[96] დაიკავა) და ახლადშექმნილ ბარტელის მთავრობაში მხოლოდ და მხოლოდ მინისტრის პოსტს დასჯერდა, თუმცაღა, ფაქტობრივად, იგი ძალაუფლების ერთადერთ რეალურ მპყრობელს წარმოადგენდა. თავისი რეალური მოტივებისა და ზრახვების მუხედავად, პილსუდსკიმ ძალაუფლება არასაპარლამენტო გზით მოიპოვა და ეს ფაქტი შემდგომში ყოველთვის ახდენდა გავლენას მის მიერ მოგვიანებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედების შეფასებაზე.

მაისის გადატრიალების აღწერისას არ შეიძლება არ შევეხოთ მის მსხვერპლთა რაოდენობას. ძმათამკვლელ ომში 25 ოფიცერი და 173 ჯარისკაცი დაიღუპა (მთლიანობაში, სამოქალაქო პირების ჩათვლით, დაახლოებით 350 ადამიანი დაიღუპა, 900 ადამიანამდე კი დაიჭრა – მათ შორის, 606 სამხედრო პირი). მაისის დრამის ერთგვარ შეჯამებად იქცა პილსუდსკის სპეციალური მიმართვა არმიისადმი, რომელიც 17 მაისს საჯაროდ იქნა წაკითხული სამგლოვიარო ღვთისმსახურების შემდეგ. ამ დოკუმენტის წამყვან იდეას წარმოადგენდა მოწოდება ურთიერთქიშპის შეწყვეტის შესახებ. „თქვენ პირველად არ ისმენთ ჩემს ხმას, – ამბობდა მარშალი, – ოდესღაც, როდესაც ახლად აღორძინებული სახელმწიფო ჯერ კიდევ ავადმყოფი ჩვილის მდგომარეობაში იყო, მე თქვენ ბრძოლის ველზე მიგიძღოდით. ჩემი მეთაურობით თქვენ არაერთი გამარჯვება მოგიპოვებიათ. ამ გამარჯვებების ბრწყინვალებამ საუკუნოდ დაამშვენა თქვენი გმირული ბაირაღები. დღეს სულ სხვაგვარი ბრძოლის შემდეგ მოგმართავთ. როდესაც ძმებს ერთმანეთი უყვართ, მათ შორის ისეთი ძაფები იბმება, რომლებიც ნებისმიერ ადამიანურ ურთიერთკავშირზე ძლიერია; როდესაც ძმები ერთურთს იძულებენ და ეს ძაფები წყდება, მათი სიძულვილიც

[96] იგნაცი მოშჩიცკი (1867-1946) – გამოჩენილი პოლონელი ქიმიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, 1926-1939 წლებში იკავებდა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს.

ასევე უფრო ძლიერია სხვა ყველანაირ სიძულვილზე". ცხოვრების ამ კანონს დაემორჩილნენ ისინიც, ვინც პილსუდსკის მხარეს დადგნენ და ისინიც ვინც საწინააღმდეგო მხარეს აღმოჩნდნენ. „ჩვენ მიერ ორივე მხარეს დაღვრილი სისხლი ერთსა და იმავე მიწაში ჩაიჟურა, მიწაში, რომელიც ყველა ჩვენგანს ერთნაირად გულმხურვალედ უყვარს, – ხაზგასმული მწუხარებით აცხადებდა პილსუდსკი, – დაე, ამ ცხელმა სისხლმა, ყველაზე ძვირფასმა სისხლმა, რომელიც პოლონელ ჯარისკაცს ეკუთვნის, ჩვენს მიწაზე ძმობის ახალი ნათესი გააღვივოს, დაე ,მან იღაღადოს ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენთვის, ძმებისთვის საერთოა", – ასკვნიდა მარშალი (JP IX, 10-11). პილსუდსკი ახალი დღის წესრიგის ჩამოყალიბებას შეუდგა, რომლის მეშვეობითაც მაისის მოვლენების შედეგად გახლეჩილი არმიისა და საზოგადოების გამთლიანება უნდა მომხდარიყო. ერთი მხრივ, მას დიდსულოვნება ამოძრავებდა, ხოლო მეორე მხრივ – სუფთა პოლიტიკური მიზანშეწონილობა. მას ხელახლა უნდა შეედუღაბებინა შუაზე გახლეჩილი არმია – უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. საჭირო იყო შიდა კონსენსუსი, რათა სახელმწიფოსა და არმიის მართვა ეფექტურად ყოფილიყო შესაძლებელი. მარშლისთვის უმთავრესი პოლონეთის ინტერესები იყო და ეს გადატრიალებაც ხომ პოლონეთის ინტერესებიდან გამომდინარე მოაწყო, ისე, როგორც მას ეს ინტერესები ესმოდა.

VI. ᲐᲠᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ

1926 წლის მაისიდან პილსუდსკი ერთპიროვნულად მართავდა პოლონეთს. მართალია, მისთვის შეთავაზებულ საპრეზიდენტო სავარძელზე უარი თქვა, მაგრამ მის ძალაუფლებას პრაქტიკულად დიქტატურის ხასიათი ჰქონდა. იგი არ მალავდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის ზრუნავდა და ამ ზრუნვაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არმია იყო. მარშალი სამჯერ ჩაუდგა მთავრობას სათავეში, მათ შორის უკანასკნელად – 1930 წელს. მის მიერ შექმნილი ავტორიტარული სისტემა „სანაციის“ სახელით არის ცნობილი.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ დიქტატურის ფაქტობრივი, თუმცა არავერბალიზებული მოდელი ტოტალიტარულ დიქტატურას არ წარმოადგენდა, როგორც ეს უფრო ადრე ჩამოყალიბდა საბჭოთა რუსეთში, ხოლო 1933 წლიდან კი უკვე – გერმანიაში. პოლონეთში დაცული იყო ადამიანის უფლებები, შენარჩუნებულ იქნა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პლურალიზმი, ხოლო ლოკალური და ჯგუფთაშორისი კავშირები არ დარღვეულა. ავტორიტარულად მართულ II რეჩპოსპოლიტაში არსებობდა ოპოზიციური მოძრაობები და პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც საკუთარი პრესა გააჩნდათ. არსებობდა აგრევე აფილირებული ორგანიზაციების მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი გამა, თვით მოხალისეთა პარტიული რაზმების ჩათვლით. რეალურად, მმართველი ბანაკი მხოლოდ შედარებით ვიწრო, პოლიტიკური სფეროს კონტროლით კმაყოფილდებოდა და საკმაოდ დიდ, თავისუფალ სივრცეს ტოვებდა საზოგადოებრივი ინიციატივებისთვის. ეს ინიციატივები ჩარევისგან თუ არა, მინიმუმ მკაცრი სახელმწიფო კონტროლისგან მაინც იყო თავისუფალი.

მაისის მოვლენების შემდეგ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემაში პილსუდსკი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. თუმცაღა ეს რაიმე თეორიული მოდელების პროექცია არ ყოფილა, აღნიშნული სისტემა პირდაპირ პოლიტიკური პრაქტიკიდან გამომდინარეობდა. მარშალი თავის კომპეტენციაში იტოვებდა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის პრეროგატივას და, ამავდროულად, თვითონ განსაზღვრავდა, თუ რა იყო ეს უმნიშვნელოვანესი საკითხები. იგი ასევე განსაზღვრავდა, თუ რა მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და რომელი საკითხები მოიცდიდა. იგი თეორიული სისტემებისა და დოქტრინების დაუძინებელი მტერი იყო, რასაც გამოკვეთილად და დროთა განმავლობაში სულ უფრო ხშირად აფიქსირებდა. პილსუდსკის აზრით, დოქტრინისათვის მოქმედების დაქვემდებარება „აზრის სიკვდილს“ და რეალობასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ ნიშნავდა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სფეროში გადადგმული ნაბიჯების სრულ იმპროვიზებულობასა და უკონტროლობას.

1926-1935 წლებში მარშალი პოლონეთის თავდაცვისა და გარე უსაფრთხოების პრობლემატიკაზე კონცენტრირდებოდა, თუმცა მაისისშემდგომი მთავრობის პერიოდში ანუ ეგრეთ წოდებულ „ბრესტის არჩევნებამდე“ მიმდინარე პოლიტიკურ თამაშშიც ასევე აქტიურად იყო ჩართული. ნიშანდობლივია, რომ იგი არ ერეოდა ეკონომიკურ საკითხებში (გარდა იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც ეხებოდა ზლოტის სტაბილური კურსის შენარჩუნებას, საბიუჯეტო წონასწორობაზე ზრუნვას და არმიისა და განათლების საჭიროებებზე ეკონომიის დაუშვებლობას), თუმცა ამ მიდგომაში დადებითი უფრო მეტი იყო, ვიდრე უარყოფითი. სამაგიეროდ, იაგელონებისდროინდელი პოლონეთის ხედვა სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა პილსუდსკის წარმოსახვაში და ის გასცდა მხოლოდ იმ პერიოდის საზღვრების აღდგენის თემას. მარშალი ამ ხედვის გამოყენებას ქვეყნის შიდა საკითხებშიც აპირებდა. ეს, პირველ რიგში, ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულებას ეხებოდა. მე-2 რეჩპოს-

პოლიტას პატივი უნდა ეცა ყველა მოქალაქის უფლებებისათვის, მიუხედავად მათი ეროვნებისა, თუმცა იმ პირობით, რომ უმაღლეს ღირებულებად სახელმწიფო ინტერესები იქნებოდა მიჩნეული. ამ მიდგომიდან გამოდინარეობდა პილსუდსკისა და მისი გარემოცვის კარგი დამოკიდებულება ებრაული უმცირესობისადმი, რომელთანაც მარშალსა და მის ახლო წრეს საკმაოდ მჭიდრო, პირადი ურთიერთობებიც აკავშირებდა. ამავე მიდგომის შედეგი იყო უკრაინელებთან ერთობლივი შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების აგების მცდელობები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ გამორიცხავდა მკაცრი ზომების მიღებას, ხანდახან კი რეპრესიებსაც უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ტერორს მიმართავდნენ. ზოგ შემთხვევაში მათ დასაშოშმინებლად საჯარისო ნაწილების გამოყენებაც ხდებოდა ხოლმე საჭირო. უკრაინელების მსგავსად, მკვეთრად ნაციონალისტური განწყობები ჰქონდათ ზემო სილეზიაში მცხოვრებ გერმანელებსაც და, აქედან გამომდინარე, რეგიონის ვოევოდა მიხალ გრაჟინსკი საკმაოდ ხისტ პოლიტიკას ატარებდა მათ მიმართ. ზოგადად, პილსუდსკის ხედვებში პოლონეთი არასოდეს იყო წარმოდგენილი ეთნიკურად ერთგვაროვან სახელმწიფოდ, სადაც ყველა სფეროში პოლონური უმრავლესობა იქნებოდა დომინანტი ჯგუფის როლში. ამავდროულად, პოლონური სკოლა პატრიოტიზმს აღვივებდა თავის აღსაზრდელებში, ხოლო არმიაში ამ აღზრდას ემატებოდა მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც პოლონეთის ყველა მოქალაქე უნდა მოეცვა, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა.

მარშალი, რომელიც მაისის მოვლენებამდე „სეიმოკრატიას" ძალზე მკაცრად აკრიტიკებდა, ახლა ცდილობდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება რეალურად გაეძლიერებინა. ამ მიმართულებით გადადგმული სეროზული ნაბიჯი იყო ეგრეთ წოდებული აგვისტოს შესწორება (2.VIII.1926), რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს ეძლეოდა დეკრეტების გამოცემისა და აგრეთვე ორივე საპარლამენტო პალატის დათხოვნის უფლება. დროთა განმავლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების

უპირატესობა საკანონმდებლოსთან მიმართებაში სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა, თუმცა ეს იმდენად პარლამენტის მიერ მოწონებული კანონების შედეგი არ იყო, რამდენადაც პილსუდსკის გამიზნული პოლიტიკისა. მარშალი მუდმივად ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ 1921 წლიდან არსებული სისტემური რეალიები ვერანაირად ვერ პასუხობდა თანამედროვეობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. ეს კონტექსტი განსაზღვრავდა მის მიერ გატარებული პოლიტიკის კურსს და გარდაუვალი და პერმანენტულ კონფლიქტის საფუძველი ხდებოდა მასსა და სეიმს შორის. მიუხედავად ყველაფრისა, ბევრისათვის გასაკვირად, მარშალმა პარლამენტს იმ ფორმით არსებობის უფლება მისცა, როგორითაც იგი აქამდე არსებობდა. გამორიცხული არ არის, რომ კომპრომეტირებული საპარლამენტო სისტემის უცვლელი ფორმით დატოვება მისთვის ერთგვარად ხელსაყრელიც კი იყო, რადგანაც ამ გზით თავის გადაწყვეტილებებს უფრო ადვილად გაიტანდა. საფიქრებელია, რომ პილსუდსკის მოწოდება თანამოაზრეთა მიმართ – პოლიტიკური მიზნების მიღწევის „ეტაპობრიობის" შესახებ, ერთგვარი კომპრომისის ძიების ხერხი იყო. ამ თავდაჭერილობას, ერთი მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის უნდა მიეცა გამართული ფუნქციონირების საშუალება, ხოლო მეორე მხრივ, საკანონმდებლო შტოსათვის უნდა მიეცა დრო საკუთარი უფლებამოსილებების გაცნობიერებული თვითშეზღუდვისათვის...

ოპოზიცია – როგორც მემარცხენე, აგრეთვე, პირველ რიგში, მემარჯვენე, სულაც არ აპირებდა მარშლის საავტორო ხედვის გაზიარებას ქვეყნის გაძლიერების შესახებ. თუმცა კონფლიქტის ნამდვილ არსს ხშირ შემთხვევაში პერიოდული, ტაქტიკური დაპირისპირებები გადაფარავდა ხოლმე. იშვიათ ხილს არ წარმოადგენდა კონსტიტუციური პრეცედენტები, რომელთა კონსტრუირების ოსტატიც მარშლის იურისტი – სტანისლავ ცარი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ პილსუდსკისთვის საპარლამენტო ფორუმზე გამართული შერკინებები სხვა არაფერი იყო, თუ არა ბრძოლა პარტიებთან, მათ პარტიკულარიზმთან, სახელმწიფო ინტერესების უპატივცემულობასა

და პოლიტიკურ სცენაზე გადატანილ სოციალურ პათოლოგიებთან. საზოგადოებრივი აზრისთვის კი ეს იყო ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად, რომელიც სულ უფრო და უფრო სასტიკი მეთოდებით მიმდინარეობდა. ეს მოსაზრება ასევე საკმაოდ ფესვგადგმულია ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით კი, პუბლიცისტიკაში. თუკი მარშლის ნაბიჯებს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მისთვის ძალაუფლება მხოლოდ ინსტრუმენტი იყო და არა თვითმიზანი. რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ უხსნის მას პასუხისმგებლობას იმ ყველაფერზე, რაც მაისის მოვლენების შემდეგ პოლონეთში მოხდა.

ის დრო, როდესაც პილსუდსკი თვითონ იდგა ხოლმე კაბინეტის სათავეში, ძირითადად დეპუტატთა პალატასთან პროცედურული საკითხების გარშემო კამათსა და პოლიტიკური გუნდის ფორმირებაში გადიოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ პროცესებში მარშლის უშუალო წარმომადგენლები და მოქმედი პირნი ვალერი სლავეკი და კამათებში კაზიმეუ შვიტალსკი იყვნენ. 1928 წლის გაზაფხულზე შექმნილი „მარშალ პილსუდსკის მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკი" (BBWR) ძალზე წარუმატებელი ქმნილება აღმოჩნდა. უფრო მეტიც, იგი შესანიშნავად ჯდებოდა იმ სისტემაში, რომელსაც მარშალი მაისის მოვლენებამდე ასე მკაცრად აკრიტიკებდა. შემდეგ არჩევნებზე სახელისუფლო ბლოკმა თავისი წარმომადგენლობა გაზარდა. მათ ამას რეალური მხარდაჭერითაც მიაღწიეს და ისეთი პროცედურების მეშვეობითაც, როგორიცაა ხმებისა და საარჩევნო ბარათების გაბათილება. თუმცა ეს წარმომადგენლობა იმხელა მაინც არ იყო, რომ ძირითადი კანონის სამართლებრივი გზით შეცვლისათვის ყოფილიყო საკმარისი. პილსუდსკი ერთპარტიული სისტემის შექმნას არ ცდილობდა. პარლამენტთან მისი მწვავე დაპირისპირებები ურთიერთობების ერთგვარი დათბობის პერიოდებით იცვლებოდა ხოლმე (ამ პერიოდებს დეპუტატები ხუმრობით „ბარტლოვანიე"-საც უწოდებდნენ ხოლმე, რაც რამდენიმეგზისი პრემიერის, გამოჩენილი მათემატიკოსის, კაზიმეუ ბარტელის გვართან იყო დაკავშირებული).

სეიმის ოპოზიციასთან ფინალური შერკინების დრო 1930 წლის ზაფხულში დადგა. ეს ის პერიოდია, როდესაც მარშლის მთავრობას ცენტრისტული და მემარცხენე პარტიების ალიანსი უპირისპირდება. ამ დრამატული მოვლენების პროლოგად იქცა სახელმწიფო ტრიბუნალის სხდომები, რომლებზეც განიხილებოდა ფინანსთა მინისტრის – გაბრიელ ჩეხოვიჩის საქმე. მინისტრს ბრალად ედებოდა პრემიერის ფონდიდან თანხების გადაცემა BBWR-ის („მარშალ პილსუდსკის მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკი") საარჩევნო კამპანიისათვის. ტრიბუნალის ინციდენტი ძალზე გამაღიზიანებელი აღმოჩნდა პილსუდსკისათვის. ამ მოვლენას მან თავისი საგაზეთო გამოსვლა მიუძღვნა სათაურით – *„თვალის ფსკერი ანუ ავადმყოფი ადამიანის შთაბეჭდილებები სეიმის საბიუჯეტო სესიაზე"*. ამ სტატიიდან მოწინააღმდეგისადმი ზიზღი გამოსჭვივის, მისი არგუმენტები აბუჩადაა აგდებული, გარკვეულწილად სამართლიანი აღშფოთება ბანალური შეურაცხყოფის დონემდეა დაყვანილი. სტატიაში ფიგურირებს სალანძღავი სიტყვები („ბინძური მაიმუნები"), პილსუდსკი ავლენს ზღვარდაუდებელ სიცხარეს და აგრეთვე სახეზეა დისტანციის აბსოლუტური უქონლობა გასაანალიზებელ საკითხთან მიმართებაში. მთელი ეს გაცხარება მოჩვენებითი არაა, შეურაცხმყოფელი მიმართვები კი დაგროვილი, ნეგატიური ემოციების განსხეულებას წარმოადგენს. დაკარგულია ცივი, პრაგმატული გათვლის უნარი. რჩება მხოლოდ უკიდურესი სიტყვიერი აგრესია, რომელიც ურთულესი სულიერი მდგომარეობის განმუხტვის გზას წარმოადგენს. მარშალი აშკარად იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ, მისი აზრით, მის მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯები გაგების ნაცვლად მზარდ წინააღმდეგობას აწყდება.

პარლამენტთან პილსუდსკის მიერ წარმოებულ ბრძოლას უტილიტარული ტაქტიკის ხასიათი ჰქონდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მისი ძირითადი მიზანი არ იყო, ისევე, როგორც კონსტიტუციის გადახედვის ჩანაფიქრი არ იყო უბრალოდ იარაღი, რომლის გამოყენებასაც იგი მიმდინარე პოლიტიკურ

ბრძოლაში აპირებდა. სისტემის შეცვლა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უკეთ ფუნქციონირებას გახდიდა შესაძლებელს, მარშლისა და მისი მომხრეების რაიმე პარტიკულარული ინტერესების დაკმაყოფილებას არ ემსახურებოდა. პილსუდსკი გულწრფელად ფიქრობდა, რომ მისი მომხრეების ბანაკი ბევრად უფრო გამოდგებოდა ქვეყნის სადავეების სამართავად, ვიდრე ოპოზიცია, რომელიც რეალობას მხოლოდ პარტიული მიზნების პრიზმაში უყურებდა. თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ახალი კონსტიტუციის ძალით პილსუდსკის მომხრეებს ნდობის უპირობო კრედიტი მიეცემოდათ; უბრალოდ, ახალ ძირითად კანონს უფრო კარგად და ეფექტურად უნდა დაეცვა სახელმწიფოს ინტერესები – განსაკუთრებით, მარშლის სიკვდილის შემდეგ. როგორც თავის დღიურში შვიტალსკი აღნიშნავდა, „პილსუდსკის სურდა, რომ კონსტიტუციის საკითხი მოგვარებული ჰქონოდა, რათა „სეიმოკრატიაში" დასაბრუნებელი კარი პოლონეთში ერთხელ და სამუდამოდ დაკეტილიყო" (KŚ, 478). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო კამათი სახელმწიფო მოწყობის მოდელის შესახებ, რომელშიც მარშალი არსებით არგუმენტებსაც იყენებდა (რასაც მისი ოპონენტები თითქოს ვერ ამჩნევდნენ ან შემჩნევა არ სურდათ); თუმცა რეზერვში, გადამწყვეტი სიტყვის სათქმელად, ფიზიკური ძალა ჰქონდა შემონახული. საბოლოოდ ყველაფერი მაინც ისევ ძალამ გადაწყვიტა.

ძალის გამოყენება იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც, პილსუდსკის აზრით, მემარცხენე-ცენტრისტული ბლოკის საქმიანობას სდევდა თან, მოულოდნელი არ ყოფილა. 1930 წლის 29 აგვისტოს პარლამენტი დათხოვნილ იქნა და რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. არჩევნების წინ ბრესტის სამხედრო საპატიმროში მოხვდნენ ისეთი პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ სახალხო მიმართულების წარმომადგენელი ვინცენტი ვიტოსი, ქრისტიან-დემოკრატი კაროლ პოპელი, სოციალიტი ნორბერტ ბარლიცკი და სილეზიის ქრისტიან-დემოკრატთა ხელმძღვანელი ვოიჩეხ კორფანტი. მათ სამარცხვინოდ მოექცნენ, თუმცა ყველაზე ცუდი ის კი არ იყო, რომ კანონი დაირღვა, არამედ

ის, რომ პოლონელ მოქალაქეს ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სამართლებრივი წესრიგის რწმენა შეერყა და თანაც ძალზე სერიოზულად. ამ სიტუაციაში, პილსუდსკის მიერ დეკლარირებული და მისთვის ასე ძვირფასი – სახელმწიფოს მსახურების იდეა – ბოროტ კარიკატურად გამოჩნდა. მარშლის მმართველობის მთელი პერიოდს არაფერი ამჩნევია ისეთ მუქ ლაქად, როგორც „ბრესტის საქმე“.

პილსუდსკი აცნობიერებდა ამ დილემას. უახლოესი თანამოაზრეების ერთ-ერთი შეკრების დროს მან აღნიშნა, რომ პოლონეთის პირობებში გარდაუვლად ისახებოდა მხოლოდ ორი გზა: „ან ძალით მოქმედება, ანდა კანონით“. თვითონ იგი, უმრავლეს შემთხვევაში, მეორე ვარიანტის გამოყენებას ცდილობდა, რადგანაც თვლიდა, რომ „ძალით აღზრდა შეუძლებელია, ძალა მხოლოდ ანგრევს“. ეს აზრი მან ერთი წლის შემდეგ უფრო განავითარა არტურ შლივინსკისთან საუბრის დროს, რომელიც მისი ერთ-ერთი ახლო თანამოაზრე იყო პირველი მსოფლიო ომის წლებში. პილსუდსკი ამბობდა: „პოლონელებს შინაგანი თავისუფლების ინსტინქტი გააჩნიათ და ამიტომაც პოლონეთის ტერორით მართვა შეუძლებელია“. მიუხედავად იმისა, რომ პოლონურ საზოგადოებასთან მიმართებაში მარშალი თავის თავს ხშირად „ბევრის უფლებას აძლევდა“, იგი ყოველთვის აცნობიერებდა, რომ „თავისუფლების ინსტინქტის ჩაკვლა შეუძლებელია და იგი არც არასოდეს ჩაგაკვლევინებს თავს“ (K III, 231).

თუკი პილსუდსკის მთავრობის სათავეში ყოფნის პერიოდებს მხოლოდ პოლიტიკურ პრობლემებზე მუშაობის კუთხით აღვწერთ, ეს მისი იმდროინდელი მოღვაწეობისა და ინტერესების წარმოდგენილ სპექტრს მნიშვნელოვნად გააღარიბებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დამატებით, მინიმუმ ორ საკითხზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. ორივე მათგანი კულტურას ეხება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, პირველი – სულიერს, მეორე კი – ფიზიკურს.

პილსუდსკი ყმაწვილობიდან პოლონური რომანტიკული პოეზიის დიდი ტრფიალი იყო და მე-19 საუკუნის მგოსნები-

დან გამორჩეულად აფასებდა იულიუშ სლოვაცკის. ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზუსტად მისი ინიციატივით მოხდა დიდი პოლონელი პოეტის ნეშტის გადასვენება კრაკოვში, ვაველის[97] ციხესიმაგრეში, რომელიც ოდითგან პოლონელ მეფეთა განსასვენებელს წარმოადგენდა. ეს საზეიმო ღონისძიება 1927 წლის 28 ივნისს შედგა. სიტყვა, რომელიც მარშალმა ამ მოვლენის აღსანიშნავად წარმოთქვა, მისი ორატორული ნიჭისა და გონებრივი ძალის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინება იყო, როგორც სიღრმით, აგრეთვე ფორმით. ამ გამოსვლაში ერთმანეთს გადაეჯაჭვა წარსული და მომავალი, ადამიანის გონებრივი და სულიერი ნაღვაწის უძლეველობის რწმენა, რწმენა იმისა, რომ ადამიანის ქმნილებებს ძალუძს მისი ხორციელი წარმავალობის დამარცხება. პილსუდსკი ამბობდა: „არიან ადამიანები, ვისი დანატოვარიც იმდენად დიადი და უძლეველია, რომ მათი სიკვდილის შემდეგაც კი ეს ადამიანები ჩვენთან რჩებიან. ისინი თავიანთი ქმნილებების ფორმით განაგრძობენ ჩვენს შორის არსებობას და ამით სიკვდილს ამარცხებენ". დიდი პოეტი, რომელიც სულ ცოტა ხანში მეფეთა თანაფარდი უნდა გამხდარიყო, პილსუდსკის სიტყვით: „იღვწოდა, წერდა, აზროვნებდა, თუმც დამონებულ მის მამულში მუქი ფერები გამეფებულიყო, რაც მის სიამაყეს ლახვრად ეცემოდა... და არასოდეს მგოსნის ბაგეს სასოწარკვეთის ყვირილი არ აღმოხდენია, რადგან სული მისი იყო უძლეველი" (JP IX, 72, 75). პილსუდსკის აზრით, სლოვაცკი ვაველში შედიოდა, როგორც „მეფური სული". ფიქრობდა თუ არა მარშალი ამ მომენტში საკუთარ თავზე? იმაზე, რომ ისიც ოდესმე მეფეთა შორის განისვენებდა? საეჭვოა, რომ

[97] ვაველი – სამეფო რეზიდენცია და ციხესიმაგრე ქალაქ კრაკოვში, მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე. აიგო მე-11 საუკუნეში, მომდევნო საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ გადაკეთდა და დაემატა სხვადასხვა მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი. ვაველის საკათედრო ტაძარში განლაგებულია პოლონელ გვირგვინოსანთა, დიდ პოლონელ პოეტთა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა განსასვენებელი. დღეისათვის ვაველი წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს სამუზეუმო კომპლექსს.

სლოვაკეთის დაკრძალვის დღეს ასეთი ფიქრებს მარშლის გონებაში ეტრიალა. შეიძლება მოგვიანებით, როცა სიცოცხლის დაისი მას ისე შორი აღარ ეჩვენებოდა, იქნებ ფიქრობდა კიდეც საკუთარ საბოლოო განსასვენებელზე. თუმცა დავუბრუნდეთ ისევ სლოვაკეთის. დიდი მგოსნისადმი მიგებული პატივი მისი ახალი ცხოვრებისეული გზის დასაწყისს ნიშნავდა. სლოვაკეთის ფიგურას ახლა სხვა ტიპის აქტიურობა ეკისრებოდა, რომელიც გააქარწყლებდა ოდინდელ შეხედულებას სიცოცხლის ტრადიციული ფინალის შესახებ.

ყოველდღიურობისადმი მარშლის ძალზე აქტიურ დამოკიდებულებაზე მკაფიოდ მეტყველებს მისი მიდგომა ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხისადმი. ამ სფეროში პილსუდსკი როგორც პრაქტიკული, აგრეთვე ინსტიტუციური გადაწყვეტების ინიციატორი იყო. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ „ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზადების სახელმწიფო სამსახურის" ჩამოყალიბება, რომელიც იმ დროის პირობაზე საკმაოდ მნიშვნელოვან ბიუჯეტს – 10 მილიონ ზლოტს განკარგავდა. პილსუდსკის წყალობითვე გაჩნდა ვარშავის უბან ბელანიში მდებარე „ფიზიკური აღზრდის ცენტრალური ინსტიტუტი". თუმცა მარშალი მხოლოდ უშუალოდ ფიზიკურ კულტურასთან დაკავშირებულ ინიციატივებს არ უჭერდა მხარს. მან პრემიერობისას არცთუ ისე მცირე, 1000-ზლოტიანი პრიზი დააწესა იმ მოჭადრაკისათვის, რომელიც 1927 წელს, ლოძში ჩატარებულ პოლონეთის მე-2 ჩემპიონატზე ყველაზე ლამაზ პარტიას ითამაშებდა. როდესაც ტურნირის ორგანიზატორებმა თანხის სიდიდიდან გამომდინარე მისი რამდენიმე პრიზად გადანაწილება შესთავაზეს, პილსუდსკიმ მისთვის დამახასიათებელი მანერით, მოჭრილად უპასუხა, რომ „ტურნირის საუკეთესო პარტიის გამთამაშებელს 2000-ზლოტიანი პრიზით დააჯილდოებდა" (WS, 332). ეს კი იმ დროისათვის მართლაც უზარმაზარი თანხა იყო და პრემიერის ყოველთვიურ გასამრჯელოს აჭარბებდა...

მარშლის განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მაინც უცვლელად არმია რჩებოდა. იგი გადატრიალების ლეგალიზების-

თანავე შეეცადა, რომ დაუყოვნებლივ გადაეჭრა არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ორგანიზების საკითხი, რომელიც ამდენი პოლიტიკური შეხლა-შემოხლის მიზეზი იყო. ახალი პრემიერის წერილობითი შემოთავაზების შემდეგ, რომელიც პილსუდსკის სთხოვდა, რომ სამხედრო მინისტრის პოსტზე დარჩენილიყო, მარშალმა თანხმობა გამოხატა, თუმცა ამ თანხმობის სანაცვლოდ პრემიერს რამდენიმე არსებითი შენიშვნა უნდა გაეთვალისწინებინა. პირველ რიგში, უზრუნველყოფილ უნდა ყოფილიყო „არმიის ერთპიროვნული, ინდივიდუალური მეთაურობა". ამ პირობიდან გამომდინარეობდა სხვა შეზღუდვები, რომლებსაც შეუძლებელი უნდა გაეხადა სამხედრო მინისტრზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა – როგორც პრეზიდენტის, აგრეთვე სეიმისა და თვითონ პრემიერის მხრიდან. არმიის სტრუქტურაში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა უმაღლეს ოფიცერს, რომელსაც მთავარსარდლის ფუნქცია დაეკისრებოდა. პილსუდსკი ხაზს უსვამდა, რომ იგი სახელმწიფოს თავდაცვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში „მთავარსარდლის შეხედულებას წარმოადგენდა და არა მინისტრისას". ამ გზით იგი „მთავარსარდლის საქმიანობასა და მოთხოვნებს კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ჩარჩოებში მოაქცევდა" (JP IX, 38-39). პრაქტიკაში ეს ნიშნავდა იმ მექანიზმების აღდგენას, რომლებიც 1921 წელს, მის მიერ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის ორგანიზების შესახებ გამოცემულ დეკრეტში იქნა ჩამოყალიბებული. ამას მარშალი ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებდა.

შესაბამისი დეკრეტი ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა უკვე 6 აგვისტოს გამოსცა. ეს იყო პირველი დეკრეტი აგვისტოს საკონსტიტუციო შესწორების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი „მშვიდობიანობის პერიოდში ჯარზე ხელმძღვანელობის განხორციელებას და სამხედრო ძალების გენერალური ინსპექტორის თანამდებობის შემოღებას" შეეხებოდა, პრაქტიკაში ის მაინც თეორიული ხასიათის გადაწყვეტილებად დარჩა. რეალობაში ორივე ამ ფუნქციას გარდაცვალებამდე მარშალი ინარჩუნებდა. სამინისტროსა და გენერალურ

ინსპექციას შორის დეკრეტით გათვალისწინებული კომპეტენციების დაყოფა პილსუდსკის მიერ თავის ხელქვეითებს შორის ამოცანების გადანაწილებას ნიშნავდა. პრინციპში, ეს გასაკვირი არცაა, რადგანაც მარშლის მიერ კონსტრუირებულ მმართველობით სისტემაში არმიაზე უშუალო გავლენის ქონა ის ელემენტი იყო, რომელიც ყველაზე მეტად უსვამდა ხაზს მის რეალურ და არა ფორმალურ მდგომარეობას.

მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის ვალდებულება თვით პრემიერობის დროსაც კი პილსუდსკის თავისი უახლოესი თანამოაზრეებისთვის ჰქონდა გადაბარებული. თვითონ საკუთარი დროის ლომის წილს ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე მუშაობას უთმობდა. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ორგანიზაციული ჩამორჩენებისა და ბიუროკრატიული ქსელის სალიკვიდაციო მოქმედებების ტემპი შედარებით მოკლე ხანში შესაძლებელს გახდიდა მარშლის გარშემო გადაწყვეტილებათა მიმღები მძლავრი რგოლის კრისტალიზებას, რომელსაც რეანიმირებული „მცირე სამხედრო საბჭოს“ ფორმა ექნებოდა. პილსუდსკის მიერ ჩამოყალიბებული გუნდი უნდა დაყრდნობოდა არმიის ინსპექტორებს, არმიის გენერალურ ინსპექციაში მივლინებულ გენერლებს, სამხედრო მინისტრის (ანუ ისევ და ისევ პილსუდსკის) მოადგილეებს და გენერალური შტაბის უფროსს. ამასთან, პილსუდსკი ინსპექციების რიცხვის ზრდასაც გეგმავდა, „რათა ახალგაზრდა გენერლებიც მოეზიდა და ისინი უმაღლესი მეთაურობისათვის მოემზადებინა“. მას ასევე განზრახული ჰქონდა ინსპექციებისათვის „უფრო მეტი უმაღლესი განათლების მქონე ოფიცრის მიმაგრება“. თუკი იმასაც დავამატებთ, რომ დაგეგმილი იყო თითოეულ ინსპექციას დაქვემდებარებული ერთეულების რიცხვის შემცირება, ხოლო დედაქალაქში თავმოყრილი ინსპექტორებისაგან ინტენსიური მუშაობის უნარის მქონე ჯგუფის შექმნა, მაშინ დამაჯერებლად მოგვეჩვენება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ ყველაფრის შედეგად მცირე ხანში მოსალოდნელი იყო ავტორიტეტული და რეალური სამეთაურო გუნდის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, აგრეთვე მოსალოდნელი იყო ოპერატიულ გეგმებზე მუშაობის

პროცესის დაჩქარება, არმიის მობილიზაციის გეგმის მოდიფიკაცია (მაისამდე არსებული გეგმისადმი მარშალი უკიდურესად უარყოფითად იყო განწყობილი) და სტაბილური სამხედრო ბიუჯეტის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, ახალი ტექნიკისა და აღჭურვილობის შეუფერხებელ მოწოდებას განაპირობებდა, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული სამხედრო მრეწველობის განვითარებისათვის შესაბამის იმპულსებს შექმნიდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებული აღმოჩნდა ასე დინამიკური და იმედისმომცემი დასაწყისისგან.

უდავო საკითხია, რომ არმიის მდგომარეობა მარშლის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, თუმცაღა ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი (რომელიც, სხვათა შორის, სრულიად იყო მასზე დამოკიდებული) საკმაოდ მოიკოჭლებდა. დიდი ენთუზიაზმით დაწყებული ოპერატიული სამუშაოები წინ არ მიდიოდა, მარგინალიზებულ იქნა მთავარი შტაბის როლი, ხოლო სამობილიზაციო გეგმების კონსტრუირება დროში უსასრულოდ იწელებოდა. სამაგიეროდ, მარშალმა პრიორიტეტი პერსონალურ საკითხებს მიანიჭა, თუმცა მათ მისი ყურადღება იმდენად შთანთქეს, რომ სხვა დანარჩენი, საკუთარ თავზე ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებებისთვის თავის გართმევა აღარ შეეძლო. ამასთან ერთად, გენერლის მუნდირებში გამოწყობილ თავის ხელქვეითებს შორის პილსუდსკი ვერ ხედავდა ღირსეულ მემკვიდრეს, რომელიც მომავალ გამოწვევებს თვალს მედგრად გაუსწორებდა. იგი ვერ ხედავდა ადამიანს, რომელსაც მშვიდად გადააბარებდა არმიას – ამ ერთადერთ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს სუვერენიტეტის ეფექტურად დაცვა იყო შესაძლებელი. ოცდაათიან წლებში კიდევ უფრო ნათლად შესამჩნევი გახდა, თუ რამდენად ტრაგიკული და გადაუწყვეტი დილემა იყო ეს მისთვის...

რა თქმა უნდა, ცხადია, რომ არმიის მდგომარეობა არა მხოლოდ პილსუდსკის ქმედებებზე ან უმოქმედობაზე იყო დამოკიდებული, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს რეალურ ეკონო-

მიკურ და ფინანსურ პოტენციალზე. ეს ფაქტორები მარშალს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა, თუმცა მის გადაწყვეტილებებს ისედაც ყოველთვის ღრმად სტრატეგიული ხასიათი ჰქონდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი მაქსიმალურად ცდილობდა არმიისათვის აუცილებელი ფინანსირების შესაბამის დონეზე შენარჩუნებას და, ამასთან, შესანიშნავად ერკვეოდა ამ სფეროში, რასაც ადასტურებს მისი გამოსვლები სეიმისა და სენატის საბიუჯეტო კომისიების სხდომებზე. პილსუდსკის სრულად ჰქონდა გაცნობიერებული ეროვნული სამხედრო მრეწველობის განვითარების აუცილებლობა, თუმცა ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიური პრეზიდენტი მოშჩიცკი იყო, რომელსაც უკეთ ესმოდა წარმოების რეალიები. მარშალი მხარს უჭერდა არმიის მოდერნიზაციისაკენ მიმართულ მოქმედებებს. ეს განსაკუთრებით შეიარაღების სფეროს შეეხებოდა (ქვეითი ჯარის აღჭურვა, თანამედროვე ტყვიამფრქვევებით, ახალი ტექნიკის შესყიდვები ავიაციის, სატანკო ჯარებისა და ფლოტისათვის). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური სიახლეების დიდი ნაწილი ჯარში უკვე მარშლის გარდაცვალების შემდეგ იქნა დანერგილი, თუმცა მათზე მუშაობა ჯერ კიდევ 1935 წლამდე დაიწყო. ინტენსიურად და წარმატებულად მუშაობდა გენერალური შტაბის მე-2 განყოფილება, გამორჩეული იყო სამხედრო დაზვერვის მიღწევები. ამასთანავე, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, მეთაურობის ორგანიზების, მობილიზაციისა და ოპერატიული მომზადების საკითხები საგრძნობლად მოიკოჭლებდა. მიუხედავად ამისა, იმის მტკიცება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები სექტემბრის მარცხის მიზეზი იყო – სრულიად აბსურდული ჩანს.

ზოგად მიმართულებებში არსებულ პრობლემებს, სხვადასხვა დეტალურ საკითხზე გავლენა არ უნდა მოეხდინა. ასე იყო შორეული, პოტენციური მოკავშირეების – ქართველების შემთხვევაში. მკაფიო სტაბილიზაციის სიმპტომები განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საკონტრაქტო ოფიცრებთან მიმართებაში – მათ შორის 90%-ზე მეტს საქართველოს რესპუბლიკის

მოქალაქეები წარმოადგენდნენ. ნიშანდობლივია, რომ 1938 წლამდე, ქართველ საკონტრაქტო ოფიცერთა 1/5-მა პოლონეთში უმაღლესი სამხედრო განათლება მიიღო (მთლიანობაში თვრამეტმა ოფიცერმა). მე-2 რეჩპოსპოლიტის არსებობის მიწურულს პოლონურ არმიაში – ძირითადად კავალერიის პოლკებში – მსახურობდა 51 ქართველი ოფიცერი (მათ შორის, 1 გენერალი, 4 პოლკოვნიკი, 1 პოდპოლკოვნიკი, 11 მაიორი, 3 როტმისტრი, 19 კაპიტანი, 9 პორუჩიკი და 3 იუნკერი). ქართველება შესანიშნავად მოახდინეს ვისლისპირა რეალიებში ადაპტირება და ეს, პირველ რიგში, ისეთი თვისებების წყალობით მოხდა, როგორიცაა რაინდულობა და სამხედრო საქმის სიყვარული; რაც ძალზე მნიშვნელოვანია – მათ უმკაცრესი გამოცდა ჩააბარეს 1939 წლის სექტემბერში და ამ გამოცდას არა ერთი მათგანის სიცოცხლე შეეწირა მსხვერპლად...

ბევრად უფრო შედეგიანად რეალიზდებოდა მარშლის ის გეგმები, რომლებიც საზღვარგარეთულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ოცდაათიან წლებში გატარებულ ამ პოლიტიკას წონასწორობის პოლიტიკას უწოდებენ. მისი ვექტორი პილსუდსკიმ ჩამოაყალიბა და იგი დიდწილად იუზეფ ბეკის[98] ხელით ხორციელდებოდა. აღნიშნული პოლიტიკა ემყარებოდა თეზისს, რომლის მიხედვითაც ვარშავას თანაბარი დისტანცია უნდა დაეცვა როგორც მოსკოვის, ასევე ბერლინისგანაც. ამ პოლიტიკის ძირითად არსს წარმოადგენდა პოლონეთის მიერ საერთაშორისო პოზიციის აგების მცდელობა საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით. მეორე მხრივ, ქვეყანა საფრთხეებისგან დამატებით უნდა დაეზღვია საერთაშორისო ალიანსებსა და ხელშეკრულებებს. ახლომდებარე, მაგრამ მტრულად განწყობილ ქვეყნებთან ურთიერთობაში საკვანძო დირექტივას წარმოადგენდა მათი ნებისმიერ ფასად არმოშვება გარკვეულ დისტანციაზე უფრო ახლოს, რადგანაც ეს შეიძლება პოლონეთის უსაფრთხოების დასუსტების ფასად მომხდარიყო. მარშლის

[98] იუზეფ ბეკი (1894-1944) – პოლონელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, 1932-1939 წლებში იკავებდა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს.

კონცეფციის მიხედვით ორივე ასეთ ქვეყანასთან (იგულისხმება რუსეთი და გერმანია) თანაბრად ნორმალური ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო, თუმცა ერთ-ერთ მათგანთან კრიზისის შემთხვევაში წონასწორობის პრინციპი მოითხოვდა, რომ მეორე მათგანთან ეს ურთიერთობა უფრო გაუმჯობესებულიყო. პილსუდსკის კონცეფციის პრაქტიკული რეალიზების თვალსაზრისით ხელშესახებ წარმატებად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირთან 1932 წელს ხელმოწერილი პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და 1934 წლის იანვარში მიღებული დეკლარაცია ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც პოლონურ-გერმანულ ურთიერთობებს არეგულირებდა.

მარშალი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ შინაგანად ძლიერ სახელმწიფოს შეეძლო გადარჩენა არამეგობრულ გარემოში, როცა უახლოეს მეზობლებს ორი უდიდესი და აგრესიული სახელმწიფო წარმოადგენდა (მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი მეზობლების წყალობით ეს გარემო ერთ წუთში შეიძლებოდა უბრალოდ არამეგობრულიდან მტრულად გადაქცეულიყო), პილსუდსკის 1926 წლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის სრულებით აღარ სჯეროდა, ხოლო რაც შეეხება საფრანგეთთან და რუმინეთთან 1921 წელს დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებს, მათ მის თვალში რეალური ღირებულება მას შემდეგ დაკარგეს, რაც ლოკარნოს კონფერენციამ ვერსალის სისტემაში[99] ცვლილებები შეიტანა. შესაბამისად, პოლონეთს აქტიური საგარეო პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა, რასაც, პილსუდსკის აზრით, იუზეფ ბეკი საუკეთესოდ ართმევდა თავს. პირველ რიგში, ეს ეფექტურობა გამოიხატებოდა 1932 და 1934 წლებში დადებული ხელშეკრულებებით და აგრეთვე პოტენციური საფრთხეების აღმოფხვრაზე სისტემატური მუშაობით. პილსუდსკის აზრით, ეს საფრთხეები,

[99] ვერსალის სისტემა – მსოფლიო წესრიგი, რომელიც ჩამოყალიბდა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით. ხელშეკრულება დაიდო საფრანგეთში, ვერსალის სასახლეში 1919 წლის 28 ივნისს გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის და მან ოფიციალურად დაასრულა 1-ელი მსოფლიო ომი.

ერთი მხრივ, ევროპის დიდი სახელმწიფოებისადმი პოლონეთის ინტერესების დაქვემდებარების მცდელობებში მდგომარეობდა (ზუსტად აქედან გამომდინარეობდა მე-2 რეჩპოსპოლიტის დიპლომატიის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური რეაქცია „ოთხთა პაქტის" პროექტისადმი, რაც არა მარტო იტალიაში პოლონეთის ელჩის დემონსტრაციულ გადადგომაში გამოიხატა, არამედ კატეგორიულ გაფრთხილებაშიც, რომ პოლონეთის სახელმწიფოს შემდეგი ადეკვატური რეაქციები იქნებოდა „ერთა ლიგის" დატოვება და ძირეული ცვლილება პოლონურ-ფრანგულ ურთიერთობებში), ხოლო მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებული „ძველი საქმეების" არსებობაში. მარშლის აზრით, ამ „ძველ საქმეებს" განეკუთვნებოდა გდანსკის, უმცირესობათა ტრაქტატის, ლიეტუვისა და ჩეშინის სილეზიის პრობლემები. პილსუდსკის სიცოცხლეში პოლონურმა დიპლომატიამ მხოლოდ „უმცირესობათა ტრაქტატის" პრობლემის მოგვარება მოახერხა 1934 წლის სექტემბერში მისი ანულირების გზით. ამით პოლონეთმა საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენების გზაზე მნიშვნელოვანი ბარიერის მოხსნა შეძლო. პოლონეთ-გდანსკის ურთიერთობამ შესამჩნევი გაუმჯობესება განიცადა მას შემდეგ, რაც პოლონეთმა და გერმანიამ 1934 წლის დასაწყისში ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, თუმცა „თავისუფალი ქალაქი" ჯერ კიდევ ფეთქებად წერტილად რჩებოდა ევროპის რუკაზე. ჩეშინის სილეზიის, და ლიეტუვის პრობლემა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ მოკლე ხნით მოგვარდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლონეთ-ლიეტუვის ურთიერთობებში პილსუდსკიმ ჯერ კიდევ 1927 წლის ბოლოს მიაღწია თვისობრივ გარდატეხას.

ვილნიუსის საკითხზე ტერიტორიული დავის დაწყების მომენტიდან მოყოლებული, კერძოდ კი „ჟელიგოვსკის ამბოხის" შემდეგ, ლიეტუვას პოლონეთთან არათუ დიპლომატიური კავშირი არ ჰქონდა არამედ პირდაპირ აცხადებდა, რომ იგი ამ ქვეყანასთან ომის მდგომარეობაში იყო. პილსუდსკიმ ამ ანომალიური სიტუაციის მოგვარება „ერთა ლიგის" სესიის დროს გადაწყვიტა. ეს იმ მომენტში სრულ აუცილებლობას წარმოად-

გენდა, რადგანაც ლიეტუვა მუდმივად ძაბავდა ატმოსფეროს თავისი განცხადებებით, თითქოსდა პოლონეთი იქ შეიარაღებული ინტერვენციისთვის ემზადებოდა. „ერთა ლიგის“ საბჭოს დახურულ სხდომაზე პილსუდსკიმ დიპლომატიური ფორმალობები გვერდზე გადადო და იქ მყოფ ლიეტუვის პრემიერს ერთი უმოკლესი, მაგრამ ამავდროულად უმნიშვნელოვანესი კითხვა დაუსვა: „ომი თუ მშვიდობა?“ შეცბუნებულ ვოლდემარასს სხვა არჩევანი აღარ დარჩენოდა და მარშალს მიუგო, რომ ორ ქვეყანას შორის საომარი მდგომარეობა დასრულებული იყო.

პილსუდსკი ჟენევაში სხვა პოლიტიკოსებსაც შეხვდა. მათ შორის იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ვაიმარის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი – შტრეზემანი[100]. მარშალს სურდა, რომ შტრეზემანზე „გულღია, ჯარისკაცული ნატურით“ მოეხდინა შთაბეჭდილება და ამ მიზანს უდავოდ მიაღწია კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ორი პოლიტიკოსის პოზიციების დაახლოება ვერ მოხერხდა, ორივე თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ მათ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება იყო აუცილებელი. ურთიერთობების შემდგომი დარეგულირება მხოლოდ „მოლაპარაკების გზით უნდა მომხდარიყო, ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე“ (WS, 326). კაცმა რომ თქვას, დასავლელ მეზობელთან ურთიერთობები კარგი არასდროს ყოფილა, თუ 1934-38 წლების ტაქტიკური ნორმალიზაციის პერიოდს არ ჩავთვლით. ამ კუთხით საინტერესოა მომენტი, რომელსაც ძალის გამოუყენებლობის დეკლარაციის შესახებ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ბელვედერში ვიზიტით მყოფ გერმანელ ელჩს – ფონ მოლტკეს პილსუდსკიმ ისე გულითადად მიმართა და ისეთი ემოციური ფორმით აღუწერა „პოლონელთა ათასწლოვანი გრძნობები გერმანელი ერის მიმართ, რომ ფონ მოლტკე გაოცებული დარჩა, რადგანაც მსგავსი რამ აქამდე არც ერთი პოლონელი პოლიტიკოსისაგან მოსმენილი არ ჰქონდა“ (WS,

[100] გუსტავ ერნსტ შტრეზემანი (1878-1929) – გერმანელი პოლიტიკოსი, ვაიმარის რესპუბლიკის რაიხსკანცლერი (1923), ვაიმარის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1923-1929).

352). უფრო ადრე, ვაიმარის რესპუბლიკის დასასრულისა და ჰიტლერის მმართველობის დასაწყისის პერიოდში პილსუდსკი უკიდურესად გადამწყვეტ პოზიციას ავლენდა გერმანიასთან მიმართებაში და იმასაც არ მალავდა, რომ ნებისმიერ ნაბიჯზე წავიდოდა პოლონეთის ინტერესების დასაცავად. აქ, უპირველეს ყოვლისა, „გდანსკის საკითხი" იგულისხმებოდა.

ცოტა ვინმეს თუ ესმოდა ისე კარგად მე-2 რეჩპოსპოლიტის ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, როგორც პილსუდსკის. მას უკიდურესად აშფოთებდა ორივე აგრესიული მეზობლის შესაძლო თანამშრომლობის აჩრდილი, რადგანაც „ასეთი კოოპერაცია პოლონეთისთვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა". ეს მან პირდაპირ განაცხადა 1933 წლის აპრილში წარმოთქმულ თავის სიტყვაში. მიუხედავად იმისა, რომ ნაციზმსა და კომუნიზმს შორის არსებული გადაულახავი იდეოლოგიური წინააღმდეგობები ამ ორი რეჟიმის თანამშრომლობას ერთი შეხედვით შეუძლებელს ხდიდა, პილსუდსკი თვლიდა, რომ „ეს საკითხი მუდმივად ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყო", რადგანაც „მსოფლიო ისტორიას უფრო უცნაური ალიანსებიც ახსოვდა" (WS, 354). 1934 წელს, თავისი უახლოესი თანამოაზრეების წრეში მარშალმა პოლონეთის საგარეო და საშინაო სიტუაცია გააანალიზა და აღნიშნა, რომ 1932-34 წლებში პოლონეთის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს უდავოდ მასტაბილიზირებელი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა, როგორც შვიტალსკი იხსენებდა, მან ყველა გააფრთხილა, რათა „არავის ჰქონოდა იმის ილუზია, რომ პოლონეთსა და ორ უახლოეს მეზობელს შორის დამყარებულ მშვიდობიანობას სამუდამო ხასიათი ექნებოდა". ყველაზე საინტერესო მაინც შვიტალსკის მიერ აღწერილი დასკვნა იყო: „კომენდანტი თვლის, რომ პოლონეთსა და გერმანიას შორის კარგი ურთიერთობები კიდევ ოთხ წელიწადს შეიძლება გაგრძელდეს, გამომდინარე იმ ფსიქოლოგიური ცვლილებებიდან, რომლებიც გერმანელი ერის წიაღში მიმდინარეობს", – წერდა იგი (KŚ, 660-661). 1934 წლის ნოემბერში მარშალმა ეჭვქვეშ დააყენა გენერალური შტაბის ანალიტიკური სამსახურის დასკვნის ის ნაწილი, რომელიც

მეზობელი ქვეყნებიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებს ეხებოდა. ანალიზში განცხადებული იყო, რომ „გერმანია სხვა მეზობლებთან შედარებით უფრო ადრე გახდებოდა საფრთხის შემცველი ქვეყანა". ამ მოსაზრებას მარშალი არ დაეთანხმა, თუმცა ამავდროულად, „ლაბორატორიის" ხელმძღვანელს – გენერალ კაზიმეუ გლაბიშს აუხსნა, რომ მისი მოსაზრება მხოლოდ და მხოლოდ უსარგებლო პანიკის პრევენციას ემსახურებოდა, ბოლოს კი დაამატა: „მე თითქმის არავის ვენდობი და, მით უმეტეს, გერმანელებს, მაგრამ იძულებული ვარ ვითამაშო, რადგანაც ამ ბოლო დროს დასავლეთი ძალიან გაქეციანდა" (WS, 356).

გერმანიასთან ურთიერთობას პილსუდსკი საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ იგი ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების ან თუნდაც პოლონეთის შედარებით მცირე ზომის მეზობლების მოქმედებებს არ აკვირდებოდა და არ აანალიზებდა. მარშალს, პირველ რიგში, საფრანგეთის მხრიდან რეალური დახმარების არ სჯეროდა, რომელიც, მაჟინოს ხაზს[101] ამოფარებული, პაციფიზმის მორევში ჩაძირულიყო და გერმანიის რევიზიონისტულ მოთხოვნებს უდრტვინველად დამორჩილებოდა. იგი უფრო მაღალ შეფასებას აძლევდა დიდი ბრიტანეთის შესაძლებლობებს, რომელიც, უპირველესად, თავის იმპერიულ ინტერესებზე ზრუნავდა, ხოლო კონტინენტზე კი წონასწორობის დოქტრინას უჭერდა მხარს. ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად ევროპული თამაშების მიღმა იდგა და ამიტომაც მისი მხარდაჭერის იმედი პოლონეთს ნაკლებად უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება პოლონეთის შედარებით მცირე ზომის მეზობლებს, ისინი, რუმინეთის გარდა, ან გერმანიის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, ანდა – საბჭოთა კავშირისა. მარშალი აცნობიერებდა, რომ პოლო-

[101] მაჟინოს ხაზი – საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე განლაგებული თავდაცვითი ნაგებობების ხაზი, რომელიც აიგო 1929-1934 წლებში. ეწოდა საფრანგეთის სამხედრო მინისტრის – ანდრე მაჟინოს (1877-1932) სახელი, რომელიც ამ საფორტიფიკაციო ხაზის აგების ინიციატორი იყო.

ნეთს თავისი ინტერესები, პირველ რიგში, დიპლომატიური გზით უნდა უზრუნველეყო. იგი თანამემამულეებს მოუწოდებდა, რომ ეროვნული მიზნების მისაღწევად თვითშეზღუდვის უნარი გამოემუშავებინათ, თუმცა ასევე აფრთხილებდა, რომ ეს თვითშეზღუდვა „საკუთარი თავისა და ღირსების დამცირებაში არ გადაზრდოდათ". პილსუდსკი თვლიდა, რომ აღმოსავლეთი მიმართულებით პოლონეთს ბევრად მეტის მიღწევა შეეძლო. ამ რეგიონში აქტიურობის შემთხვევაში მე-2 რეჩპოსპოლიტას შანსი ეძლეოდა, რომ „აღმოსავლეთ ევროპაში გავლენიან ფაქტორად ქცეულიყო". პილსუდსკი თვლიდა, რომ პოლონეთი „არ უნდა ჩარეულიყო და არც გავლენის მოხდენა ეცადა დასავლეთის სახელმწიფოების ერთმანეთთან ურთიერთობებზე. იმისათვის, რომ პოლონეთს აღმოსავლეთი მიმართულებით ჯეროვანი გავლენა მოეპოვებინა, ზედმეტი არც ის იქნებოდა, რომ დასავლეთის მიმართულებით ნაკლები დრო დაეხარჯა" (KŚ, 661). შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, მარშლის ამ მოსაზრებების აქტუალურობა...

პილსუდსკი კარგად აცნობიერებდა, რომ მისი ფაქტორი ძალზე დიდ გავლენას ახდენდა პოლონეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რეალობაზე. იგი იმასაც აცნობიერებდა, რომ სუფთა პოლიტიკური მეთოდებით ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო. სიცოცხლის ბოლო პერიოდში იგი ერთგვარად ტრაგიკულ პოლიტიკოსად იქცა. შემთხვევითმა მოწმემ შემოინახა 1931 წლის ოქტომბერში მარშლის მიერ წარმოთქმული მონოლოგის დეტალები: „თუკი პოლონელები... თითოეული პოლონელი ხელს არ მოჰკიდებს სამშობლოს ინტერესების დაცვის საქმეს და თან მეც აღარ ვიქნები ამქვეყნად – ათ წელიწადში პოლონეთის სახელმწიფო გაქრება" (K III, 225).

ოცდაათიან წლებში პილსუდსკი უკვე მძიმედ და განუკურნებლად დაავადებული ადამიანი იყო. ჯანმრთელობის მხრივ პირველი, ძალზე სერიოზული დარტყმა მან ჯერ კიდევ 1928 წელს განიცადა, როდესაც ინსულტი გადაიტანა. საბედნიეროდ, მარშალმა ამ დარტყმას გაუძლო და წარმატებითაც

გამოვიდა მდგომარეობიდან. ამას მოჰყვა სამკურნალო გასვლები პორტუგალიურ მადეირაზე (1930 წლის დეკემბერი – 1931 წლის მარტი), რუმინეთში (ეს გასვლა 1931 წლის ოქტომბერში შედგა და იგი შეწყვეტილ იქნა უეცრად დაწყებული პნევმონიის გამო) და ეგვიპტეში (1932 წლის მარტი-აპრილი, ქაიროს მახლობლად მდებარე ქალაქ ჰელუანში). პირველი გამგზავრებისას პილსუდსკის თან ახლდა ახალგაზრდა ექიმი ეუგენია ლევიცკა, რომლის თვითმკვლელობამაც 1931 წლის ივნისში მარშლის გარშემო ნაკლებად სარწმუნო, თუმცა ძალზე არასახარბიელო ჭორების ტალღა ააგორა. ფიზიკური კონდიციის აღდგენას პილსუდსკის ცხოვრების სტილი უშლიდა ხელს – ძალზე მაგარი თამბაქო, ასეთივე მაგარი ჩაი და ძალზე გვიან დაძინება მისი ყოველდღიურობის ნაწილი იყო. ოჯახს და, განსაკუთრებით, თავის სათაყვანებელ ქალიშვილებს მარშალი დიდ დროს ვერ უთმობდა, თუმცა გამონაკლისებიც ხდებოდა. ასე, მაგალითად, გოგონების თხოვნით მან თავის ადიუტანტებს დაავალა ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის მიზანიც იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად ამართლებდა შავი ზღვა თავის დასახელებას...

1935 წლის აპრილში პილსუდსკიმ ახალი კონსტიტუციის ტექსტს მოაწერა ხელი, სპეციალურად მისთვის მორგებული საპრეზიდენტო უფლებამოსილებებით სარგებლობა კი ვერ მოასწრო. იგი დაგვიანებით დიაგნოსტირებულმა ღვიძლის სიმსივნემ დაამარცხა. პილსუდსკი 1935 წლის 12 მაისს გარდაიცვალა, იმ დრამატული მოვლენებიდან ზუსტად 9 წლის თავზე, რომელმაც იგი ხელისუფლების მწვერვალზე აიყვანა, პოლონეთს კი საპარლამენტო დემოკრატიის გზიდან ავტორიტარული ტიპის სისტემისაკენ გადაახვევინა.

მარშალმა საბოლოო განსასვენებელი ვაველის ნეკროპოლისში ჰპოვა. მისი დაკრძალვის დღეს მთელი პოლონეთი – თითქოსდა გაშეშებულაო, უტყვად ემშვიდობებოდა თავის სახელოვან პირმშოს.

VII. ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

იგი თავისი ეპოქის შვილი იყო – „მამების უნახავთა თაობიდან“, რომელთა მამების დიდი ნაწილიც იანვრის აჯანყებას შეეწირა. პილსუდსკის თაობას „დაუმორჩილებლებსაც“ უწოდებენ ხოლმე. იგი ამ პლეადის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო და, ამავე დროს, ვილნოს მიწის განუყოფელი ნაწილი, მისი ჭეშმარიტი შვილი. იგი, პირველ რიგში, საკუთარმა ოჯახმა ჩამოაყალიბა, საიდანაც გულმხურვალე პატრიოტიზმი, სხვა ადამიანებისადმი პატივისცემა და რწმენის ურყევობა მიიღო მემკვიდრეობად. რუსეთს პოლონეთის დაქუცმაცების ტრაგედიის მთავარ შემოქმედად თვლიდა. ეს ქვეყანა მან თავის დროზე ძირისძირობამდე გაიცნო – პირველ რიგში, რეპრესიული სასკოლო აპარატის მეშვეობით, ხოლო შემდეგ, მოწიფულ ცხოვრებაში ფეხის შედგმისთანავე – გადასახლებულის სტატუსით. დიდი რომანტიკოსების პოეზიამ – მიცკევიჩმა, კრაშინსკიმ, უპირველეს ყოვლისა კი, სლოვაცკიმ – ბავშვობიდან დაიპყრო ყმაწვილი იუზეფის სული. იგი აღტაცებული იყო ვინცენტი პოლის[102] ნაწარმოებებითა და იულიან ნემცევიჩის „ისტორიული სიმღერებით“. ამ ყველაფერმა იუზეფს უკიდურესად მჭიდრო სულიერი კავშირი ჩამოუყალიბა პოლონეთთან – პოლონეთთან, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა და რომლის მკვდრეთით აღდგენისათვისაც ბრძოლა იყო საჭირო. ამ გამოცდილებიდან და შემდგომ, უკვე მოზრდილ ასაკში გაანალიზებული პოლიტიკური სიტუა-

[102] ვინცენტი ფერერიუშ იაკუბ პოლი (1807-1872) – პოლონელი პოეტი, გეოგრაფი.

ციდან გამომდინარე, პილსუდსკიმ რუსეთი სცნო პოლონეთის დამოუკიდებლობის მთავარ მტრად და მისი ეროვნული არსებობისთვის უდიდეს საფრთხედ.

იგი უკიდურესად ნეგატიურად იყო განწყობილი რუსეთის იმპერიისადმი, მიუხედავად მისი ფერისა თუ პოლიტიკური წყობილებისა, თუმცა ამ დამოკიდებულებას პილსუდსკი რუსოფობად არ უქცევია. იგი წინაღმდეგობას უწევდა სისტემის წნეხს, ებრძოდა მის უშუალო წარმომადგენლებს, თუმცა მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა რუს რევოლუციონერებთან, რუსეთის უბრალო მოსახლეობას კი გულწრფელად უთანაგრძნობდა. რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა მის მიერ გარდაუვალ პოლიტიკურ აუცილებლობად განიხილებოდა, რადგანაც ზუსტად ცარისტული იმპერიისაგან განთავისუფლებულ მიწებზე უნდა აღმდგარიყო პოლონეთის სახელმწიფო. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, რომ დანარჩენი დაპყრობილი პოლონური მიწები საუკუნოდ უნდა დარჩენილიყო პრუსიისა თუ ავსტრიის მფლობელობაში. ორიენტაციის შესახებ დავა, რომელშიც პილსუდსკი პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ჩაერთო, მხოლოდ და მხოლოდ დროებითი, ტაქტიკური მოკავშირის მოძიებას ნიშნავდა. პილსუდსკის თვალთახედვით, სრულიად გამორიცხული იყო პოლონეთის დაშლამდელი მემკვიდრეობის რომელიმე ნაწილზე უარის თქმა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლონური სახელმწიფოებრიობის აღდგენა ხორციელდებოდა ლოკალურ, საზღვრისპირა დონეზეც და გლობალურადაც, პირველ რიგში, რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

პოლიტიკურ წრეებში ძალზე იშვიათად შეხვდებით ნამდვილ ეროვნულ მოღვაწეს, იუზეფ პილსუდსკი კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეიძლება მივაკუთვნოთ ამ კატეგორიას. უნდა ითქვას, რომ მის თაობაში გამორჩეული პოლიტიკური ფიგურების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა. აქ საკმარისი იქნებოდა ისეთი მოღვაწეების დასახელება, როგორებიც იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის თანადამფუძნებელი რომან დმოვსკი, სოციალისტების ქარიზმატული

ლიდერი იგნაცი დაშინსკი ან სახალხო მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი ვინცენტი ვიტოსი და, მით უმეტეს, ხაზგასასმელია, რომ ამ კოლორიტული ფიგურების ფონზეც კი მარშლის ბიოგრაფია და მისი ნამოღვაწარი განსაკუთრებული სიკაშკაშით გამოირჩევა. ჩემი აზრით, პილსუდსკის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს პერიოდს 1914-1921 წლები წარმოადგენს, თუმცალა მანამდეც და მერეც, მის მიერ შემუშავებული კონცეფციები და მათი პრაქტიკული განხორციელება ნათლად მეტყველებს მისი გეგმების შორსმჭვრეტელობასა და მათი რეალიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების შერჩევის შესანიშნავ უნარზე.

პოლიტიკა ის სტიქია იყო, რომელშიც პილსუდსკი არაჩვეულებრივად გრძნობდა თავს. ამ სფეროში, ისევე როგორც სამხედრო საქმეში, იგი თვითნასწავლი იყო. თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები იატაკქვეშა, სოციალისტურ პარტიაში გადადგა, საკუთარი შეხედულებების კრისტალიზება ორიენტაციის შესახებ დავის პერიოდში მოახდინა, ხოლო ამ შეხედულებათა ცხოვრებაში განხორციელება პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, მაშინ, როდესაც „პოლონური საკითხის ფსონის აწევის“ პოლიტიკას ეწეოდა. 1918-1921 წლებში ახლად აღორძინებული პოლონეთის სახელმწიფოს აღშენებას ეწეოდა, ხოლო რამდენიმეწლიანი პოლიტიკური პაუზის შემდეგ, 1926 წლის მაისიდან გარდაცვალებამდე უკვე დიქტატორის სტატუსით მართავდა ქვეყანას.

1892 წლის შემოდგომაზე პარიზში შედგა „პოლონეთის სოციალისტური პარტიის“ ყრილობა, რომელზეც მიღებულ იქნა „*პარტიის პროგრამის პროექტი*“, სადაც თეთრზე შავით ეწერა, რომ საჭირო იყო იმ სამარცხვინო ბორკილების დამსხვრევა, რომლებითაც „პოლონეთი ცარისტულ იმპერიას იყო მიჯაჭვული“. ამ პარტიას, რომელიც ინტერნაციონალური დომხლიდან ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას დაუბრუნდა, პილსუდსკი მომდევნო წლის დასაწყისში შეუერთდა და სრულიად გაიზიარა მათი ახალი პროგრამული ხედვა. ამ მომენტიდან და შემდგომი მრავალი წლის განმავლობაში პილსუდსკის მოღვაწეობის

მკაფიო ნიშანსვეტად იქცა იდეა, რომ „პოლონელი სოციალისტი სამშობლოს დამოუკიდებლობას უნდა ესწრაფვოდეს, ხოლო თვითონ დამოუკიდებლობა კი პოლონეთში სოციალიზმის გამარჯვების არსებითი წინაპირობაა“ (JP, II, 52-53).

პილსუდსკის აზროვნების მაგისტრალურ ხაზში, რომელიც დღეისათვის ერთნაირად შეიძლება იქნას წაკითხული როგორც ვისლისპირეთში, ასევე კავკასიაშიც, საერთო წარსულის აღქმასა და ინტერპრეტირებაში ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი შეიძლება აღმოჩნდეს პრომეთეული იდეა. თანამედროვე პოლონელის და ალბათ თანამედროვე ქართველის პერსპექტივიდანაც *პრომეთეიზმი*, პირველ რიგში, ეთიკურ პოზიციად აღიქმება, რომლის სათავეებიც მე-19 საუკუნის დასაწყისში უნდა ვეძებოთ. იგი, უპირველეს ყოვლისა, კაცობრიობისათვის სიკეთის კეთების იდეას ეფუძნება, როგორც ამას მითიური ტიტანის – იაპეტის – ძე სჩადიოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა პილსუდსკი თავის სადიპლომო თუ საკურსო ნამუშევრებში ისეთ შემოქმედთა მოტივებს ეყრდნობოდა, როგორიცაა ბაირონი, შელი; ხოლო მშობლიური ლიტერატურის წიაღიდან – სლოვაცკი, მიცკევიჩი, გოშჩინსკი[103] თუ კასპროვიჩი[104]. საზოგადოდ, პრომეთეული იდეა სრულიად ლოგიკურად ჯდება ორ მსოფლიო ომს შორის არსებულ შუალედში და, კონკრეტულად კი, იუზეფ პილსუდსკისა და მის გარშემო შემოკრებილ პოლიტიკოსთა მოღვაწეობის ჩარჩოებში.

პილსუდსკი პოლონელ მოღვაწეთა ისტორიულ პანთეონში უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა, რის დასაბუთებათასაც შევეცადე ჩემი მკითხველისათვის ამ წიგნში. იყო თუ არა ის პრომეთეისტი? სუფთა პოლიტიკურ ჭრილში *პრომეთეიზმს*, უპირველესად, განვიხილავთ, როგორც მოძრაობას, რომლის მიზანიც ერთი მხრივ, საბჭოთა ექსპანსი-

[103] სევერინ გოშჩინსკი (1801-1876) – გამოჩენილი პოლონელი რომანტიკოსი პოეტი და მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერი.

[104] იან კასპროვიჩი (1860-1926) – პოლონელი პოეტი, დრამატურგი, ლიტერატურული კრიტიკოსი, მთარგმნელი.

ონიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევა იყო, ხოლო მეორე მხრივ, იმ ერების განთავისუფლება, რომლებიც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკური ხელისუფლების უღელქვეშ მოექცნენ. ამ პერსპექტივიდან *პრომეთეიზმი* მოიცავდა ბალტიის ზღვიდან შავ და კასპიის ზღვებამდე გაშლილ რეგიონში განლაგებულ სახელმწიფოებს და იქ მცხოვრებ ერებს, რომლებიც უკვე დაპყრობილნი იყვნენ ან დაპყრობა ემუქრებოდათ. ეს ერები ძალადობრივად იქნენ ჩაბმულნი „საბჭოთა მატარებლის“ შემადგენლობაში ან მინიმუმ ასეთი პერსპექტივა ესახებოდათ. პილსუდსკი, როგორც პოლონელი პოლიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, პოლონური სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის იბრძოდა, ხოლო 1918 წლის შემდეგ კი უკვე მისი შენარჩუნება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა დაისახა უმთავრეს მიზნად. სამშობლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჩარჩოებში მოიაზრებოდა სხვა დაპყრობილი ერების თავისუფლების მხარდაჭერაც. ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, პილსუდსკი, რა თქმა უნდა, პრომეთეისტული კონცეფციის მიმდევარი იყო. თუ უფრო უკან, მე-19 საუკუნის ბოლო დეკადაში გადავინაცვლებთ და გავიხსენებთ იმ დეტალურ ანალიზს, რომელიც პილსუდსკიმ რუსეთის ცარისტული სახელმწიფოს იმდროინდელ მდგომარეობასთან და მის პოლიტიკასთან დაკავშირებით გააკეთა, მაშინ შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ პილსუდსკი უდავოდ იყო პრომეთეული კონცეფციის მინიმუმ ერთ-ერთი თანაშემოქმედი მაინც.

პრომეთეული იდეის განხორციელების პირველი პრაქტიკული მცდელობა პილსუდსკის 1904-1907 წლებში ჰქონდა. ეს მისთვის ძალზე ბობოქარი პერიოდი იყო. იგი მიემგზავრება იაპონიაში, რათა „პოლონური საქმის“ მხარდასაჭერად გარე მოკავშირეები მოიზიდოს, აქტიურად მონაწილეობს რუსულ რევოლუციაში იმ იმედით, რომ „პოლონეთის სოცპარტიის“ საბრძოლო ორგანიზაციის დახმარებით ის მეოთხე ეროვნულ აჯანყებაში გადაზარდოს, თუმცა მისი ეს წამოწყებები ფიასკოთი და პარტიის გაყოფით სრულდება. ამ მოვლენების

შემდეგ, 1906 წელს პილსუდსკი „პოლონეთის სოცპარტიის“ რევოლუციური ფრაქციის სათავეში დგება. ბეზდანის აქციიდან სერიოზული ფინანსური დასაყრდენის მოპოვების შემდეგ თავისი მოღვაწეობა მას გალიციაში გადააქვს. აქ იგი თავის მოღვაწეობას ახალ ფორმას სძენს – გალიციის მიწაზე იწყება სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება, რათა პოლონური მხარე მომზადებული შეხვდეს მოსალოდნელ ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს.

პილსუდსკის მიერ გაჟღერებული იდეების სიმყარე პირველმა მსოფლიო ომმა გადასინჯა. მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი აჯანყება არ შედგა, ხოლო კომენდანტის მიერ ხორცშესხმული მსროლელთა რაზმების ინიციატივა დროებით ლეგიონების ავსტრო-უნგრულ იდეას შეერწყა, მოხდა სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ: ამ ბრძოლების შედეგად, რომლებიც არა მარტო სამხედრო, არამედ დიპლომატიურ და ორგანიზაციულ სფეროებშიც მიდიოდა, 1918 წლის ნოემბერში შესაძლებელი გახდა მრავალი წლის წინ დაკარგული პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ მომენტისათვის პილსუდსკის ცხოვრებაში ახალი დამთავრებული იყო მაგდებურგული ტყვეობის ეპიზოდი და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ როგორც ქვეყნის სამოქალაქო ხელისუფლების, ასევე მე-2 რეჩპოსპოლიტის სამხედრო ძალების გაძღოლის თვალსაზრისით პოლონურ პოლიტიკურ რეალობაში მისი კონკურენტი პოლიტიკოსი პრაქტიკულად არ ჩანდა. ტყვეობიდან იგი სერიოზული პოლიტიკური კაპიტალითა და იდეალისტური რწმენით აღსავსე დაბრუნდა. მას სჯეროდა, რომ იმ ისტორიული გარდატეხის მომენტში, რომელმაც ყველა დამპყრობელ იმპერიას დაშლის განაჩენი გამოუტანა, პოლონური საზოგადოება ყველა ყოველდღიურ წვრილმანსა და დაპირისპირებაზე მაღლა დადგებოდა და მომავლის შენებაზე მოახდენდა კონცენტრირებას. ეს მომავალი კი მოიცავდა სახელმწიფოს ფორმირებას, მისი საზღვრების გამოჭედვას და სისტემური წყობილების ჩამოყალიბებას. ამ ყველაფერს არათავისუფალი წარსულის დანატოვარისაგან თავის დაღწევა სჭირდებოდა და

ზუსტად ამ მიმართულებით გაუცრუვდა პილსუდსკის მოლოდინი. განსაკუთრებით რთული მემკვიდრეობა საზღვრისპირა რეგიონების ჩახლართული პრობლემების კვანძი აღმოჩნდა. ამ კვანძის გახსნა მეთაურმა ფედერაციული პროგრამის საშუალებით ორჯერ სცადა – პირველად ვილნოს ლაშქრობის დროს, 1919 წლის გაზაფხულზე, ხოლო მეორედ – კიევის კამპანიისას, რომელსაც პეტლიურას უკრაინასთან ალიანსის შექმნა უძღოდა წინ. ეს იდეა, რომელიც, პრინციპში, დროსა და ეპოქას უსწრებდა, საბოლოოდ და შეუქცევადად იქნა დასამარებული ბოლშევიკურ რუსეთთან რიგაში დადებული ზავის შედეგად, 1921 წლის მარტში. დამპყრობელთა უღლიდან გათავისუფლების შემდეგ წარმოჩენილი რეალიები და ომისშემდგომი ძალთა ბალანსი ბევრად უფრო ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა, ვიდრე „იაგელონური იდეა“ რომლითაც პილსუდსკის პოლონეთისთვის ოდინდელი დიდება უნდა დაებრუნებინა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, პილსუდსკის მეთაურობით დამოუკიდებელი პოლონეთისათვის რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ღია ბრძოლაში, ერთმანეთის გვერდით დადგნენ „მსროლელთა რაზმები“ და ლეგიონერები. მათ იმ პატრიოტების ესტაფეტა გადმოიბარეს, რომლებმაც არაერთ ეროვნულ აჯანყებაში (მათ შორის, ყველაზე ბოლო – იანვრის აჯანყებაში) და 1904-1908 წლების მოვლენებში სამშობლოსათვის საკუთარი სისხლი დაღვარეს. პილსუდსკისა და მის ერთგულ თანამებრძოლებს რუსეთთანაც მოუწიათ საკუთარი ძალების მოსინჯვა 1919-1920 წლების ომში, სადაც რუსეთი უკვე ახალ, ბოლშევიკურ, „წითელ“ მოსასხამში იყო გახვეული. 1919 წელი ამ ომში პოლონელებისთვის წარმატებათა ერთი დიდი სერია გამოდგა, თუმცა იმავე წლის ზაფხულში პილსუდსკიმ უარი თქვა „თეთრი“ რუსეთის მხარდაჭერაზე ბოლშევიკებთან ბრძოლაში. „წითლების“ დამარცხებას იგი საკუთარი და უკრაინელი მოკავშირეების ძალებით აპირებდა. 1920 წლის ლაშქრობა უკრაინაში უკიდურესად წარმატებული გამოდგა და საქმე თვით კიევის დაკავებამდეც

კი მივიდა, მაგრამ ერთი შეხედვით ასეთმა ეფექტურმა კამპანიამ მალე შეიცვალა სახე და ქვეყანა თანდათანობით სასიკვდილო უფსკრულში ჩათრევის პირას აღმოჩნდა. კატასტროფა ვარშავისა და ნემანის ბრძოლებში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით იქნა აცილებული თავიდან.

რთული შესამჩნევი არ არის, რომ პოლონელთა უმთავრესი მიზანი 1918 წლის შემოდგომის მერეც იგივე დარჩა. პილსუდსკის თვალთახედვა ვერ შეცვალა ცარისტული იმპერიის ბოლშევიკურ დიქტატურად ტრანსფორმირების ფაქტმა. მის წიაღში ისევ რჩებოდნენ დაპყრობილი არარუსი ერები და უფლებაწართმეული მოქალაქეები. პოლონელებმა ამ დილეგიდან თავის დაღწევა მოახერხეს და, უფრო მეტიც, ბოლშევიკებისაგან თავიანთი სუვერენიტეტის იარაღით დაცვაც შეძლეს. ახლა მათ უკვე ძალა შესწევდათ და ვალდებულნიც იყვნენ, რომ რუსეთთან მიმართებაში 1904 წელს ფორმულირებული გენერალური იდეის განხორციელება განეგრძოთ. ინსტრუმენტები იგივე რჩებოდა – „ცოცხალი და ბეჭდური სიტყვით“ აგიტაცია, საიდუმლო სტრუქტურების ქსელის შექმნა, რომელსაც მთელი რუსეთი უნდა მოეცვა, სეპარატისტული განწყობების წახალისება და სხვა. რაოდენ აქტუალურად ჟღერდა პილსუდსკის მოსაზრება უკვე დამოუკიდებელ პოლონეთში იმის თაობაზე, რომ „თუკი რუსეთი თავის დაპყრობილ ტერიტორიებს დაკარგავდა, იგი იმდენად დასუსტდებოდა, რომ მისი მეზობლებისთვის აღარანაირი საფრთხის შემცველი აღარ იქნებოდა“ (JP II, 253). პილსუდსკის მიერ წამოყენებული პრომეთეული იდეები მართლაცდა გასაოცარია თავიანთი აქტუალურობით.

მარშლის პოლიტიკურ მოღვაწეობაში უცნაურ კომპონენტად ჩანს სამწლიანი ანტრაქტი. უეჭველია, რომ პილსუდსკი პოლიტიკურ თამაშში დაბრუნებას აპირებდა და თანაც საკუთარი პირობებით, მაგრამ შეიარაღებული გადატრიალება ნამდვილად არ შედიოდა მის ანგარიშებში. ამის მიუხედავად, 1926 წლის მაისის მეორე დეკადის დასაწყისში განვითარებული მოვლენების დინამიკამ განაპირობა, რომ ძალის გამოყე-

ნება ფაქტად იქცა. ერთგვარ პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ ადამიანმა, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებას, სახელმწიფოს ინტერესების (ისე, როგორც მას ეს ინტერესები ესმოდა) დაცვისა და დამოუკიდებელი პოლონეთის საჯარო სივრციდან მონური მემკვიდრეობის აღმოფხვრის საქმეში ისეთ გადაწყვეტას მიმართა, რომელიც მის მიერვე პატივცემულ და აღიარებულ დემოკრატიულ ტრადიციას ფეხქვეშ თელავდა. 1918 წლის შემდეგ პილსუდსკი დემოკრატიული, ჰარმონიული გარემოს ფორმირების პროცესს ედგა სათავეში, რამდენიმე წლის შემდეგ კი მან ეს ჰარმონია ერთი ხელის მოსმით დაანგრია... მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შექმნილი ავტორიტარული სისტემა მისი თანამედროვე მსგავსი სისტემებისგან განსხვავებით მნიშვნელოვნად შერბილებული იყო, იგი მაინც პოლონეთის დამპყრობელი იმპერიების რეალიებს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე მოდელს, რომლისთვისაც პილსუდსკი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა. უცნობია, ჰქონდა თუ არა გაცნობიერებული ეს თვითონ მას. ნებისმიერ შემთხვევაში, სამშობლოს თავისუფლებაწართმეულმა წარსულმა მასაც დაამჩნია თავისი უარყოფითი დაღი, თუმცა პილსუდსკის ეს გულში რომც გაევლო (თუნდაც მაისის მოვლენების კონტექსტში), ძნელი საფიქრებელია, რომ ამას ოდესმე აღიარებდა.

ის ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე იყო და თვით დიქტატორის სტატუსით ყოფნის დროსაც კი არ განეკუთვნებოდა ტიპური ევროპელი დიქტატორების კატეგორიას. ...და ეს არა იმიტომ, რომ მმართველ გუნდს კი არ აქუცმაცებდა, არამედ ადუღაბებდა; არც იმიტომ, რომ მას სრულიად არ ხიბლავდა ძალაუფლების ატრიბუტები; არც იმიტომ, რომ მისი ყველაზე ცხარე ოპონენტებიც კი აღიარებდნენ მისი ყოველდღიური ცხოვრების უკიდურეს უბრალოებას. პირველ რიგში, იმიტომ, რომ პილსუდსკიმ იმ ეპოქას გადაასწრო, რომელშიც ცხოვრობდა. იგი მთელი თავისი არსებით თავისუფალი, დამოუკიდებელი პოლონეთისთვის იბრძოდა და როდესაც მოხდა ის, რაც

პირველ მსოფლიო ომამდე ბევრისთვის მხოლოდ „გაბედული პოლიტიკური ოცნების" საგანს წარმოადგენდა – პოლონეთმა მიაღწია სანუკვარი დამოუკიდებლობის აღდგენას – პილსუდსკიმ ომისშემდგომ რეალიებში ქვეყნისთვის ოპტიმალური საზღვრების შემოსალტვა შეძლო და სახელმწიფოს თანამედროვე მოწყობას ჩაუყარა საფუძველი. მან, სამწუხაროდ, ვერ შეძლო მე-2 რეჩპოსპოლიტის აბსოლუტური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა ეს ამოცანა უკვე მის და არა მარტო მის ძალებს აღემატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პილსუდსკი თავისი უდიდესი ოპონენტის – რომან დმოვსკის მსგავსად სამყაროს შეცნობის მწველი სურვილით არ გამოირჩეოდა, იგი კარგად იცნობდა ევროპულ რეალიებს და ფხიზლად ადევნებდა თვალყურს საერთაშორისო ვითარების რთულ პერიპეტიებს. დედამიწაზე ყველაზე ლამაზ და ამავდროულად ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად ვილნო მიაჩნდა, ნემანის ნაპირებზე კი ყველაზე კარგად გრძნობდა თავს. მარშალი ბუნებრივი სოციალური ინტუიციით იყო დაჯილდოებული, თუმცა ცხოვრების ბოლო პერიოდში, მაშინ, როდესაც სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა იტვირთა, – ყველაფერი მის ინტერესებს დაუქვემდებარა, ისე, როგორც მას ეს ინტერესები ესმოდა. იგი ადამიანებში არასტანდარტულ ემოციებსა და დამოკიდებულებას აღძრავდა, მასთან ურთიერთობის პროცესში ადამიანები ან მისი უპირობო მიმდევრები ხდებოდნენ ან პირიქით – კატეგორიული მოწინააღმდეგეები. მარშალი ახლო ნაცნობობისას უფრო იგებდა ადამიანთა გულებს, მით უმეტეს რომ მოხიბვლისა და პატივისცემის აღძვრის არაჩვეულებრივი უნარი გააჩნდა. ქალთა მიმართ მას ერთი მხრივ, ძველმოდური დამოკიდებულება ჰქონდა ხოლო მეორე მხრივ, შესანიშნავად ხვდებოდა მათ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას ქალთა შორისაც ბევრი თავგამოდებული მომხრე ჰყავდა. თითო-ოროლა ისეთიც იყო ვისაც მისი მკაცრად დაცული პირადი სივრცის საზღვრების გადალახვა და წრფელ დისკუსიაში შესვლა შეეძლო. ზუსტად მცირეთაგან ერთ-ერთ ასეთ თანამოსაუბრე ქალბატონს –

ალექსანდრა ზაგურსკას[105] გაუმხილა მან თავისი აზრი იმის შესახებ, რომ: „თუკი სახლია ასაშენებელი, აგურები კი ნაკელისაა, მაშინ სახლი ისეთი აგურებისაგან შენდება, როგორიც ხელთ გვაქვს...“ (WS, 357).

ამ წიგნის გმირის განვლილ ცხოვრებაზე თვალის ერთი გადავლებაც კი გვარწმუნებს, რომ მან თავისი თავი დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენასა და მის აღორძინებას მიუძღვნა. იმ სამყაროში, რომელიც მისი ცხოვრების დასასრულისკენ ნელ-ნელა იძირებოდა, ტოტალიტარული სიგიჟის უფსკრულში, – პილსუდსკი შესაძლოა ანაქრონისტულ, თუმცა ახალგაზრდული იდეალების ერთგულ დიქტატორად რჩებოდა. ილვწოდა, იბრძოდა და სუფთა ლიეტუვური სიჯიუტით წყვეტდა ამოცანებს, რომლებსაც საკუთარ თავს უსახავდა. მან პოლონეთისთვის იცხოვრა.

[105] ალექსანდრა ზაგურსკა (1884-1965) – პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, მოხალისე ქალთა ლეგიონის შემქმნელი და მეთაური, პოლონეთის არმიის ვიცე-პოლკოვნიკი.

ტექსტში გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- იუზეფ პილსუდსკის ინსტიტუტი, ნიუ-იორკი, მთავარსარდლის გენერალური ადიუტანტურა [IJP – NY, AGND]
- ი. პილსუდსკი, *„წერილები“*, ტ. I-X, ვარშავა, 1937-1938 [JP]
- ი. პილსუდსკი, *„წერილები“*, *დამატებები*, ტ. I–II, ვარშავა, 1992–1993 [JP U]
- ტ. ალფ-ტარჩინსკი, *„პირველი ბრიგადის ოფიცრის მოგონებები“*, ლონდონი, 1979 [AT]
- ვ. ბარანოვსკი, *„საუბრები პილსუდსკისთან 1916-1931“*, ვარშავა, 1938 [WB]
- ა. პილსუდსკა, *„მოგონებები“*, ლონდონი, 1985 [AP]
- მ. სოკოლნიცკი, *„წელი ათას ცხრაას თოთხმეტი“*, ლონდონი, 1961 [MS]
- კ. შვიტალსკი, *„დღიური 1919-1935“*, ვარშავა, 1992 [KS]
- *„იუზეფ პილსუდსკის ცხოვრების კალენდარი“* ტ. I-III, დაამუშავეს: ვ. იენჯეევიჩმა და ი. ჩისეკმა, ვროცლავი, 1994 [K]
- ა. ბორკევიჩი, *„იუზეფ პილსუდსკის ბიოგრაფიული წყაროები, 1867-1892 წლები“*, ჟურნ. „Niepodległość“, ტ. XIX, ვარშავა, 1939 [AB]
- ი. ჩისეკი, *„მეზობლები ომთან მიმართებაში“*, *დოკუმენტების კრებული“*, ლონდონი, 1990 [JC]
- ა. გარლიცკი, *„იუზეფ პილსუდსკი, 1867-1935 წლები“*, ვარშავა, 1990 [AG]
- მ. გმურჩიკ-ვრონსკა, *„სტანისლავ პატეკი დიპლომატიასა და პოლიტიკაში (1914-1939)“*, ვარშავა, 2014 [MG-W]
- ვ. პობუგ-მალინოვსკი, *„პოლონეთის უახლესი პოლიტიკური ისტორია“*, ტ. II *(1914-1939)*, ლონდონი, 1967 [WP-M]
- ვ. სულეია, *„იუზეფ პილსუდსკი“*, ვროცლავი, 1995 [WS]



ვლოძიმეჟ სულეია (დაბ. 1948 წ.) – პოლონელი ისტორიკოსი, XVIII-XX საუკუნეების პოლონეთისა და მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი, იუზეფ პილსუდსკის ბიოგრაფიის ავტორი, რომელიც გარდა პოლონურისა გამოიცა რუსულ, ბელორუსულ და უკრაინულ ენებზე. ვლოძიმეჟ სულეიას კვლევის სფეროებს წარმოადგენს XIX-XX საუკუნეების პოლონური პოლიტიკური აზრის ისტორია, პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ორგანიზაცია „სოლიდარობა“ და XX საუკუნის ვროცლავის ისტორია.

wiedza

Ambasada Rzeczypospolitej Polskiej w Tbilisi

INSTYTUT POLSKI TBILISI

PLASTICS®
პლასტიკს საქართველო

ISBN 978-9941-9529-8-2

9 789941 952982